

14
342



მნათობი

9

თბილისი
1942



მნათობი



სრულიად-საქართველოს სამაქთას მწერლუშის
კავშირის ყთველთვიური სალიტერატურთ,
სასულთვნთ და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ქერნალი

წილიწადი მცხარამებთ

9

19

საქართველო

სახელმწიფო

42

საქართველოს
საბჭოთაო
ბიბლიოთეკა



პ/მგ. რედაქტორი ა. მანუშვილი

ზელმოწერილია დასაბეჭდად 3/XI-1942 წ. № 13029. ანაწეობის ზომა 7 X 12, ნიშანთა რაოდენობა სასტამბო ფორმაში 50.688. შეკვეთის № 2015. ტირაჟი 2300.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ეორესის ქ., 5.
რედაქციის მისამართი: ეორესის ქ., 5. სახელგამი. ტელ. 3-04-64.

გალაქტიონ ტაბიძე

მთის გულისცემა

თუ მიაყურებ დღემილს ლამისას
 და მახვილ სმენის შეგწევს უნარი —
 მოისმენ გულის ცემას ამ მთისას:
 ის კრთის, იღუშალ — მოგუგუნარი.
 გამიგონია, რომ ამირანი
 გაბედვისათვის მისცეს წამებას,
 ფლობდა სიბნელე გულგამგირავე
 მის გათენებას და შეღამებას,
 ადამიანებს მოსწყვიტეს ის, ვის
 ასე უყვარდა ადამიანი,
 ვერ შეეზღდა ელვარე მზისთვის,
 კლდე იყო ცივი და ნამიანი.
 თოვლის ნამქერი, წვიმა და ქარი
 გარე უვლიდენ ველურ კვილით,
 საუკუნეთა ურიცხვი ჯარი
 მის წინ ვიდოდნენ ასეთ ტკივილით.
 თუმც გულს უწეწდა ყორნების გუნდი,
 დღე ღამეს ცვლიდა და ღამე დღესა,
 გმირმა იცოდა — რა არის ხუნდი,
 და არ იცოდა — რა არის კენესა.
 წლიდან წლით იგი არყევდა პალოს,
 და ყოველ ასე წლის დასასრულზე
 ღამის მოგლოჯოს, ღამის დასძალოს,
 ღამის სურვილი გმირის ასრულდეს —
 ყოველთვის. მაშინ, ზმადამკინველი
 კავკასიის მთის კლდე-ფრიალოზე
 მოფრინდებოდა შავი ფრინველი,
 და დაიწყობდა ფრთებს ამ პალოზე.
 მოსწყევდა გმირი უროს საძალოს —
 მაგრამ ფრინველი უცებ სწლტებოდა:
 ურო სიმძიმით წვდებოდა პალოს,
 და პალო ისევ გამაგრდებოდა.
 და ერთხელ ფრინველს დაუწყდა ფრთანი,
 დააკვდა პალოს, და აი, ბოლოს,
 თავისუფალი სდგას ამირანი
 და აწი ვერაფერ ვერ დაეტოლოს!

თუ მიაყურებ დუმბილს ღამისას
და მახვილ სმენის შეგწვევს უნარი —
მოისმენ გულისცემას ამ მთისას:
ის კრთის, იდუმალ მოგუგუნარი.



კავკასიის ჯაგს

როგორც მერანი
თავს აღწევს ლაგამს და უსივრცოა
მისი ჭენება; — როგორც ძველ ძონძებს
სტოვებს შევენება და სიდიადით
ცისკარს მიაგავს; ვით ამირანი
ტყვეობას მდაგავს შესძახებს: წყევლა
და შეჩვენება! როგორც სიბნელეს
ლურჯი თენება უმშვენიერეს
გზით გადალაქავს, ისე მნათობი
აღმოხდეს ბნელით და ულამაზეს
მთებით მოარე, კავკასიონის
ამღერდეს ჯარი! — კვლავ გამარჯვებით
დაბრუნდეს ველით, და ულოცავდეს
აშალ აღსაყვას, სამშობლოს ჩემის
თავგადასაყვას!

გმირული ნანგრევები

ვით არ მიყვარდეს სამშობლო —
ღამაზ

და სურნელოვან ველებით სავსე, ნანგრევი, რაიც სცდება აკლამას,
დაუცხრომელი მდინარის ხმაზე. მე ვენაცვალე მაისის საფლობს,
კორდებს საირმეს, მინდერებს სათაფლოს, აფერადებით რომ სცდება
დაბლობს —
მიდის თანდათან და აღის მთაზე, მუდამ ხმაურობს კვლავ, უწინარეს,
ჩემთვის მყინვარის გიჟი მდინარე — მასთან ყრმა ვიყავ, და აწცა ყრმა ვარ,
მოუსვენარი, დაუძინარე. თავს შემოვევლე გაშლილს უფრცესად,
უმშვენიერეს ჭალას და ტყესა, ასე რომ მინათს იმათი ზეცა, იმათი ზეცა
პირ-მომცინარე. ვით არ მიყვარდეს, ვით არ მართობდეს,
ზობიბინეთა ამ არეთ ბედი: ეს არის ღვიათ, ეს არის ვარდთა,
ეს არის შქერთა უსაზღვრო ტბეთი. თვალს როგორ მოვწყვეტ — თუ ვით
მუხა შორს,
დაფიქრებული გასცქერის მთაგორს, როგორ გადახსნის თვალწინ
პორიზონტს
ასწლოვანი ზის მოხრილი ქედი. მე მუდამ ვიგრძნობ — ვით მშვენიერ
ფრთებს,
აღაზნებს ვერხვებს ჩრდილ-ფერიები, და დაეცემა ყანებს და ვაზებს

უღელურჯესი — ვინემ იები. როგორ არ გავეყე ფრენად ცვილი ზონის
 მოგონებების ტალღათა კონას — რის დავინახო კავკასიონის
 უამაყესი, ბრგე რელიეფი. ვით არ მაგზნებდეს დაბლიდან ნელგონულნი
 სიამით მგვრელი, შეხება ქროლის დასაბამიდან უარმყოფელნი
 ყოველნაირთა კედლამათა ერეოლის. მშობლიურია — გარს რომ მევლება
 ხალისიანთა ნიათ ქველება, თავბრუდახვევა და სურნელება
 გადასარევიდ ცოცხალ ფოთოლის. კარგი მიდამო, აღმართ-დაღმართით,
 ვინმე იმნაირს ვერ ნახავს ეზოს, რომ ხე არ ერგოს და ია-ვარდი და
 სილაყვარდე

გარს არ ეთესოს. ეხლაც იქ ვდგევარ, სადაც მრავალ ხის,
 ჰეროვანი სდგას ძოწეული და ილუშება წარბი ძველ ციხის,
 კედელს ხშირ-ხშირად სურო ხვეული. ეხლაც იქ ვდგევარ, — ხორხზე,
 ხეებზე,

მწვანით დაბურულ მოსახვევებზე — რაც ყოველ ბიჯზე მდგარ
 ნანგრევებზე — აფეთქებული ჩქეფს ბროწეული. ეხლაც იქ ვდგევარ ფეხ-
 გადადგმაზე —

რაც კი წუთია და ნაბიჯია, თითქო ამ წმინდა, სპეტაკ დაბაზე,
 თანდაყოლილი ზენა — ნიჭია — სდგას დილდილობით შეურხეველი,
 უნარნარესი ალვათა წნელი, მუხები ძველი, ცაცხვები ძველი,
 ვერხვები ძველი და გლედიჩია. როგორ დაეტოვო ყოველივე ეს —
 რაც უჩვეულო შევინებას ახვევს ამ საოცარი მიდამოს ისეც,
 უბურუსო და უღრუბლო სახეს. ოდეს ფერი ცის ამ საყვარელ გზებს,
 გაღეფარება და დაანათებს — კიდევ უფრო მეტ შევინებას მატებს,
 მეტს სიღიადეს და სიამაყეს. მე არ გავცელი გზას, რომლის წარსული
 თვალუწვდენელი წელიწადთ ტყეა, უხსოვარ ხნიდან — დრო გადასული
 აქ დარჩენილი მისი სახეა. ამბობენ, თითქო სამიათას წლის
 და იქნებ მეტთა მინძილთა მწდომის, მომსწრეა იგი მრავალი რისხვის,
 მრავალი ცეცხლის, მრავალი ომის. ამბობენ, თითქო ამ გზების წინა,
 აწ დანგრეული ზღუდე და ბინა, უფრო ძველია, ვიდრე ათინა, ვიდრე
 ათინა და ვიდრე რომი. როგორ დაეტოვო და წაიღოს დრომ —
 რომელიც გზნებათ მრავალთ საწყვია — იქ რომ კორღია და იმ კორღზე რომ
 ვადარჩენილი სამი ცაცხვია — ის სამი ცაცხვი! მათ ქვეშ შთენილთა,
 აღფრთოვანებათ, იმედთა შლილთა, და ოცნებათა გადახდენილთა,
 ჩემთა ოცნებათ გროვა აწყვია. იქ ძველისძველი, უხსოვარ ხნობის,
 რაც კი ბილიკი და ნანგრეულია — მას ჩემი ყრმობის, საოცარ ყრმობის
 უნელბელი ოხვრა ხვევია. ნანგრევი. თითქო, ტოლნი — მე და ის:
 რამდენი სევდის, რამდენ სიამის, მე, დაფიქრებულს, ვინ უწყს, რა წვაში
 მღელვარე ღამე აქ მითევია. როგორ არ მიყვარს, გამლილი ფარად,
 კედლებზე, კარად, ფერფლზე იმ დროის, ღელავს მთელი ტყე, მთელი ზღვა
 მარად

მწვანე ხეების, მწვანე სუროის. იგი მკვიდრია, რაც მათ შრიალა,
 ჩემს სიყმაწვილეს შთაბერეს ძალა: ეამმა ხელით ვერ გამომაკალა
 იგი, ტბილი თუ მწარე, ფილა. მედგრად. გრძნობამ წინ რომ გაიწიოს,
 მეკრძალვის ვისი, მეშინის რაის? სამშობლო ჩემი ამ ნანგრევებთან,
 მარად იპოვის უჭკნობელ მაისს.

სონსტანტინე გამსახურდია

ღავით აღგაშენებელი *)

პარი მორე

VIII

ლითაგიანი მუზარაღები

თმენის ღონე ელეოდა ქარიზან სეტეელს; აღარსად სჩანდა სიტყვაი ქორა-
ბოლოს გადასწყვიტა ქონდაქართუხუცესმა თავათ ჩასაფრებოდა ფარცხისის
ციხის სანახებში რატის აზნაურებს, რომელიმე მათგანი შეეპყრო, შინაით-
გამცემი ეშოვნა როგორმე.

შაბათ საღამოს თავათ წავიდა თავლებისკენ, მუხლმაგარი ცხენების შესარ-
ჩევად. ცხენები უკვე შეკაზმულნი რყვნენ, როცა უცნაური ეივილი შემოეს-
მა. სიტყვაი ქორა მოსულაყო, სახეგაბრწყინებული შემოიყვანეს ჩუხჩთა.

გაოცდა ჩუხჩარხი, ეგ მართლაც მახარაის ეშმაკი ყოფილაო, გაიფიქრა
ფულში. ძეძვეებში ნათრევ ქორას სამოსი შემოფხრეწოდა საესებით, ბირკაში
ამოგანგლული იყო დაბეჭილი თეკა, ბირკას დაებურდა მისი აღისფერი,
მეჩხერი წვერიცა.

აკანთში ძრომისაგან ღაწვისთავები ჰქონდა დაკაწრული. ქარიზანმა დაით-
ხოვა ჩუხჩნი, გულდასმით მოუსმინა ენაბრგვილს.

რაიცა შეეხება საქურკლეთა და ზარდახანას, კლიტენი და თოკის კიბენი,
წამოიღეთ, მე თავათ გიჩვენებთო გზას.

მეფემ თავათ დაკითხა მსტოვარი.

პატრონის დანახვაზე უარესად აბლუკუნდა სიტყვაი.

„შშენი ნნაბრძანი ყოველივე შევასრულე, მეფეე ბატონო“.

„სატეერის გაშიშვლება რაისთვის დაგჭირდა, სიტყვაი?“

აღურსიანად შეეკითხა პატრონი, მზერა ესროლა მის წელზე დაკიდულ სა-
ტეეარს, რომელიც მუხლის თავამდე უწევდა ჩიაკაცს.

„ჯერ იყო და თავი მოვიკატუნე, თითქოს ვყოფილიყავ კვირიკე მეფის
მიერ ფარცხისის წარგზავნილი ძღვენითა. როცა რატის აზნაურები წინ გად-
მიდგნენ, და მიყვილეს: დაგნებდიო, ისე ვეჩვენე, თითქოს ქონდაქარნი მგო-
ნებოდეს იგინი, ვიყვირე: არ დაგნებდებით მეთქი ძალთაპირ ჩუხჩთა. ამის

*) იხ. „მნათობი“, № 7—8.

თქმა და სატყვეარი ვაძვრე ერთ მათგანს ბარძაყში; მაინც დამიყვარეს რატის აზნაურები ვართო, შემომფიცეს და მიმგვარეს ლიპარიტისძეს.

ავწოწნდი ვაგლახად, სამი აზნაური და ორი დიაკვანი წარმოგვგზავნა მეთქი კახთა მეფემ ძღუნიანად, ალგეთის პირად დავით მეფის წაგზავნილ დავებზედნენ, ის ოთხნი მამაკურად შეებრძოლნენ მოძალადეთა, ხოლო მე სიღამე ვიფარე და მაჯაგანით გამოვრეკე მეთქი ბნელ ღამეში ეგ სახედრები.

ერთი გომართელი დიაკვანი აურჩევია მესაწოლედ რატის, ნათენაისძე ლაჩია. მერმე ის იყო განვაზრახე ლაჩიი, წყალობას დავბირდი მეფისას.

თურმე ნუ იტყვიო, შავ ბედშავს არა სცოდნია სამეფოის სპათა თრიალეთის საერისთავოში შემოჭრა. გამომიტყდა: მე აგრე მეგონა, თურქის მარბიელს გამოექცაო ლიპარიტისძე, დავით მეფე რა ვუხსენე, თვალეზი გაუბრწყინდა: ვანაგონი მაქვსო, ჩემებრ მყოლოვანთა და გლახაკთა მთარველიო კბაუკი მეფე.

ლაჩიამ გამიმელანა ბოლოს ყოველივე. მხოლოდ ერთი რამ არ იცოდა მაინც: თუ სად იყო ის წყეული ბერი კოზმანი?

ერთხელ ნაშუალამევეს სამი თოროსანი რაინდი მოადგა ფარცხისის ციხეს. ერთ მათგანს შავი აბჯარი შეენოდა, შავი ატლასის ტურბანი თავზე ჰქონდა შემოგრაგნილი, შავი კაფტანი ეცვა, უზარმაზარი ხმალი ეკიდა მარჯვენა მხარზე. როცა რატისთან შეიყვანეს იგი, ლაჩიამ მიჩურჩულა: იმ შავ წვეროსანს დააკვირდი, ცოდვისშვილო, კოზმან ბერი ეგ არისო სწორედ. შავი მუზარადი თავზე ეხურა ჩაღმის ქვეშ, ჯაქვის საფარველი უჩრდილავდა სახეს.

სხვა რამეც ბევრი უამბო სიტყვაიმ მეფესა და ქონდაქართუხუცესს.

რატი ლიპარიტისძე უკვე აღარ ფიქრობსო ფარცხისის ციხიდან წასვლას. ერთი პირობა ყოველივე მზად ჰქონდაო, ჰერეთს აპირებდნენ თურმე გადახვეწას, ბრძოლით გავიკაფავთო გზას.

სწორედ იმ ღამეს, როცა კოზმანი ჰერეთიდან ჩამოვიდა, რატისა და მის აზნაურებს გადაუწყვეტიათ თურმე ისპაანსა და ბაღდადს წარეგზავნათ კაცნი სარწმუნონი, მამშველი ლაშქარი ეთხოვნათ სულტანისა და ხალიფისათვის.

იმედს არა ჰკარგავსო რატი, უკეთუ თურქნი თრიალეთის საერისთავოში შემოიჭრებინ, ერთობლივად აღსდგებიან რატის აზნაურები, ციხეებში გამოამწყვდევენ და გაუუყავენო სამეფოის სპათა, ხოლო დავით მეფეს, დავით მეფეს ძელზე გასმა არ ასცდებო.



იმავე ღამეს აიყოლია ქარიზან სეტყელმა ეზოსმოდვარი ზოსიმე, მანარაი და ჩუჩნი, მამხალეზი, ლომები, კლიტენი და თოკის კიბენი წაიღეს და თან გაჰყენენ სიტყვაი ქორას.

მთელი ღამე იარეს მთვარიანში და იმ კლდეებამდის რა მიადწიეს, სადაც ობოლაისძე და საბუნისძე შეიპყრეს ჩუჩნთა, ცხენები ხევში დასტოვეს; სიტყვაი ქორამ ერთი მიხედა გვიანას მონასტრის ნაჩრდილს, ბილიკებზე სუნსული დაიწყო.

ხელიკივით აძვრა ფლატეზე. საბელეზი ვადმოუგდო დანარჩენთ, წამომყევითო, ანიშნა მუნჯურად. დიდხანს იხოხეს ხავსმოდებულ, დაკბილულ ბი-

ლიკებზე. მღვიმე გაიარეს სურათი დაბურღული ერთი, ტაფობი ^{დაბურღული} კვათხვდათ აკანთიანი, ისევე მღვიმე შემოეყარათ, ეგ მღვიმეც განვლეს და აღნი აქცენენ დამრეცილ ბილიკებს, საბელებით ძლივს იმავრებდნენ თავს.

ბოლოს შეწყდა ცერალმართული ბილიკი, გოდოლი ^{დაბურღული} შეთავ-
მორღვეული, გოდოლიც განვლეს და ფლატეებს მიადგნენ თვალშეუღვამს. ქორების სკორეთი გათეთრებულ ფლატეებზე სახიზრო ქვაბები გამოჩნდნენ მთვარიანში, შორიდან.

აქაც იპოვნა სიტყვიამ დაკბილული ბილიკი აღმამიმაველი, ზედ აცოცდა, თოკის კიბენი გადმოუშვა ძირს. ბოლოს თავათაც ჩამობრუნდა და სათითა-
ოდ აიყვანა მღვიმეში ყველა.

ქვაბთა შორის ხერელი იყო საცალფეხო. ქალები აანთეს. დევების სამ-
ყოფლოს მიაგავდნენ კლდეში გამოკვეთილი პალატები. ქარიმანმა მიმოიხე-
და, ნიშები შეამჩნია კლდეში გამოჭრილინი.

მონასტერი ყოფილაო ოდესღაც.

„თავდაპირველად სადილეგოდ ჰქონდა ეს ქვაბები ლიპარიტ დიდს, — სთქვა
ეზოსმოდღვარმა ზოსიმემ, მაშხალა აიღო, კლდეს მიანათა, მაჯისისხო ჯა-
ჭვები ეკიდნენ ზედ.

„აი აქ იყვნენ დაბმულნი ბაგრატ კუროპალატის ერთგულნი აზნაურნი:
აბუსერი, ერისთავი არტანუჯისა, ციხისჯვარისა და აწყვერის ციხისპატრო-
ნი, ივანე ერისთავი, გვარამ გოდერძისძე, ბუქისციხისპატრონის გვარამის
მამაი და ივანე დადიანი, რომელნიც ანისიდან გამოიბრუნა ლიპარიტ დიდმან.

ივანე ლიპარიტისძის ღროს, მონასტრად აქცია ეს ქვაბები ერთმა დაყუ-
დებულმა ბერმა, როცა მალიქშაპს სარანგი ალგეთს მოადგა, ეს მონასტერი
გაძარცვეს თურქთა“.

პალატებიდან გასული რკინისკარს მიადგა ქარიმან სეტყელი, უზარმაზარი
მოქლონი ეკიდა ზედ.

ამოდ სინჯავდა კლიტეებს, არცერთი მოერგო მას.

ლომებით შელუწეს კარი. მცირე ტალანი გაიარეს და ვაზის კარს მიადგნენ
დიდს ზელოვნებით ნაკეთებს. კაცის სიმაღლე ვაზისჯვარი იყო ზედ, კუთ-
ხეებში პაწია ჯვრები აგრეთვე ვაზისა. კლიტით გახსნეს მოქლონი.

ბირველსავე ქვაბში საჭურჭლე აღმოჩნდა.

დიდ-დიდი ირანული ზანდუკები, სკივრები, განჯინები, ზოგი რკინისა,
ზოგი რვალისა, სპილენძითა და ფერადი თუნუქით შეჭვიდილნი სხვანი.

კლდეშივე ნიშები იყო, კარშებმულნი აგრეთვე.

ხუფები ახბადეს ზანდუკებს, მაშხალების შუქზე აელვარდნენ ბიზანტიური
ოქროს სოლიდები, დუკატები, ბოტინატები და კონსტანტინატები. ქარიმან
სეტყელი პეშვით იღებდა ბიზანტიურ ფულებს, რომელზედაც ცალმხარეს
კეისრების სახენი იყვნენ ამოტვიფრულნი, ცალზედაც ბლახერნის ღვთის-
მშობლის ხატება.

ახლა ქართულ მონეტებს დაადგა ქარიმანმა თვალი, აქაც ბლახერნის
ღვთისმშობელი იყო ცალ მხარეზე გამოსახული, ცალზედაც ეწერა: „ქრისტე
შეიწყალე კუროპალატი ბაგრატი“, „ქრისტე შეიწყალე მეფეთმეფე გიორგი
და სევასტისი“, ახლა სპილენძის ფულები ხელში მოაყვნენ ჩუხჩარხს:

ამ მონეტების კიდევ ეწერა: „ქრისტე შეიწყალე დავით მეფე მესიის მახვილი“.

ოქროს პერბერები ეყარნენ სხვა სკივრებში, პერაკლეაში, მოქრეულში, დინარები, არაბული დიპრემები და სპარსული დრაჰმები.

უზარმაზარი ირანული განჯინა ვახსნეს ჩუხჩთა, მახარაიმ გამოალაგებინა სამიოდე ტაბაკი ოქროსი, ერთიც იასპისა, იასპისავე ფეხები ჰქონდა მათ, თასები, სინები, ლანგარები, კოვზები, კოვშები და ჩქიფები, ოქროისა და ვერცხლისანი, იაყიყის ზელსაკიდებითა, ხელის სარკენი ვერცხლისა და ფოლადისანი.

ახალ-ახალ ზანდუკებს ხსნიდნენ მორიგეობით ჩუხჩნი.

ჰამადანური ნობები, ოქრონემსული დორები, ისალები და ზედსაფენები ამოალაგეს, ყვითელზოლიანი ირანული ფარჩა გორგალეზზე დაგრაგნილი, ზებრასფერი სომხური ბროკატი და ერაყული ფარჩები, ზოგი ყვითელი, ზოგი ყრუნი, ზოგი მმოლალურის ფერისა, ბერძნული დალმატიკები და არაზული ტუნეკები, კაფტანები და კაბები, ფარჩებისა, დამასტისა და ზეზისანი, ქირმანული და ბაღდადური შალები, გორგალეზზე დაგრაგნილი აგრეთვე.

ახლა მეორე მღვიმეში შეუძღვა მახარაი ჩუხჩთა, ნიშების კარები შეაღწეწინა, ზანდუკები გაახსნეწინა, ნაირნაირი საქურველნი დაუხვდათ მანდ. ბერძნული, ერაყული, ბაჰრაინული, მუტასა და დიჯაფში ნაკეთები რკინის პერანგები, არაბული მისრაჰფის მახვილები, შობორკანული და ხორასნული ზმლები, პრტყელნი და ყუასწორნი, ბასსორას ოსტატთა ნახელაენი, სალმასურისა და ფერგანის ჯაჭვის პერანგები, რომელთაც ფოლადის ქერეჭი ჰქონდათ, სარკინოზების მიერ „კოზგანდად“ წოდებულნი, ფოლადის ბექთარნი დამასტის ფარჩა გადაკრულნი, ოქროცურვილი მუზარადები — არაბულნი — „შუდაჰ“, სარკინოზული მშვილდები, მათ ფეხით გასასროლი საგდებელი ჰქონდათ მისადაგებელი — „კასიჯ ალრიგლ ვალროკაბ“.

არაბულივე ისრები და ქეიბურები, რომელთაც „გარად“ — კალია ერქვა თურქის ჯარებში იქჟამად.

შავი მუზარადები რკინისა შეათვალიერა მახარაიმ, სახეზე ჩამოსაფხატაუ საფარველი ჰქონდა მათ.

ქარიმანს თვალები გაუბრწყინდა მათ დანახვაზე. მახარაიმ თავზე დაახურა მას ერთი, წვრილად ნაქსოვი ჯაჭვის საფარველი ჩამოაფარა სახეზე, ეუბნება:

„ამ საფარველს ლითამს უწოდებენ არაბნი, ამგვარ მუზარადს იხურავენ არაბთა დიდებულნი და სპასალარნი, როცა უჩინმაჩინად სწადიით მგზავრობა“.

„შარშან ზამთარში, როცა ბარქიაროკის სარწმუნო კაცნი მოდიოდნენ ლიპარიტის უბანში დამდამობით, ლითამიანი შავი მუზარადები ეხურა მათ“.

დასძინა ეზოსმოძღვარმა ზოსიმემ.

ზარდახანის მწიფნობრებმა ყოველივე წვრილად აღნუსხეს და მეორე დღეს მიტაკი წარუდგინა დავით მეფეს ქარიმან სეტყელმა.

IX.

ეპისტოლე სინანულისა



ქართული
 ენციკლოპედია

ლიბარიტის უბანში მეფის დაყოვნებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. აღშფოთებულნი იყვნენ ხორეშანი და ვარდია, ლიბარიტისძეთა სასახლის სეტყეჭალთა წინამდგომი.

მახარაი ყოველდღე უგებდა კაკანათებს ბულბულებს, მაგრამ ქორწილის გამო აღარაფერი ისმოდა. ეპისკოპოსები მონასტრიდან ფეხს არ იცვლიდნენ, მესათხველენი ველარ აღდიოდნენ მათთვის დაქერილ ხციმორისა და კალმანის ზიდვას. კატაისაც დიდი ჯაფა ადგა მათი მუცელმერათობის დასაშოშმანებლად.

ისედაც გულშემოყრილი იყო ერისთავის მეუღლე, დედისიმედი გამომჯობინდა. აქიშნი განაზრახეს კატაიმ და ხორეშანმა: არამც და არამც არ დაენებებინათ ადგომა, რადგან კარგად იცოდნენ: მეფე აროდეს ინებებდა მწოლიარე ქალწულის სამყოფლოში შესვლას, ხოლო უკეთუ დედისიმედი ადგებოდა, უხერხულიც იქნებოდა არ ხლებოდა პატრონს.

ღამდამობით საღდაც მიჰყვებოდა მეფე ქარიშხან სეტყელსა და სპასალარებს, ხანაც ლიბარიტის უბანში დაბანაკებულ მარგვეთელ ლაშქარს, მესხ მოისართა და აფხაზ ცხენოსნებს სწვრთნიდა. საათა დაწყობის ასწავლიდა, ხმლის ცემასა და ლახტის თამაშს, ბევრგვარ ბრუნებას შუბისას, ისრის თლასა და მშვილდის ჩაგდებას, ქარქაშის კარგად ჩაწყობას, შემართებულად ბრძოლას ხმლითა და შორთლითა, ხრამებზე ცხენების ზღტომას, სადავის გამორჩევას პირჩვილი და გამზიდარი ცხენებისათვის.

ციხეების გარშემო ბლისკინათა გაწყობას და მთსავე გადალახვას ცხენდაცხენ. გაქენებულ ცხენიდან ჩამოხტომას. ცხენის მუცლის ქვეშ მოქცევას მხედრისას, როცა მოისარი შტერი გამოუდგება ოტებულს, ცხენოსან ჯარისთვის ქვეითების მიერ თავის დაღვას, ხანდაცების, ქარაფების და ხრამებას გამოყენებას, ცხენიანად ცხენოსანთან, ხანაც ქვეითად ბრძოლას აღმხედრებული შტრის მიმართ.

ცნობისწადილისაგან იღებებოდა კატაი. არავინ იცოდა რას აპირებდა მეფე. თვით აუყია მახარაი ყოველდღე იჭერდა ბულბულებს, მაგრამ ნანატრი ქორწილის გამო არავის უმხელდა რაიმეს.

გვარამ ერისთავს თვალეზი დაექანცა მალეშარბოლის ცდისაგან, ბაიბური არ ისმოდა არც გეგუთიდან, არც ნაჭარმაგევიდან. ერთ საღამოს მეფემ აიყოლია გვარამ ერისთავი და სპასალარები. კოჯრის ციხეს გასცდნენ, და ტფილისის სამიწროს სამინებამდის იარეს ცხენდაცხენ. ბოლოს ქუჯაი შეაყენა გორის ცხვირზე მეფემ, ზელი მიიწრდილა თვალზე და ბეჰისციხის პატრონს ეს უთხრა:

„კოჭრიდანაც კარგი ასაღები იქნება ტფილისი“.

გვარამ ერისთავმა ცხენი დაჰძრა. მეფეს ამოუდგა გვერდით და სთქვა:

„პირველად ისნიდან აიღო ტფილისი ბაგრატ კუროპალატმა. ისნიდან მოადგინა შიდა ქართლენი მოისარნი, ჰერეთის და აფხაზეთის ლაშქარნი. ლიბარიტ დიდი თან ახლდა პატრონს. ორ წელს ამომშვილა ქალაქი აფხაზთა მეფემ. ფარცხის და ორბეთის ციხენი გამოსტაცა ჯაფარს, აღისძეს.“

დაფრთხა ტფილისის ამირა, ღამით აპირებდა ნაეტიკებით გაპარვას. მაგრამ მსტოვარმა ამბავი მოუტანა მეფეს: სელჯუქიანთა ჯარები უკვე შემოქრილიყვნენ სომხეთში. ბაგრატმა ლიპარიტის უკითხვად უკვე შემოიხსნა ქალაქს და აფხაზეთს წაბრძანდა ლაშქართურთ. განარისხდა ლიპარიტი და გახდა ქვეგამხედვარი მეფისა.

სამალარებიც მიეახლნენ დავითს. შერვილ ლიპარტიანმა სთქვა: დილუამიდან აჯობებდაო ქალაქის აღება.

ღიასაკო, დაამოწმა ერისთავმაც.

„სულგურობიერი მამიჩემისაგან მაქვს განაგონი, სთქვა გვარამ ბექისციხის პატრონმა, როცა ტფილისის ამირა ჯაფარი მიიცვალა, ქალაქის ბერები ეახლენ მეფეს და უქადეს ტფილისი. ბაგრატ მეფე აიყარა ანაკოფიდან, დილუამში შემოეგებნენ პატრონს ბერნი, დარბაზის ყმანი, ცხენოსანი დილუამის ველისა. ყოველი ერი, ქვეითი და ცხენოსანი წინ დაუბედნენ მეფეს. იყო ცემა ბუქისა და დუმბულისა, ქალაქში დაჰყავდათ ფსალმუნების გალობით მეფე და ასხმიდნენ დრაქანსა.

მოართვეს ციხეთა კლიტენი, საამიროს დარბაზში ტახტი დაუდგეს და თყვანისცეს პატრონს.

ბაგრატ გურობალატმა აიღო ციხე დარიჯელი, ორივე კოშკი წყალყინისა და თაბორისანი, ერისთავნი დაადგინა შიგ, ისანში თურქის ჯარი დარჩენილიყო, ჩააგდეს მტკერის ხიდი, მეფემ დაუდგა ფილაკავანნი, იბრძოდა ისანსა და ესროდა ისარსა“.

ლიპარიტის უბანში შემოიქცენ მეფე და ტაძრული. კვლავ ლელავდა გვარამ ერისთავი. მეორე დღეს მარგვეთელნი ლაშქარნი აიყოლია დავითმა, გვარამ ერისთავი არ წარიტანა თან, ლიპარიტის სასახლეში დარჩენილმა ბექისციხის პატრონმა ასე დაასკვნა:

აღბათ ტფილისის ასაღებად ეშაღებო პატრონი.

სწუხდა მოხუცებული ერისთავი: რად არ მიმხელსო გულის ნადებს მეფე დავითი?

მახარაი შემოეხეტა დარბაზში. დიდხანს ესაუბრა გვარამს ეპისკოპოსების გულისწყრომის გამო, დასცინოდა „ლიპარიტის ოჯახისა და ქრისტიანული ზნეობის ქომავთა“.

„კირიონ მანგლელიც გადაიბირეს ეპისკოპოსთა, სთქვა მახარაიმ, გუშლამ შეეუსწარი ცხრა ეპისკოპოსთან მოსაუბრე მანგლელს. იგინი ხმაპალივ კიცხავდნენ მეფეს, უზერხულიაო პატრონის დაყოვნება ლიპარიტის ოჯახში უკვე“.

ამბობდა ურბნელი.

კირიონ მანგლელმა კვერი დაუკრა, მეც არ მომერიდა, ისე განაცხადა:

ხამს მღვდელმთავართა აღვლერით მახელილი მხილებისა, რადგან ჭეშმარიტნი მონაზონნი ქვეყნისა ზედა არავის ზელმწიფებასა ქვეშე არიანო“.



მეორე დღეს მეფე და ლაშქარნი კვლავ მიბრუნდნენ ლიპარიტის უბანში. გვარამ ერისთავმა სული მოითქვა. კიდევ ერთი დღე და იგი თავათ აპირებდა გეგუთს წასვლას გიორგი ჭყონდიდელთან, რათა ვაზირთა უპირველესი ეხმო

და არ დაენებებინა ჭაბუკ მეფისათვის გიორგი მეფისა და დარბაზის ერთა უკითხავად ტფილისის შემოწყობა, დარწმუნებული იყო გვარამია: ქორწინების საქმეებსაც გამოარკვევსო ვაზირთა უბირველესი.

სალამოს ჯონდი ერისთავი ჩამოვიდა. მას აზნაური მორკნეველი დაეტოვებინა თავის შემცვლელად კლდეკარის ციხეში, ხოლო თავათ ეპისტოლე ჩამოეტანა ლიპარიტის ხელთ დაწერილი. წიგნი კირიონ მანგლელის სახელზე იყო, ჯონდის ვერც გაეხსნა გრავნილი და ვერც მანგლელისათვის გაეგზავნა მეფის უკითხავად იგი.

დიდხანს ითათბირეს მეფემ და თავკერის ერისთავმა თრიალეთის საერისთავოს საქმეთა გამო.

მახარაის წამოცდა გვარამ ერისთავთან: წიგნი გამოგზავნათ დილეგიდან ლიპარიტ ამირამ. ყური სცქვიტა ბექისციხის პატრონმა: ეგებ ამ წიგნმა გახსნასო ვაგლახად დაბურღული გორდისეული კვანძები. მახარაი შეაგულიანა, გაიგე რას იწერებათ ტყვე ლიპარიტი?

მახარაის თავათაც ახრჩობდა ცნობისწადილი, არც აცივა და არც ატებლა, უკითხავად შეალო დიდი დარბაზის კარი.

„როდის გამოგიგზავნა ეს წიგნი ლიპარიტმა?“ შეეკითხა თავკერის ერისთავს მეფე.

„ვასულ შაბათს მოწესე მოითხოვა ლიპარიტმა, მიუგო ჯონდომ. ხუცესი წარგზავნე დილეგში. მობრუნდა იოთამამ ხუცესი, ეტრატსა და საწერელს ითხოვსო ტყვე ერისთავი.“

საწერელთ მპურობელნი წარგზავნე, ეტრატიც გავატანე თან. მერმე ის იყო წიგნი გამოგზავნა ლიპარიტ ამირამ“.

მეფემ გრავნილი გამოართვა ერისთავს, ტყვედართ დაბეჭდული იყო იგი. აღებრდა მახარაი პატრონს: ჯერ შენ წაიკითხე რასა სწერსო ლიპარიტ ამირა მანგლელს?

დაბეჭდული წიგნი და ვასროლილი ისარი ორივე თანაბრად საშიშიაო ხშირად.

არა ჰქნა პატრონმა, გაულიმა მახარაის და თავათ იგი წარგზავნა მანგლელის სახმობლად.

როცა კირიონ მანგლელი და მამაი ბასილი დიდ დარბაზში შემოვიდნენ, მეფე ზე არ ამდგარა, ოქროჭედილი სელები დაადგმევინა ჯონდი ერისთავს მათთვის, მომწესველი მზერა ესროლა მანგლელის დაღეულ სახეს, ამ წუთში მოაგონდა მისი ნათქვამი, მახარაის მიერ გაღმოცემული: „ქვეშაბრძნი მონაზონნი ქვეყანასა ზედა არავისსა ხელმწიფებასა ქვეშ არიან“, და მის აღზნებულ შემოხედვაში მართლაც იგრძნო უცნაური ძალა იშვიათი ნებისკაცისა.

იჯდა ოქროჭედილ სელზე ეს გაფითრებული, ამაყი და გულზეიადი ბერი, ღამესავეთ შავს მზერაში გიზგიზებდა დიდზე უდიდესი თავმოთნობა და შეგნება საკუთარის ძალმოსილებისა.

ახლა მეორე შავოსანს ესროლა დავით მეფემ მზერა, დიდებულებას ამქდაგნებდა მისი ლომისებრი ფაფარი, მაღალ შუბლზე გარსმომდგარი, ჭავლი-სებრ დაგრავნილი, გრძელი წვერი, ახოვანი მხარბეკი, დიდრონი, ჭკვიანი თვალები, რომელნიც ნებიერად სთელემდნენ შავი წამწამებისაგან შემოგარსულ უბეთა შორის.

ორივეს მაგრად ჰჭონდათ მოკუმული ვაფითრებული ტუჩები. ჩოჩხვდა გულთმისანი მეფე, მათ გუნებაში იმ წუთს ღიმღამობდა აზრი: ალბათ მახარაიმ დაგვასმინათ. ზედ ეტყობოდათ: ქვეშეცნეულად ემზადებოდნენ. და დავისათვის ორივენი მტკიცედ.

მეფემ ტაბაკზე დადებულ გრაგნილს დახედა. ოთხი თვალი შავოსნებისა მიაშტერდა მასვე. მერმე დინჯად დასწვდა პატრონი თავის მშვენიერი, გრძელი თითებით იმ გრაგნილს, კვერთხივით დაიჭირა ხელში და ეუბნება კირიონ მანგლელს:

„წიგნი მოგსვლია კლდეკარიდგან, მამაო“.

კირიონ მანგლელის სმენაში უსიამოდ გაიშხილეს ამ სიტყვებმა, განსაკუთრებით უკანასკნელთა, რადგან მან მყისვე შენიშნა, ამ წინადადებას კიდევ ერთი სიტყვა აკლდა, რადგან კარგ გუნებაზე მყოფი მეფე მას ნიადაგ ავრე მიმართავდა: „მამაო სახიერო“.

მანგლელი ჯერ ვაფითრდა, შემდგომ ამისა კომშისფერი ლაწვისთავეები წამოუწითლდა, ბოლოს ასეთმა აზრმა გაიელვა მის გულში ანახდად: ალბათ ღვთის მიერ შთაგონებულმა, მონანიებულმა ერისთავმა შეიცნო ჩემი თანადგომის წადილი, ვინ უწყის, ეგებ ამიტომაც მეფის სააუგოს რაიმეს მწერდესო. დამტკნარი ხელები წაებოტინენ გამოწვდილ გრაგნილს.

სტრიქონებს ორგზის გადაურბინა მისმა გამალებულმა მხერამ. დავითმა ხვალი შეასწრო, თუ როგორ გადაეყარა მის ლაწვისთავეებს სიწითლე და ის უმცირესი, ქრთილის ფესვებისდარი, მოწითანო ძარღვები, რომელნიც ცხვირსა და საფეთქლებზე აჩნდნენ მანგლელს, უკვე აღარ ღვივოდნენ მღელვარებისაგან, სახე დაუმშვიდდა მღვდელმთავარს, რაკი დარწმუნდა, რომ ლიბარიტ ერისთავი იმის მეტს არაფერს იწერებოდა, რაც მიუცილებლად საჭირო იყო მისივე გადარჩენისაგან იმ ეამად. (რა თქმა უნდა, კირიონ მანგლელის აზრით).

ბოლოს თვალი გაუმართა ეპისკოპოსმა მეფეს, მის უკან მდგარს, იმ „საძახელ“ ქარიმან სეტყელსაც ესროლა შემპარავი მზერა, (წინასწარ დარწმუნებულმა, როგორც ქონდაქართუხუცესს, ისე მის პატრონს წაკითხული ექნებათო ეს წიგნი) უკან დაუბრუნა დავითს ლიბარიტის მიერ გამოგზავნილი ეპისტოლე და ეაჯა: წაკითხვინიე ეგ წიგნი, მეფევე ბატონო, ვისმეს.

დავითმა დაჰხედა გადაშლილ გრაგნილს, ლიბარიტის ხელი შეიცნო, ისეთის გამომეტყველებით, თითქოს თავათ არ შეძლებოდა წაკითხვა, ჯონდი ერისთავს კი არა, რომელიც მხარმარჯვით იდგა ვახევებული მის გვერდით, მახარაის გაუწოდა იგი, ოქროს ტაბაკის ბოლოს მედარს.

ჭოსამ მღელვარება ველარ დიოკა, ზეწამოიჭრა, ორივე ხელით გაშალა გრაგნილი ტაბაკზე, ცხვირი ჩარგო შიგ და თავისი ხრინწიანი ხმით დაიწყო ამოკითხვა:

„მე, ესე, ლიბარიტ ივანესძე ბალუაში, მანქანებითა ეშმაკისათა განდგომილი ქეშმარიტისა სარწმუნოებისაგან და შეერდომილი სჯულისა სარკინოზთასა, მოვე რა თავსა თვისსა, მოვილტვი სარწმუნოებისა მიმართ ქრისტიანეთასა, არა იძულებისა რაიმესამე ანუ ჭირისაგან, (ამ სიტყვების ამოკითხვისას ცხვირმა ღმილმა გადაურბინა წამკითხველს სახეზე. ჯონდის ტუჩპირის კუთხეში მოადგა იგივე, მაგრამ თავი შეიკავა თავგერის ერისთავმა და დიაკვნურთი კილოთი განაგრძო ჭოსამ):

„არცა ზაკვითა, ანუ ჩემებითა, არამედ ყოველითა სულითა და გულთა წმიდითა და უზაკველითა და ქრისტეს სარწმუნოების შევეარებითა, ეიჯმნი სარკინოზთა სარწმუნოებისაგან და შევაჩვენებ მაჰმადსა, რუჰმელსაჲს პატრისა სცემენ სარკინოზნი ვითარცა მოციქულსა და წინასწარმეტყველსაჲს და კალი-სა, და ჰასანა და ჰუსენსა, და აბუბეკრსა, და ომარსა, და მოაისს; და აბდა-ლასს, და სხვათა ყოველთა თანამდგომთა და თანაშემწეთა და მონაცვლეთა მაჰმადისათა და წიგნსა მასაცა, რომელსა იგი ყურან ეწოდების, და ყოველთა სჯულისდებათა, მოძღვრებათა და გამობათა მისთა“.

როცა მახარაიმ კითხვა მოათავა, გაბრწყინებული მზერა ესროლა მანგ-ლელმა დავითს. მოხუცის წვრილი, მოლალაპე თვალები ამოდ ეძებდნენ მის საბეზე თუნდაც ქრთილისოდენა ნიშანწყალს სიხარულისას, მაინც წელგამარ-თულმა შეჰკადრა პატრონს:

„აკი მოგახსენებლით, შეფვე ბატონო, მეცა, სინანულმა შეიპყრო მეთქი კლდეკარის ერისთავი“.

მეფეს ეხამულა ეს გამოთქმა „კლდეკარის ერისთავი“, რომელიც მუდამ შეი-ცავდა ერთგვარ დვრიტას გულზვიადობისას, ლიპარიტისძეთა წოდებაში. ტაბაქს დაძხვდა და არა მიუგო რა.

და ეს დღემილი თანხმობად ჩამოართვა მღვდელმთავარმა მეფეს და პათე-თიური ღალადისით წარსთქვა, სავსებით დარწმუნებულმან: ძალნი უჩინონი და ზესთაბუნებრივნი ამ სიტყვებს ამცნობდნენ ჯაჭვებით დაბმულ, მონანიე-ბულ ერისთავს:

„იგიც დაწერილ არს, შეფვე ბატონო, როცა გზასა ქეშმარიტს აცდენილი ქრისტეანი ესოდენ გულწრფელ სინანულს გაამედანებეს, მას მღვდელმთა-ვარნი, გინა მოწესენი მიუგებენ ხოლმე კურთხევანის ლოცვით:

„მიუტევენ უფალო, მონანულსა ამას უსჯულოებანი მისნი ნებსითნი და უნებლიეთნი, გონებითნი და უგუნურებითნი, გარდასვლანი და ურჩებანი სჯუ-ლისანი, რომელ ჰყო მძლავრებითა ეშმაკისათა“ (როცა ეს უკანასკნელი სიტ-ყვა წარსთქვა მანგლელმა, მამაი ბასილიმ მახარაის გადახვდა, სავსებით დარ-წმუნებულმან, რომ მართლაც მახარაი იყო ეშმაკის მოციქული, რომელმაც ამბოხი შემოიტანა ქრისტეან მეფისა და ერისთავის ურთიერთობაში).

ამასობაში ხმამაღლივ დაძინა კირიონ მანგლელმა: „შესცდა და გცოდა სიტყვით, ანუ საქმით, გულის სიტყვით და მოგონებით“.

მეფემ ზედიზედ დააფხულა თავისი გრძელი წამწამები, ჯერ გაიხვდა სარკმლიდან, საიდანაც მოსჩანდა ლიპარიტის სასახლის სავარდე, მერე თვა-ლი გაუსწორა ორივე მღვდელმთავარს და ბრძანა:

„ეგ ეპისტოლე ჯერ არაფერს ამბობს ჩემთვის საგულისხმოს, მამაო, რად-გან ლიპარიტ ერისთავი მაშინაც ლალატობდა ტახტსა და მამულს, როცა ეკლესიებს ავებდა იგი და მუხლმოყრილი ევედრებოდა სამეფოს დაქცევისა-თვის მაცხოვარს“.

ესა სიტქვა, ადგა და სავარდეში გავიდა მარტოკა.

სახტად დარჩნენ მანგლელი და მამაი ბასილი. ეს უკანასკნელი ნუგეშიც გაეცალათ ორივეს ხელიდან. მანგლელი დარწმუნებული იყო, ლიპარიტის მორჯულება გულს მოუღობოდა მეფეს, იგი ხელს აიღებდა თრიალეთის საერისთავოს შემომტყეცებაზე, ამ შემთხვევაში როგორც კირიონი, ისე და-ნარჩენნი ეპისკოპოსნი კრისტესაც არ დასძრავდნენ ბავჯატოვანთა და ბალუ-

აშთა დამოყრების გამო, რატის შემოიროგებდნენ და არც ხელთა მოქვეყრულ კვირიკე მეფეს ვაუხდებოდა სადავოდ ტახტი. ყოველივე მშვიდობით წარიშართებოდა, ეპისკოპოსებს თავთავიანთი სამწყსონი შერჩებუდნა აღპარიტ ერისთავს თრიალეთი, ხოლო კვირიკესა და აღსართანს კახეთაჟერეთი კახუფლოდ.

მხარაიმ დიდხანს უყურა კირიონ მანგლელის ვაგლახად მოდრეკილ ზურგს და როცა ლიპარიტის მესაწოლე ბერმა, ზარგარელმა კარი გაიხურა მის უკან, ქარიმანსა და ჯონდი ერისთავს ეუბნება მხარაი:

„მეფეს არამც და არამც უფლება არა აქვს სულგრძელობაში გაეჯიბროს მამა ლმერთს, რადგან უფალს სულნი აბარია ჩვენი, ხოლო მეფეს, სულიცა და ხორციცა“.

X

ESSENTIA ESSENTIARUM

მხარაი და ჯონდი სავარდეში გადაჰყვნენ მეფეს. იგი მარტო იჯდა წიფლის ნამორზე, აკანთით დაბურდულ ხეეს გადასცქეროდა. არც კი შეუმჩნევია ახალმოსულთა სიხლოვე ფიქრში გართულს. ყორნები შემომსხდარიყვნენ ვახშარ ცაცხეზე, ხანგამოშეებით მოისმოდა მათი ყრანტალი.

მხარაი ასკილის ბუჩქთან მივიდა, პეშვით მოხვეტა კაკანათის ქვეშ დაყრილი ბუმბული, ზედ ცხვირთან მიუტანა ერისთავს და ეუბნება:

„ბუმბულს ბუმბული დაუტოვებია კაკანათში, ჯონდი, ხოლო თავთ მახიდან გამძერალა“.

ბუმბულიო?! გაიოცა ჯონდიმ, ვერ გაიგო რისი თქმა უნდოდა ქოსას.

„დიბ, ბუმბული, ჯონდი, ეს მიწა, ეგ სავარდე და ეგ ნაძეები, იგი მიწა და ზგი ცარგვალი ბუმბულია შემომქედისა. იგია Essentio omnium essentiarum — სთქვა მხარაიმ და მიაშტერდა ჯონდი ერისთავის ფეტვისფერ თვალებს და რა შენიშნა ვერ გაიგოვო ლათინური თქმა, ქართულად დასძინა: არსთა არსი ყოველთა არსობათა.“

ჯონდი სდუმდა. მხარაიმ მეფეს შეავლო მზერა, მიხვდა, პატრონმაც ყური მოჰკრა მის ნათქვამს.

ჯონდიმ სთქვა:

„შენ ეგ მითხარი, მახო, მაშ ლმერთს სული აბარია ჩვენი, ხოლო მეფეს — სულიცა და ხორციცა? არა?“

მხარაიმ ამოიოხრა და მიუგო:

„ეჰ, ვინ უწყის, ჯონდი...“

ჯონდი შესცქეროდა მწითურ წამწამებს შორის ჩაფერფლილ შაბიამნისფერ თვალებს. „ვინ უწყის, ეგ ადამი დიდედა იყოს ჩვენი, ხოლო ევა მამაი ჩვენი“.

მერე ცას ახედა და დასძინა ქოსამ:

„ის თეთრი ფრინველები, ეთერში რომ დაფრინავენ მალა, ყორნები იყვნენ იგინიცა ეგების.“

ეგებ იმ დროს, როცა შენ ამ ნამორზე ზიხარ, დადიოდე ცხადლივ, ან როცა ჩემსკენ მოდიხარ, სწორედ მაშინ მშორდებოდე ეგების.

ეგებ ეს პირისფერი ვარდები მყარალა ბალახი იყოს ნამდვილად და ის ქება-ბი, წუხელ რომ მოგვართვეს ვახშმად, ჩხიკვების სკორედან გაეკეთებინოს მზარეთულთუხუცესს.

ვინ უწყის“. დასძინა მახარაიმ, პეშვი გაშალა და ნიავს ვაიქვია ^{ვარდენული} რულუბულის ბუმბლი.

მეფე მღუმარედ ისმენდა ორთა საუბარს, მერმე მახარაის მიუბრუნდა და აზაბულად უთხრა:

„ავვალ ოლვაგიბატი, ალა ლიტლაკი ჰოვა იშვაკ 1)“

„მხოლოდ ეგაა, მიუგო მახარაიმ, როცა დავთერები, მე თავათ ვირყევი, მაინც მხოლოდ მაშინ მჯერა ყოველივე ურყევად“.

მეფემ გაიღიმა, თვალი შეავლო მახარაის ჩანგრეულ ტუჩპირს, რომელშიაც ორი გაყვითლებული ლოჯი მოსჩანდა, მზერა მოღნაცვლა და დადუმება აჩნია.

XI

საშურისის იზაშვი

მახარაის ბულბულების კაკანათების ამბავი კლდეკარის ციხეშიაც სკოდნო-და ჯონდის. მესაწოლე ბერებს მთელს საერისთავოში დაჰქონდათ ეს ამბავი. მეორე დღეს სასტუმრო დარბაზში შეეყარა ჯონდი ერისთავი საჭურისს, მას ბულბული ეჭირა მუშტში გამომწყვდეული.

„სულ რამდენი ბულბული დაიჭირე ამ თვეში, მახო?“

ეკითხება ჯონდი.

„ბულბულები ბევრი მყავს, შენ თუ წაუღებ, საგანგებო კერძს ვავუგზავ-ნი ლიპარიტ ამირას, ჯონდი“.

„ეს ნამეტნავად დიდი პატივი იქნება მისთვის“.

ამ დროს შემოვიდა სეფექალთა წინამდგომი — ვარდია. მიესალმა დამ-ხედურთ. უცნაური, წრიბინა ხმა ჰქონდა ამ დიაცს, ოდნავ გაბზარული, ყელისმიერი, ისეთი, როგორც ჩხიკვის ძახილს თანა სდევს ხოლმე.

ჯონდი ერისთავს ეუცნაურა ეს ხმა. გაეღიმა და ხმადანლა უთხრა ქოსას:

„ნუთუ ამ ახმახი დიაცის ხორბიდან გამოდის ეგ ხმაი, მახო?“

„არ ვიცი, შენმა მზემ, ვის რა ხმა გაუღდის საიდან“. ეს მიუგო და მზერა გააყოლა ქოსამ კარისკენ მიმავალ ვარდიას თეძოებს, რომელნიც ძლივს გაე-ტიენ კარში.

„ჩემი ბულბულების ნახვა თუ გნებავს, ბულბულებსაც გიჩვენებ და გვრი-ტის მართვისაც, ჯონდი“.

ერისთავი ვერ მიხვდა საჭურისის ქარაგმულ თქმას.

„რაო, ახლა გვრიტებსაც ხელი მიჰყავი, მახო?“

„ერთი მშვენიერი მართვე დავაჭერივინე გვრიტისა ჩვენს პატრონს, მაგრამ გამითვალეს იგი მეშურნეთა და ავადაა ბედშავი“.

ვერც ეს ნათქვამი გაიგო ჯონდომ. მახარაიმ ხელი წაავლო მკლავში, ტალ-ანი გაატარა, დედისიმედის საწოლის დარბაზამდე რა შიალწიეს, კარი შეაღო თავათ და მხარში უბიძგა ერისთავს.

1) შემცენების უპირატესი პირობა ეგ დაქვემბა.

დედისიმედს სასათაულთან უსხდნენ ლელაი და ნაზო.

მამაკაცების ფეხისხმაზე შეკრთნენ და ზეწამოიჭრნენ ისინი. ამ დარბაზში დიხაკ ვამინაურებული იყო მახარაი, საჭურისი მრავალნაკვეთი უკომელო უკითხავად შედიოდა მაგნავრის, ბლახერნის და ხალკის სასახლეებში. მაგრამ ჯერ არავის ენახა ერისკაცთაგანი სხვა, ერისთავის ასულის საწოლის დარბაზში.

თავით ჯონდიც უარესად დაფეთდა, როცა აბრეშუმის საბნიდან დედისიმედის მინაზებულ სახეს წაატანა თვალი, ყვრიმალეები გაუწითლდა თავკერის ერისთავს ანაზდად, ნაზოსა და ლელაისაც მიესალმა და როცა ხორეშანი შენიშნა, უარესად დაიბნა და გაიტყვინა. იჯდა მაღალსურგიან საკარცხელულზე ახოვანი დიაცი, რომელსაც მაღალი, მამაკაცური შუბლი უჩრდილავდა ყვავილისაგან დაქენკილ, დაღეულ სახეს. ზემო ტუჩსა და ნიკაპის ქვემოლ ხავსივით მოდებული ჰქონდა მეჩხერი, მტუტისფერი წვერი.

კარვად იცოდა ხორეშანის ავგულობის ამბავი ჯონდიმ, ამიტომ ფეხაყრფით წამოვიდა, დიაცსავით შეაქანა თეძოები, დიაცური ნაბიჯით, აცხადა ადგამდა ფეხებს.

ღიმი ველარ შეიკავეს დედისიმედმა და ლელაიმ, ხოლო ცუგრუმელა ნაზოი ატკარცალდა, რა დანახეს კლდეკარის ციხისთავი დიაცური სახიობის შემსრულებელი.

ჯონდიმ წარბებიც ზეაწკიბა, სწორედ ისევე, როგორც ვარდიას სჩვევოდა გუნდით შეღებილი, დადრეკილი წარბების მომშვილდვა და ისეთივე ხმით, როგორც ვარდიას ამოდიოდა ხოლმე მაღალი და მსუტანი ყელიდან, დაიწრომინა თავკერის ერისთავმა:

„რას გვიბრძანებ, ჩენო პატრონო?“

დილა მშვიდობისო, სთქვა მახარაიმ. ხორეშანი შეტყუნდა. მას უზომოდ გამახვილებული ჰქონდა სმენა, კარვად შეიცნო ორი მამაკაცის ნაბიჯების ტყაპუნი კარის ალაგიდან მომავალი, მაგრამ ვარდიას ხმის ვავონებაზე დაეკვდა, ალბათ შეეცდო, გაიფიქრა და განაგრძო ქსოვა.

„როგორ მოგიკითხო, ჩემო მზისუნახავო?“

კვლავ იკითხა დიაცურმა ხმამ.

ახლა სამივე ქალწული ატკარცალდა ერთბაშად. დედისიმედი იცინოდა, ცრემლი მოწკანწკარებდა მის ლაწვებზე, რომელთაც კვლავ მიბრუნებოდა საყვარელი ფერი ატმის ყვავილისა, ირანელი ოსტატების მიერ ფაიფურზე გამოყვანილი.

ხორეშანი უზომოდ თავკერძი იყო და პატივმოყვარე, მას სძავდა როცა უმისოდ იცინოდა ვინმე, რალაცას ოინბაზობსო საჭურისი ახალგაზრდებთან, არც მას უყვარდა მახარაი, რადგან მამაი ბასილიმ იგიც დაარწმუნა, ეშმაკთან წილნაყარაიო ქოსა.

ჩხირები განზე გადასდო ხორეშანმა, თავის ყვარჯენს ხელი წაავლო და კარებისაკენ წაფათურდა გაგუნებული. ლელაი უკან გაჰყვა მას


დედისიმედმა სიცილისაგან მოგვრილი ცრემლები მოიწმინდა და ეუბნება გულდინჯად სტუმარს:

როგორ ბრძანდებიო, ერისთავო ბატონო?

ჯონდიმ ერთი მიხელდა იმავე კარს, საიდანაც ხორეშანი გაეშურა, უკვე საუთარი ხმით მიღვო:

2. „წაითი“, № 9.

Handwritten notes: 2830, 1915, 1915



„ჩინებულად, ერისთავის ასულო“.

ლელაი შემობრუნდა, იგი და ნაზო ახლოს მიუსხდნენ ერისთავს, მელარ იკავებდნენ სიცილს, თუმცა უკვე აღარ ოინბაზობდა იგი.

ჯონდომ ნაზოს თვალი ჩაუკრა, მერმე ქვედა ყბა მოიქცა და ჩსუნაშეხამხამა, როგორც ეს სჩვეოდა ფანტისძეს, მეჯინიბეთუხუცესს ლიპარიტის სასახლისას.

„პირწავარდნილი ფანტისძეა!“

წამოიძახეს ქალებმა.

აგრე დაუსახელებლად სათითოოდ ბაძვედა ლიპარიტის უბნის სასახლის ხელშინაურთა, მესაწოლე ბერს, ზარგარელს, რომელიც კუროსავით აბრიალებდა თვალბს, თანაც კეფას იფხანდა ხოლმე, მეჯამეთუხუცესს, წაბლაისძეს, (იგი ხელებს იშველიებდა ლაპარაკის დროს, სახეს მანქავდა და წელში იგრიბებოდა) ხანაც დაამთქარებდა და მყისვე პირჯვარს გადაიწერდა ჯონდი, სწორედ ისევე, როგორც ციცივთუხუცესი ნაფეტვარისძე, რომელიც მუდამ ამას შიშობდა: ეშმაკი არ შემოიძვრესო ხახაში, რადგან იგიც მანგლელსავით შეპყრობილი იყო სატანის შიშისაგან, წყალში ჯერის ამოუვლებლად არ მოიკლავდა არასდროს წყურვილს.

გაოცებულნი იყვნენ ნაზო და ლელაი: ამ ორ დღეში როგორ შეისწავლა ამ პირების ქცევა ჯონდი ერისთავმა ეგზომ ზედმიწევნით.

„სსუ, კირიონ მანგლელი მობრძანდება!“

წარმოსთქვა მახარაიმ, ნაზო და ლელაი ზეწამოიჭრნენ მართლაც, აგრე ეგონათ: მღვდელმთავარი მობრძანდებაო. ხორეშანის თავშალს ხელი წაივლო ქოსამ, ხალიფას შავ დროშასავით შეაფრიალა ჰაერში, და ჯონდის მიუვდო.

ჯონდი კართან მივიდა, შავი თავშალი თავზე დაიხურა, კაწოლი გაუკეთა და მართლაც დაამგვანა ბერულ კუნკულს, კისერი წაივრძილა, ისეთი ვამომეტყველება მიიღო ერთბაშად, თითქოს მანგლელი ჩაუძვრაო ვეამში, წამოცუნცულდა, მანდილოსნებს სალაბი მიაგო, მახარაის ზიზნარევი მზერა ესროლა, ნიკაპის ქვეშოდ მოიფხანა წვერი, ვაისუსა, ვაისუსა, ძაბუნი ხმით დაახველა და წარმოსთქვა:

„და აპა მოვიდეს ანგელოსნი ღვთისანი დგომად წინაშე უფლისა და ეშმაკიც მოვიდა მათთანა და პრქვა უფალმა ეშმაკსა: საღით მოხვალო?“

და მიუგო ეშმაკმან უფალსა და პრქვა: (ახლა ცერებზე დადგა ჯონდი, თმები აიბუწა, ორმაგ რქებს დაამსგავსა საკუთარი თმები, კბილები დაპკრიკა. უტნაურად დაიმაწკა, მართლაც დაემგვანა ეშმაკსა და სთქვა):

„მომივლიეს ქვეყანა და განმივლიეს ცასა ქუეშე და მოველ“.

დღეისიმიედი, ლელაი და ნაზო სიცილისაგან იგუდებოდნენ, თავათ მახარაიმაც ცრემლი მოიწმინდა თვალთაგან, ისევე წამოდგა და მომნუსხველ ფაკირსავით ჩასძახა ერისთავს:

„ახლა ურბნელი ეპისკოპოსი დაახველებს და კვერქეს წაიკითხავს“.

ჯონდი მამალ ინდოურსავით გაიფუწა, ლოყები გაბუშტა, ლაბაბი ჩამოუშვა და ბებერ ლომსავით აბუბუნდა, ისე ძლიერად დაახველა, რომ ხატის წინ მობიბინე სანთლები ჩაპკრნენ, ბოლოს დაღადაყო:

„ანგელოსი მშვიდობისა სარწმუნო წინამძღვარი მცველი სულთა და ხორცთა უფლისა მიმართ ვითხოვოთ“.

კვლავ ბუნებრივი სახე მიიღო ერისთავმა და მახარაიმ უთხრა:

„იცი, ჯონდი, შენ ეშმაკს უკეთ აჯავრებ, ვიდრე მანგლელს“
ქალების კისკისი დააშოშმანა მახარაიმ, მარჯვენა ხელი ზეისწილად აჩვენებდა:
„ახლა ყოვლად სამღვდლო გოლგოთელი მიირთმევს პარისას“. ესა სთქვა ქოსამ, ვერცხლის ტაბაკიდან ოქროს სინი და ვერცხლის კოვზი აიღო და წინ დაუდვა ერისთავს.

ჯონდომ თვალები გამოკუსა, ლობი წინ გამოაგდო, მერმე დაიხარა, ჯერ ვითომც კოვზით სთქვლემავდა პარისას წვესს, მეორე ხელით ვითომდაც პურს გლევდა, იტენიდა პირში, უარესად-ებერებოდა ლოყები, ახლა მეორე ხელით იღებდა ვითომ ცხერის ჩლიქებს, ძვლებსა და კოჭებს აწყობდა განზე, ბოლოს მოაკვებოდა წვესში ამოხუზული თითების თურქულად ტლევას. გულის ამრევად გამოსახავდა ჯონდი ამ უსაშველო ლოყვას. მახარაიმ ვერცხლის უზარმაზარი ჯიხვის ყანწი ჩამოიღო თახჩიდან, ჯონდის მთართვა და ქალწულებს ამცნო:

„წინწყაროელი ეპისკოპოსი მიირთმევს ლეინოს“.

ჯონდი ზის ვითომც ფაშფაშა, ქინჩგასუტებული წინწყაროელი, ნებიერად ისვენებს საკარცლულზე, ვითომაც კრიალოსანს ათამაშებს ხელში. ერთბაშად მზერას ესერის მოახლოებულ ჯიხვს, პირჯვარს დაიწერს, ყანწს აიღებს, უკან გადაიგდებს თავს და ერთის დაკვრით გამოცლის სასმისს. და როცა მახარაი ხელიდან გამოაცილის ჯიხვს, ხარბ მზერას გააყოლებს ყანწს.

ქალები იცინოდნენ, ევედრებოდნენ: ახლა პროველს გამოაჯავრეო, ან მან-დატურთუხუცესს, თირქაშს.

თირქაში კოჭლი იყო, ჯონდომ ხელი წაავლო ფანჯრის რაფაზე დაყორებულ კურთხევანს, ილიაში ამოიჩრა, მიდიოდა, მიკელანობდა, ცალ თვალს ქალებს უბრაილებდა, სწორედ ისე როგორც თირქაშს სჩვევოდა ეს, როცა იგი საერისთავოში მიღებულ მიწერ-მოწერას წარუდგენდა ხოლმე ლიპარიტ ერისთავს.

„ეკვლად ერთი და უკანასკნელი, წამოიძახა მახარაიმ, კოზმან ბერი ითაყვანოს მეფემ“.

ჯონდი კარებთან მივიდა, გამობრუნდა, ზეალიმართა, ბექტში მოიდრიკა და როცა მახარაის საკარცლულთან მიადგა, მუცელმოდრეკით თაყვანისცა საკარცლულზე მჯდარს, ჯერ თვალები დააპარპალა, იატაკს დაამტერდა და მერმე ფერხითი დაუვარდა ქოსას და შეპლალადა „პოლიბრონიონ“.

მახარაი წამოდგა. დაფათურობდა, ფანჯრის რაფებთან ჩამოქონდა პაწია გალიები, თითოეულში წყვილწყვილი ბულბულები შენიშნა ჯონდომ, თვალი ჩაუკრა ერისთავს და ეუბნება:

„ეგ სულ საქორწილო ბულბულებია, ჯონდი“.

ჯონდი ვერ მიხვდა საქურისის იჯავს და ზეპრულად ეკითხება:

„ნუთუ დასაქორწინებლად შეიპყარი ეგ ბულბულები, მახო?“

„ამას გამგები გაიგებს, ჩემო ჯონდი, მხოლოდ, მე მინდოდა ბედნიერება და სიხარული მომეტანა ამ ოჯახში“. ესა სთქვა, დედისიმედს ესროლა მზერა.

ჯონდი ბულბულებს დააცქერდა, ხოლო მახარაიმ დასძინა:

„ვიდრე მეც ბედნიერი ვიყავი ამ ქვეყნად, არც კი მესმოდა თუ რა მცირე რამ სჭირია ბედნიერების შესაცნობად კაცს, მხოლოდ ეგაა საშურო, ადამიან-

მა დროზე შეამჩნიოს იგი, რადგან უბედურება ეკალსა ჰგავს, ჯონდი გვერდს ჩაუვლი თუ არა, იგი თავით წამოგედება, ხოლო ბედნიერება ბულბულს, შესაძლოა ჩვენ გვერდით ჩავუაროთ, იგი გაიტყვინოს და ბოლქვს შეეშინებოდეს შორს გაფრინდეს, ჯონდი“.

დედისიმედმა შენიშნა, მას გამოხედა ამის მოქმედმა იმ წამს. შეეშინდა, არ განემარტა ეს იგავი ქოსას და ამიტომაც მიმართა ჯონდის:

„გვანცა როგორ მოვიკითხო, ერისთავო ბატონო?“

მადლი მიაგო თავვერის ერისთავმა.

კითხვა მოუნაცვლა დედისიმედმა:

სად ბრძანდება გვანცა?

გვეუთვიაო.

„როცა მე ნაქარმაგვეში გახლდით, მამი გამხდარიყო ავად, გვანცა თავვერის წასულიყო, მანდ დაჰყო ერთი თვე, მაგრამ დიოფალს ელენეს უხშია სასწრაფოდ“.

დიოფალს უხშიაო?

უსიამოდ გაიშხუილეს ამ სიტყვებმა დედისიმედის სმენაში.

მახარაი წამოდგა, შუბლზე აკოცა მწოლარეს და უთხრა:

„ხვალ შენ უნდა აღგე, ჩემო შროშანო, ორ სამ დღეს შინ იქნები, მერმე შე და ჯონდი წავიყვანთ სასირე ბადეების დასადგმელად ნაძენარში“.

დედისიმედის ხსოვნაში აღდგნენ ის დღეები, როცა გვეუთის ტევრებში ისხდნენ საღამომობით: დედისიმედი, დავითი, მახარაი, ჯონდი და გვანცა. მახარაის სონარის დაკვრას უსმენდნენ და უცდიდნენ თუ როდის ჩაცვივდებოდნენ სასირე ბადეების კუნჭულებში ქედნები და მწყერები.

როცა მახარაი და ჯონდი დარბაზიდან გავიდნენ, დედისიმედმა ზეფექალნი დავითხოვა, მარტოობას მიეცა, გულმოდგინედ ფიქრობდა მახარაის მიერ ნათქვამი იგავის გამო.

კარგად იცოდა ერისთავის ასულმა თუ რად იყო გატყვინული მეფე, ცხადია, მის წინაშე საფრთხე იდგა ამგვარი. ერთიც ვნახოთ ეთხოვა მამის განთავისუფლება საცოლეს, ამიტომაც გამირბისო ალბათ.

დღეს დილით მამი ბასილიმ ამბავი მოუტანა დედისიმედს, სინანულის ეპისტოლე წარმოგზავნაო კლდეკარიდან ლიპარიტ ერისთავმა; არ კი ვაუშხილა ავადმყოფს, თუ როგორი პასუხი მიიღეს მანგლელმა და მამი ბასილიმ ამ წიგნის გამო.

ამიტომაც თავით დაასკენა გახარებულმა ქალმა, რა კი ქრისტეს სჯულს მიეჭა მამი, მეფე აპატიებსო ცთომილებას განაპატიებულ ერისთავს.

თუ აქამდის ნიადაგ კმუნავდა ქალწული კლდეკარის ციხეში ჯავებით დაბმული მამის გამო, ახლა უეცარმა სიხარულმა აღიტაცა იგი. ადგომა მოუნდა, ტანზე ჩაცმა და სიცოცხლე მოსწყურდა ისე, როგორც არასდროს, ახლა თავით უყვირდა, როგორ დანებდა ვგზომ უდერტყინველად აქიშებს, რად არ ადგა, რათა თვალმოკვრით მაინც ენახა მეფე?

ვადასწყვიტა, ხვალ უთუოდ აედგები და ნაძენარშიაც წავეყვებიო მახარაის და ჯონდის.

ერთი რამ იყო ძრწოლისმოშვერელი მახარაის ბნელსიტყვაობაში: სახელდობრ, გატყვინული ბედნიერების იგავი. დავითი მართლაც გატყვინული იყო ერთ ქერს ქვეშ, დედისიმედის გვერდით, ვაჟ თუ მოულოდნელად წასულიყო

ზგი გეგუთს. გეგუთს, დიახ, გეგუთს წასვლა შეიცავდა უდიდესს საფრთხეს, სმდენი მთა და ციხე გადმოლაბა მან, ლიპარიტის უბანს ეწვია და დღემდის არაფერს მიიპატივთ ავადმყოფი საყვარლის სანახავად.

ზომ არ ნიშნავდა ეს ერთგვარ გაფრთხილებას მახარაის მშობლიურ ქალაქში იყო, ასეთ დროს სიბარულისაგან ფრთებშესხმული დაუხვდებოდა მას გეგუთში გვანცა, თავისი მამის სიყრმის მეგობრის ქალი და იგივე შეფუერი სისხლისა.

ცაზე გუთანი გადასული იყო, როცა დედისიმედმა ილოცა, ყელსაკიდ ხატს ემთხვია და მიენდო სიტამესა და ძილს, რომელნიც თავისთავით ბედნიერების მომგვრელნი არიან ზშირად.

იმედი გაუცრუვდა ძილშიაც.

ეზმანა: ვითომ სათაფლიას იყვნენ წასული საშნი: დავითი, დედისიმედი და გვანცა.

ზომლის ფლატეთა ძირს მარტო დასტოვეს დედისიმედი ორთა. დიდხანს სტიროდა წყაროს პირად ქალწული. მერმე ადგა, მიჰყვა დამრეცილ ბილიკებს. მიდის, უფანცქალებს ვაგლაბად გული. ზევით ლამეა და ქვევითკენ უფსკრული უძახის.

მიდის, მიფათურობს სულ ზევით, სულ მაღლა. თეთრი ფუტკრები ირვეიან შაერში, ლაწვისთავეებზე კბენენ. უნდა გაიქცეს, მუხლი ეჭრება, რადგან ზევით ლამეა და ქვევითკენ უძახის უფსკრული.

ცრემლები მოწანწყარებენ დასივებულ ლოყებზე. ბოლოს დააპირებს კლდიდან გადმოხტომას ანაზღად.

ძირს დაიხედავს და აჰა წყაროს პირად დამსხდარან, ურთიერთს ეხვევიან გულის მიჯნურნი და სავსებით მკაფიოდ ესმის დედისიმედს ვაჟის ხმა:

„გოლეულივით ტკბილი ყოფილა შენი ტუჩები, გვანცა!“

დააკვირდა რაინდს, არ უჩანდა მუხარადის ქვეშ სახე, რადგან ლითამიანი მუხარადი ეხურა მას თავზე.

მეორე დილით ლელაის გამოჰკითხა დედისიმედმა: როგორი მუხარადი ახურავსო მეფეს?

გაოცდა ლელაი.

რად იკითხავო ამას?

თქვიო, ჩააცივდა დედისიმედი.

„ძერასფერი, ლითამიანი“.

მიუგო ლელაიმ და თვალი შეასწრო, თუ როგორ გადაურბინა ჩრდილმა სახეზე ერისთავის ასულს.

(ვაგრძელება იქნება)

მე თვითონ ვნახე

შესძლებ, არ აპყვე ხალხის ნაამბობს,
 არ დაუჯერო გაზეთის ნახევს, —
 მაგრამ ის ვნახე მე ჩემი თვალით,
 თქვენ გესმით? იგი მე თვითონ ვნახე.
 აქეთ გზა იყო, იქით მალლობი,
 მათ შუა შავი სიღრმე ორმოთა,
 და იმ ორმოდან უსაზღვრო ბოლომის
 შავი მორვეი მთებს გადმორბოდა...
 არა! ეგ სიტყვით ვერ გამოითქმის,
 მოკლულთ შეჭფერის მხოლოდ გოდება...
 ხახრილებში შვიდი ათასის გვამი
 მადნეულოვით იწვა ზოდებად!
 ჯანა მებრძოლნი იყვნენ ისინი,
 სან ფირალები, თავზარი მტრისა?!
 არა! უყურეთ:

გდია პირლიად
 თმამობრი ბიჭი თერთმეტი წლისა.
 აქვე არიან მისიანები,
 აქ ცხოვრობს კომლი ორას ორმოცი,
 დამშვიდებულნი და საზარელნი
 დასახლებულან ერთად ორმოში.
 ზოგი წვეს, ზოგნი მოხრილად სხედან
 და სჩანს: ყოველი, როცა კვდებოდა,
 ზამთარმაც იმავ სახით გაჰყინა,
 ცოცხალი სიკვდილს როგორც ხედებოდა...
 და ჰბორგავს მკედართა ჩუმი ყრილობა,
 კვლავ შეჰყურებენ მტერს დამუქრებით
 ღია თვალები და კბილთა ღრქენა,
 გაშლილი მკერდი, შიშველი მხრები.
 ძახილით ჯალათს ეურჩებიან:
 — არა, არასდროს არ დაემარცხდებით!

აი ნაპრალთან წვეს ვიღაც კოჭლი,
 ცისკენ ამართულ შავ ყავარჯენით.
 აი ყორანი მკერდს დააფრინდა
 და მკერდიც თითქოს შეიძრა ქშენით.

აგერ დიაცი. მას უფრო მცირე
 ამოსაკორტნი აქვს შიგნეული.
 ბრმად ცალი თვალი გაჰქვავებია,



ცალი კი ცისკენ აქვს შიქტეული.
ყელი, უთქმელი სიტყვებით საესე,
ყრუ ამოხვნეშა მისი მკერდისა, —
ხელს თუ შეახებ, ამეტყველდება,
უარმოფელი თვითონ ღმერთისა.
სჩანს, ამ ყორანთან ყრალ სამყაროშიც
ჰფეთქს ერთი შუქი თვალშემზარავი:
„რაკი ამ ქვეყნად არის ფაშისტი,
მაშასადამე, ღმერთი არ არის...“

აგერ ეს ბიჭი, ბიჭი კი არა,
ქალამანია ოხრად შთენილი...
— გვძარცვით, დაგვგვრიტით, არაფერია, —
თითქოს ღალადებს კბილღალრჭენილი; —
— თვით ამოგვყარეთ ხომ ჯურღმულიდან
და აქაც რისხვას გულში ვერ იტევთ.
გვართმევთ ყველაფერს, მაგრამ კბილები?
ჩემს გაავებულ კბილებს ერიდეთ!..

წევს დატანჯული ურიის ქალიც,
ჩახუტებია შვილს პაწაწინას.
შვილს, საგანგებო ზრუნვით შეფუთვინის,
ღედის საყვარელ მკლავებზე სძინავს.
ო, დასახერებლად გასულო დედაც,
დედათა გულის ზმაც უდიდესო, —
შენ ერთის წამით სამარის წინაც
შიშობდი, ბავშვი არ გაცივდესო.
შენ თვით სიკვდილმა ველარ გაგთიშა,
უკვე აქ მტერიც მტრობას ვერ ჰბედავს,
მიშველებიხარ შვილს შენის პეშვით,
ყურიდან სისხლი ყანგად რომ სწვეთავს...
საზარელია ამის აღწერაც,
მაგრამ გვაეალებს თვითონ დროება, —
ხუმრობით უკვე თავს ვერ დააღწევს
ჯალათთა სულის საზიზღროება.

დე, გერმანელთა სიყალბე სჩანდეს,
„გულჩვილთ“ ოცნებას სახელი ერქვას.
დე, სისხლიანი პეშვი. თან ახლდეს
მათ ცისფერ ვალსებს, ნებიერთ ციკვას...
მკვლელთ შევესწარით სასაკლაოზე,
გამოვიყვანოთ მზის ქვეშ ძალათი,
ჩვენ აკი ჯავშანმტვრეველთა ტყვიით
დაუნდობელად გვხერებდა ჯალათი.
მაშ, როგორც დანტიმ, იქუხე, გულო,
დე, იგუგუნოს თვითონ ბუნებამ!..

ვინც

ყველაფერი ეს

თვალთ ნახა,

თუ კვლავ გონზეა, არ შეგულება...
 მაინც დუმილით ვუმზერ სამარეს
 და სიტყვას ველარ ნახულობს ენა.
 დრო იყო, ტურფა ქალებზე ვწერდი,
 გამომიხატავს ბუღბუღის სტვენა.
 დრო იყო, ვწერდი... და მეც მეგონა
 ყოველი თემა ჩემთვის ნათელი.
 მაგრამ დღეს აბა სიტყვა მოსძებნე
 ამ სინამდვილის გამოშატველი!
 დღეს აქ მღელვარე გულის ძაფები
 დაჭიმულია, როგორც მშვილდები...
 არა! ეგ სიტყვით ვერ გამოითქმის,
 ვერ იმეტყველებ, ვერ დამშვიდდები!
 აქ საჭიროა ყველა ერების
 და ყველა დროის ენათა ცოდნა,
 აღამიანთა ძველმა გოდებამ
 ერთხმად ეგების გამოსთქვას ოდნავ.
 გულისხმიერი ზმა თვითყელი
 რომ ამოითქვან იმათ გუნდებმა, —
 უთუოდ მათზე უფრო ხშირად
 რუსეთის სევედა აგუგუნდება.
 არა! ამისთვის ენა ჩლუნგია,
 და მე გარწმუნებთ დაღუბულ გმირებს:
 თვით სისხლიანი ცის დასავლეთი
 თქვენს სიკვდილს ველარ გამოითრებს.
 არა! ჩვენ უკეთ ამეტყველებით
 ჩვენი უხეში ტყვიის ენითა, —
 შურისძიებით იქუბებს ცეცხლი
 სამტროდ ამართულ ზარბაზნებიდან.
 არ გესმით? გრგვინვით აღსდგენ ღრუბლები
 და ბრძოლის ველი შავად დაჰფარეს.
 ვერ გაეჭივება ვერც ერთი მკვლეელი
 ჩვენს შურისგებას და თქვენს სამარეს...
 მაშ დამშვიდებით დახუკეთ თვალი,
 გულს ჩაეკარით მშობლიურ მიწას.
 თქვენს მწუხარებას და თქვენს ჭრილობებს
 სამარადისოდ ჩვენს გულში ჰღვიძავს.
 შვილი ათასი კაცის სამარე...
 ამ ორმოს განა სამარე ჰქვია?...
 არა! ეგ სიტყვით არ გამოითქმის, —
 დე, ამეტყველდეს ცეცხლი და ტყვია

1942 წელი. კერზი.

მოთარგმნელი კარლო კალაძე



პირისპირ*

ნაწილი მეხამე

მონანიება

„გასწიეს, რამეთუ ითქვა: არა
იმართო“. (გამოსვ. 20, 14) მათხავან
წმიდა სახარება, თავი 5, მუხ. 27.

კორნელის უცნაური სურვილი დაებადა: ამ უთენია, მტკვარში ტანი დაე-
ბანა, თითქო წყალი ტანის ქუჩყთან ერთად ზნეობრივ წვირესაც ჩამორცხდა.
მტკვრის მარჯვენა ნაპირს გაჰყვა და ვერის ბაღში შევიდა. ხეივანი რომ გაი-
არა, მდინარის ნაპირას, რიყებზე დაჯდა. აქ, მთის ძირში, ჩქერები კლდეებზე
იღვწებიან. მერვე კი მდინარე მდორედ მიდის და კარგი საცურაეია. კორნე-
ლიმ ტანსაცმელი ვაიხადა და მდინარეში გადაეშვა. ხელეები ნიჩბებივით მოი-
ქნია და მორვეი ვაეკაცური მხარულით გააპო. ამ დროს მთის თავზე მზეც
გადმოდგა, გრილმა ნიამა დაუბერა და ოჭროს სხივებით განათებული ალვის
ხეთა კენწეროები ააშრილა. მერცხლებმა მდინარეზე ყივილით გაინავარდეს.
ფრთები ტალღებს შეახეს, თითქო მცურავს ეჯიბრებიანო და, ბოლოს, მტრე-
დისფრად შეღებილ და ხალხით საესე ბორანს თავზე გადაუჭროლეს. კორნე-
ლი მდინარიდან ამოვიდა. მერცხლებს ღიმილით გაჰხედა და ტანში ჩიტის
სიმატე იგრძნო. ვანიერ მკერდზე წყალი ცვარცვარად დასჯდომოდა და ტუ-
ჩები ჩაპლურჯებოდა. მტკვარი ცივი იყო.

ქაბუკმა ჩაიცვა და ისევ ხეივანს გაჰყვა. ბალიდან რომ გამოვიდა, მტკვრის
მარცხენა ნაპირზე, სანაპირო ქუჩას გაჰხედა. მისი ბინის ფანჯარა ისევ ღია
იყო. უმაღლე მოაგონდა ყოველივე: მარგარიტასთან ვატარებული ღამე უკმუ-
რიან სიზმრად ეჩვენა. შინ დაბრუნება არ მოისურვა. „მარგარიტას, ქეთოს და
ვანოს გარიტრაეზე წაეძინათ. ისინი, ილბად, შუადღემდე იძინებენ. ჩემს
ოთახს ვანო დაკეტავს და ქალებსაც ის გააცილებს, მე კი ბინიდან წასვლის
მიზეზს მოვიგონებო“. — ვადასწყვიტა კორნელიმ. ფრიალო კლდეზე ჯიხვსა-
ებრ აირბინა. მთაზე სასაფლაო ვაიარა და ყორღანოვის ქუჩის ბოლოს გაშე-
ნებულ სამსართულიან სახლის წინ გაჩერდა. ადგა და მესამე სართულის ღია
ფანჯარაში კენჭების სროლა დაიწყო. მალე ფანჯარაში ქაბუკის თავი გამო-
ჩნდა. ქაბუკმა ნამძინარევი თვალები დააჭყიტა და გაუკვირდა: ამ ალიონზე
კორნელი ჩემთან რამ მოიყვანაო.

კორნელი, მესამე სართულზე, სანდრო ხოტივარის პატარა ოთახში შევიდა.
სანდროც მდგამური იყო — აწ ვარდაცვლილი ექიმის — მერაბ მაჩაბლის ქერი-

*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 7—8.

ვისა. სანდროს ოთახი, წინად, ექიმის კაბინეტი ყოფილა, განკალაძეებელი და საერთო ბინაში წინა კარების გვერდით გაშენებული. ოთახში ძველებურა საგარძლები, ფარდავით დაფენილი ტახტი და ქალაღისე ქვეყნის ლომბერის მაგიდა იდგა — ქართველი არისტოკრატის დამსტვრელობის მსახურების მათეყებელი. ჩრჩილისაგან შექმული, მწვანე მუღით დაფენილი ეს ლომბერის მაგიდა, რომელზედაც, ზამთრის გრძელ ღამეებში, მერაბ მაჩაბლის სტუმრები ფრავს და პრეფერანსს თამაშობდნენ და მოგებულ თანხასა და რემიზებას ტარკით სწერდნენ, — ეხლა სანდროს გაუშლია და საწერ მაგიდად გაუჭდია. ექიმის ქვრივმა, ბარბალემ, ჩია, კოხტა და შავგვრემანმა ქალმა, ინგლისური და ფრანგული ჩინებულად იცოდა და თავის ქალ-ვაეს — ოთარსა და მანანასაც, შეასწავლა. მანანა ნინო მაცაშვილის ხნის იქნებოდა და მასაც თავის მდგმურთან რომანი გაეჩაღებინა. ვარდო მაცაშვილის და ბარბალე მაჩაბლის მსგავს ოჯახში მოკალათებულ ჰაბუც მდგმურთა ცხოვრება და ბედი, ხშირად, ერთმანეთს ემთხვევა და, ბოლოს, დარბაისელ დიასახლისთა ქალები, მწიფე ნაყოფივით, სწორედ მდგმურთა კალთაში სცვივიან. მაგრამ, არის გამოთქონისი, როდესაც რომელიმე მდგმურს ათასი სხვა მსუხავი ან გარეწარი შეეცილება და თორამეულ ვაშლივით მწიფე და ლოყაწითელა გოგონას თვითონვე კალთას მიუშვებს და ხელიდან გამოკლას შეეცდება. გაცილებით უმჯობესია, ხილთა მწიფობის დროს, ბაღში შენ მარტო იყო და აჩემებულ ხეზე შერჩეულ ნაყოფს შენ მარტო ედგე. მაშინ ის ნაყოფი, უთუოდ, შენს კალთაში აღმოჩნდება. ეს კარგად იცოდა სანდრომ და ამიტომ ბარბალე მაჩაბლის ბინაში არავის არ ეპატიებოდა. ხოლო დაუპატიებელს თუ ვინმეს ნახავდა, ისე ენამწარედ მოექცეოდა, დასცილებდა და აუხირდებოდა, რომ ბარბალეს ბინაში დარჩენისა და მანანას ხელში ჩაგდებას თავი არ ჰქონოდა. კორნელის ნინო მაცაშვილი უყვარდა. ესეც კარგად იცოდა სანდრომ და, ამიტომ კორნელის თავის მეტოქედ არა სთვლიდა.

სანდრო, საცვლების ამარა, საწოლზე დაჯდა, კორნელი კი, პირისპირ — ფარდავდაფენილ ტახტზე.

— ასე აღრე რამ აფაყენა? — შეეკითხა სანდრო.

კორნელიმ ყოველივე უამბო. სანდროს შეშურდა:

— რა გიშავთ, შვილო! უჩემოდ ქეიფობთ და ქალებში დროს ატარებთ.

— ნეტავი მეც არ ვქეიფობდე მათთან. ამ ქეიფებში მრავალი უსიამოვნება მომაცენა. რა ვქნა? ეტყობა, მარგარიტა ბედისგან ჩემს თავზე დატეხილი წყევია. მარგარიტას, ალბად, ადვილად თავს ვერ დავახწყევ. — მიუფო კორნელიმ და ტახტზე ნახევრად წამოწვა.

სანდრომ კვერი დაჰჭრა. შური, ნინოსადმი პატივისცემა და კიდევ სხვა მოსაზრებაც აიძულებდა სანდროს კორნელის განცხადებისათვის კვერი დაეკრა და მან მეგობარი ასე გააფრთხილა:

— კორნელი, ერთდღე იმ ქალებს. ქეთო და მარგარიტა მეძაღვი, ბნელი და სპეკულიანტი ქალებია.

— როგორ თუ სპეკულიანტი?

— არ იცი? ქეთო და მარგარიტა ნებართვებს იღებენ ვაგონებზე სამხედრო სამინისტროდან და, მერმე, თითო ნებართვას ოც ათას მანეთად ჰყიდიან.

— ჰერი-ჰა! — გაუკვირდა კორნელის. — ნებართვა სამინისტროდან მთ როგორ აძლევენ?

— ქეთო ქალაღდს ამზადებს. ბეჭედს საქმის მმართველს არტყვენიებს, მყიდველს კი მარგარიტა შოულობს და მერმე, ფულს იყოფენ.

— საქმის მმართველიც სპეკულიანტია?

— საქმის მმართველი კი არა, მგონია — ზოგიერთი მინისტრი.

— სახელმწიფოც ასეთი უნდა: შიმშილი, ხალხის სიღატაკე და არე-დარევა. — შენიშნა კორნელიმ. წამოდგა, ფანჯარას მიადგა, მტკვრის გაღმა თავის ბინას გაჰხედა და სანდროს უთხრა: — მარგარიტას, ქეთოს და ვანოს ეხლა ჩემს ოთახში სძინავთ. დილით მარგარიტა შემზარდა და ნინოსადმი დიდი დანაშაული ეიგრძენი. ყველას ეძინა. ავდექი, ჩუმაღ გამოვიბარე და შენკენ გამოვსწიე.

სანდროს გაუკვირდა:

— ის წყალწადებული ვანო მაქავარიანი რა შენი მეგობარია!

— ვაიგი, კაცო, ნინოს დის ქმარია. ვანა ვმეგობრობ! — მიუგო კორნელიმ.

— სწორედ მარგარიტას და ქეთოს შესაფერია. კორნელი, ერთე იმ ქალებს! — ისეე გაუმეორა სანდრომ მეგობარს და მოულოდნელად დასძინა: — სხვა არა იყოს რა, გარყენილებია და ცუდი რამ სენი არ შეგყარონ...

კორნელი მაშინვე ფანჯარას მოშორდა, ტახტზე წელმოწყვეტილი დაჯდა, შეშინებული თვალები სანდროს მიაპყრო და სასოწარკვეთილის ხმით მიუგო:

— მაშინვე თავს მოვიკლავ.

— რა იცი, იქნებ შეგყარეს კიდევ. — დააშინა სანდრომ, ისედაც გულ-შემოყრილი კორნელი.

— როგორ?

— ხშირად ეგ სენი მრავალი წლის შემდეგ იჩენს თავს.

— როგორ?

— მაგალითისათვის ჩემს გულის ტყვილსაც ვაგიმხელ. საწყალობელი მამა ჩემი შარშან შემოდგომაზე მყავდა, სწორედ, გერმანელთა საავადმყოფოს უფროს ექიმთან — მაიერთან. მე დღემდე არავისთვის არ მითქვამს ეს ამბავი და გთხოვ, საიდუმლოდ შეინახო.

— დარწმუნებული იყავი. — მიუგო სმენადქცულმა და შეშინებულმა კორნელიმ.

— მაიერმა მამა ჩემის სისხლის გასინჯვა მოითხოვა.

— მერმე?

— ვავასინჯინე და.. ანალიზმა ოთხი ჯგარი უჩვენა. — ძლივსლა სთქვა სანდრომ. ცხვირის ნესტოები ვაებერწნენ და გაუფიქრდნენ. სუნთქვა უჭირდა. ეტყობოდა ძალიან ჰელეადა. კორნელიმ თანაგრძნობით შენიშნა:

— რა უბედურებაა!

— საუბედუროდ ასე იყო. — სასოწარკვეთით ჩაილაპარაკა სანდრომ. მითითლებარე ხელი წაბლისფერ, კრიალა, ხუტუქსა და აბრეშუმით ნაზ თმაზე ვადისვა. მერმე დაივარცხნა. თავი ჩაჰკიდა და თეთრს, ლამაზსა და შიშველ ფეხებს დააქერდა. კოჭის ძვალთან, ლურჯი ძარღვი ვაბერილ მუხლუხოსაებრ დასქინთოდა. — ღმერთო დიდებულო, იქნებ ჩემი სისხლიც იმავე სენით არის მოწამლული!

— აბა, საიდან მოიტანე?

— ის სენი ჩემს ვაჩენამდე ჰქონია მამას.

— საიდან იცი?

— თავზარდაცემულმა მამამ მაიერს უთხრა: ოცდა ხუთი წელია, როცა თეკლათის მონასტრის მოძღვარი ვახლავარ, ექიმო, და მას აქეთ ქალი არ ვიცი რა არისო. მანამდე ხომ იცოდითო, ჰკითხა მაიერმა. მანამდე კი ვინ იყო მამამ. ნეტავ არ მენახა მამის მე მამის სახე. ნეტავ არ მცოდნობდა ეს ყოველივე. მასუკან მოსვენება არა მაქვს. — ამოიოხრა სანდრომ.

— საცოდავი მოხუცი. წარმომიდგენია, როგორი თავზარი დაეცემოდა. მერმე რა კაცია: მონასტრის მოძღვარი! ვინ იცის, რა მოაგონდა უბედურს. — შენიშნა კორნელიმ და თავადვე წუხანდელი ღამე მოაგონდა და მასაც თავზარი დაეცა.

— წინად მამა ჩემი ღამაში ვაეკაცი, მოქეიფე, ჩინებული მომღერალი და ქალთა მადეგარი ყოფილა. — უთხრა სანდრომ, — გიტარას რომ აიღებდა, სიმებს ააქლერებდა და შემოსძახებდა: „ო, მარგალიტავ, ჩემო ღამაზო“, — ქალები თურმე ერთთავად გიედებოდნენ და, ვინ იცის, როდის ვინ რა შეჰყარა!

სანდრო ადგა და კორნელის ჰაბუკი მამის სურათი უჩვენა. კორნელი ძალიან დაინტერესდა მოძღვრის ცხოვრებამ. სანდრო მამას ჰგავდა: ისეთივე ღამაზი, სანდომიანი სახე და დაწყობილი ნაკეთები ჰქონდა. ოდნავ მოღუნული ცხვირი, მსუქანი ტუჩები, შექიანი, დიდრონი და თავღისფერი თვალები, წინ წამოზიდული ფართო შუბლი და მრგვალი ნიკაბი.

— როდის დაუწყო მამამ ავადმყოფობას ჩივილი? — შეეკითხა სანდროს კორნელი.

— სამი წელი იწვნება. — მიუგო სანდრომ, — მანამდე კარგად იყო. მერმე ერთბაშად ცუდად გახდა. დაბერდა და ქალარა შეიქნა. კბილები ჩასცივიდა. წელს ფეხები წაერთვა, ენაც დაება და მარჯვენა მხარეზე დამბლის ნიშნები დაეტყო. ქუთაისის და ბათუმის ექიმებმა ვერ უშველეს. რა უნდა მექნა! ავდექი და მეც თბილისში ჩამოვიყვანე და მაიერს ვუჩვენე. მაიერმა ყოველივე დაწერილებით გამოჰკითხა, მთელ მის ცხოვრებას გაეცნო და მერმე გასინჯა. თვალეში პიპნოტიზორიით ჩაჰხედა. დააჯინა, ფეხი ფეხზე გადააღებინა. მუხლზე ჩაქუჩი შემოჰკრა, მერმე ისევ ააყენა. გააბრუნა. რა ვიცი, რა არ გააკეთა! ხელში მრგვალი და დაკუთხული რაღაც ნივთები დააკავებინა, ზედ ხელი მოაქერინა და თანაც ეკითხებოდა: ეხლა რა ნივთი გიჭერიათ და რა ფორმისა არისო. ერთის სიტყვით დიდხანს აწვალა.

— ჰო, ვიცი. — შენიშნა კორნელიმ, — ნერვოპათოლოგის, ჩვეულებრივი ოინბაზობაა.

— მამა რომ გავიდა, მაიერმა მითხრა: ეჭვები მაქვს და სისხლი უნდა გავუტსინჯოთო. გაუსინჯეს და ოთხი ჯვარი აღმოჩნდა. განა ეს ოინბაზობაა! — განაცხადა მაიერით მოჯადოებულმა სანდრომ.

— სისხლის ანალიზი კი არ არის ოინბაზობა, არამედ მაიერის მიერ ავადმყოფის გასინჯვის წესი. ექიმმა მიკროსკოპს და რენდგენის სხივებს უნდა მიჰმართოს თავისი დიაგნოზის დასაზუსტებლად და დასამტკიცებლად, ეს ცხადია, მაგრამ ის შენი მაიერი თუ ნამდვილი მკურნალია, ხელი მოჰკიდოს ავადმყოფს და ოცდახუთი წლის წინად შეყრილ სენისგან განკურნოს. — შენიშნა კორნელიმ და გვიან მიხვდა, თუ რა უღმობელი იყო იგი, ავადმყოფი მამის შვილის წინაშე ასეთ შენიშვნას რომ აკეთებდა. სიტყვა უმალ შეარბილა: —

ამბობენ ამერიკაში უკვე არჩენენო იმ სენისაგან ადამიანს, ვინ იცის, იქნებ მაიერმაც მოარჩინოს მამა შენი!

— კი მაგრამ, სად არის პრეპარატი, უცხოური პრეპარატებიც უფროა სანდრომ და საწოლზე უიშედოდ დაჯდა, თითქო უცხოურ დასტრუქსუტსასა-ლაც პრეპარატებში და წამლებში ყოფილიყოს საწყალობელი მისი მოხუცი მამის ხსნა.

კორნელიმ ველარ მოითმინა და ისევ გადაამლაშა:

— თავი გაანებე უცხოურ პრეპარატებს. განა ჩვენ მათ არ ვიცნობთ! ვერავითარი ექიმი, ვერავითარი პრეპარატი ვერ განკურნავს ადამიანს, თუ თავად ადამიანის ორგანიზმში, საბოლოო ჯამში, არ დასჯაზნა და აჯობა სენს, შენც ამის იმედი უფრო გჭონდეს, ვიდრე პრეპარატებისა.

— შენგან მიკვირს, მომავალი მკურნალი რომ მაგას ამბობ. — შენიშნა სანდრომ.

— შენ ექიმებზე ძალიან დიდი შეხედულება გქონია.

— მამ, შენის აზრით, ექიმები საესებით უმწეონი ყოფილან!

— უმწეონი, განსაკუთრებით კი ნერვო-პათოლოგიის, ფსიქიატრიის, თერაპიის დარგში მომუშავენი, — მიუგო კორნელიმ, — ან კი რა გამოდის მათ მკურნალობიდან? მე კიდევ მშამს ქიმიკა, ქირურგია, ისიც ნაწილობრივ. სკლეროზიანს და დამბლადაცემულს ვერაინ ვერ განკურნავს. შესაძლოა, აქიმობით, ცოტახანს კიდევ გაათრევიო წუთისოფელი. მორჩა და გათავდა. სიბერის შეჩერების და სიცოცხლის გახანგრძლივების წამალი ჩვენ ხელთ არ არის, თუ მეჩნიკოვის ეფემერულ მოძღვრებას მხედველობაში არ მივიღებ. კიბოსა და ქლექს ჩვენ ვერ ვმკურნალობთ, რადგან ამ სენთა გამომწვევი მიკრობების საწინააღმდეგო საშუალება აღმოჩენილი არ არის. ყვავილბატონებს, ხუნავს და სხვა სახადებს კი ეფექტიურად მკურნალობენ ექიმები, რადგან ამ სენთა გამომწვევი მიკრობების საწინააღმდეგო საშუალება უკვე აღმოჩენილია და ავადმყოფს იმ შრატს აუჯრიან ან შეუშაპუნებენ ხოლმე. ესეც ქიმიას უნდა ვუმაძღოთ და, მის უდიდეს წარმომადგენელს — ლუი პასტერს. რიფიანს და ანთეზიანს გამოცდილი ფერშალიც კარგად მოუვლის, თუ სათანადო წამლები დროზე მისცა და ავადმყოფს გულმა არ უღალატა. ფერშალი კუჭაშლილს და კუჭში შეკრულს, კუჭს გაუწმენდს, საფადარათოს დააღვეინებს ან ოყნას გაუყეტებს. აი, შინაგან სნეულებათა ექიმის მკურნალობა. გვამებზე მუშაობა და სიბინძურის ჩბრეკა მათთვის დამითმია.

— როგორ, სამკურნალო ფაკულტეტს ატოვებ?

— ვატოვებ.

— ცუდს ჩადიხარ.

— ასკერის მოკვლის შემდეგ გუნება შემეცვალა. — მიუგო კორნელიმ. მაგი-
ლიდან სარკე აიღო. შიგ ჩაიხედა, სახეზე ხელი მოისვა და განაცხადა:

— ბიასავით გავყვიოღებულვარ.

— ჯერ ერთი — „ბიასავით“ კი არა, „ბიასებრ“ ითქმის და მეორეც — „კომ-
შივით“ უფრო მართებულია და თანაც სწორი. — შენიშნა, ეხლა უკვე უკეთეს
გუნებაზე დამდგარმა სანდრომ.

სანდროს ქართული გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული. კორნელის სიტყვა
ჩამოართვა: იერიზმების წინააღმდეგ ებრძოლნათ, სწორი ქართულით ელა-

პარაკნათ და ერთმანეთისათვის შეცდომა გაესწორებინათ. სანდროს ხზრით, სანიშნოდ მათ ქართლის დიალექტი უნდა მიეჩნიათ, ის დიალექტი, რომელიც ქართულ სალიტერატურო ენას საფუძვლად დაედო.

— ენის გასატეხად და ენის შესასწავლად, არაფერი არ სჯობდა დასწავლის, სახარებისა და კლასიკური პერიოდის ლიტერატურის კითხვას.— დაიწყო სანდრომ. მაგიდიდან სახარება აიღო და განაგრძო:

— მე ყოველ დღით ვკითხულობ ხოლმე სახარებას. ეს სახარება მამამ მარტვა. — სანდრომ გარკვეულწილად წაიკითხა: — სახარება ესე ეკუთვნის თეკლათის მონასტრის მოძღვარს, მღვდელს — იოანე ხოტივარს. შექმნილია 1868 წელსა.

— რამდენი წელი გასულა მას უკან? — ჰკითხა კორნელიმ. სანდრომ გამოიანგარიშა და მიუგო:

— ეხლა 1919 წელია. 51 წელი, ნახევარი საუკუნე გასულა.

— აჲ! — დაიძახა გაკვირვებულმა კორნელიმ. ტახტზე წამოწვა და სანდროს შეეხებოდა:

— წაშეკითხე რომელიმე თავი.

სანდრომ მამის მსგავსი საამო ბარიტონით დაამტკიცა:

— მათესაგან წმინდისა სახარებისა სა-კითხა-ვიი...

კორნელიმ თავქვემ ხელები შემოიწყო, და პერს ღიმილით მიამტკიცა. სანდრომ ამ ბოლო დროს შერჩეული ადგილი მოსძებნა და სახარების კითხვა მხოლოდ თავიდან დაიწყო. კორნელი თანდათან გაიტაცა სახარების კითხვამ. ღიმილით შეხრილი ბაგეები ეხლა კაშხლით მოჰკემა. სანდრო ლაღად კითხულობდა:

— „და მოვიდა იესო ყოველსა გალილეასა, და განკურნებდა ყოველსა სენსა და ყოველსა უძღურებასა ერსა შორის... და მოგვირდეს მას ყოველთა ბოროტად სნეულთა, თითო-სახეთაგან სენთა, და გვემითა შეპყრობილთა, და ეშმაკეულთა, და ცისად-ცისად გვემულთა და განრღვეულთა, და განკურნა ივინი“.

კორნელიმ შენიშნა:

— მკურნალიც იგი ყოფილა. მანდ მრავალ სენთა სახეობა არის ჩამოთვლილი, ბოლო მამა შენის სენზედ კი არაფერი არ არის ნათქვამი.

— მამა ჩემის სენი, ბოროტად სნეულთა შორის უნდა იყოს ნაგულისხმევი. — მიუგო სანდრომ.

— თუმცა, იესოს მკურნალობა ხომ სასწაულია! — ისევ შენიშნა კორნელიმ და თვალები დახუჭა.

— ეინ იცის, — დარწმუნებით მიუგო სანდრომ. სახარება გადაფურცლა და ისევ დაიწყო:

— „გასმიეს, რამეთუ ითქვა: არა იმრუსო“.

კორნელიმ უმაღლეს გაახილა თვალები, სანდროს გაოცებით შეხედა. „საცოდავი მამა იოანე. შეიღისათვის სახარება უჩუქნია: არა იმრუსო, აფრთხილებს. თავად კი სიძვა-სიმრუსის მსხვერპლი გამხდარაო“, — გაიფიქრა კორნელიმ და მერმე ისევ თვალმა მოეკიდა. სანდრო მთავარდიაკვანით განაგრძობდა:

— „უკეთეს თვალი შენი მარჯვენა გაცდუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან; რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რათა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე არა ყოველი გვაში მთავარდეს გენიასა...“

ღამენათქე, დალილ და სასოწარკვეთილ კორნელის აბეზარ მწერნივით ჩასძახოდა ყურში შემაზრხენი სიტყვები: „წარწყმდეს, გვამი გვენიასა“... ძილმორეულმა თვალი ნახევრად ძლივს გაახილა და მერმე ერთბაშად დაეძინა ყმაწვილთა უმანკო და მშვიდის ძილით და, ვერვინ იტყოდა, რომ მისი მთავარი და ღამაზი ქაბუჯი წუხანდელ სიმრუშისათვის უნდა წარწყმედილიყო და გვამი მისი გვენიასა შინა შთავარდნილიყო.

კერა დღე იყო. კორნელიმ შუადღემდე იძინა და მერმე როიალის ხმამ და ვალობამ გამოადვიდა. ბარბაღე მაჩაბლის ქალი — მანანა სანდროს შველოდა და ქალის აკომპანიმენტზე — კონსერვატორიის მოწაფე — სანდროს მშვენიერი და საამო ბარიტონით, კორნელის საყვარელ რომანსს მღეროდა:

„ოდეს მეწყვეა სეფა დაშველი

და გულღვიძლს მიღრღნის, ვით გესლი გველის,

შენი სახე მყავს მაშინ მხსნელ-ფარად,

შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად“.

კორნელის ნინო მოაკონდა. წუხანდელი ღამის გამო ისევ სასტიკი დანაშაული იგრძნო, თოფნაკრავივით წამოიჭრა ტახტიდან და მტკერის ვაღმა, თავისი ბინის ფანჯარას გაშხედა. ფანჯარა ესლა დაეკეტილი იყო. და იგი გუნდისა და კვიპაროზის ხეებს, რაღაც კაეშნიან ღუმლით, დაეჩრდილათ.

„რა სისაძაგლე ჩაივინენ, რა სისაძაგლე!“ — გაიფიქრა კორნელიმ, სკამზე დაეარდა და გახურებული შუბლით მოაჯირზე დაწყობილ ხელებს დაემხო.

დაღმართი

„ცნობილია, რომ ბევრი ისეთი ადამიანები არიან ამა ქვეყნად, რომელთა მორთვა-გამშვენებაზე ზუნებას აღიბანს არ უფიქრია, წერილი იარაღებისათვის არ მიუმართავს, როგორც: ქლიბებისათვის, პატარა ბურღებისათვის და სხვათათვის, არამედ მთელის ძალით იწევედა ცულს და უბრალოდ ჰკვეთდა: მოიქნია ერთჯერ ცული — და გამოვიდა ცხვირი, მოიქნია მეორეჯერ — და ბაგეები გამოვიდა, დიდი ბურღით თვალები ამოხვრიტა და გაუშალაშინებლად გაუშვა ამ ქვეყანაზე და სთქვა: „იხბოვროს!“

გოგოლი: „შვედარი სულელები“.

ფული მარჯარიტამ, ქეთომ და ვანო მაქავარიანმა გაუთავეს კორნელის და სანდროს რომ არ ყოფილიყო თბილისში, შიმშილით სული ამოსძვრებოდა. მაგრამ სანდროს შინაგან საქმეთა სამინისტროში მსახურებდა, თვიური ჯამაგირი თავად ათ დღესაც კი არ ჰყოფნიდა და კორნელისათვის რა ისეთი დახმარება უნდა აღმოეჩინა! თბილისში ცხოვრებისათვის საარსებო წყაროებზე კორნელის, მანამდე, ხეირიანად არც კი უფიქრია. ხოლო დეიდა ელენე რა რომ ბორჯომში საავარაკოდ გაემგზავრა, კორნელის წინაშე შიმშილის აჩრდილი აღიშართა. დედას — ტერეზას წერილი მისწერა, მაგრამ, ამ არეულ დროს, დაბა კარისმერეთში მცხოვრებ ქვრივისა და გაჭირვებულ ქალისგან ფულსა და პასუხსაც ავეციანდებოდა. კორნელის შეეძლო ბორჯომში ჩასულიყო, მაგრამ მრავალრიცხოვან ოჯახის თავს — დათა მიქელაძეს ამოდენა კაცი მთელ

ზაფხულს რომ კისერზე დასწოლოდა, ეხატებოდა. მერმე, იმისაც აზრობდა, რომ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი მცირე იყო, ხელფასსა და საკონელზე დაწესებულ ფასებს შორის უდიდესი უთანაბრობა სუფევდა და მოსამსახურე — რა გინდ დიდი თანამდებობა არ უნდა სჭეროდა, მუშა-მოსამსახურეთს თუ მისი ცხოვრება მარტო ხელფასით განისაზღვრებოდა, — უტანელ სიღლებჭირს განიცდიდა. ამიტომ ბევრმა თბილისში, ისე როგორც სხვაგანაც, სპეკულიაციას მიჰყო ხელი, ხოლო ბევრი კი ქალაქიდან სოფელში გაიქცა და იქ ცხოვრება არჩია. კორნელის არც ერთი შექმნილი და არც მეორე, სპეკულიაცია არ შეესაბამებოდა მის ბუნებას, ხოლო სოფელში გამგზავრება და იქ ცხოვრება — არ აწყობდა, ვინაიდან ქვიშხეთში, შეპირებისამებრ, ნინოს სანახავედ ხშირად უნდა ჩასულიყო და კარისმეტრეთიდან როგორ შესძლებდა! თბილისში ცხოვრება კი ძალიან გაუჭირდა მაყაშვილთა ქალის სასიძოს. კორნელი შეშინდა და თანაც შეძრწუნდა, თავმოყვარობა შეებლალა და ნებისყოფაც მოუღუნდა. იგი სიმწარით გრძნობდა, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებიდან ირიყებოდა და იქ თავის შესაფერ ადგილს ვერ დაიკავებდა. ცხოვრების პირობებმა შუა ზნაზე უმტყუნეს. არც ნათლად ჩამოყალიბებული, დიდი პოლიტიკური მრწამსი გააჩნდა კორნელის, რომ ამ მრწამსისათვის ტანჯვა — შეებად მიეღო და, თუ საჭირო იქნებოდა, მომკვდარიყო კიდევ. მაგრამ, შიმშილის ჟამს, ავადმყოფობამდე მისული წყურვილი დაეუფლა ცოდნის შეძენისა. იგი დღედაღამ წიგნებს ჰკითხოვდა და, მართლაც, გაფთვრებით „ჰყლაპავდა“ მათ. გონიერულმა მუშაობამ ვნებები დაუცხრო. ნაპირგასული ადამიანის მშვიდი ჰერეტიკა დასჩემდა. მაგრამ შიმშილი თავისას აკეთებდა და როდესაც იმრივად გაუჭირდა, რომ ცივ წყალისა და ხმელი პურის ამარა დარჩა, — ადგა და სანდროს გაუშხილა: მეტის ატანა აღარ შემიძლია და სადმე სამსახურში უნდა მოვეწყო. სანდროც დაეხმარა და კორნელი გადასახადთა ინსპექციაში უბრალო რეგისტრატორის თანამდებობაზე მოეწყო. აი, სწორედ ამასა ჰქვინა: გაჭირვება მანახვე და გაქცევას დაგანახებო.

ინსპექციაში კორნელი ცხოვრებაზე და ადამიანებზე აღრენილი მივიდა. იგი ინსპექციის ერთერთ განყოფილებაში დასვეს. თანამშრომლებმა ახლად მოსული თავითფხამდე შეათვალიერეს. განყოფილების გამგე — ვილაც გაბრიელ გაბრიჩიძე, რომლის შესახებაც კორნელმა, მისვლისთანავე, იოხუნჯა: გაბრაზებული გაბრიელი თვალებს აბრიალებდაო, — სამსახურით გამოთაყვანებული, წელში წახრილი, მალალი და უშნოდ ახორცილი, სათვალისანი მოხუცი იყო. იგი, საქმიან ქალღღებით და ერთმანეთზე შეწყობილ წიგნებით სავსე ერთ დიდ მაგიდასთან იჯდა. მეორესთან — წვერ-ულვაშ გაპარსული, სახედანაოკებული, ახმაზი და გამხდარი, შუახნის კაცი — გარუსებული ესტონელი, კარლოს ემიხი. ვინ იცის, სიდან რამ მოიყვანა თბილისში! იგი გაბრიჩიძის მოადგილე იყო. კარტოფილის ოდენა ცხვირი მამალ-ინდოურსავით გალურჯებოდა და, როგორც ილია ქავექავაძე იტყოდა ხოლმე: „ლენოს და არაყს ძალიან დაახლოვებით იცნობდა“. ამ მხრივ, საქართველოში ცხოვრება აწყობდა. იგი ცისფერ თვალებით უღიმოდა ახლად მოსულ სტუდენტს და, თანაც ფიჭობდა: ეს ლენის მსგევი და პურმარილიანი კაცი თუ აღმოჩნდა, ავშენდებო. ემიხი გულკეთილი და, ალკოჰოლის გამო, ნერვებაღუნებული კაცი ჰქანდა. მესამე მაგიდასთან — ხარაბუნასაებრ გრძელ-ულვაშიანი, ვილაც სამსონ რუხაძე იჯდა, ჯმუხი, შავტუხა, მუყაითი და ანგარიშიანი ხონელი კაცი. იგი მონდომებით მუშაობდა და კორნელის უკეთურად უბღვიროდა: ხომ არ ზარ-

მაცობსო. მეოთხესთან — გომბეზოსაებრ გაბერილი, მსუქანი, დაილი და შავგერემანი — მაშო სანაკოევი იჯდა, თბილისელი მოლაღაქის ქალი. იგი კამეჩსავეთ დიდრონ თვალებით კორნელის უღიმოდა და ეტყობოდა, შასთან არსიყობას ლამობდა, რაც ინსპექციის განყოფილებაში ახლად მისულ სტატუსს ვულის-რეგასა ჰგვრიდა. მეხუთესთან — პატარა და ჩია მოხუცი, გაქართველებული სომეხი — ისაკ ბეჟანოვი იჯდა. იგი, უგონო ბავშაებრ, უღალი თვალებით მისჩერებოდა კორნელის. გაკრევილ, ჭალარა უღვაშების ქვემოდა, ყუნწი-მიწყვეტილ გოგრის მაგვარ, მოწრუბულ ტუჩებს აცმატურებდა და გაუგებარ სიტყვებს ლულულულებდა. იგი, ყველას მიერ უბადალებული, საცოდავი კაცუნა იყო. სამსახურს საეცებით გამოეთავყვანებინა ცხოვრებით დაიჯარული და ყველას მიერ აბუნად და სასაცილოდ აგდებული ეს ძუნწი, მარტოხელი და უცოლო კაციც. მას ჯამაგირისა და არსებობის გარდა, სხვა ყოველგვარი ინტერესი დაჰკარგოდა. ამ წუთისოფლად ყველაზე დიდ ნეტარებას და „შემოქმედების წევს“ მაშინ განიცდიდა, როდესაც საქმიან ქალაქს სწერდა და ასოები ლამაზად გამოჰყავდა, გოგოლის გვირის — ბაკვი აკაკიევიჩის მსგავსად. მეექვსე მაგიდასთან კორნელი დასევს. აი, ეს ხალხი იყო ამ განყოფილების გამგის — გაბრიელ გაბრიჩიძის მრევლი.

ძველ კანცელარიებში ზანგრძლივი მუშაობის გამო გამოლენჩებულ ხალხს კორნელი ჩიზლით ათვალიერებდა და თავისი თავიც ეზიზღებოდა. მაგრამ არ იფიქრებოდა, რომ აქ სამსახური მისთვის საშუალება იყო, ზოლო მიზანი კი — სულ სხვა რამ. ეს ვარემოება მაინცდამაინც დიდ სულიერ სიმშვიდეს ვერ ჰგვრიდა მას და, როდესაც მაგიდაზე საგადასახადო ნომენკლატურებს დაალაგებდა, შემოსულ თანხებს შეამოწმებდა და ჯამის შესაღვენად, დახლიდაჩსაებრ, უზარმაზარ „ჩოთქს“ წინ დაიდებდა, — მაშინ მწარედ გაიღიმებდა და გაიფიქრებდა: „ვაი შენ, თავო ჩემო, ცხოვრებამ სანამდე მიგიყვანა!“ განყოფილების გამგე — გაბრიელ გაბრიჩიძე კი კეზიან ცხვირზე შედგმულსა და დანჯღრეულ სათვალთან სიამოვნებით გადმოჰხედებდა, თუთუნის ბოლით შეყვირილებულ და ვარუჯულ ჭალარა უღვაშებში ჩაიციენებდა, ახლად გაწყობილ თუთუნს ჯიგრიანად გააბოლებდა და თანაც გაიფიქრებდა: „ეტყობა, ეგ სტუდენტი ჩემი განყოფილების დამამშვეწენებელი ვახდებოა“. რასაც სხვა თანამშრომლები მთელი დღე უნდებოდნენ, იმ სამუშაოს კორნელი ერთ საათში მოათავებდა ზოლზე და მერე, მაგიდის ყუთს გამოსწევდა და შიგ ვაშლილ კუნო ფიშერის — „ფილოსოფიის ისტორიის“ წიგნის კითხვასა და კონსპექტის შედგენას მოჰყვებოდა. მაგრამ გაბრიჩიძე აუტყდებოდა, საქმეს გაუჩენდა: რუსულიდან ქართულად ქალაქს ათარგმნიებდა, ან სხვა რამეს დააველებდა. ერთხელ კორნელიმ რუსულიდან ქართულად ვადათარგმნილი და ლამაზად გადაწერილი ქალაქი გამგეს შიართვა. გამგემ დაჰხვდა. გულისყურით წაიკითხა. სათვალე მოიხადა. ბუასილით დააველებული კაცის, გატანჯული და მარდი თვალებით კორნელის ამოჰხედა და ბრიყვულის ცბიერებით გაუღიმა. ნერწყვით მოსველებული, უზარმაზარი და ჩამოგდებული ქვედა ჩიჩვირი ნიჩბივით მოიმარჯვა, დახრული და ჩაყვითლებული კბილები გამოაჩინა, ოჩოკოჩივით აიფიფდა და მერმე კორნელის ქება დაიწყო:

— ყოჩაღ, რა ჩინებული ხელი გქონიათ! ყოჩაღ ბიჭო! ქართულსა, სწორედ ასეთი სწორი წერვა უხდება. წაქვეთული წერვა კი რუსულსა. ქართულსა, ნამეტნავად, აი ასეთი — პირდაპირი, შევული ხაზითა წერვა სჩევია. ყოჩაღ, ძალიან მომწონს!

თანამშრომლები მაგიდებიდან წამოიჭრენ. გამგეს მისცემდნენ, კორნელის მიერ დაწერილ ქალაქში იცქირებოდნენ და იძახდნენ:

— რა ჩინებულად დაუწერია!

— მაშ, მაშა! — უდასტურებდა მათ გამგე.

— ვაიმე, რა ვქნა. როგორ კოხტად დაუხატამს! — იძახდა მაშო სანაკოვეცი და კამეჩსავეით დიდრონი თვალებით კორნელის ანტერდებოდა, დნებოდა. მხოლოდ საწყალი კაცუნა — ისაკა ბეჟანოვი არ იძროდა ადგილიდან. დაკერუბულ, ძველსა და გაქონილ პიჯაკს ისწორებდა და, ახლად მოჩიტულ ბელურის კუდსაებრ, მოკლედ შეკრეტილ ჭაღარა წვერს წამდაუწუმ აწვალებდა, იწიწკნიდა და სასომისხილი ფიქრობდა: „ეს ვინ ოხერი მეტოქე და მატრაკეცა გამოიჩინდა“.

— მოდი, შე ჩერჩეტო და უბედურო! მოდი, ნახევი: როგორა უნდა წერავდე! — გადასძახა ბეჟანოვს გაბრიჩიძემ.

ამან ისაკა ბეჟანოვი წელში სულ მთლად მოშალა, მოსპო და იგი სკამზე ველარ დაეცია, ცმუტავდა და ისევ გაუგებარ სიტყვებს ლულულუნებდა და გაბუტულ ბალსაებრ ბუზღუნებდა.

კორნელის შეეცოდა. წითელწვერა და მწითურ გამგეს გადამწიფებულ და დამპალ ნესვივით წაგრძელებულ, პატარა და მელოტ თავზე დაჰხედა და გაიფიქრა:

„რას ერჩი, შენ მართლა ჩერჩეტო, იმ საცოდავ ისაკას? ნუთუ მართლა გგონია, აქ დაგიკედები და შენი იდიოტური ქალაქების წერით თუ წერვით ჭკვას გავილაყებ, შე რეგვენო!“

მეორე დღეს კორნელიმ მუშაობას უკლო. წინ ალბუმი დაიდო და შიგ, მალულად, ხატვა დაიწყო. ვაოცებული გამგე ფიქრობდა: „რა მოუვიდა, აგრე თვალმოუშორებლივ რომ მომშტერებიაო!“ მაგრამ რახან კორნელის ხელი და ნაწერი ეგზომ მოსწონდა, შენიშვნაც აღარ აკადრა. რა იცოდა საბრალო გამგემ, რომ ახლად მოსული მისი თანამშრომელი მასა და მის მრევლს ათახსირებდა. ალბუმი კორნელიმ გამგისა და მის მოხელეთა კარიკატურით აღადგო.

ყველაზე ნიჭიერად მაინც გაბრიელ გაბრიჩიძის სურათი დახატა: მისი სათვალისანი და კეხიანი ცხვირი, ნიჩაბივით მოჭეული ქვედა ტუჩი — ჩიჩვირი და მარდი თვალეზი. ქვეშ მოაწერა: „გაბრაზებული გაბრიელი თვალეზს აბრიალებდა“. მერმე საბრალო ისაკა ბეჟანოვი დახატა. მაგრამ ეს კარიკატურა კი არა, საცოდავი ადამიანის მიმართ კაეშნის მომგვრელი სურათი იყო. სქელ წიგნებიდან გამომეშო ამომძერალიყო და თვალდაკუსული მაგიდაზე დამჯდარიყო, მაშო სანაკოვეცის სახით. მხიარული და ცხვირგალურჯებული კარლოს ემიზი არყის ბოთლს აპირქვაგებდა და თვალეზს ნეტარებით ნაბავდა. ბოლოს — ხარაბუზა რუხაძე იბღვირებოდა.

გადასაბადთა ინსპექციის მოსამსახურეებს ძალიან მოსწონდათ კორნელის კარიკატურები. ალბუმი ხელიდან ხელში გადადიოდა და ბოლოს ინსპექციის საფრთხობელა და მკაცრ დირექტორამდეც კი მიადწია. ახმამა და დიდყურა დირექტორმა — პალადი კერესელიძემ კორნელი თავის კაბინეტში დაიბარა, მრისხანედ შეხედა და უკმებად ლუთხრა:

— ეს თქვენ ათახსირებთ, ვაებატონო, ჩემი დაწესებულების თანამშრომლებს? ახირებული ხალხი ხართ სტუდენტები, დიახ! ქვეყნის დანგრევას, რევოლუციის მოხდენას და სოციალიზმის დამყარებას ლამობთ, ხოლო მუშა-

ობა კი არა ცსურთ, დაწესებულებაში მუშაობას გაურბით და სისულელეებს ხატავთ. აბა, რასა ჰგავს ეს! — იყვირა დირექტორმა. ალბუმში ჩაიხედა. გაბრიელ გაბრიჩიძის სურათს თითი დაადო, დააცქერდა და, უცნაოდ საცხელი წასცადა.

— რა გვჭრი ხართ? — ჰკითხა მან კორნელის.

კორნელმა მიუგო და, როდესაც დირექტორმა გაიგო, რომ კორნელი დოქტორის — ევგენი მხეიძის ძმა ყოფილიყო, უმაღვე გადასხვადფერდა.

— მაშ თქვენ ევგენის ძმა ხართ! ძალიან სასიამოვნოა. იცით: მე თქვენმა ძმამ ვამიკეთა შარშან ბრმა ნაწლავის ოპერაცია. სიკვდილს გადამარჩინა, დიახ. ჩინებული დოსტაქარია. მაგრამ თქვენც ჩინებული მხატვარი ყოფილხართ, — გაუღიმა დირექტორმა. — მე ძალიან მიყვარს მხატვრობა. წინაღ მეც ვხატავდი. ის კი არა და, სამხატვრო აკადემიაში ვფიჭობდით შესვლას. დიახ. თქვენ უტყუარი ნიჭი გქონიათ. ერთი ეს მითხარით — გაბრიელ გაბრიჩიძე ხომ არ ვაფიწროებთ? ის რეგენი კაცია. ცოტა ხანს იმუშავებთ მასთან და მერმე მას მოგაშორებთ და დაგაწინაურებთ. დიახ. — უთხრა კორნელის დირექტორმა და, თითქო ეხლა მოაგონდაო, ისევ ალბუმში ჩაიხედა და ღიმილით დასძინა: — თუმცა, ინსპექციაში თქვენ რა გინდათ? თქვენ ჩინებული ნიჭი გქონიათ. თქვენ ნამდვილი მხატვარი ყოფილხართ. დიახ. — დირექტორმა კორნელის შეხედა. მერმე ისევ ალბუმს დააცქერდა და ეხლა თავშეუკავებლად გაღიხარხარა: — არა, — რა ჩინებულად დაგინახიათ! ის იდიოტი გაბრიელ გაბრიჩიძე ხომ ზეგამოჭრილია. ან ის ღეთის გლახა, ჩერჩეტი და უბედური ისაკა ბეჟანოვი... არა, ერთი გაბრიჩიძეს უტკივრეთ.

დირექტორმა სიცილი შესწყვიტა. უცბად კორნელის შეხედა და დარცხვენით უთხრა, თითქო ეხვეწებო: —

— იცოდეთ, მეც ასე არ გამათახსიროთ, თორემ...

დირექტორმა გაბრიჩიძე დაიბარა და უთხრა: კორნელი მხეიძეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციე. მუშაობით ნუ დატვირთავ და ღმობიერად მოექციო.

რაღა უჭირდა კორნელის! ინსპექციის განყოფილების გამგემ — ხელი დაწერა მოუწონა, ზოლო თავად დირექტორმა კი — მხატვრობა და ინსპექციაში დაწინაურებაც შეჰპირდა. მაგრამ ამ დაწესებულებაში კარიერის გაკეთება კორნელის არ დასცალდა.

გაბრიელ გაბრიჩიძე თვალებს აბრიალებდა და ბრანშორეული გაიძახოდა: „ისეთი თანამშრომელი რა ჰქირად მინდა, რომელიც თავის გამგეს დასცინოს!“

ცოტა ხნის შემდეგ გაბრიჩიძე დაწყნარდა. კორნელი ინსპექციიდან წავიდა და ეირსავით დიდყურა და ახმახ დირექტორს პალადი კერესელიძეს მისი და მის მოხელეთა გამათახსირებელი ალბუმის დაფტოვა.

ინსპექციიდან წასვლამდე, კორნელის სხვა ამბავიც შეემთხვა, რასაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს და, შესაძლოა, მკითხველისათვისაც ინტერესს მოკლებული აღმოჩნდეს, მაგრამ, ჩემის აზრით, და თავად კორნელის აზრითაც, იმ ამბავს მის ცხოვრებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ამიტომ, შემდეგ თავში, სწორედ მას უნდა შევხებო.

ქიმიკოსი



„მიხედეთ ფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთქვენ, არც მკვდრ არცა შვიკრებენ საუნჯეთა, და მამა თქვენი ზეცათუ, ქრელი მყოფი“
სახარება მათესი, თ. 6, 27.

ინსპექციაში სამსახურით დღლილმა, ცხოვრებაზე და ადამიანებზე აღრენილმა და მშვიერმა კორნელიმ გირვანქა ნახევარი შავი და ქატო-ნარევი პური აიღო, ქაღალდში გაახვია და რუსთველის პროსპექტზე, რესტორანში — „ჭიმერიონში“ ჩაივია. „ჭიმერიონი“ დრამატული თეატრის ქვეშ, სარდაფში იყო მოწყობილი. სარდაფში ჩასასვლელი კიბე, დერეფანი და დარბაზი მხატვრების—გუდიაშვილის, სულდვიანის და ზდანევიჩის მიერ იყო უცნაურად მოხატული, კიბეზე ჩასვლისას კედლები, უთუოდ, თქვენ ყურადღებას მიიპყრობდა: ერთზე პოეტი პლატონ მოგველაძე ეხატა, რომელი პატრიცისა და მოწყვნილი დენდის სახით. მეორე კედელზე — ორთაქალის ბაღში მოჭიფვე კინტრები. ისინი დაფა-ზურნაზე ქეიფობდნენ და შოლზე გაშლილ სუფრას — მწვანის, კიტრსა და მწვადებს შეეკეოდნენ. ერთს მტკვარში ქანარი დაუჭერია, თავში ზელი წაუღლია, ლაჯებში გაუჭრია და მდინარეზე გადმომდგარ და აღმოსავლური ვნებითა და ხურღმით მიბნედილ, შავთვალეზიან ქალებს უჩვენებდა და აწვალებდა. დარბაზში შესასვლელ კარების თავზე ზუნდარის მოცეკვავე „აზიის კახა“ ეხატა. დარბაზი კი კუბისტური, ფუტურისტული, გაუგებარი სურათებით იყო მორთული. ზოგან, ქალი — ობობა, ქალი — ვამპირი, ქალი — როსკიბი, გადამთვრალ მენადებზე ადევნებული სატირები, ძღუფაშიშვლებულ ქალთა და კაცთა ქეიფი და სქესობრივი შაბაში ეხატა. „ჭიმერიონის“ კედლები, სვეტები და ფანჯრები მემარცხენე ლიტერატურულ კორპორაციის მეთაურთა — პლატონის და რაფაელის გემოვნების მიხედვით იყო გაფორმებული.

კორნელის მობეზრებული ჰქონდა ჭკუანაღობ მხატვრების ეს დეკადენტური და გაუგებარი სურათები და, რადგან ეხლა ძალიან მშვიერიც იყო, ყურადღება არ მიუქცევია. აქ ყველაფერი ნაცნობი იყო მისთვის: კედლები, სვეტები, ფანჯრები, რომლებზედაც ლაშებდარნილ და რქიან ეშმაკთა ჩრდილები, რიალებდნენ, პერანგაქმული კანკელი, გაყვითლებული და გაცრცილი დიდი პალმა, ბუფეტი, ბუფეტის გამგე — ონისოე ოშიაძე და ოფიციატები. ყველაფერი — სამზადში გამოჭრილი პატარა ფანჯრები, საიდანაც ჭუჭყიან ტანსაცმელში და ძირგადებულ წულეებში გამოწყობილ ოფიციატებს დამზადებული სადილის კერძები და ულუფები მოჰქონდათ.

კორნელის მაყაშვილთა მზარეულის — ევტიხი სირაძის ნათესაეი, ზემომერეული ვილაც პოკია მამალაძე დაუმეგობრდა; იგი სრულიად არ შეეფერებოდა დეკადენტურად მორთულ და მოკაზმულ ამ რესტორანს. პოკია ათას კაცში იცნობდა და შეამჩნევდა კორნელის, გაუღიმებდა, სალამს მისცემდა და თვალებით ანიშნებდა: ცოტა ხანს კიდევ გაუძელ შამშილს და მერმე მეც შენთან გავჩნდებიო.

კორნელი პატარა მაგიდასთან იჯდა. სუფრაზე თითებს ნერვიულად ათამაშებდა და კუქში შიმშილის სინსილა უვლიდა. დიდხანს ელოდა პოკიას. მერმე ლოდინი ვეღარ აიტანა და მაგიდას მუშტი დასცხო; პოკიამ, ქოჩორა მამალსაებრ, თავი ასწია და სამზადის კარებიდან გადმოსძახა: „ეხლავესო“. ზშირად კორნელის ლოდინს საზღვარი არ ჰქონდა და მაშინ კორნელის და პოკიას

შეხვედრა ლანძღვა-გინებით თავდებოდა. მაგრამ წვნიანის მიერთმევს შემდეგ კორნელი უკეთეს გუნებაზე დგებოდა. ეს კარგად იცოდა პოკიამ. ამიტომ, პირველს როგორმე მიუბრუნებდა, მერმე კი ისევ დიდხმს აცდიდებდა. აი, ეხლაც წვნიანის დახერხების შექმნე, კორნელის ბრაზმე დასერივნეს მიმართ ზიზღმა გაუარა და პოკიას შეგვიანებაც არად მიიჩნია. კორნელი და პოკია აღურსიანად შეხედნენ ერთმანეთს:

— მეორეს რას მიირთმევთ? — ჰკითხა პოკიამ.

— რა გაჭვთ?

— ლობიო, მაკარონი, კათლეთი და ბიშტეკი.

„ბიშტეკზე“ კორნელის გაეცინა და უთხრა:

— ბეფშტეკის ძველი ხორციდან იქნება!

— არ გირჩევთ.

— მაშ, ისევ ლობიო მოიტანე.

— ეხლაცეს. — მიუგო პოკიამ. ცალფეხზე, ევტიხისაებრ, ოსტატურად შეტრიალდა, თითქო ლეკურ-ბუქნის ჩამოვლას აპირებდა და მერმე სამზადისაკენ გაიქცა.

— ერთი ბოთლი ლიმონადი. — მიამბა კორნელიმ და ფული გადათვალა. დღეს ჯიბეზე ცოტა ფული ჰქონდა. ეწინოდა ვაი თუ, სადილისათვის არ შეეყო. ასე შავად წავიდა კორნელის საქმე. „ხვალდან ისევ ფულის ძებნას უნდა შევედგე. დაიწყება დამცირება და წაშებით საესე დღეებიო“. — გაიფიქრა კორნელიმ. გუშინაც მარტო პური მიირთვა და ზედ ცივი წყალი დაასოლა. პოკია და სხვებიც კი ფიჭობდნენ: კორნელი კაცია ქვეყანაზე და ქუდიც მას ჰხურავსო. გარედან არც თუ ისე ეტყობოდა კორნელის გაჭირვება, სილატაე და შიმშილი. პირიქით, უფულობის დროს, მარტო პურზე გადაივლიდა, წვერს შინ გაიპარსავდა, ძველ პიჯაკს და შარვალს დაუთოვებდა, მალსტუკს გაიკეთებდა და უკან ხელბეშემოწყობილი, პროსპექტზე ისე არხეინად და უზრუნველად გაივლიდა, თითქო აზოვისა და დონის ბანკში, პირად ანგარიშზე, მილიონები ჰქონოდეს. მაგრამ, როდესაც რესტორანში მივიდაზე მუშტს ბრაზმორეული დაარტყამდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ, ცხელი საქმელის ობშივარში და სურნელში გახვეულს, მეტის ატანა და სადილის მოლოდინი აღარ შეეძლო. ხშირად სადილიდან მეორე დღის სადილამდე არაფერს არ სჭამდა, და ეს რომ პოკიას სცოდნოდა, ალბად, ამდენს არ ალოდინებდა. ვინ რა იცის, მშვიერი და აღრენილი კაცისთვის, რესტორანში სადილის მოლოდინი რა ტანჯვაა! მერმე რა გვიან უთავდება კორნელის სამსახური! მისი ვანყოფილების გამგე — რეგენი გაბრიელ გაბრიჩიძე სადამომდე დაწესებულებაში ზის, ჩხირკედლაობს და მასაც აწვალბს. „როდის გათავდება ეს დაუსრულებელი თათბირები, სნდომები და ადამიანის გამათახსირებელი კრებები? დასწყევლოს ღმერთმა!“ — იტყოდა ხოლმე კორნელი და სამსახურიდან დაღლილ-დაქანცული, მშვიერი და აღრენილი გამოვიდოდა. არაფრის ხალიხი არ ჰქონდა. იშრიტებოდნენ მისი სასიცოცხლო ძალები და, მაღალ იდეისაკენ სწრაფვის ნაცვლად, მისი ცნობიერება ჩვეულებრივ, წვრილმან და ადამიანის დამამცირებელ მოვლენებს და საგნებს დასტრიალებდა. გონება და გრძნობაც უჩლუნდებოდა. უგარგისი საქმელით დღეში ერთხელ სტომაქის ერთბაშად ავსება, გულის აჩქარებულ ძვერას იწვევდა. მაშინ სახსრებში და მუხლებში კორნელი რაღაც უსიამო სიმძიმეს გრძნობდა და ძა-

ბუნდებოდა. ღერძზე აღმატრიალს და „მერცხალს“ კი არა, უბრალოდ ამართსაც ვერ გააკეთებდა და მის სახეზე შთაგონების და აზრის ნიშანწყალიც კი ქრებოდა. მის ჭკვიან, ლამაზ და ბასრ თვალებს შუქი ეკარგებოდა, ძილი ეკიდებოდა და უაზროდ უშტერდებოდა. „ინსპექტორში რეგისტრატორად თუ ვიმსახურე, გამოჩერჩეტებული ჩემი გამგის — გაბრიელ გაბრიანიძის მსგავსად ბუასილი, სკლეროზი ან ნაადრევი სიბერე შემეყრება. რა ვუყოთ, რომ ქაბუკი ვარ! განა როხიტული, გულმანკიანი, სკლეროზიანი და უზანოდ დაბერებული ბავშვები არ არსებობენ ამა ქვეყნად?!“ — მწარედ ფიქრობდა კორნელი.

ნასადილევს ერთი საათით მიინცუნდა დაეძინა, რომ ძალა მოეკრიბნა და კაცს დამსგავსებოდა. მერმე პირს დაიბანდა, ჩაიცმევდა და რუსთველის პროსპექტისაკენ დინჯად გასწედა. მაგრამ, დაწესებულების არ იყოს, აქაც — „ლალიძის წყლები“ წინ და ყოველი ხის ძირას გაჩერებული ხალხი დაუხედებოდა; კორიკანი, ანეგდოტების მოყვარული ჩერჩეტები; გაკოტრებული ვაჭრები, სპეკულიანტები, უსაქმო თავადები, ჯარის გარეშე დარჩენილი ოფიცრები, სტუდენტები, პოეტები, მსახიობები და საექვო პირები.

ყველაზე უფრო უსაქმო, მშვიერი თავადების ოხუნჯობის და ლაყობის მოსმენა უყვარდა კორნელის.

— კოწია, — ეტყოდა მაღალს, ეშმაკისავით წარბაძვბულ და გამხდარ ჩონიან აზნაურს — კოწია ჩხეიძეს პატარა და ჩია ჭონდრის კაცი — ზემოიმერელი აზნაურივე — კოკინია კიკნაძე: — ხვალ ჭორწილში ვარ დაბატიყებული. იქ დიდი ჭამასა იქნება და შენი ჩაუგნილი კბილები მათხოვე.

— გათხოვებდი, მაგრამ, ამ ბოლოს დროს, ჩონჩორიკის ქაშა დაგიწყია და, მეშინია, არ წამიბილწო. — მშვიდად მიუგებდა კოწია ჩხეიძე ნიშნებაყრილ, ჭამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილ ნაოფიცროლ კაცუნას.

მშვიერი, გამხდარი, აყლაყუდა და კაფანდარა თავადები ერთმანეთს შეხედავდნენ და ხმაშალა გადინარბარებდნენ. მერმე დასუსტებულნი ოთხად მოიკეცებოდნენ, ზოგნი ხეს მიაწვებოდნენ და ნაპირგადასულ სიცილისაგან არაჭათგამოცილნი ძლივსა იძახდნენ:

— ოხ, რა უთხრა, რა უთხრა ეს, ამ შეჩვენებულმა! ოხრად არ აჭამა!

თავადები სიცილს რომ მორჩებოდნენ, იხტიბარგატეხილი კოკინია ისევ დაიწყებდა:

— მასბრობა იქით იყოს და, გუშინ მართლაც დიდებულ ვახშამზე ვიყავი თამადად. ვახშმის ბოლოს, უზარმაზარი ყანწი დავცალე. შიგ ორი ბოთლი მიინც ჩავიდოდა. დავცალე და ღვინის სმაში განთქმულ აქესენტი ფაღავას და პოკინია მიქელაძეს გადავულოცე. იცოცხლე, მე ისინი ვასლოკინე და ვასლოკინე-ყე!

კოწია ჩხეიძე ისევ დამცინავად გადახედავდა ცილის ოდენა კოკინია კიკნაძეს და ჭკითხავდა:

— ვახშმის ბოლოს თუ ორი ბოთლი დალიე, მანამდე ზომ ერთი ან ორი ბოთლიც გეჭნებოდა დალეული?

— ოთხზე მეტიც.

— მერე, შე ოჯახაშენებულო, ექესი ბოთლი დაგილევია და სად ჩაგეტოდა, არ ვიცი!

— დავლიე, კაცობას გეფიცები.

— ბიჭო, კაცმა რომ ოთხში ამოვიდოს და მერე შენი ტყავი გაჭეროს, იმ ტიკპორაში ორი ბოთლიც არ ჩაეტევა და ექვს ბოთლს რინაირად დაღვედი?! — ჰქირდავდა კოწია ჩხეიძე.

ახლა ამაზე აიტეხდნენ სიცილს თავადები. შუალამე უკრამ მჭაჭეჭედა, ვახშმის მოლოდინით მოთმინებიდან გამოსული კოკინია სარდაფში მოთავსებულ რესტორანს — „ქიმერიონს“ მიაღგებოდა, შიგ ჩაიხედავდა და მერმე ისევ თავადებთან მივიდოდა და ხმამაღლა ეტყოდა:

— მასხრობა იქით იყოს, ბიძია. თუ ვინმე რამეს აპირობს, ჯიბეში ფული ეტყავის და ჩვენს დაპატიებებს იკისრებს, რესტორანი აგერ არის და ბარემ შიგ ჩაგვასოსილოს, თორემ, შუალამე გადავიდა და რაღას აგვიანებს?

თავადები სდუმდნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ — კოკინიას ჩანგალზე თუ ვინმე წამოეგებო. კოკინია თავადებს შესძახებდა:

— რამ დაგადუმათ? რა ალის ქარი ჩაგვიარდათ მუცელში! ენა ხომ არ გადაგივლამათ! თქვით ვის რამდენი მოგეძევათ? ასე რამ წაგახდინათ, გაგაკოტრათ და გაგაძუნწათ! ჩაიყავით ჯიბეში ხელი, ნუ გეშინიათ, ჯიბეში მორიელი ხომ არ გიზით?

მაგრამ გალურსული თავადები არ იძროდნენ და დამის სამ საათამდე სდუმდნენ და ჩანგალზე წამოსაგებს უთვალთვალებდნენ. რიყრაყი რომ მოატანდა, პროსპექტზე პოკინია მიქელაძე გამოჩნდებოდა, ულვაშებში ჩაიცივნებდა და მერმე, თითქო თავადები ვერ შეეპყნით, თავს გვერდზე მიიჭყევდა და ჩქარი ნაბიჯით ჩაივლიდა. კოწია ჩხეიძე მიაძახებდა:

— ბიჭო, პოკინია. სად დაძვრები ამ დილამდე? სახლკარი ხომ არ დაწვია, დილამდე არასოდეს შინ რომ არ მიდიხარ?!

ვახშამზე წაწყდომას მონატრებული და სირბილის გამო არაქათვამოკლილი, მკერდჩავარდნილი, შუა ხნის კაცი — პოკინია მიქელაძე, შორი-ახლოს გაჩერდებოდა. დოინჯს შემოიდგამდა და დინჯად მიუგებდა:

— შინ მივიდე, თორემ შე ვიცი, ჩეფჩიკიანი პოვრები დამიხედება!

არც სხვა ხის ძირას გაჩერებულ პირთა შორის იყო ამაზე ჰკვიანი და საქმიანი საუბარი.

ლაყბობით ტეინგალაყბული, მშვირი და დაღლილი კორნელი შინ გვიან მივიდოდა. ასე ატარებდა იგი თბილისში დროს. ახლა მწარედ ფიჭრობდა: „ხალხს მეც კაცი ვგონივარ. ხალხმა ისიც იცის, მე რომ სტუდენტი ვარ და თანაც ვადასახადთა ინსპექციაში ვმსახურობ. საიდან დაასკენიან ჩემი ნაცნობები, რომ ჩინებული ექიმის შვილს და განთქმული დოსტაქრის ძმას, კორნელი მხეიძეს შიმშილით სული სძვრება და მას თვეური ჯამაგირი ათ დღესაც არა ჰყოფნის! მერე და, ყავარზე კუდის გადებას მაინც არ ვიყოთ ჩვეული მხეიძეები. რა იმედით ვაპირობ მავაშვილთა სიძობას? როგორ ჩავიდე ქვიშხეთში, ნინოს სანახავად, ცარიელ-ტარიელა კაცი! მე შენ გეტყვი, ჯიბეზე ხელი არ გავიკრა და ნინო ბორჯომში არ დაეპატიოთ, ან ეტლით აბასთუმნისაკენ არ გავაქანო!“

ასე ფიჭრობდა სასოწარკვეთილი ჭაბუკი, როდესაც „ქიმერიონში“ მხიარული კომპანია შემოლაგდა.

ბაქოდან ეხლახან ჩამოსული პლატონ მოგველაძე წინ მიდიოდა. უკან ამაღლა მოჰყვებოდა პოეტების.

პლატონს თეთრი პიჯაკი ეცვა და თავზე ქილის ქედი ეხურებოდა. ბანამა იგი ამაყად გაჩერდა ბუფეტთან და ხალხს მედიდურად გადახედდა, თითქო ბაჭოდან კი არა, სინგაპურიდან, ინდოეთიდან ან ეგვიპტეიდან ჩამოსული ინგლისელი ყოფილიყოს. მას ისიც სჯეროდა, რომ ეს „შაქრ-მასალა“ სასაციო-დავი „კაცუნები“ მის პერსონას — იშვიათ, უცხო გმირსა და „ქაღალდის — მოწიწებით და თავყანისცემით შესტკეპროდნენ. მაგრამ დარბაზში მყოფი ადამიანების უმრავლესობა თავის სადილით და კერძით უფრო იყო გართული და მხოლოდ ზოგიერთებმა და, მათ შორის, კორნელიმაც ასწიეს თავი და პლატონს შეხედეს. პლატონმა კორნელი იცნო, პანამას ხელი შეახო და უგულისყურო, დალღობა დენდივით ოდნავ ასწია.

კორნელი გაბრაზდა, რადგან იგი წამოდგა, პლატონს გაუღიმა და ასე დაუჯრა თავი. პლატონმა კი ოდნავ შეახო პანამას ხელი და მედიდურად განზი გაიხედა. კორნელი დარცხვენილი დაჯდა და გაწითლდა. „ერთი თვე დედა ჩემის სტუმარი ბრძანდებოდი, ვუბატონო. გასვით, გაქამეთ და გაქეიფეთ და ეხლა სალამის მოცემასაც აღარ კადრულობ? შხამად შეგეგრგოს დედა ჩემის ამაგი“. — გაიფიქრა კორნელიმ. პლატონს და მის მეგობარ პოეტებს ზიზოით შეხედა.

იმ წამსვე პლატონთან რესტორნის გამგე — მსუქანი კაცი, ონისიმე ომიამე მიძინძულდა, სალამი მისცა, ფეხქვეშ გაეგო და კაბინეტში მიიპატია. უმაღლვე ოფიციანტები აფუსფუსდნენ და მალე იმ კაბინეტში, რომელშიაც პოეტები შევიდნენ, ღვინო, მასმელები და შესანიშნავი საუნჯე შეიტანეს. კორნელი გაოცდა: „როგორ ახერხებს ეს ხალხი უდარდელ ცხოვრებას! როგორ შოულობენ ფულს? წელიწადში ერთს ან ორ უნიჭო ლექსსა ან წერილს დასწერენ და მერმე დღედაღამ ქეიფობენო“. — შემურდა კორნელის. ლობიოს ქამა გაათავა. პოკიას ანგარიში გაუსწორა და ქიქაში ჩაჩინილი ლიმონადი პირში გამოივლო. მკშინვე ოფიციანტებმა კაბინეტისაკენ ცოცხალი და შამფურზე წამოგებული მწვადები წაიღეს. კორნელი ნასადილევი იყო, მაგრამ ასეთ სადილს, მალე ვანშამი უნდა მოჰყოლოდა და, ამიტომ ცოცხალი და მწვადები რომ დაინახა, ნერწყვი მოადგა და გაიფიქრა:

„ჩვენთვის ლობიო, მაკარონის და უფარგისი, ჭირიანი ხორცის გარდა სხვა არაფერი არ მოიძებნება ამ რესტორანში. თქვენთვის კი ვველაფერია: ცოცხალი, მწვადი, ქათამი და ჩიტის რძეც. რა გაეწყობა. თქვენი ყოფილა ეს წუთისოფელი. კაცებაც თქვენ ყოფილხართ, შეილო, და ქუდიც თქვენ გხურებიათ. არსად არ მსახურობთ, არ შრომობთ და დროს კი დიდებულად ატარებთ. თქვენზე უტყვემს ქრისტეს: „მიხედეთ ფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესენ, არცა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, და მამა თქვენი ზეცათა ზრდის მათ“... — არ დაუმთავრებია კორნელის ქრისტეს მიერ თქმული იგავი და იმ წამსვე კაბინეტის კარი გაიღო. იქედან პლატონი გამოვიდა. ოფიციანტი კორნელი დაანახვა, რაღაც უთხრა და ისევ კაბინეტში შევიდა. ოფიციანტი კორნელისთან მივიდა და ქალღიმილი გადასცა. პლატონი კორნელის სწერდა: „მე და ჩემი მეგობრები ძალიან გთხოვთ სადილად გვეწვიოთო“. კორნელიმ შეუთვალა: დიდად კმადლობთ. მე უკვე ვესადილეო. პლატონმა ისევ მოსწერა: განა არ ეცი, რომ ისადილეთ, მაგრამ მაინც, უთუოდ, მობრძანდით. მინდა ქალბატონ ტერეზას, იონას, კარისმერეთის და მაყაშვილთა გამო გესაუბროთო. კორნელი კაბინეტისაკენ წავიდა, გზაში ფიქრობდა: პლატონი გულთმისანი ყოფილაო.

დედის წერილი და მოთხრობის სათავე



„მასხოს პირველად საშუალო სკოლაში წასაყვანადა რომ მომხმარებულს მაშინ ანბანი მომცეს მე ხელში და შორსა გზასა მე გამამგზავრეს... მხოლოდ ეს მასხოს — გამომყვა დედა და შიობრა: შვილო, კმარა, ნუ სტირი. ვინც სახლში დარჩა, რა გააკეთა, ვინ მოიშორა თავიდან ჭირი?! გიყვარდეს სწავლა, გულმოდგინება, შრომა და ჯაფა ნუ გეზარება. მხოლოდ ამას გთხოვ ყველაზე უფრო, არ დაივიწყო სამშობლო ენა“.

კორნელი შინ გვიან მივიდა. კარის ქვეშ შემოგდებული უწყება აიღო და ძლივს წაიკითხა. „შევარდენის“ გამგეობა ატყობინებდა: ვანათლებლის საინსტროს დადგენილების თანახმად, წურთნელთა ჯგუფმა, სექტემბრის ოციდან საქართველოს ქალაქები უნდა მოიაროს. წურთნელთა ჯგუფში კორნელიც იყო და ოც სექტემბრამდე, ყოველ დღე, საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე „შევარდენში“ უნდა ეარნა.

კორნელი მთვრალი იყო. მაშინვე გაიხადა და დაწვა. მეორე დღეს — კვირას, გვიან აღგა. პირი დაბანილი არც კი ჰქონდა, როდესაც ფოსტალიონმა წერილი მოუტანა. წერილი დედისა იყო. კორნელი საწერ მაგიდასთან დაჯდა და კითხვა დაიწყო. დედა — ტერეზა სწერდა:

„ძვირფასო კორნელი! დაგიკოცნი დედუა, საყვარელ სახეს და ღმერთსა ეთხოვ შენს ბედნიერ ცხოვრებას. ისევ ომში რომ ვაქცეულხარ, ვითომ რა ამბავია? ცუდი რამე რომ შეგემთხვეს, მე ცოდვით საესეს რა მეშველება? რატომ ამაზე არ ფიქრობ? ნამეტანი მენატრება, შვილო, შენი ნახვა. ნახვას ვინ დაეძებს, წერილის მოწერას მაინც მადირსებდე! რამდენი წერილი გამოგიგზავნე, ნუთუ არც ერთი არ მიგიღია? ზაფხული მოვიდა და ხილიც დამწიფდა. ქალაქში ნაყიდ ხილს რა გემო უნდა ჩაატანო? სულ ამას ვიძახხ: ნეტავი კორნელი ახლა აქ მყავდეს მეთქი. ბიჭო, ჯარში სამსახური, ომი და მეცადინეობა, ვანა ერთად, მოსახერხებელია! ჯარიდან, როგორმე, თავი გაინთავისუფლე. უნივერსიტეტში მეცადინეობა რა წამს დაამთავრო, მაშინვე კარისმერთისაკენ გამოსწიე. შენს ამბავს ვლენე მატყობინებს. რატომ შენ თავად არ მომწერ წერილს და არ შემატყობინებ როგორ ხარ, როგორ მიდის შენი და ნინოს საქმე? ნინო ლამაზი, კარგად აღზრდილი, ნაზი და ჩინებული ქალია. ყურადღებით მოეპყარი მას. ჰკუთნო იყავი და არ იცუღლუტობ. ასეთ საქმეში ცუღლუტობა შეუწყნარებელია. რა ცხოვრება გაქვს მანდ? ხელშეშლილი ხომ არა ხარ? თუ ააწყვე ცხოვრება ცოტა უკიდ?

ევეგენის გამგზავრება პარიზში შენ დიდათ დაგანდებოდა. მაგრამ კლენეს იმედი მაქვს. თუმცა ქმრის ნათესაეების დახმარებას ვერ მოძრია, საცოდავი. ყველა კისერზე დააწვა ახლა. მეც აქედან ვერ გავხვები. ხომ იცი, რა საშინელი დრო არის! გლეხები ჩვენს მიწა-წყალს და მოსავალს ისევე ისაკუთრებენ და რა გაეყიდო, ცოტა ფული რომ გამოგიგზავნო მე უბედურმა? საბედნიეროდ, თბილისიდან ჩამოსული ვინც ვნახე, ყველა მეუბნება — ახლა კორნელი კარგად არის და კარგადაც გამოიკვირებაო. წინად ასე არ ამბობდნენ. ეგების მიხედვ, შვილო, შენს მოსახლენს და შენს წასახლენს საქმეს. შენი ურგები ნურაფერი ნუ გინდა. დრო არის, შვილო, და ახლა წლოვანება და გამოცდილებაც ზელს გიწყობს, დაფიქრდე. იყავე ბეჯითი, მუყაითი, გულმოდგინე და მეცადინი. თავი დაიფასე, გული არ აიტრუო და არ იცუღლუტო. გახსოვდეს, რომ შენ კარგი შთამომავლობისა ხარ. ქალსა და ღვინოს არ დაეძალო. ქალს და ღვინოს, შეძლებისდაგვარად, გაერიდე. ვის არ უქვიფნია და ვის არ ჩაუდენია უსაქციელობა, მაგრამ შემდეგ შემდგარან და სწორი გზით უვლიათ. ასე მოიქვეც შენაც. გახსოვდეს: ზედმეტი ღვინო ადამიანის გონების, გრძნობის და კაცობის მომსპობია. მე შენით ვამაყობ. შენ გონიერი, გრძნობით სავსე და სამართლიანი კაცი ხარ. ნურამ გამეგონოს ნურასოდეს, — კორნელი ლოთი, უზნეო, ფუქსავატი და ცუდი კაცი არისო. ხანდახან, კანტიკუნტად, მესმოდა: კორნელი ქალებმა და ღვინომ გაიტაცაო. ნუ მკითხავ, ვინ შემატყობინა. ჩიტმა მომიტანა ამბავი. ხომ იცი, დედას არაფერი არ დაემალება. მოსპე შენში ქალებითა და ღვინით ვატაკება, თუ გინდა სალი გონება და ჯანიც შეინარჩუნო. რომ მომაგონდები, იცოდე — ძალიან ვიტანჯები. შენ მამა შენს გევხარ ხასიათით. შენ სუსტი ნების კაცი ხარ და ჩემი გული ვერ ისვენებს. რატომ შენთან არა ვარ ახლა, მე უბედური. რა ვქნა? ხომ იცი — დედა ვარ შენი! რა წამს უნივერსიტეტს მოძრე, გიმეორებ, მაშინვე ჩემკენ გამოსწიე. შენ მეცადინეობა, წიგნის კითხვა და მყუდროება გიყვარს და აქ გექნება საიმისო პირობები. ომისა და გამოცდების შემდეგ, დაქანცული იჩენები და, პატივს არ მოგაკლებ. საქმელი და სასმელი, ღვინის მოწყალეობით და ჩემის ჭკუით და შრომითაც, ამ დასწყევლილ დროში, ჯერ კიდევ მომეხოვება. ზამთარში, როგორც იცი, ავად ვიყავი. ახლა გვარიანად ვგრძნობ თავს. რომ მეგონა, ისე მალე არ მოდის ის ოხერი სიკვდილი. მაგრამ უდროვო-დროს იცის, დასწყევლილმა, ლალატი. მინდა შენს კაცობას, ცოლშვილს მოვესწრო და მერმე, შვილების ჭირიც წამიღია. საქმარისად მოვქამე ეს წუთისოფელი. მუდამ ხომ ვერ ვიცოცხლებ? ბოლოს რკინაც კი ბერდება, იცვეთება და მიწა ჭამს. ამ წერილს რომ გწერ, 20 ივნისია. ღამის 12 საათი. ვარეთ მთვარიანი ღამეა. ხომ იცი, კარისმერეთის მთვარიანი ღამეები რა წარმტაცია! მაგ-

რამ რად მინდა? მარტო დავრჩი ამ კარისმერეთში გამოფრთხილებულ, არც ერთი შვილი ჩემთან არ არის. დომენტის და აგოიას აივანზე სძინავთ. აგოია შენს ჩამოსვლას მოუთმენლად ელის. ტვინი ამოვლდო, კუწრული როდის ჩამოვაო. იცის შენი ხასიათი, რომ გაასულელებ, არ მოიშორებ, მუშაობაზე ხელს ააღებინებ და უხარია. ხვალ დილით, ალიონზე დომენტი, აგოია და მუშები ყანაში სამუშაოდ უნდა გაგვზავნო. კარგი ამიდი დაგვიდგა. ივენისმა შემაწუხარი წვიმები იცის, ჩოხადამპალას ეძახიან, მაგრამ ახლა კარვა ხანია წვიმა არ ყოფილა და მოსავლასაც კარგი პირი უჩანს...

მშვიდობით განახე, შვილო. იყავი ბედნიერი. დაგიკოცნი საყვარელ სახეს და თვალებს. იონა, დიდი სიყვარულით, მოკითხვას ვითვლის. მალე მოგვლით. შენი დედა — ტერეზა“.

დედის წერილმა და დარიგებამ კორნელი გამოაფხიზლა. ძალა, სიმზნე და თავდამტკიცება შეჰმატა. ქალაქის სიდუხჭირისგან გასწმინდა. გულში თბილი და საამური გრძნობა ჩაუნერგა. ბავშვობა, სოფელი, იქ გატარებული ზაფხული და შემოდგომა მოაგონა.

„აგვისტოს ბოლოა, — ფიჭობდა კორნელი. — ევგენი და სტეფანე მალე რუსეთისაკენ გაემგზავრებიან, უნივერსიტეტში სამეცადინოდ. დედას თვალები ცრემლით ევსება. იგი აივანზე ზის და შვილებისათვის, ზინგერის მანქანიორ, თეთრეულს ჰკერავს. მოხუცი მონაზონი — იელიტე ჯაიანის ქალი აბრეშუმის საბანს ლამბავს, ზედ ზღაპრული ვარდები და ყვავილები გამოჰყავს და ოსტატურად აგვირისტებს. იულო — დურგალი უხარმაზარ კაკლის ხეებს, ბერტყავს და მე კრიალა კაჭრებს ჯიბეში ვილაგებ. ზოგმა კაკლის ხემ წიფელივით დაკუთხული კაჭარი იცის. ზოგმა — თხელ-ნაქუქიანი და ზოგმაც — კერკეტი. ეზოს იჭით, ზღვასაებრ ატალღებული, თავნაყარი სიმინდი ბიბინებს. მთის კალთებზე ვაზის ხეები ჯარისკაცებივით დარაზმულან. საღამოს, შუაღამოს, ოჯინჯალით ჩამოკიდებულ ქვაბში, ჰყლინტი სიმინდი და მწიფე გოგრა იხარშება. მაიკო ვახშამს ამზადებს: შემწვარ ვარიებს კუმბაყვალის წვენში ალაგებს. წაბლის ფოთოლში გახეულ ჰადებს ერთმანეთზე აწყობს. შემწვარ ჰადებზე ფოთლის ძარღვებია აღბეჭდილი. აიფნიდან სტუმრების ხმამალალი ლაპარაკი და სიცილზარხარი მოისმის. ხვალ დილით რუსეთში მიმავალ შვილებს და მათ მეგობრებს დედა ვახშმით უმასპინძლდება. ალიონზე ჩენს სახლში აურზაური დგება. ჩემი ძმები — სტუდენტები — ევგენი და სტეფანე კალათებიოთა და ჩემოდნებით ეტლში სხდებიან და რკინიგზის სადგურისაკენ მიდიან. ეზო-გარემო და, თითქო მთელი სოფელიც, ობლდება და ცარიელდება. შემოდგომის დამდეგს მზის სხივი ძალას ჰკარგავს. დილით გრილა და ცვრიან ბალახში ფეხშიშველი დავიარები. ჰიჭინობელა განუწყვეტლივ იძახის და ქარვისდერი ყურმნის მტევნები ტბილი წვენივთ ევსება. ლელვს მალალურები ესევიან. ტყის პირას შამშვ

ნაღვლიანად გალობს. ცრემლმორეული დედა საათობით უსმენს და უჭითელ, ოქროსფერ ნისკარტს უჭებს. ლედვისა და ვაზის გაყვითლებული და გახვეებული ფოთლები გრილ ნიავში უსიცოცხლოდ შარიშურებენ. მარტობის ნაღველი მაწვება და მე განმარტობულ ადვილს დავეძებ, საიდანაც ბუნების წარმტაცი სურათები გადამეშლებიან. ეს განმარტობული, ნაცნობი და განსასვენებელი ადვილი ჩენი გოლიათი კაკლის კენწეროა. აქედან ლურჯი ცის ტატნობზე მუნჯად ახლუღულ და უკვე თოვლით გადალესილ, შორეულ მთის ქედებს საათობით გავცქერო. მაგრამ შორეული მთის მწვერვალების ჰერეტა სევდას მიორკეცებს და თანაც გულში უცნაურ სწრაფვას მისადგურებს: მინდა სახელგანთქმული მხედართმთავარი გავხდე, ეს ქედები გადავიარო, მტრის ციხე-ქალაქები დავანგრეო და გაშლილი დროშით შორ ქვეყნებში გავიჭერ, ქვეყანა შევისძრა, მონობა დავაძხო და ზალხს თავისუფლება მივანიჭო. ბოლოს, ჩემი ქვეყნის აწმყო, შავებედი მომავანდება და, მონადირესაგან დაკოდილ შევარდენივით, კაკლის კენწეროზე ვიჩინდები, განმარტობული და სევდიანი. ის განმარტობა, ოცნება და სევდა დღემდე დამშემდა. ისინი მაშორებენ სინამდვილეს და ამ წუთისოფლად უზრუნველყოფილ ცხოვრებას. ეზო-ვარემოსა და ოჯახში მუშაობით დაღლილი დედა, სალამოს შალს წამოისხამს. ეზოში სეირნობას იწყებს. უხალისოდ დაბორიანობს, შეილებთან განშორებას გლოვობს, მე მომძებნის და, ოცნებაში წასულს, შემომძახებს: კენწეროდან დედამიწაზე ჩამოვიდე. მალე მეც ქალაქში გავემგზავრები და მაშინ დედა სულ მარტო და უფრო გამოყრუებული დარჩება. გულისტკივილით ვშორდები სოფელს, რომლის შემდეგ ქალაქი და სკოლა საპყრობილედ მეჩვენება. სკოლის ეზოში, ასწლოვან ქანდრის ქვეშ, მოწაფეთა ხმაური, კიჟინა და აურზაურის ხმა გაისმის. ზარის შემდეგ ყველანი კლასებს ვაშურებთ. კლასში დატყვევებული ვზივარ, ვიტანჯები და ფანჯრიდან ლურჯი ცის პატარა ნაჭერს გავცქერო. მაგონდება დედა, სოფელი, კაკლის ხეები, ბაღი, ვენახი და შორეული მთის მწვერვალები. არაქათამოცილი მასწავლებელი უსიამო ხმით გვიხსნის — $(a + b) \dots$, მე კი ისევ სოფელში გატარებულ ზაფხულზე ვფიქრობ. მდინარე ჩვენს ეზოს ახლოს ჩამოუღის. ანკარა ტალღები ლოდებზე და რიყის ქვებზე ხმაურით გადაირბიან. მიყვარდა ნაპირიდან იმ ტალღებში თავით გადავარდნა. ზედ მერცხლები ნავარდობენ და ჟივილით ახებენ ფრთებს. მდინარის პირას ბროწეულის ხეები ჰყვავიან. შემოდგომაზე ნეკტარით სავსე, პირგამეხილი შაქარბროწეულები მარჯნისფრად იღიმებიან. თეთრლედვა და კრახუნა ყურძენი მწიფვა და ისევ მალაღურები და შაშვები შესევიან. არ შევლით ხელგაშლილი საფრთხობელები და ქურდ ჩიტებს, ფილთათოფით, დილიდან სალამომდე დავდე. ხეზე გასული და თაფლივით ტბილი მალნარის — ალადასტურის მტევნები ქიშმიშივით დამკვნიარან. დედა ფელამუშს, ტბილიკვერს და ჩურჩხელებს აშხადებს. ეხლა რომ სოფელში ვიყო, დედა ფელამუშით პირთამდე

საგე, გულღრმა საინს მომცემდა. — ეს შენია, ჩვენ კიდევ ბევრნი ვკამთ, შენ იკითხე, საწყალოო, — მეტყოდ. ყურძნით საენე საწინებელში წურავები დაკარწახებულ შიშველ ფეხებით ჩამდგარან. საწინებელის დახმადან ტკბილი ჩქეფი მოწანწკარებს. დომენტის მიერ დარეცხილ და ბალის ქერქინთა და თავისარით გამოხეხილ, ცარიელ ქვევრებს ტკბილით ავსებენ. ისმის ნაღური; დგება მთვარაიანი ღამე. იმართება ვახშამი, ღამისთევა, ცეკვა-თამაში და სიმღერები. მასწავლებელი კი განაგრძობს: (a — b)... და სკოლა ისევ ნამდვილ საპრობილედ მეჩვენება. თვალი ცრემლით მევსება, მოღრუბლულ ცას ეხლა ობლად გავყურებ. საწვიმარი ღრუბლები მატულობენ და მალე ლურჯი ცის პატარა ნაქერსაც ჰფარავენ. დასავლეთის ცივი და სუსხიანი ქარი უბერავს. ფანჯარასთან ჩარახმულ, ფოთლებდამხრალ ხეებზე აბუზული ბელურები ირევიან და ქუჩას გულსაკლავი კივილით იკლებენ. წვიმს. ქუჩებზე ტალახი დგება. ერთბაშად ჩამოიღამა. მოღრუბლული და ნაღვლიანი შემოდგომაა. დასვენებისათვის ხარს რეკავენ. დერეფანში გამგე შემოდის. ენაჩეარდნილ, შეშინებულ და გალურსულ მოწაფეებს მრისხანედ გვიცქერის. მე კუთხეში ვდგები, ფანჯარაში ვიხედები და ვამბობ: მშვიდობით დედაც, სოფელიც, თავისუფლებაც. როგორც ჩანს, მე აქ შემიწყვეტია ნამდვილი ცხოვრება. თუმცა, მრისხანე გამგე, სამოსწავლო ოლქის საფრთხობელა უფროსი, დისციპლინა, ყაზარმა და უხეში ძალა, ბავშვობიდანვე მეჯავრებოდა. დასწყველოს ღმერთმა უფროსი, მტარვალისადმი მორჩილება და მონობა. — ხმამალა დაიძახა კორნელიმ და ისევ დედის წერილი წაიკითხა. მერმე ასეთი პასუხი მისწერა!

„ძვირფასო დედა. ეხლა კარისმერეთში ყოფნას რომ არაფერი არ სჯობია, ძალიან კარგად ვიცი, მაგრამ ამჟამად გადასახადთა ინსპექტიაში ვმსახურობ და შეეხებულბას ჯერ არ მომცემენ. სექტემბრის ბოლოს კი უთუოდ ჩამოვალ. ჩვენმა სატანეარჯიშო საზოგადოებამ — „შეკარდენმა“ 24 კაციისაგან შემდგარი წურთნელთა ჯგუფი შეარჩია, რომელმაც საქართველოს მთავარი ქალაქები უნდა მოიაროს. ამ ჯგუფში შეც ვარ და იქნებ კარისმერეთსაც ვესტუმროთ! სამსახურიდან გამიშვებენ. ჩვენი დაწესებულების დირექტორი გაბრაზდება, მაგრამ კირი მოსკამოს განათლების სამინისტროს, რომელმაც საქართველოს ქალაქებში წურთნელთა ჯგუფის გაფრენა დაადგინა. მართალი ვითხრა, ძალიან მიწევდა გული კარისმერეთისაკენ, მაგრამ, მეცადინეობისა და სხვადასხვა მიზეზთა გამო, თბილისიდან ვერ წამოვიდოდი. თბილისში ცხოვრება ძალიან გამიჭირდა, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც ელენე ბორჯომში ვაემგზავრა. შიმშილმა და უფულობამ გაიტეხა. მეც ავდექი და გადასახადთა ინსპექტიაში უბრალო მოხელედ მოვეწყვე. მეგონა მეცადინეობას და სამსახურსაც შევძლებდი, მაგრამ უინტერესო და იდიოტთა შორის იდიოტური სამსახური ძალიან ბევრ დროს მართმევს და ჩემი სამუშაო გეგმა ისევ განუხორციელებელი მრჩება. ნუთუ იმიტომ ვსწავლობდი ამდენს, რომ მოანგარიშედ ვგდებულეიყავ ამ დასაწყევ ინსპექტიაში?

ამას კატორღაში ყოფნა სჯობია. როდესაც აღამიანი რაიმე დანაშაულისათვის ისჯება, ტანჯვა და დარდი იმრიგად ვერ გასტეხავს, ვინაიდან იცის — თუ რისთვის იტანჯება. მე კი რა დანაშაულისათვის მარგუნეს ემსჯობა? ემსჯობა კი — ხანდახან სალამობითაც მიხდება ინსპექციაში მუშაობის სამსახურს თავი რომ დავანებო, თბილისში როგორღა ვიცხოვრო? ინსპექციაში 1 1/2 გირვანქა შავ პურს და ხანდახან ნავთსაც გვირიგებენ სახელმწიფო ფასებში და სად უნდა წაიღიდე? თუმცა, უმჯობესია მშვიერი ვიყო და ჩამოკონკილი დავდიოდე, ვინემ „ჩინოვნიკობაში“ დავლიო სული და მოვიშაპო ყმაწვილკაცობა. ელენე, დათა და, მგონი — სტეფანეც, ჩემს სამსახურს მიზანშეწონილად სთვლიან. სამსახურში დარჩენას, ვიცი, ისეთები მიირჩევენ, რომელთაც ეშინიათ — სარჩენად არ გავუხდე. ისეთები, რომლებიც ხარჯის გაწევას ერიდებიან და ფეხებზედაც არ ჰკიდათ ჩემი მომავალი. მართალია, ეხლა ყველას უჭირს ცხოვრება და დახმარებას ვერავის ვერ დავაველებ, მაგრამ ცოტა რომ გაიჭირონ, ქვეყანა დაიჭკევა? ვანა არ გიჭირდა შენ მაშინ, როდესაც რუსეთის უნივერსიტეტში სამ შვილს ზრდიდი და ნათესავებსაც ეხმარებოდი? ეხლა ფეხზე დამდგარმა ჩემმა ძმებმა და ნათესავეებმა ცოტა გაიჭირონ ჩემთვისაც. მოსწერე სტეფანეს წერილი. ის და შენც ცოტას თუ დამეხმარებით, მაშინვე სამსახურს მივატოვებ და კარგადაც ვიმეცადინებ. ეგვანის რატომღაც არ მოსწონდა, მე რომ მედიკურ ფაკულტეტზე შევიდი. სტეფანე კი ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შესვლას არ მიირჩევდა. ერთის სიტყვით, ის დარგი, რომელიც მათ დაჰმთავრეს, ჩემთვის არ ემეტებათ. ჩვენს უნივერსიტეტში კი სიბრძნის-მეტყველების, მედიკური და სიტყვიერების დარგის გარდა სხვა დარგი არ არსებობს ჯერ ხნობით. ჩემი ჯამაგირი პურსა და წერილმან ხარჯებს ძლივს ფარავს. ფეხსაცმელი დამეხა და ვინ იცის, მოვახერხებ კი ყიდვას! ტყავი არსად არ იშოვება. პალტოც არა მაქვს ზამთრისათვის. ჯარიდან რომ შალის თბელი საბანი გამოიყვია, ის უნდა შევიკერო, სხვა გზა არ არის. თვეში 900 მანეთი მეძლევა. პური 1 გირვანქა — 15 მანეთი ღირს. მარტო პურზე თვეში 450 მანეთი მეხარჯება. ახლა შაქარი და ყველი იანგარიშე. მერმე — თუთუნი, გაპარსვა და გაკრეჭა. 900 მანეთი ამ ხარჯს არ გასწვდება. მრცხენია, მეწერილმანესაებრ, ასეთ რამეზე რომ გწერ, მაგრამ ვაჭირვება, თურმე, კაცს ბევრ რამეს აკადრებინებს. საშინელი პირობები შეიქნა ცხოვრებისათვის. ყველა გაძვალტყავებული და მშვირია. ჩაცმა-დახურვაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ასეთი სახელმწიფო რომ დაინგრეოდეს, ახია. რუსეთს რომ ჩამოვშორდით და ყველა გამვლელ-გამოვლელის ხელში ჩაეცვივდით, მაშინ წახდა ჩენი საქმე. ჩემი ცხოვრება ისე არ მოეწყობა, როგორც მე მინდოდა. გიმნაზიის დამთავრებისთანავე უდიდესი დაბრკოლებანი გადამელობენ. ისინი შეეხენ როგორც ფიზიკურს, ისე სულიერ მხარეს ჩემი მეობისას. ჩემს სწავლა-განვითარებას და ზნეობრივ ზრდას მათ დიდათ შეუშალეს ხელი. ეხლა მე ვგრძნობ ძალას და გონივრული მუშაობაც შემიძლია, მაგრამ ცხოვრების პირობებმა მიმუხთლეს. წელს ძალიან

ცხელა თბილისში. რა გაეწყობა! ვმსახურებ, ტყავი მძვრება და თანაც ვმეცადინეობ. შენ და სტეფანე თვეში თითო მილიონს რომ გამომიგზავნიდეთ, ოდნავ თავს გავიტან, სამსახურს მივატოვებ და კარგად ვიქიმეცადნებ. მედიკური ფაკულტეტი, როგორღაც, არ მომწონს. ფილოლოგიურისაკენ მიწევს გული. თუმცა, ჩვენი უნივერსიტეტი, ვიცი, უფრო ხელს შემიშლის, ვიდრე რაიმეს შემმატებს. უნივერსიტეტი მაინც უნდა დავამთავრო, ხალხმა უდიპლომოება რომ არ წამომძახოს. ჩემი ცხოვრება იქნებ მალე სულ სხვა გზით წარიმართოს; მაშინ ჩემს წუწუნს ვერ გაიგონებ. ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. მომავალი დაგვანახებებს. მე შენი და მამა ჩემის, ჩვენი შთამომავლობის ღირსეული შვილი ვავხდები. მე შენ არ შეგარცხვენ. უნივერსიტეტს, სამსახურს, ვარჯიშობას... ყველაფერს ერთად, კაცი ვერ გაწვდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე მაინც ბეერს ვემეცადინეობ და ფარხმალს არა ვყრი. სხვათა შორის, ორი მოთხრობა დავწერე: „ასპინძა“ და „ასკერი“. პლატონ მოგველაძეს მოეწონა და მუშაობაზე წამაქეზა. ეხლა მესამე მოთხრობა უნდა დავწერო — „გოჯასპირ“. ამ მოთხრობაში ყველაფერი ნაცნობი იქნება შენთვის და მაჭაურებისათვის. თუმცა მომქმედ პირთა სახელი და გვარი ყველგან შეცვლილი მექნება, გარდა ოთხმოცი წლის მოხუცის — გოჯასპირისა, რომელიც გვარდიელებმა სარკოიაში, ნამინდერალის ასწლოვან მუხაზე ჩამოახრჩვეს. ჩამოხრჩობა კარგად უნდა დავხატო. ვნახოთ. ეს მომავლის საქმეა და კიდევ მოგწერ. თუ კარგი მოთხრობა გამოვიდა, მე ბედნიერი კაცი ვიქნები და მაშინ, ამ წერილში რომ არის, ასეთ უმსგავსო წუწუნს ვერასოდეს ჩემგან ვერ მოისმენ. ჩემსა და ნინოს შორის შეგმა კატამ გაიბრუნა. მაგრამ მერმე ის კატა დავიჭირეთ, მტკვარში გადავავდეთ და ეხლა ყველაფერი რიგზეა. ნინოს წინაშე მე არასოდეს არ მიცულულტნია. ღვინო და ქალები, ხანდახან, ცოცხალ კაცს ებატივება. ვარდომ და ელომ გააჭირეს საქმე. მაგრამ მე ვიცი — ჭირი რაც არის. ჩემისთანა ცარიელ-ტარიელი კაცი ვის რად უნდა? მით უფრო — მაცაშვილებს! საქმე განა სიმდიდრეშია? სიყვარულის, ცოლშვილის და ოჯახის საკითხი ძალიან რთული ყოფილა. ცოლ-შვილი და ოჯახური ცხოვრება, მგონია, ჩემი საქმე არ უნდა იყოს. მე ცხოვრების მეთვალყურე და მაყურებელი უფრო უნდა ვიყო, ვიდრე მისი მონაწილე. ეს სხვათა შორის. მტრებისგან ჩემზე მოჭორილს ნუ დაუჯერებ. გაბსოვდეს — შენ დედა ხარ ჩემი და შენგან მოველი მე მზრუნველობასა და თანაგრძნობას. მე შენზედ საყვარელი არსება ამა ქვეყნად არ გამაჩნია. არის კიდევ ერთი კაცი — იონა, ჩემი გულის მესაიდუმლე. გადაეცი მას ჩემი გულწრფელი სალაპი. წააკითხე ეს წერილი. სხვას კი ნურავის ნუ უჩვენებ. მომიკითხე სიყვარულით მაიკო, იულო, დომენტი, აგოია და ქეთუა. უთხარი ქეთუას: ამ ზაფხულს, შემოდგომას ან და ზამთარში თუ ვერ ვინახულე, გაზაფხული მოვა და მაშინ უთუოდ ვნახავ. თბილისიდან მოვარჯიშეთა ჯგუფი 20 სექტემბერს გაემგზავრება. კარისმერეთში თუ ვერ ჩამოვედი, მაშინ შენ თავად ჩამოდი თბილისში, შემოდგომის ბოლოს. ჩამომიტანე სიმინდის

ფქვილი და კვერცხი. დედა ჩემო, მომიქსოვე ან ვისმეს მოაქსოვი, ჩემთვის შალის წინდები, აბრეშუმნარკევი. ძალიან გთხოვ. თავს გაუფრთხილდი. ჩემზე ნუ იღარდებ. ათასს გაკოცებ. შენი კორნელი“.

კორნელიმ წერილი გადაიკითხა. დაჰკეცა, კონვერტში ჩასდო და მისამართი დააწერა. მერმე ღია ფანჯარაში მთებს გაჰხედა. მთის ზეგანზე სოფელი წყნეთი დაინახა. ხეთა კენწეროები ქედს ქოჩორივით დასდგომოდა და კორნელის სოფელი ზედაზენი და სარკოია მოაგონდა, მთის კალთებზე მოდენილი ვენახი და ტყე. უცბად, მთის კალთაზე, ოთხმოცი წლის მოხუცის — გოჯასპირის სახე, არყის ხის ქერქისფერი უცნაური მისი თვალეები მოეჩვენა. მტკვარზე დილის ნაივმა დაუბერა და კორნელის ნეღლი ხის, ნაედარი მიწის, თევზის, მდინარის და ფქვილის სუნი ეცა. მერმე კი — ანთებული აბედისა. კალამი აიღო და მოთხრობა „გოჯასპირ“ ასე დაიწყო:

„წისქვილთან ცხენი შევაყენე. წისქვილის თავზე ამართული ბებერი მუხა შრიალედა. მუხის ძირას ოთხმოცი წლის, ახოვანი გლეხი — გოჯასპირ იდგა, ყალიონს აბოლებდა და მეზობლებს ესაუბრებოდა. მე მივესალმე მათ. ცხენიდან ჩამოვხტი, თუთუნი გაზეთის ქალაღში გაეხვიე და გლეხებს ცეცხლი ვთხოვე. გოჯასპირმა კეცაბედი ამოიღო, გაჰკრა და ანთებული ნამცეცი მომაწოდა.

— ეს კეცაბედი კიდეც არ მოიშალე, გოჯასპირ? — გავებუძრე მე.

— მამა-პაპისეული, ყველაფერი საიმედოა. — მომიგო გოჯასპირმა.

თეთრწვერა მოხუცს ვეება ხელის ზურგზე დაზღმურდლული, ძირმაგარასაებრ პირლია იარა შეენიშნე და მისი შეხვევა და წამლობა ეურჩიე. გოჯასპირმა გაიღიმა და ოჩოკოჩის ბოხი ხმით ჩააგუგუნა:

— რა უქირს! უნდა გენახა რას ჰგავდა! ხარის თვალევით მაჯდა. უურწუმელის ნეშო დავადევი, დავამწიფე და მერე დანის წვერით ავხიე.

განცვიფრებით მივამტერდი წარბაფანჩულ მოხუცის სახეს, არყის ხის ქერქისფერ მის უცნაურ თვალებს: თითქოს ისინი ატარებდნენ ჩენი ხალხის ძველისძველ და მრისხანე სიბრძნეს. მერმე რატომღაც გავიფიქრე — „ტყის ღმერთი“...

ძირმაგარაზე გოჯასპირის მიერ თქმული სიტყვები: „ხარის თვალევით მაჯდა. უურწუმელის ნეშო დავადევი, დავამწიფე და მერე დანის წვერით ავხიე“, ისე ღრმად შეიკრუნ კორნელის შეგნებაში, ამ სიტყვებით აღძრული წარმოდგენა ისეთი მძაფრი, ნათელი და თვალბილული იყო, რომ ეს პატარა დეტალი, მერმისში სავსებით სავმარისი აღმოჩნდა კორნელისათვის გოჯასპირის მთელი სურათი, გოჯასპირის ცხოვრება და ტრაგიული დასასრული ზუსტად, უცდომლად და ჩინებულად დაეხატა. მოთხრობა, ჩემის შეტყობით, მართლაც კარგი გამოვიდა. თუ გნებავთ — ჩემს „გოჯასპირზე“ ბევრად უკეთესი.

ბასიანის ბრძოლა

„ჩენი სამშობლოს, ჩენი ხალხის სიცოცხლის, ღირსებისა და თავისუფლებისათვის გააფთრებულ ბრძოლებში საბჭოთა მეომრებს აღაფრთოვანებენ ახლაც და მომავალშიც ვაჟკაციური სახეები ჩენი დიდი წინაპრებისა“.

„პრავდა“, 30. 8.

1.

დედა-ქალაქში მოვიდა დესპანი გამოჩენილი. ნუქარდინს გამოეგზავნა თამარისათვის წერილი. ენისგან უთქმელს, უკადრისს იწერებოდა მურტალი: „მე, იკონიის სასულთნოს სახელოვანი სულთანი, გამცნობ ქართველთა მეფესა (მეფეთა გადამჯეგელი), რომ დედაკაცი ყოველი არის შენსავით რეგენი. იქამდი როგორ ამალლდი ან ისე როგორ ვალლდი, რომ დღეს სუყველა გამორჩილებს, ვისაც მონებდი მანამდი, რომ ქვეყანაზე გაისმის შენი ჯარების გნიასი. ლამის სირცხვილით დაეიწვათ, თავზე გვაზიხარ დიაცი. ან რა უფლებით გაბედე ხელში იმ ხმალის დაქერა, რომელიც დიდმა ალლაჰმა მარტოდენ ჩვენთვის გაქედა? მარტოდენ ჩვენთვის გაქედა და ვით იქნება, ასპიტო, რომ იმით ქრისტეანებმა მუსულმანები გასწყვიტონ? მუსულმანები გასწყვიტონ და პირჯვრის გადასახამდი აპკრიფონ გაუგონარი ბეგარა-გადასახადი? ჰო-და, რადგანაც საკუთარ ბუნაგშიც იღარ ჩერდები, ახლა მე შენზე მოვდივარ ჩემის მამაცი მხედრებით, ღამომიწერთნია ომისთვის მშვიდობას შეუჩვეველნი. წინ მანქანები მომიძღვის, სიმაგრეების მნგრეველი, უნდა იმგვარად დავლევოთ თქვენთა ციხეთა ბურჯები, რომ ხორნაბუჯში ხორნაბუჯს ეძებდეს ხორნაბუჯელი, რომ დავგვიწყდეთ მარადის ლახვარ-მახვილის აღება, რომ მზეს კვლავ ველარ შესცინონ ქართულმა ბაირალეებმა. მაგრამ, უგბილო დიაცი, თუ ჩემი ჯარის მოსვლამდი, შენს რჯულს უარპყოფ, რომელსაც მუდამ დიდებით ჰმოსავდი, მაჰმადიანი ვახდები, კარავში გამოცხადდები, შეგიწყალებ და შეგინდობ, სულაც არ ვაგვიცხარდები. ეს მხოლოდ შენთვის, ლამაზო, სხვას არვის ვაძლევ არჩევანს, ისე დავანგრეე ქვეყანას, მთხრობელიც აღარ დარჩება“.

4. „მნათობი“, № 9.

2.



ცას ჰგავდა ვარსკვლავიანსა სამეფო სახლის თავანი,
 ტახტზე დიდბუნებოვანი შვეწოდა მეფე თამარი.
 სულთანის გამოგზავნილი ხელში ეჭირა წერილი —
 დიდი ტრიალი მინდორი, ცხენთაგან გადათელილი.
 წინ ელჩი იდგა დაღლილი მგზავრობის დაედიარაბით
 (სარკმლიდან სჩანდა, ეზოში ლომებს აქმევდა არაბი).
 ბატონკაცური დუმლით სდუმდა დიადი დარბაზი.
 წითელი ოქრო გინდოდა თუ ზღაპრად თქმული აღმასი!
 მდიდრულ კედლებზე ელავდა ინდოეთი და ელლადა
 და სტავრა არაბეთისა ცეცხლის ალივით ღელავდა...
 ეს ნაკადული ნანაობს თუ ყანა ნათავთავარი! —
 სულთანის წერილს კითხულობს შუბლშეკმუხვნილი თამარი.
 „ნეტავი დღესვე მიბრძანოს ურჯულოებზე თაერში“, —
 ფიქრობს მხარგრძელი და თავის პატრონს შეჰყურებს თვალღებში.
 მისწყდა ხმა ნაკადულისა — მეფემ გადასდო წერილი
 და ელჩისაკენ მიბრუნდა შევლივით ყელმოღერილი:
 — სხვას კიდევ რაღას გვიბრძანებს სახელოვანი ნუქარდინ,
 ჯერ არც კი ამხედრებულა, ქვეყანა შესძრა მუქარით.
 — სხვა ესეც შემოგითვალათ, თუ რჯულს დასტოვებს თამარი,
 შევიდოდ, ცოლად შევირთოდ, ვუბოდოდ საქმრო ქამარი,
 მაგრამ თუ ასე არ იზამს, მტერი ყოფილა თავისა:
 რჯულს ძალით შევაცვლევიანებ და მერე ხასად დავისვამ... —
 სისხლი მოაწვა მხარგრძელსა, გული ქარ-ცეცხლით აევსო,
 ერთი ხმამაღლა შეჰკივლა, — რა სიტყვით სწამლავ ჰაერსო, —
 და პატრონივით ენაბილწს სილა გააწნა ისეთი,
 გონდაკარგული დაასკდა იატაკს ეშმაკისერთი.
 წარბები შეჰკრა თამარი: „რად მოეპყარო უშვერად?“
 — თავსაც მოეჭრიდი, მეფეო, მაგრამ ეღრობამ უშველა;
 რაინდი მეფის ძვირისმთქმელს ბევრს როდი ალაპარაკებს, —
 დიღვეში წაიყვანეთო, კუსტად უბრძანა არაბებს.
 ფეხზე წამოდგა მნათობი, მეფეთა მეფე თამარი.
 ხმირსპასალარს მიჰმართა: „საზრუნავი გვაქვს მთავარი,
 მტრის ღირსეულად დახვედრა ნუ გვეგონება ადვილი,
 ამაღამავე მოეაწყვით დიდებულების თათბარი.
 გადაწყდეს, სეფე ჯარს ვენდოთ თუ ქუდზე კაცი შევყაროთ,
 რომ თურქმა შემოსეულმა ბოლოს ვერ დაიმკვებაროს,
 თორემ ტვინამღერებული ქვეყანას საფრთხეს უქადის.
 გმირულად, მამაპაპურად დახვედეთ სისხლისმსმელ ნუქარდინს“.
 — ნება შენია, მეფეო, — დინჯად ეტყოდა მხარგრძელი, —
 ომი მომწყურდა, ამ ქვეყნად უომრად ვეღარ ვაგძელი.
 დარბაზის ერთი მოვიხმოთ და ასჯერ განსჯილ ბრძანებით
 ბრძოლის ველისკენ ვაფრინოთ ჩვენი სამშობლოს ჯარები. —
 ომი უნდოდა მხარგრძელსა, ჯაჭვის პერანგის მორგება,
 ვაჟკაცსა სახელიანსა ისე არ დაედგომება.

წინ ჩაუქროლეს განვლილმა, გაციეებულმა ომებმა.
ეზოში ზარბაზნებივით დაიღრიალეს ლომებმა.



3.

ვინც კი იარაღს ატარებს, გულითადაც შეფიხს,
ვინც დროშას გორგასლიანსა დაუჩოქა და შეპფიცა,
ყველა ლაშქარში, ვაჟკაცი, ერთგული ვინც გვეფულება, —
იმსჯელეს და გადასწყვეტეს მეფემ და დიდებულებმა.
იხლა მინა რხეული (ამბობდნენ შოთას ნაიუქარს),
დაიჯდა თამარი და სულთანს ასე მისწერა პასუხად:
„რა ვითქვამს, რა მოგიტორავს, რას მეშარები შორიდან,
ტყუილ-უბრალოდ ცილს მწამებ, ალბათ, სისხლისღვრა მოგინდა.
ალბათ, სისხლისღვრა მოგინდა, თორემ მაშ რისთვის ისურვე,
რომ მოგეჩმახა ასეთი უმაგალითო სიცრუეე.
პოი, უგნურო ნუქარდინ, წინ მიძევს შენი ბარათი.
კარავში მოსვლას მიბრძანებ კაციჭამია ჯალათი...
მოვდივარ, მაგრამ სხვაგვარად, თავით გაიგე და მიზედი,
მოვდივარ ჩემის ლაშქრითა, თუ ვაჟკაცი ხარ, დამიხედი.
მოვდივარ შენს დასასჯელად, თავლაფ-დასხმულო, თავნებაე,
დავამარცხებ და დაგიცხრობ მაგ უწინო ამპარტავენებას“.

მეფე მსახურებს ეტყოდა, სასწრაფოდ დესპანს უხმეთო.
შემოიყვანეს დილეგში ლამენათევი, უღმერთო.
უცხო სამოსით შემოსეს, შავს მტვერში ამოგანგლილი
და სიამაყით გადასცეს მას საპასუხო გრაგნილი.
გულუხვად დაასაჩუქრეს, სხვას ვის არგუნეს იმდენი!
ფეხმარდი ლაფშა მიართევს, წავიდა დიდის დიდებით.
მიჰქონდა ოქრო და ვერცხლი, თვლები და მარჯალიტები
და ყბაზე დამლა — მხარგრძელის კელაპტრის სიმსწო თითები.

4.

შეკრბა სრულიად სამეფო სპა, იმერთა და ამერთა.
ზღვის ფსკერზე ქვიშას, ზეცაში ვარსკვლავებს გადაამეტა.
ერთ ძლიერ ულოდ შეკრული დაუშლელ-განუფანტავი —
ქართველი მამულიშვილი ნიკოფსით დარუბანდამდი.
ჯარები ოვსთა, ყივჩაღთა, კახთა და ჰერთა გულადთა,
ერთმანეთს დატრლებულნი, ფიცვერცხლნაჰამი ძმურადა.
ქართლის, მესხეთის, სომხეთის ვაჟები მალხაზ-მალხაზი.
თორენი, ტაოელები, შავშ-კლარჯები და აფხაზნი.
ფიცხი და მკვირცხლი ლაზები, სეანები ბუმბერაზები
და რაჰა-თავეერ-არგვეთის მამაცი სუმპერაზნები.
აზორგდნენ, აზობოქარდნენ, როგორც ზვირთები არაქსის
და მეფის ირგვლივ მოგროვდნენ ვარძიის ციხე-ქალაქში.
მეფემ ფრთებ-განათებული სამეფო დროშა გაშალა

და საქართველოს უძლეველ ჯარს დაულოცა გზა-შარა. თავით კი ლოცვა-კურთხევით ქალაქ ოძრახეს წაევიდა, თავს დაჰნათოდა სულმნათსა მაისის ცა ვარსკვლავითა.



5.

ერთ შესახედად კმაროდა ლაშქარი ომს მიმავალი: წინ მიუძღოდა სოსლანი — ვაჟკაცი ჰაეროვანი. სოსლანის გვერდით პირქუში მხარგრძელი განგაცვიფრებდათ. იქვე ნახავდით შალვას და ივანეს ახალციხელთა. უკან პორფირით მოსილი მისდევდათ ჯვარისმტვირთველი, ნება-ნებაზე მიჰქროდნენ ქართველი ჯარის ზვირთები. ყველა გულმარბიანი, ერთიც კი არა ჯაბანი. ცხენთა და კაცთა სიმრავლით იზნიქებოდა მთა-ბარი.

6.

— სიტყვა და საქმე ერთი მაქვს, ჩვეული არ ვარ ცრუ ქადილს, — ეთქვა რა, თავის მხედრობა წამოეყვანა ნუქარდინს. ბასიანს იღვა ბანაკად, რიცხვით რამდენი, ვინ იცის, იღვა და გასალაშქრებლად ემზადებოდა დილისთვის... დილაც გათენდა და თეთრად კარვებზე დასხდნენ წისლები, ჯერ კიდევ სძინავს სულთანსა თავისი დარბაისლებით. გალაღებულა უგნური, რა დღე მოელის არა სჯის. კარვების არე-მარეში ერთიც არ ფიზლობს დარაჯი. ქართველი ჯარის სარდლებმა მარჯვე შემთხვევა იხელთეს და ცხენოსანი რაზმები მწყობრად დაიძრნენ იქეთვე. ცოტახანს წყნარად ვიდოდნენ, მოკლედ იჭერდნენ აღვირთა, მაგრამ როდესაც სულთანის ბანაკში კაცი აყვირადა: „წამოდექითო, მხედრებო, სპა დაგვესხაო ურიცხვი“, სოსლანმა ჯარებს მიჰმართა: „სამშობლო ქვეყნის გულისთვის“, ხმალი იშიშვლა, ლაშქარში გადაერია ქვაგული. ცეცხლს ჰყრიდა ბუნჯგალ-ბუნჯგალსა მისი ფოლადის ფრანგული. ცალკერძ მხარგრძელმა დასკეტა, ცალკერძ თორელმა დასძახა და გულმკერდ-გახურებულნი მტერს მიეხალნენ მხარდამხარ. წამოიშალა სულთანის ბანაკი ციებ-ცხელებით. შეირტყეს ისარ-კაბარკი, შეათამაშეს ცხენები. შეუზახნეს და შეიბნენ, ომი სად თქმულა ასეთი: ილეწებოდა ფოლადი, უქედელი და ნაჭედი. დასცხეს ერთმანეთს ისრები და წაუშინეს წათები. — ჩაფხუტი ჩამოიწიე, თორემ უომრად წახდები! — გასძახა ახალციხელმა შალვამ თავის ძმას ივანეს, როცა სულთანის კაცები გაცოდებულნი მივირდნენ. მაგრამ ხმლის ორი ელვა და დაეცნენ მოძალადენი. სისხლის მდინარემ წაიღო მათი ფარ-მუზარადები. კალთამდე ჩამოაფხრიწეს შალვას აეაზას ტყავ-კაბა,

როცა ძმის მისაშველებლად ცხენ-კაცთა ტევრი გაჰკავდა.
ომი გაგრძელდა...

გაძნელდა...

ფოლადს სცვივოდა ტალები.

ამოიხაფრა ჰაერი ნამსხვრევი შუბის ტარებით,
მოითარეშა სიკვდილმა სიცოცხლის გასაგისები,
ყოველი მხრისკენ აფრინა სისხლით დამთვრალი ისრები...
აგერ შეიბნენ ორ-ორნი —

ურთერთს ახეთქეს ჰოროლი.

აგერ ვეფხივით გაქანდა მხედარი შეურიგალი,
მას ასათიძე გრიგოლი შემოხვდა, როგორც გრიგალი.
გულში გაურჭო მახვილი, „ვაჰმე დედაო“, იძახდა.
ცეცხლ-წაქიდიბულ ვორაკზე

დასტა იბრძოდა ყივჩაღთა.

წამოიშალნენ ტალღებად მძვინვარე სისხლის ღვარები
და ვაიტაცეს ცხენდაცხენ ივანე ციხისჯვარელი.
დარაინახეს, რომ რაინდს გზა-კვალი გაუტიალდა,
აღმართეს იქცევისები მათ თურქთა ჩაფხუტიანთა.
ერთმა ახმახმა შორიდან ისრით გაუპო გმირს წარბი,
მაგრამ მიუხტა ივანე გასაოცარი სისწრაფით
და ისე დაჰკრა კეფაზე ხანჯალი გაულუნველი,
რომ ტვინი მისი ჰაერში ბვარდა, როგორც ღრუბელი.
და მერე, როცა მკლაემარდი წამოეშველა გაველი,
ერთად ეკვეთნენ უკეთურთ მამულის შოამაგენი.
მუსრეს და მუსრი გაავლეს... მოკლულთა დადგა ჯებირი,
მაინც ვერ გაძდა ბრძოლითა მარჯვენა წარბგაჩხილი.
ომი გაგრძელდა...

გაძნელდა...

ქენებით განახელები,

წინმბრძოლ სპასილარ-სპასპეტთა ყველას მოუკლეს ცხენები.
დაიქვეითეს მაშინვე სხვა დანარჩენმა ვაეებმა
და სარდლებს გვერდში დაუდგნენ რიგების გასაკაყებლად.
— ცხენოსანებო, ისმინეთ, ეს მე გიბრძანებთ თვითიულს,
მარცხენა მხრისკენ მობრუნდით, უტიეთ დაქვეითებულთ! —
ბრძანა სოსლანმა და ჯარი მიატრიალა მხარმარცხნივ. —
— ჭვეითო, მარჯვნივ სასწრაფოდ, თორემ უომრად დავმარცხდით, —
ხმა მიაწვდინა მხარგრძელმა არევ-დარეულ ჭვეითთა.
ჯარი ერთ ხაზზე გაეწყო და ომი ისევ შენივთდა,
ისევ შეიქნა მტრის თავზე ფხიანი ხმლების ჯახება.
შეშინებულმა სულთანმა იკადრა უკან დახევა.
ისევ მიჰმართეს სარდლებმა მრავალგზის ნაცად ჯეგვარდნებს
და ნუქარდინის ლაშქარში ისე გულდაგულ შევარდნენ.
გასკდა მტრის ჯარის სიმრავლე, მტრის ბუჭი დადგა სვეტებად,
ვაუგონარი რამ იყო უკანასკნელი შეტევა!
ზევრს ვაეკაცს გადაეფარა წყვედიანი შავი სამარის,
სირცხვილ-ნაჭამმა სულთანმა მოჰკურცხლა თავის ამალით.

უკან დაედგნენ ქართველნი, კაფეთი, ზანჯლების კისკასით:
მეორედ აღარ გაბედოთ შემოქრა ქართლის კიშვარში!



7.

გათავდა ომი თუ არა, ერთად შეგროვდნენ ჯარები,
მხრებზე შეენოდათ მშვილდები და შუბლები ნახანჯლარები.
მკედრებით მოფენილ მინდორზე სიო არ ჰქროდა არსაით.
მუზარადი და ჩაჩქანი ეყარა რიყის ქვესავით.
ზოგან მოსჩანდა მხედარი, ზმლით გაკვეთილი ორადა,
ზოგან დაჭრილი კენესოდა და სისხლის ღვარი ბოლავდა.
როგორც ტყე შემოდგომისა ფოთლის ყვითელი ფოჩებით,
იდგნენ ხელჩართულ ბრძოლაში ნაალაფარი დროშები.
—მალეშკრბოლიო! —

მხარგრძელმა მხედრებმა მხარგრძელს შესძაიეს
და ერთი რჩეულთაგანი

გაქანდა

ოდრახესაკენ.

ჯარის წინ სახელოვანი სარდლობაც გამოაშინადა.
ვახსნეს შეკრული თვალ-წარბი, ფარებს დაეყრდნენ ზვიადად.
წინ გადაშლოდათ საკუთარ მარჯვენით ნაპარტახები,
მზეზე ელავდნენ ლომკაცთა ფოლადის ჩაბალახები.
უცებ საღ იყო, საღ არა... გაშეშდნენ გაკვირვებითა —
არწივთა გუნდი აფრინდა არაქსის ნაპირებიდან.
ჯერ გაპარეს, გაინავარდეს, მზის შუქში გაფერნაირდნენ
და მერე მსხვილი ქანგებით მხრებზე დაასხდნენ რაინდებს.
ამირანივით მოსჩანდა მუზარადიან ტოლებში
ძლიერად მბრძოლი მებრძოლი ბატონ-პატრონი ლორესი.
თამარის თანამეცხედრე, თვით მეფე გვირგვინოსანი
შერდავზე იჯდა ბეჭბრტყელი, შიშვეუვალი სოსლანი
და გაეშალა ლაქეარდში ისე, ვით ლომის ფაფარი,
გორვასლიანი აღამი — გაეკაცთა თავშესაფარი.
ჯარი ძველ ლაშქრულს მღეროდა, ებანებოდა ტყე-ველი
და საქართველო იდგა, ვით გოდოლი შეურყეველი.

• 1942 წ. მაისი. ოძრახე.

პარტიზანი შუკა

1.

სმოლენსკის ხშირსა და დაბურულ ტყეებში, სადაც მზე ძნელად თუ გაატანს, პარტიზანთა მცირე რაზმს დაუდგია ბინა. არც გზა მიდის იქით, არც ბილჩი. ამიტომ შივიდა აქ უგზო გზით თავისი მცირე რაზმით ძია ტეტერჩუკი. სულ ათი კაცი იყო რაზმში, მაგრამ მთელ რაიონში დაბანაკებული ფაშისტები შიშის ქვეშ ჰყავდა ტეტერჩუკს. ისე უეტრად დაესხმოდა მტერს, ისეთ დროს და ისეთ ადგილას მიაყენებდა ზიანს, რომ არამც თუ მტრისათვის, წითელი არმიის ნაწილებსთვისაც კი მოულოდნელი იყო. ძნელი იყო შერჩევა, თუ ვინ იყო ყველაზე მამაცი რაზმში. ყველანი დიდის თავგამოდებით და მამაცურად მოქმედებდნენ. მაგრამ იმ ათ კაცში ორო მაინც გამოირჩეოდა. ერთი იყო თვითონ მეთაური, ძია ტეტერჩუკი, წვერებიანი, რიბიანი, წარბშეკრული, მუხასავით ძლიერი და უდრეკი ადამიანი. მეორე იყო პატარა, ქერა, ხუჭუჭა, ზამბახივით ნაზი შურა. როცა ისინი ერთად დასხდებოდნენ, ასე გვეგონებოდათ, ნაზმა ზამბახმა ძარღვმაგარ მუხას შეადარაო თავი.

ორი თვეა, რაც ამ ბუნაგში ცხოვრობს რაზმი და ასე აღელვებულნი არასოდეს არ ყოფილან რაზმელები. გასაგებიცაა: დღეს რაზმს შურა შორდება. ყველას უყვარდა იგი, ამიტომ ეძნელებოდათ მასთან დაშორება. მაგრამ საკირო იყო მისი წასვლა.

— ეჰ, ვინ იმღერებს და ვინ გვამღერებს უშენოდ? — ჩაიწია ხელი ერთმა რაზმელმა. — ჩქარა დაგვიბრუნდი, შურა, თორემ მოგვეწყინება.

— ვაძლევ შაგას ერთი თვის შეგებულებას, — გაიღიმა მეთაურმა.

— აკი ორ კვირაზე შევთანხმდით? — ეწყინა შურას.

— ეგ შენზეა დამოკიდებული, — უთხრა მეთაურმა. — შეპკრებ ცნობებ, ორი კვირაც გეყოფა... აბა, დავსხდეთ წასვლის წინ: ჩვენი ხალხის წესია...

ჩამოსხდნენ. არავინ იყო ლაპარაკის გუნებაზე. ზოგი ხეს უყურებდა, ზოგი მიწას. შურამ ყველას თვალი გადააველო, შემდეგ ტეტერჩუკის მაშხანაზე შეჩერდა და თავისი პირველი შეხვედრა წარმოუდგა ტეტერჩუკთან.

...ტეტერჩუკის რაზმი მაშინ რკინის გზის გასწვრივ მოქმედებდა და შურამ ადვილად იპოვნა იგი.

— რა გინდა, შვილო, ვის ეძებ? — ჰკითხა ტეტერჩუკმა შურას.

— ძია ტეტერჩუკს ვეძებ, — უპასუხა შურამ.

— მე არავითარ ტეტერჩუკს არ ვიცი, — უპასუხა ტეტერჩუკმა და წარბები შეიკრა. — არც შენ გირჩევ მასთან შეხვედრას. ავოწვეს ყურს და გავგზავნის სადაც საჭიროა, რომ ჰქუა ისწავლო.

— არ შეწყინება, გმირმა რომ ყური ამიწიოს, — ამასად უპასუხა შურამ. — მისი ხელისგან ცხელი ტყვიაც კი მარწყვად მომჩვენდება. რაც შეეხება ჭკუის სწავლებას, დამტოვოს რაზმში და ვისწავლი ჭკუას.

— შენი სიტყვები არა ჰგვანან ბავშვის სიტყვებს, — გაუკვირდას ტეტერჩუკი.

— არცა ვარ ბავშვი, ძია! — ეწყინა შურას. — მეთხუთმეტეში ჩავდექი. რაც შეეხება სიტყვებს, სოფელში ასე ლაპარაკობენ ძია ტეტერჩუკზე...

— მაშ, სოფელში ლაპარაკობენ მასზე? — თითქოს მოლბა ტეტერჩუკი.

— ჰაი, ჰაი რომ ლაპარაკობენ, — წამოიძახა შურამ. — და განა მარტა ჩვენს სოფელში? ყველგან, ყველა სოფელში, ყველა პიონერ რაზმში, ყველა სკოლაში ფრონტს უკან. იცი, ძია, თურმე ტეტერჩუკმა ერთხელ მარტოდ-მარტომ გადააგდო ლიანდაგიდან ყუმბარებით დატვირთული მტრის შატარებელი. თურმე ერთი შეხედვით გამოიცნობს მტერსა და მოყვარეს. მე რომ დამინახოს, უეჭველად ჩამწერს რაზმში. იცის კაცის გამოცნობა.

— ძალიან კი გაუზვიადებიათ? — გაიცინა ტეტერჩუკმა.

— რას ამბობ! განა შენ არ გაგიგონია მისი გმირობის ამბავი? — გაუკვირდა შურას. — ეჰ, რას გელაპარაკებოდი ამდენ ხანს, თუ ესეც იცი, მშვიდობით!

— მოიცა, მოიცა, — კვლავ გაიცინა ტეტერჩუკმა. — ვთქვათ, შეხვდი ტეტერჩუკს, რა უნდა სთხოვო?

— ჩამწეროს თავის რაზმში.

— რა უნდა აკეთო?

— რასაც ძია ტეტერჩუკი აკეთებს.

— ჰა-ჰა-ჰა! — გადაიხარხარა ტეტერჩუკმა ისე ხმამაღლა და გულიანად, რომ ხის კენწეროზე შემომჯდარი ჩიტი დაფრთხა და გაფრინდა. შურას გაუკვირდა, ისეთი რა ვთქვიო.

— მოკლეთ, შენ გინდა ფაშისტებთან ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა? — ჰკითხა ტეტერჩუკმა.

— უეჭველად! — დაასკვნა შურამ. — მე ვერ დავბრუნდები უკან. ძმა ჯარშია, დედა მომიკლეს, მამა პარტიზანია. ბებიილა მყავს შინ, იმან დამართონება. წადიო, მითხრა, შური იძიე ფაშისტებზეო. ჰო-და, მე ვერ დავბრუნდები უკან. ტყე იქნება ჩემი სახლი, ცა იქნება ჩემი ჭერი, — თოვლის ბუმბლა იქნება ჩემი საბანი, ზოლო ჩემი მასწავლებელი ძია ტეტერჩუკი იქნება. უეჭველად მოვსძებნი.

— რომ არ მიგიღოს?

— დღეს არ მიმიღებს, ხვალ მიმიღებს, ხვალ არ მიმიღებს, ზეგ მიმიღებს, მე უეჭველად გამოვადგები.

— აგრე იყოს, — გაეცინა ტეტერჩუკს. — დარჩი, რა გაეწყობა. ოღონდ ამ ადგილებში არ გვიცხოვრება, ტყეში უნდა დავიდეთ ბინა. დამილოცნიხარ პარტიზანად.

იმ დღიდან შურა პარტიზანი გახდა...

— წავიდეთ, — სთქვა ტეტერჩუკმა და ადგა.

რაზმი წამოდგა. უხმოდ დაადგნენ დათოვლილ ბილიქს, რომელსაც, მათ გარდა, ვერაეინ გააჩრედა.

2.



მიდის რაზმი. სიჩუმეა ტყეში. როგორ ეძნელება შურას ამ ტყეში მტრებმა! თითქოს ყოველი ხე მისი მფარველი ძმა და მეგობარი იყოს. „რაზმის ტყეს“ გაატარა აქ.

შურამ ჩქარა გაამართლა თავისი სიტყვები. იგი მზვერაობაში გაიწაფა. შეუძინებლად მიეპარებოდა მტრის ხაზს, ხშირად მტრის განლაგებაშიაც კი შევიდოდა, დაზვერავდა და ძვირფასს ცნობებს მიიტანდა. განა მარტო ცნობებს: რამდენჯერმე ავტომატიც კი მოიტანა. ავტომატი რაა, ერთხელ ყუმბარებით სავსე მარხილი მოაცურა. მეორედ ტყვიამტრქვევი მოაგორა. მესამედ — მტრის ეშელონში აძვრა და ღია ვაგონიდან ორი მოტოციკლი გადმოაგდო. მოსაზრებასა და მოზერებაში ისე გაიწაფა, რომ ძია ტეტერჩუკმა მას საპატიო სახელიც კი შეაჩუქა: „რაზმის თვალი“. შურამ ჩქარა გაამართლა ეს საპატიო სახელიც.

ერთხელ შურა ქშენით მივირდა ძია ტეტერჩუკთან და უთხრა:

— სადღურზე ვიყავი. გავიგე, რომ საღამო ვაშს ჯარით სავსე მატარებელს ვაატარებენ. ჯერ გაუშვებენ ცარიელ მატარებელს, შემდეგ ეშელონს.

— ყოჩაღ, რაზმის თვალი! — შეაქრ ტეტერჩუკმა შურა. — უნდა გადავადოთ ის მატარებელი. აბა, წავიდეთ!

დანაღმეს ვზა, იქ, სადაც ხევი იყო. ტეტერჩუკმა რაზმი ისევ ტყეში შეიყვანა, ხოლო ასაღეთქებელი ზონარი შურას მისცა. ოჰ, როგორ სთხოვდა შურა მისთვის მიენდოთ ეს დიდი საქმე. შურამ არ იცოდა, რომ ტეტერჩუკმა მეორე ზონარიც გააბა და მისი თავი თვითონ დაიჭირა. ვინ იცის, ეგებ ხელი აუკანკალდესო ბავშვს...

აი ზის საფარში შურა და ელის მატარებელს. ტყეში შინდი წევბა და თანდათან სიჩუმე ეუფლება ხევს. გაიარა მშრალმა მატარებელმა. იცის შურამ, რომ ეს მატარებელი განგებაა გაშვებული. კაცი არ არის ზედ, ამიტომ ჰქვიან მშრალი. ჯარით დატვირთული მატარებელი კი უკან მოდის. იმ მატარებელს მოჰყვებიან მისი ქვეყნის ჯალათები. საკადრისად დახვდება მათ შურა.

დეე, მოვიდნენ ფაშისტები! ესენი არიან, რომ დაუნგრეის ოჯახი შურას. დედა მოუკლეს, მამა ტყეში გაუქციეს, ძმა მშვიდობიან ცხოვრებას მოუწყვიტეს. საწყალ ბებიას დღემარად ატირებენ: სად არისო შენი შვილი. ბებია ცრემლით იესებს კალთებს. იმ კალთაში კი რამდენი ზღაპარი მოუსმენია შურას... გადაუხდის შურა მტერს!

დეე, მოვიდნენ ფაშისტები! ესენი არიან, თავლად რომ გადააქციეს შურას სკოლა, დაწვეს წიგნები, წარიტაცეს მასწავლებელი ქალები, გარეკეს კლუბიდან პიონერები. რა კარგი სკოლა იყო! რა ხალისიანი კლუბი იყო! გადაუხდის შურა მტერს!..

დეე, მოვიდნენ ფაშისტები! ესენი არიან, რომ შეპყარეს ხალხი მოედანზე, დახვრიტეს ყოველი მეთაე და გამოაცხადეს: თუ ერთხელ კიდევ თავს დაგვეცნენ მარტიზანები, მთელ სოფელს გადაებუგავთო. რა მზიარული სოფელი იყო შურას სოფელი! ახლა სასაფლაოსავით სდუმს იგი... გადაუხდის შურა მტერს!

ლამის ბინდში მატარებლის ყვეთელი თვალები შემოაქრნენ. თოქოს უჩრბული მოდისო. შურას ხელები აუქანკალდა. კბილები აუქანკალდა. ნუთუ შეეშინდა შურას?

არა! როგორ შეეშინდება შურას, როცა დედაც, მასწავლებელიც, მატარებლებიც მის საფართან დამდგარან და აქეზებენ.

აი წამოდგა მასწავლებელი, უჩვენა გაჩეხილი თავი და ეუბნება:

— შეილო, ამ ძუძუებმა აღზარდეს შენ, ეს ძუძუები შეურაცხვევს ფაშისტებმა. იძიე შური! დამილოცინიხარ, შურისმგებელო!

აი წამოდგა მასწავლებელი, უჩვენა გაჩეხილი თავი და ეუბნება:

— ჩემო აღზრდილო, მე გასწავლიდი სამშობლოს სიყვარულს. დაუმტკიცე მტერს, რომ ღირსეული შეგელი ხარ დედა-სამშობლოსი. იძიე შური! დამილოცინიხარ, შურისმგებელო!

აი, წამოდგა მთელი სოფელი. ხელში ცეცხლწაჭიდებული ძნები უჭირავთ. და ღალადებს სოფელი:

— ჩვენო ბიონერო, ჩვენ ავიშენეთ სკოლა, რომ გესწავლა ქვეყნის სასახელოდ. ჩვენ მოეყვანეთ ყანა, რომ გვეცხოვრა მშვიდობიანად. მაგრამ არ დაგვინდო მტერმა. ნურც შენ დაინდობ, ბიჭუნი. იძიე შური! დაგვილოცინიხარ, შურისმგებელო!

როდესაც მატარებელი მიუახლოვდა ხრამს, ცეცხლი სირბილით ჩაჰყვა ზონარს.

უცებ საშინელმა გრიალმა, ცეცხლმა და კვამლმა გაავსო ხევი. მატარებელი გადაიჩეხა. შურა გამოვარდა საფარიდან და მუშტი მოუღერა ვანადგურებულ ეშელონს:

— აგრე გინდათ! ეგ სამაგიეროა ჩემი მშობლებისათვის, ჩემი სკოლისათვის, ჩემი სამშობლოსათვის!

მუშტი უცებ გაეხსნა, ხელი ჩამოუვარდა. სისხლი ჩამოსდიოდა...

3.

ახლა კი უნდა დაისვენოს შურამ. მართალია ჭრილობა მოურჩა, მაგრამ ძალზე დასუსტდა. საჭიროა შინ დაბრუნება. ბებია უკეთ მოუვლის. თბილად დააწვეს, ნამდვილ საბანს დახურავს. შურა ჯერ უარზე იყო, არ უნდოდა რაზმის შიტოვება. ტეტერჩქმა ხერხს მიმართა.

— დავალბა უნდა მოგცე, რაზმის თვალო, — უთხრა მან შურას. — შენს სოფელში ფაშისტების მოტომექანიზებული ნაწილები ვადაჰყავთ. საჭიროა დაზვერვა. შენზე უკეთესი მზევარავი ჩვენ არა გვყავს. წადი, დაზვერე კარგად. მაგრამ არ აჩქარდე. გაძლევ ორი კვირის ვადას. თუ ცნობები უფრო აღრე იქნება საჭირო, შენთან მოვა კაცი და გეტყვის: „კრემლი“. შეგიძლიან ვადასცე ცნობები.

შურა დასთანხმდა...

ტყის პირას პარტიზანებმა გადაჰკოცნეს შურა, ჩააბარეს იგი ამომავალ მთვარეს და გაბრუნდნენ უკან. შურა დაადგა მთვარით განათებულ ვზას.

სოფელი იღვიძებდა, როცა შურამ ბებიას ფანჯარას დაუკაკუნა...

რა ტბილი ყოფილა მშობლიური ოთახი. რა კარგია საბანქვეშ წოლა. რა საამურია ბებიას გამომცხვარი პური. ყოველივე ამისი ფასი ახლა გაიგო შურამ. ბებიაც ახლებურად მოეჩვენა შურას. უფრო მოხრილია წელში,

თუმცა მეტი სიმტკიცე ჩასდგომია თვალბში. როგორ ამყობს ბებია თავისი შეილიშვილით. ყოველდღე ამეორებინებს „ტროფების“ ამბავს.

— ტროფები კი არა, ბები, ტროფები, — იცინის შურამ და ჩამოუთვლის: — ორი თვის განმავლობაში ჩვენი რაზმის ტროფებს შეადგენენ:

ერთი ეშელონი ჯარი — ავაფეთქეთ,

რვა ორთქლმაგალი — გადაეგდეთ,

სამას სამოცდაათი ვაგონი — დაემტვრიეთ,

ერთი მოპიკირე ყუმბარაშენი — ჩამოვაგდეთ,

ასოცდაათი სატვირთო მანქანა — წავართვით,

სამოცდაათი მოტოციკლი — გამოვიტაცეთ.

— ავტომატებსა და ნაღმებს ნუ იკითხავ. ერთ ბატალიონს ეყოფა, რაც ჩვენ ვიშოვეთ ავტომატები და ნაღმები...

— აგრე, ჩემო ბებიო, აგრე, — ეფერება ბებია. — ახლა კი უნდა დაისვენო.

— ეპ, ბები, ჩვენი დასვენება მანამ არ იქნება, სანამ ფაშისტებს არ ვაგრევათ. შენ, ბები, თუ ვინმემ მიკითხოს, უთხარი ბიცოლასთან იყო-თქო, ავად გამხდარა და ჩემთან ჩამოვიდა-თქო. გესმის? მე აქ დიდი საქმე მაქვს, ბები...

არ დასცალდა შურას ახალი, დიდი საქმის გაკეთება. ერთ ღამეს, როცა შურა ღლისით შეკრებულ ცნობებს იზებირებდა, თორმეტი ფაშისტი დაეცა. ბებია კვილი და ტირილი ასტეხა. მაგრამ შურამ დინჯად უთხრა:

— მტერს ცრემლი არ უნდა აჩვენო, ბები! გადი უკანა ოთახში, მე თავი უნდა დავიცვა.

ფაშისტებმა ფანჯარა შეამტვრიეს. შურამ ყუმბარა ესროლა. არ გასქდა.

— მილაატე, მეგობარო? — მიაძახა ყუმბარას შურამ.

მეტი ყუმბარა არა ჰქონდა. ესეც ძლივს გამოაპარა რაზმს. შურა შეიპყრეს და კომენდანტს მიჰვარეს.

4.

საოკუბაციო ჯარის კომენდანტს ბრძანება ბრძანებაზე მისდიოდა და შენიშვნაც კი ჰქონდა მიღებული, რომ პარტიზანებთან ვერაფერი გააწყო. კომენდანტი თავს იმართლებდა. ხალხი დავაშინე, ბევრიც დავხვრიტე, მაგრამ პარტიზანები მაინც მიუწვდომელი არიანო. ახლა კი, როცა შურა ხელში ჩაიგდო, იმედი მიეცა: ცნობებს მივიღებ, პარტიზანთა კვალში ჩავდგები და უფროსების მადლობას დავემსახურებო. ამიტომ იყო, რომ კმაყოფილებით გაიქნია თავი, როცა შურა კაბინეტში შეიყვანეს. წამოიძახა:

— შაა, ბატონი პატარა პარტიზანი! ვიცით თქვენი ამბები, ყველაფერი ვიცით... აბა, გვიამბე რიგზე: სად არის თქვენი რაზმი? რამდენი ხართ? ვისთან გაქვთ კავშირი?

შურა მიხვდა, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი წუთები და გაბედულად უპასუხა:

— ჩვენი რაზმი იქაა, სადაც მტერია. ჩვენ იმდენი ვართ, რამდენიც პატროსანი საბჭოთა მოქალაქეა თქვენს ზურგში. ჩვენ კავშირი გვაქვს მთელს ჩვენს სამშობლოსთან...

— მე დრო არა მაქვს მაგასთან სალაყოლად, — სთქვა კომენდანტმა, — ნოუგრიხეთ ხელები!

შურას ხელები მოუვრიხეს. შურამ არ გასცა რაზმი.

— მოუვრიხეთ ფეხები! — სთქვა კომენდანტმა.

შურას ფეხები მოუვრიხეს. შურამ არ გასცა სამხედრო საბჭოებში.

— მოუჭირეთ მარწუხი! — სთქვა კომენდანტმა.

შურას მარწუხი მოუჭირეს. შურამ არ გასცა სამშობლო.

— სიკვდილი მაგას! — სთქვა მაშინ კომენდანტმა.

შურა გაიყვანეს და კედელს მიაცენეს.

თებერვლის სქელი, მძიმე თოვლი ცვივოდა ყუმბარებისაგან დათხრილ მიწაზე. ვერცხლის სირმები ჩამოჰკიდებოდა ხის ტოტებს. სიკვდილს გადარჩენილი თითო-ოროლა ბედურა საყენეს ეძებდა ღობის ძირას, სწორედ იქ, სადაც ეილაც ქალი ევდო. შურა დააკვირდა ქალს: შეიცნო ბებია. საწყალი ბებია: შურას ამბის გასაგებად მივიდა, სცემეს და ღობესთან მიაგდეს.

კომენდანტმა ხელი ჩაიჭნია და გაისმა ბათქი. შურამ ნელა ჩაიკეცა. უცებ თვალი მოჰკრა ამხანაგებს: ისინი შეკრებილიყვნენ ოჯახობეში, უყურებდნენ შურას და ტიროდნენ.

— მშვიდობით, ამხანაგებო! იცოცხლეთ სამშობლოსათვის! — მიძახა შურამ და ცრემლები მოსწყდა.

„მტრის წინ ცრემლები? — გაუკვირდა შურას. — ხომ გაიფებს ძია ტეტერჩუკი? სირცხვილია...“

წამოიწია, ხელით კედელს მიეყრდნო... არა სჯეროდათ პიონერებს, როცა სიმღერა გაიგონეს.

გაყინულ პაერში მძლავრი „ინტერნაციონალი“ ისმოდა.

დაჭრილი შურა შურისძიების ჰიმნს მღეროდა...

არც ფაშისტებს სჯეროდათ, როცა სიმღერა მოესმათ. ისინი მივარდნენ კედელს, ეგებ სხვა ვინმე მღერისო. მხოლოდ ბებიამ ასწია თავი. მან იცნო თავისი შეილიშვილის ხმა, ძლივს წამოდგა და შესძახა შურას:

— ბებო, დამილოცინებარ უკანასკნელ სიმღერაზე!

— ხალტ! შესწყვიტე სიმღერა! — დაიყვირა კომენდანტმა და ტყვია შიგ პირში ჩაახალა.

შურამ ხელები გაასავსავა და სოფლისაკენ გაიშვირა, თითქოს სიმღერა გადასცაო სიფელს.

5.

ხმირსა და დაბურულს ტყეში, სადაც მზე ძნელად თუ გაატანს, მარტივანთა რაზმი შეკრებილა. რაზმი იარაღში ჩამჯდარა და საბატოდ დამდგარა. რაზმის წინ მეთაური ტეტერჩუკი დგას, წამწამებზე ცრემლი უთრთის, ხელში გაზეთი უკანკალებს. ტეტერჩუკი ყრუ ხმით კითხულობს:

„...ასე შესწყდა გმირი საბჭოთა ბავშვის მოკლე, მაგრამ წარმატადი სიცოცხლე. მადლიერმა სამშობლომ და საბჭოთა მთავრობამ შურას, საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება მიანიჭეს... დიდება გმირს!“

— დიდება გმირს! — დასძახა რაზმმა.

და თითქოს ტყეშიც დაიშრიალა:

— დიდება გმირს!..

ჩინგიზ-ყაენი*)

ჩინგიზ-ყაენმა გადასწყვიტა ლაშქრობაში მომკვდარიყო

ჩინგიზ-ყაენმა ველარ დაიმშვიდა გული მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ ურჩი ტანგუტების სამეფო ისევ აჯანყდა. დიდ ყაენს არა ჰქონდა დაეწყებულ დამბრუნება, რომ მათ მეფეს ბურხანს დასჯიდა. ყაენმა დაიწყო სალაშქროდ მზადება. შვილები დაიბარა და თან აცნობა, ჯარს შე თვითონ წავეუძღვებო.

მოვიდა სამივე ვაჟი, გარდა უფროსის ჯიუტი ჯოჩისა.

ყაენის მეორე ვაჟმა ჩალათამ, მადეგანგარას მთავარმა, რომელიც მუდამ გადაკიდებული იყო უფროს ძმას ჯოჩის, ოჯახის თათბირზე სთქვა:

— ჯოჩიმ ყივჩაღების ქვეყანა უფრო შეიყვარა, ვიდრე თავისი საკუთარი ულუსი. ხორეზმაში იგი მონღოლებს ნებასაც კი არ აძლევს, ოდნავ ხელი შეახონ რომელსამე ყივჩაღს. ჯოჩი აშკარადაც კი ლაპარაკობს ასეთ უსიციხეილო სიტყვებს: „ბებერი ჩინგიზი ჰკუდიდან შეიშალა, იმდენ ქვეყანა აობრებს და იმდენ ხალხს უღმობელად ღუპავს“—ო. ჯოჩის განზრახვა აქვს მამა ჩენი ნადირობის დროს მოკლას, მუსლიმანებთან მეგობრობის კავშირი შეკრას და მონღოლურ ძირითად ურდოს ჩამოშორდესო.

ამ სიტყვებზე ჩინგიზ-ყაენი სიბრაზით აენტო და ხორეზმაში გაგზავნა თავისი ძმა უტჩიგინი ერთგული კაცებითა და ჯოჩისადმი ბრძანებით — ეხლავე ჩემთან გამოცხადდით.

— წამოსვლაზე თუ უარი სთქვას და ხორეზმაში დარჩეს, — ჩაუფრთხნა ყურში ჩინგიზ-ყაენმა უტჩიგინს, — მაშინ საყვედურს ნუ ეტყვი, ხმასაც ნუ ამოიღებ, ისე დაჰკარი და მოკალი!

ჯოჩიმ პასუხად მამას შემოფთვალა, აუღმყოფობის გამო წამოსვლა არ შემძლიაო და ველეებში დარჩა ყივჩაღებთან. ერთგულმა კაცებმა კი ჩინგიზ-ყაენს მოსწერეს, ჯოჩი-ყაენი გჯანმრთელად არის. ხშირად სარეკ ნადირობა-

*) წელს ამ რომანის გამო ავტორი დაჯილდოებულ იქნა სტალინური პრემიით. იმეკლება ნაწევრით.

ზე დადის, ამიტომ მასთან დაგრჩით, რომ დიდი ყაენის საიდუმლო ბრძანება შეეასრულოთ.

ჩალათა უკანვე დაბრუნდა სამარყანდში თავისი ულუსის უკმევეტბს მოსაწესრიგებლად, ჩინგიზ-ყაენი კი საყვარელი შვილებით უგედღეს და ხულოთ ძაღლის წლის დასაწყისში გაუძღვა ლაშქარს ტანგუტების წინააღმდეგ და შილწია ადგილს ონგონ-ტალანხულუნს. აქ რაღაც საზარი სიზმარი ნახა და დაიწყო ლაპარაკი სიკვდილის მოახლოებაზე. მან გაგზავნა კაცი შვილებთან, რომელნიც სხვა რაზმში იმყოფებოდნენ.

მეორე დღეს გამოცხადდენ უგედღე და თული. როცა მასპინძლობით დაკმაყოფილდნენ, ჩინგიზ-ყაენმა უბრძანა კარავში მყოფთ:

— მე შვილებთან საიდუმლო თათბირი უნდა გაემართო. ჩვენ საზრუნავ საქმეებზე მე მინდა ვილაპარაკო მათთან მარტოდ-მარტომ. თქვენ ყველანი წადით.

როცა ყველა ყაენი და დანარჩენი ხალხი გავიდა, ჩინგიზ-ყაენმა მოისვა გვერდში ორივე შვილი. ჯერ დარიგებას აძლევდა სამეფოს ცხოვრებასა და გამგებლობაზე, შემდეგ კი უთხრა:

— კარგად დაიმახსოვრეთ, შვილებო, რასაც გეტყვით. იცოდეთ, რომ, ჩემდა მოულოდნელად, დადგა დრო ჩემი უკანასკნელი ლაშქრობისა. მონღოლთა მფარველის ომის ღმერთის სულდეს წყალობით მე თქვენთვის, შვილებო, დავიპყარი სამეფო ისეთის უზარმაზარი სივრცისა, რომ მისი ჭიბიდან ყოველ საზღვრამდე ერთი წლის სავლელი გზა არის. ახლა ვამბობ ჩემს უკანასკნელ ანდერძს: „მტერი ყოველთვის მოსპეთ და აღამალეთ თქვენი მეგობრები“. ამისთვის კი თქვენ ყოველთვის იყავით ერთის აზრისა და ყველამ უნდა იმოქმედოთ ერთსულოვნად. მაშინ იქნება საამური და ადვილი თქვენი ცხოვრება, მაშინ დატკბებით მეფობით. ჩემს მემკვიდრედ მე ვნიშნავ, როგორც წინად ვბრძანე, უგედღეს. ჩემს მერმე ის უნდა იქნას გამოცხადებული დიდ ყაენად და აყვანილ იქნას თეთრი საბატოო ქეჩით. იდექით მაგრად და მრისხანედ მთელი სამეფოს და მონღოლელი ხალხის სათავეში. და არ გაბედოთ ჩემი სიკვდილის შემდეგ შერყვნათ ან არ შეასრულოთ ჩემი „იასაკი“. სამწუხაროა რომ აქ არ არიან ჩემი შვილები ჯოჩი და ჩალათა. სამწუხაროა! არ მოხდეს, რომ, როცა მე აღარ ვიქნები, მათ შებღალონ ჩემი სურვილი, ერთმანეთს დაუწყონ მტრობა და სამეფოში ასტეხონ დამღლბველი შფოთი. თუმცა ყველას სურს შინ მოკვდეს, მაგრამ მე მივდივარ უკანასკნელ ომში, რომ ღირსეულად დარჩეს ჩემი სამხედრო სახელი. ნებას გაძლევთ წახვიდეთ.

ამის შემდეგ ჩინგიზ-ყაენმა ჯარითურთ განაგრძო გზა. გზაზე ხედებოდნენ თემებისა და ქალაქების მთავრები და უცხადებდნენ მორჩილებას. ერთი ყაენი გამოცხადდა, მიართვა ხონჩა მსხვილი მარგალიტებით და უთხრა: „ჩვენ გემორჩილებით“. მაგრამ დიდმა ყაენმა, რომელიც გრძნობდა სიკვდილის

მოახლოვებას, არ მიაქცია ყურადღება და ბრძანა, მარგალიტები ჯარი წინ ველში გადაეყარათ. მთელი ჯარი ხოცდა, მაგრამ ბევრი მტვერში ჩარჩა და შემდეგაც ეძებდა ხალხი და ზოგჯერ პოულობდა კიდევ.

— ეხლა ჩემთვის ყოველი დღე უფრო ძვირფასია, ვიდრე ხონჩები მარგალიტებით, — ამბობდა ჩინგიზ-ყაენი და სრულიად მიეცა დარდსა და მწუხარებას.

ამ დროს ტანტუვის მეფემ გამოუგზავნა ჩინგიზ-ყაენს ელჩები. პირადად ჩინგიზმა ელჩები არ მიიღო, და მათ გადასცეს ელიუ-ჩუ-ცაჰის, დიდი ყაენის მთავარ მრჩეველს, შემდეგი სიტყვები:

— ჩვენმა მეფემ რამდენჯერმე მოუწყო დიდ ყაენს აჯანყება, და ყოველთვის ასეთი შემთხვევის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში შეიჭრებოდნენ მონღოლები, ხოცდნენ ხალხს და ალაფებდნენ ქალაქებს. ჩვენს წინააღმდეგობას აზრა არა აქვს. ჩვენ მოვედით, რომ ვემსახუროთ ჩინგიზ-ყაენს. ეთხოვთ ზავს, ხელშეკრულებასა და ურთიერთ ფიცის მიცემას.

ელიუ-ჩუ-ცაჰიმ ელჩებს უბასუბა:

— დიდი ყაენი ავად ბრძანდება. ტანგუტს მეფემ მოითმინოს, სანამ ჩინგიზ-ყაენი მომჯობინდება.

ჩინგიზ-ყაენის ავადმყოფობა დღითი-დღე რთულდებოდა: ყაენი ამჩნევდა დასასრულის მოახლოვებას და ბრძანა:

— როცა მოგვედ, არაფრით არ გაამედავნოთ ჩემი სიკვდილი, ნუ ასტებთ ტირილსა და ვაებას, რომ მტერმა არ გათვოს და სიხარულით არ აღფრთოვანდეს. ხოლო როცა ტანგუტის მეფე და მცხოვრებნი გამოვლენ ციხეებიდან საჩუქრებით, თავს დაესხით და მოსპეთ.

დიდი ყაენი იწვა ცხრაფად დაწყობილ თეთრ ქეჩაზე. თავქვეშ ედვა უნაგირის ნატის ბალიში; ფეხებზე გადაფარებული ჰქონდა მუქი სიასამურის საბანი.

გრძელი და გამხდარი სხეული მეტად მძიმე ჩანდა და ამ ქვეყნის ზარდამცემს უჭირდა განძრევა, დამძიმებული თავის წამოწევა.

იგი გვერდზე იწვა და ესმოდა, რომ ყოველ ამოხვნეშაზე გაისმოდა წერილი ხმა, თითქოს თავის წრუწუნიაო. დიდხანს ვერ მიმხვდარიყო, სად იჯდა ეს თავი. ბოლოს დარწმუნდა, რომ თავი წრუწუნებს მის გულში, რომ, როცა არ სუნთქავს, თავიც ჩუმად — და თავიც მისი ავადმყოფობაა.

როცა გულადმა დაწვებოდა, ხედავდა კარვის ზედა საშუქ ნახვრეტს, რომელიც ბორბალასა ჰგავდა. იქ ზანტად გადადიოდნენ ღრუბლები. ერთხელ შენდნა, რომ მალლა-მალლა ცაში მიფრინავდა წეროების ძლივს დასანახი გუნდი. შორიდან მოისმობდა მათი ჩხავილი, რომელიც შორეულ უნახავ ქვეყნებისაკენ იწვევდა.

ყაენს აგონდებოდა, თუ როგორ ისწრაფოდა მისუღიყუ უკანასკნელ ზღვამდე, მაგრამ უკვე ინდოეთის საზღვარზე ვეღარ გაუძლო სიბნელის, — მთელი მისი სხეული დაფარეს და ჭავილი აუტეხეს წითელმა წინწკლებმა; მაშინ ჯარი უკან დააბრუნა მონღოლეთის გრილ ველებში *სიბნელი*

ეხლა კი დასუსტებული, უმწეო იღუბება ცივი ტანგუტის ხეობაში, ლილისფერ მთებს შორის, სადაც დილით წყალი იყინება თასში. ყოველ წუთს ძალა უფრო და უფრო ეცლება, ექიმები კი ან ატყუებენ, ანდა ვერ პოულობენ იმ ბალახს, რომელიც დაეხმარება ისევ შეგადეს ცხენზე, დაედევნოს ფეხგრძელ ირმებსა ანდა ყვითელ ურჩ კულანებს... კულანებს? სადაა მშვენიერი ურჩი კულან-ხათუნი? ისიც აღარ არის! მაშინ მართალი გამოდგა ჩინელი ბრძენი: „უკვდავების მიღების საშუალება არ არსებობსო“.

ყაენი ჩურჩულებდა და ძლივს ამოძრავებდა გამშრალ ტუჩებს:

— ასეთი ტანჯვა არ ვაღამიტანია, როცა ჩემს ხელქვეით ვაერთიანებდო მონღოლეთის ლურჯი ველების მრავალრიცხოვან ხალხს... დიდი გაჭირვება იყო; ისეთი გაჭირვება, რომ უნაგირის მოსართავეები წყდებოდა, ტყდებოდა რკინის უზანგები.. მაგრამ ახლა ჩემი ტანჯვა აუტანელია. მართალს ამბობენ ჩვენი მოხუცი კაცები: „ქვას ტყავი არა აქვს, აღამიანს არა აქვს მარადისობა...“

ჩინგიზ-ყაენი ჩაეარდა მოუსვენარ ძილში, თავი კი უფრო და უფრო ძლიერად წრუწუნებდა. გვერდები ჩხვლეტდა და სულთქმა ხანგამომგებით წყდებოდა.

როცა ყაენი გამოერკვა, მის ფერხითი მუხლებზე იჯდა ჩინელი ელიუჩუ-ცაპი. ჩინგიზ-ყაენივით გრძელი და გამხდარი ეს ბრძენი მრჩეველი დაკვირვებულ თვალს არ ამორებდა ავადმყოფს. ყაენმა სთქვა:

— რა იცი... კარგი... და ცუდი?

— ბუხარის ქვეყნიდან მოვიდა შენი თარჯიმანი მახმუდ-იავაჩი. ის ამბობს, რომ იქ...

ყაენმა უკმაყოფილოდ შეანძრია ხელის გული, და ჩინელმა ხმა გაკმინდა.

— მე გეკითხები, — ჩაიჩურჩულა ჩინგიზ-ყაენმა. — რა მოვიმოქმედე... ცხოვრებაში.. ცუდი... და კარგი?

ელიუ-ჩუ-ცაპი ჩაფიქრდა. რა უნდა ვუთხრა ამ სოფლიდან მიმავალსო. მის მენსიერებაში უეცრად გაიღვეს ასეულმა სახეებმა... მან დაინახა აზიის ლურჯი მთა და ბარი, ცრემლითა და სისხლით ამღვრეული მდინარეებით გადასერილი... მოაგონდა ჭალაქების ნანგრევები, რომლის გამურულ კედლებზე ზროვად ეყარა აჩეხილი და დასივებული გვამები ბებრების, ბავშვებისა და ახალგაზრდების, შორიდან კი ისმოდა დაბნული ღრიანცელი მოყარეშე მონღოლებისა და მათი დაუეიწყარი ღმუილი მტირალ მცხოვრებთა გაყვლების დროს: „ასე ბრძანებს ისა! ასე ბრძანებს ჩინგიზ-ყაენი!“

გახრწნილი გვემების საშინელი სიმყრალე ერეკებოდა ნანგრევებში დადარჩენილ უკანასკნელ მცხოვრებლებს და ისინი იმალებოდნენ ვიწრობებში, ფაცხებში და ყოველ წუთს ელოდნენ მონღოლების უკან დაბრუნებას და შათ ქამანდის მარყუებებს, რომელიც წაიყვანდა მტარველნი...¹⁾ ერთმა სურათმა გაიელვა თვალთა დამაბნელებელი სიცხადით. დანგრეული სამარყანდის გალავნის ახლო პირადმა, გრძელ ფეხებ-გაფშეკილი ეგდო ვეებერთელა გაძვალტყავებული აქლემი; სიცოცხლე კიდევ შენარჩუნებოდა თაფხარდაცემულ თვლებს. შიმშილისაგან გაშავებული რამდენიმე კაცი ნიდაყვამდე გასისხლიანებული ხელებით ერთმანეთს ეჭიდებოდა, რათა აქლემის გაბობილ მუცლიდან გამოეგლიჯათ შიგნეულობა და იქვე საჩქაროდ შეექამათ... უხმოდ მდებარე „ქვეყნის ზარდამცემი“, კან-გადამხმარი, გრძელი ფეხებითა და გაშეშებული ხელებით ჰგავდა სწორედ იმ აქლემს, და სიკვდილის ისეთივე შიში ჩანდა მის ნახევრად გაღებულ თვლებში... მის სხეულთანაც უკვე ეჭიდებოდნენ ერთმანეთს მემკვიდრეები და ცდილობდნენ სისხლიანი უზარმაზარი მემკვიდრეობისაგან წაეგლიჯათ, რაც შეიძლება უფრო დიდი ლუკმა.

— ნუთუ... არ შეგიძლია... გაიხსენო? სოქვი!

ელთუ-ჩუ-ცაპიმ წაიჩურჩულა:

— შენ მოიმოქმედე ცხოვრებაში ბევრი დიდი და საშინელი, შემზარავი საქმე. სიმართლის აღნუსხვას მოახერხებს მხოლოდ ის, ვინც დასწერს წიგნს შენს ომებზე, ნამოქმედარზე და ნათქვამზე.

— ებრძანებთ... მოიწვიოთ... მცოდნე კაცები, რომ... მათ... დასწერონ... ამბავი... ჩემ ომებზე... ნამოქმედარზე... და ნათქვამზე...

— შესრულებული იქნება. ²⁾

კარავში სიჩუმე იყო. ზოგჯერ კოცონზე ტკაცუნებდა მუგუზალი, ანდა სახურავიდან შემოვარდნილი ქარი შეატრიალებდა ლურჯ კვამლს ხმელ აბზინდასა და მანანას კოცონზე. ისევ გასისინდა სიტყვები:

— მაინც რა... არის... ჩემს ნამოქმედარში... ყველაზე უკეთესი?

მომაკვდავის დასამშვიდებლად ელთუ-ჩუ-ცაპიმ სთქვა:

— შენს ნამოქმედართ შორის ყველაზე უკეთესია შენი კანონები „იასა“. თუ ამ კანონებს პატივით მოეპყრობიან, შენი შთამომავლობა მთელს ქვეყანაზე იბატონებს ათიათას წელიწადს. ³⁾

¹⁾ ჩინგიზ-ყაენის სიკვდილის შემდეგ, თანადამსწრეთა ნაამბობის მიხედვით, დაწერილ იქნა ოფიციალური მატთანე მის ცხოვრებასა და ომებზე მონღოლურ, ჩინურ, თათრულ და სპარსულ ენებზე. ამ მატთანეს აბასიათებს ჩინგიზ-ყაენისა და მონღოლთა მიერ სხეების დარბევის ზოტბა, და შერყვნილია ნამდვილი სურათი ამბებისა, მართალს სწერდა თანამედროვე მემატიანე, არაბი იბნ-ასარი და ორიოდ სხვა.

²⁾ დაპყრობილ ჩინეთიდან მონღოლები განდევნეს ჩინგიზ-ყაენის გარდაცვალების 141 წლის (1368 წ.) და კულიკოვოს ველზე დაამარცხეს 153 წლის შემდეგ (1380 წ.).

5. „შნათობი“, № 9.

— მართალია მამინ... დადგება... მშვიდობა... საფლავეები... უდაბნო ვე-
ლები დაიფარება სქელი ბალახით... და სამარხ ყორღანთ შორის... იძიებენ...
მხოლოდ... მონღოლთა ცხენები.

და სიჩუმის შემდეგ ყაენმა დაუმატა:

— და თავნება... კულანები...

ჩინგიზ-ყაენი იწეა უძრავად, თვალდახუჭული, ცხვირი წაწვეტოდა და სა-
ფეთქლები ჩაეარდნოდა.

ფეხაკრევით შევიდნენ ჩინელი ექიმი მახმუდ-იალვაჩი და მთავარი ქურუ-
მი. ორივემ დაიჩოქა ყაენის ფეხთან და სულგანაბული უცდიდნენ, როდის
მოიხედავს ყაენი და დაილაპარაკებსო.

— როგორ მართავს... დასავლეთ საუფლისწულოს... ჩემი შვილი... ჩა-
დათა?

მახმუდ-იალვაჩი, კეთილ-შესახედავი, გამოწყობილი კაცი, თოვლივით
თეთრ დოლბანდიანი, რომელსაც ხელები გადაეგვარედინებინა ზორბა მუ-
ცელზე, მიწამდე დაიხარა.

— შენი სახელოვანი ვაჟი ჩადათა, ყველა მონღოლი-ბუმბერაზი და მისი
საუფლისწულოს ყველა დაპყრობილი ხალხი სეიხუნისა და ზერაფშანის ნა-
პირებზე ალლაჰს ევედრებიან შენ განკურნებაზე და გისურვებენ მრავალ-
წელს შეფობას.

— როგორ მართავს... ჩრდილოეთის ხალხთა მმართველი... ჩემი... უფრო-
სი ვაჟი... ჯოჩი-ყაენი?

მახმუდ-იალვაჩმა სახე ხელებით დაიფარა. მონღოლური ჩვეულებით, ური-
გოა გადაცვალებულ ახლობელ კაცს ლაპარაკში უწოდო მისი ჩვეულებრივი
სახელი, რომელიც გახდა უკვე „წმინდა აჩრდილად“, არამედ სავალდებულოა
ქარაგმით დასახელო, ნამდვილი სახელი სხვა პარტიესაკემი სიტყვებით შეს-
ცვალო. ამიტომ მახმუდ-იალვაჩმა შორიდან დაიწყო:

— როცა თქვენი ბრძანებით ჩრდილოეთის ხალხთა მმართველობა მიიღო,
ბეგებს გამოუცხადა, რომ ემზადება დიდი ლაშქრობისათვის...

— ჩემ წინააღმდეგ?

— არა, ჩემო დიდო ხელმწიფე! ისრის წვერი მიმართული იყო დასავლე-
თსაკენ, ბულგარების, ყივჩაღების, საქსონებისა და რუსების წინააღმდეგ.
მაგრამ ლაშქრობა ველარ მოხდა და მეომრები დაუბრუნდნენ თავიანთ საღ-
გომებს.

— განმარტე!

— ყაენის ოჯახისათვის ველში გამართული იყო დიდი ნადირობა. ხუთი
ათასი ნუკერი გაემწყრივა დაბლობის მოსარეკად. ლერწამიდან გამოაგდეს
მრავალი ტახი, მგელი და რამდენიმე ვეფხი. მეორე ხუთმა ათასმა ცხენოსანმა

მოდენა შორეულ ველებიდან არჩვი, ჯეირანი და გარეული ცხენი. როცა ნადირობის შემდეგ, საღამოს ავიზგიზდა კოცონები და ნადიმი უნდა დაწყებულყო, ნუკერებმა ველარ იბოვეს ის, ვინც საშინელ ბრძოლებიდან გაშოდოდა ისრით გაუკაწრაფი. დიდხანს ეძებეს და ბოლოს იბოვენეს, მაგრამ რა მდგომარეობაში! ის მარტოდ-მარტო იწვა ველში, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ერთი წვეთი სისხლიც არ ჩანდა, მაგრამ არ შეეძლო ერთი სიტყვის თქმაც კი, მხოლოდ იცქირებოდა სიბრაზით საცხე მიხვედრილი თვალებით.

— ნუთუ დაიღუპა... ის...

— დაიღუპა ყველაზე უფრო ახლობელი და ძვირფასი სახელმოსილი შენი ბუმბერაზი, — უცნობ ავაზაკებს ზურგის მძივი ჩაემტვრიათ.

ჩინგიზ-ყაენს სახე დაემანჯა. ხელებმა სიასამურის საბანი დაკმუჭნეს.

იგი ჩურჩულობდა:

— უტჩივინი აჩქარდა... დიდი ბუმბერაზი და გამოცდილი სარდალი აღარ არის... შემცვლელიც არავინაა! ვინ არის ახლა ხორეზმის მმართველი?

— შენი ახალგაზრდა შვილიშვილი ბათუ და მას ხელმძღვანელობს მისი ბრძენი დედა, რომელმაც მოიწვია ნუკერები და ბავშვთან ერთად ავიდა ყორღანზე. ბათუ-ყაენი იჯდა მამის წაბლისფერ საომარ ცხენზე. ფიცხმა ბავშვმა ნუკერებს შესძახა: „ისმინეთ, ბუმბერაზებო, ქვეყნის ოთხივე მხარის დამპყრობლებო! თქვენი ხმლები ენადებია! ალესეთ შავ ქვაზე! მე გაავიძღვებთ წინ. გრივალევით გადავალახავთ მტრის მიწებს და მე გაავადართოვებ ჩემი ბაბუის ჩინგიზ-ყაენის სამეფოს სამყაროს უკანასკნელ საზღვრამდე... ვფიცავ აგრეთვე, რომ მოვძებნი და ცოცხლად მოგხარშავ ქვაბში იმ ავაზაკებს, ვინც მამა ჩემი დაღუპა!

ჩინგიზ-ყაენმა წამოიწვია. ნიდაყვზე დაყრდნობილი, გალურჯებული და საშინელი, არეული თვალებითა და სულმეხუთული ძლივ-ძლივს ისროდა სიტყვებს:

— კარგია სიყმაწვილე... თუნდაც დარჯჯი გქონდეს კისერზე... როცა გამარჯვება გინათებს წინ...!). მაგრამ ბათუ ჯერ კიდევ ბავშვია... ბევრ შეცდომას ჩაიდენს... იმასაც დაღუპავენ! ვბრძანებთ, ბათუს გვერდში... ყოველთვის იყოს მრჩეველად... ჩემი ყველაზე უფრო ერთგული... თათებმოკვნივტილი ავაზა, ფრთხილი სუბუდაი-ბუმბერაზი... იგი მოუვლის და დაასწავლის, როგორ უნდა ბრძოლა. ბათუ განაგრძობს ჩემს დამპყრობელობას... და ქვეყანას გადასწვდება მონღოლთა ხელი.

ჩინგიზ-ყაენი გვერდზე დავარდა. მარცხენა თვალი მიეკუტა, მარჯვენა თვალი, მოელვარე და ბოროტი აკვირდებოდა იქ მსხდომთ.

1) ჩინგიზ-ყაენმა სამი წელი ვაატარა ტყვე-მონად მტრისას მძიმე დარჯჯით კისერზე.

ყველა თვალუბრაბრილი სდუმდა და მეხსიერებაში აღსდგა პორტრეს სიტყვები: *)

ოთხი უძლური ადამიანი იჯდა

გამარჯვებას ნაჩვევ ძლიერი სარდალის გვერდით.

ესენი იყვნენ: ექიმი, მისანი, დერვიში და ვარსკვლავთმრიცხველი.

მათ წამალიც ჰქონდათ, ძველი შელოცვებიც,

თილისმაცა და გოროსკომიც.

მაგრამ ერთი იოტის ოდენადაც განკურნება ვერ მიანიჭა ვერც ერთმა.

სიჩუმეში დაიჭიხენია კარავთან მდგომმა ცხენმა. ყველამ შეკრთომით შეხედა ყაენს — მის მარჯვენა თვალს ბრწყინვალეობა დაჰკარგოდა, ჩამქრალიყო.

ჩინგიზ-ყაენს დიდი ხანია უკვე თან დაჰქონდა კუბო, ვაშოთლილი მთლიანი მუხის კუნძისაგან და შიგნიდან ოქროთი მოჭედილი. შვილებმა დამით ნამალევედ დადგეს იგი ყვითელი კარვის შუაში. ჩინგიზ-ყაენი ჩასდეს კუბოში საომარ-ჯავშანაღჭურვილი. გულზე დაკრეფილ ხელებში ეჭირა გალესილი ხმლის ტარი. მოსევადებული ფოლადის შავი ზუჩი კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ხდიდა გაფითრებულ ქუთუთოდაშვებულ მკაცრ სახეს. კუბოს ორივე მხარეზე ეწყო მშვილდი და ისრები, კვესაბედი და სასმისი თასი.

ყაენის ბრძანების თანახმად, ჯარის უფროსები მალავდნენ მისი სიკვდილის საიდუმლოებას და განაგრძობდნენ ტანგუტების მთავარი ქალაქის გარემოცვას. როცა ტანგუტები გამოვიდნენ ქალაქის ბუეკარებიდან საპატიო ძღვენითა და ზავის წინადადებით, მონღოლები თავს დაესხნენ მათ, ჯერ ყველანი გაელიტეს, შემდეგ შეგარდნენ ქალაქში და ნანგრევებად აქციეს იგი.

ჩინგიზ-ყაენის კუბო მონღოლებმა გაახვიეს ქეჩაში, დადგეს ორბორბლიან ურემზე, გაუბეს თორმეტი ხარი და დაბრუნდნენ შინ. რომ ღროზე აღრე არავის შესძლებოდა გაეგრცელებინა ქვეყნის მბრძანებლის სიკვდილის ამბავი, ბუმბერაზები ჰკლავდნენ, სანამ არ მივიდოდნენ ძირითად ურდოში, ყველას, ადამიანებსაც და ცხოველებსაც, ვისაც კი შეხვდებოდნენ გზაზე და თან ეუბნებოდნენ მომაკვდავთ:

— წადით ღრუბელთიქითა სამეფოში! ბეჯითად ემსახურეთ იქ ჩვენს წმინდა მმართველს!

სახალხო ტირილის დროს ჩინგიზ-ყაენის განთქმულმა ბუმბერაზმა ჯებენოინმა, რომელმაც სძლია მერკიტებს, ჩინელებს, ყივჩალებს, ირანელებს, ქართველებს, ალანებსა და რუსებს, განაცხადა:

— ერთხელ ის, „ვინც მოაწყო ჩენი სამეფო“, ნადირობდა ბურხან-ხადუნის მთაზე. უდაბურ ადვილას, მთის ფერდობზე იგი ისვენებდა ბებერი ხის

*) ხოსრევანი (X საუკ.).

ძირში. „მას, ვინც ახლა უკვე აღარ არის“, მოეწონა ეს უდაბური ადგილი და მეტად მაღალი, ტანადი, ღრუბლებზე მიბჯენილი კედარი. და მე /გავიგონე მისი შემდეგი სიტყვები: „ეს ადგილი მოხერხებულია ~~გირჩეული~~ ^{გირჩეული} ირმების საბალახოდ და მე შემეფერება უკანასკნელ დასასვენებელ ადგილად. დაიმახსოვრეთ ეს ზე“.

ყაენის სარდლებმა, ბრძანების თანახმად, მთაზე მონახეს ის ადგილი, სადაც იზრდებოდა არაჩვეულებრივი სიმაღლის კედარი, მის ძირში ჩაუშვეს მიწაში კუბო ჩინგიზ-ყაენის გვამით.

საფლავის ირგვლივ თანდათან გაიზარდა ისეთი ხშირი და უდაბური ტყე-რი, რომ შეუძლებელი შეიქნა მისი გავლა და სამარხის ნახვა, ისე რომ აღკრძალული ადგილის თვით ძველ მცველებსაც კი აღარ შეუძლიანთ გაიკვლიონ გზა.

6. ლორთქიფანიძის თარგმანი.

ლადო ავალიანი

ახალი მისამართი

ოპში წასულ შვილზე ფიქრი ტელეფონის ზარმა შეაწყვეტინა დავითს. უკანასკნელად მიღებული წერილის შემდეგ კარგი ხანმა განვლო, მაგრამ გამოუცნობი შიშით აღსავსე დუმილი შვილისა მანც არ აღონებდა მამას. კარვად იცნობდა შვილის ხასიათს: სხვაფრივ გულუხვი, წერილების წერაში მეტად ძუნწი იყო.

სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ დავითი, სანამ ვაყის ბედ-იღბალზე ფიქრით მოიღლებოდა ან უეცრად აღძრულ კითხვებზე საკუთარ თავს პასუხს გასცემდა, სანამ გაზეთის ძირითად ცნობებს გულდასმით გადაიკითხავდა, რვა საათიც შესრულდებოდა ზოლმე. რამდენიმე წუთის წინ ჩამოჰკრა თუ არა საათმა რვაჯერ, დავითმა გაზეთი მოკეცა, თავი დახარა და კითხვით მოღლილი თვალის ქუთუთოები მოხუკა.

ამ მდგომარეობაში, ალბათ, დიდხანს იფიქრებდა შვილზე, ტელეფონის ზარს რომ ეცლია. როცა ტელეფონის ზარმა მესამედ გაიწყარუნა, დავითმა თვალის გაუხეღად, ხელის ჩვეული მოძრაობით მილი აიღო და უსიამოვნოდ ჩასძახა: „გისმენთ!“ შემდეგ უცნობის პასუხზე მკვირცხლად წამოიჭრა ზეზე და რამდენჯერმე რაღაც გაურკვეველი შეძახილი გაიმეორა, რაც დასტურსაც გამოსატყვევად, გაკვირვებდასაც და შეკითხვას. დავითის კილომ, შეშფოთებამ, გაკვირვებამ და ბოლოს აღტაცებამ უნებურად მიიპყრო ოჯახის დანარჩენ წევრთა ყურადღება.

როცა დავითმა ტელეფონით ლაპარაკი მოათავა, მილი ერთხანს კიდევ ეჭიქრა ხელში, შემდეგ ფრთხილად დასდო იგი ორკაპზე, ოთახი მარდად გაიარა, პალტოსა და ქუდს ეცა, ხელი უკან წაიღო, მაგრამ სახელოს ვერ უსწორა. მღელვარებისაგან ხელები უკანკალებდა. შინაურების შეკითხვებიც აღარ ესმოდა. ცოლმა ძალით გამოსტაცა პალტო და მწყურაღად ჰკითხა:

— რა იყო, კაცო?

დავითმა შიშნარევი ღიმილით გადახედა ცოლს, შუბლზე ხელი გადაისვა, ფუსფუსში შუბლზე მომდგარი ცივი ოფლი მოიწმინდა და გაიფიქრა: „ვუთხრა, თუ...“ და, რაკი გადასწყვიტა ჯერჯერობით არაფერი ეთქვა ახალი, მოულოდნელი ამბვის შესახებ, სწრაფად შებრუნდა, ზურგი უჩვენა და უკან გაშვებული ხელები შეგებებულ პალტოს სახელოში ჩაჰყო. მერე ქალარა თმით შემოსილ თავზე ქუდი დაიხურა და კარისაკენ გაემართა. ცოლი ჯერ უკან მისდევდა, ბოლოს ველარ მოითმინა და კვლავ გაუმეორა:

— რა არის, რა მოხდა? — და გზა მოუჭრა, კარებში ჩაუდგა.

— ჯერ არაფერი, — მიუგო ქმარმა, გაოცებული, გაწბილებული ცოლი გზიდან ჩამოიშორა და ჩქარის ნაბიჯით ღერეთანი გაიარა.

სიბნელეში კარის საკეტის ხმა გაისმა და მერე ისევ მყუდროება ჩამოვარდა. დედა და ქალიშვილი ერთხანს უძრავად იდგნენ ბნელ დერეფანში, მერე ერთად ამოიხრეს და ოთახში შებრუნდნენ.

ქალიშვილი როიალს მიუჯდა. კარგა ხანია აღარ დაუძრავდებოდა ოთახის მყუდროება მისი თითებით ამეტყველებულ კლავიშებს, მოცარტის, ლისტის და სხვათა ჰანგებს, რომლებიც ასე ხშირად და მომხიბლავად გაისმოდნენ ადრე. დედამ ერთხელ-კი გაოცებით გადახედა ქალიშვილს, მაგრამ არ დაუშალა... ათასგვარ უსიამოვნო ფიქრთა კორიანტელში დამამშვიდებელ, შემამსუბუქებელ ნაკადად იჭრებოდნენ ნაცნობი ჰანგები და შეუშინველად აწყნარებდნენ მას...

დავითი შორს არ წასულა. სახლის წინ ბუღვარზე ჩქარის ნაბიჯით ბოლთასა სცემდა. იგი ელექტრონის ბოძთან თუ შეჩერდებოდა ხოლმე დრო და დრო — საათის გასასინჯავად. მის ყურადღებას მარტო აეტოს ხმაური აღიზიანებდა, ქუჩაში მოსიარულენი კი ლანდებივით დაქროდნენ მარცხნივ და მარჯვნივ. არც ნაცნობს ეგებებოდა დავითი, არც უცნობს აკვირდებოდა. მისს ერთადერთ საფიქრებელს ყველაფერი ჩაენთქა...

სადარბაზო შესასვლელიდან დავითის მეზობელი გოგონა გამოვიდა. დავითის დანახვით გახარებულმა თავისთვის გაიღიმა და გაიფიქრა: თვითონ შემინიშნავს და მომესალმებაო, მაგრამ არ გაუმართლდა იმედი. ერთ წუთს უძრავად იდგა, შემდეგ დავითისაკენ გაეშურა და პირისპირ შეეგება. დავითმა თავის აულებლად, თავაზიანად უტია და გზა განაგრძო. გოგონა სახტად დარჩა, გაოცდა: „ხომ არ მოეტყუვდი, იქნებ...“ — გაიფიქრა მან. თუმცა დიდი ხანი არ გასულა, რაც დავითი გაიცნო, მაგრამ როგორ შეიძლებოდა, რომ...

გაწბილებული გოგონა უკან აღარ დასდევნებია. მოცდა ამჯობინა, სანამ იგი მობრუნდებოდა. როცა ფიქრებში გართული დავითი მოლიმარ გოგონას გაუსწორდა, გოგონამ მკლავზე ხელი შეახო და ჩაფიქრებული უნებურად შეაერთო. დავითი შესდგა, გაოცებით შეავლო თვალი, მერე გაუღიმა და ხელი გაუწოდა.

— ძია დავით, როგორც ვეტყობათ, გამოცდილი არ უნდა ბრძანდებოდეთ!

— რაში, ქალბატონო? — გულუბრყვილოდ გაიკვირვა დავითმა.

— აღგიღის არჩევაში... პაემანისათვის!

— ჩემი დღევანდელი... პაემანი მეტად უჩვეულო და ამაღლევებელია.

— მღელვარება ყოველთვის თან უნდა ახლდეს პაემანს. წესია, ძია დავით, მიჯნურმა საიდუმლო უნდა შეინახოს, მაგრამ იქნებ მენდოთ და...

— გენდობით, მაგრამ უმჯობესია თქვენი თვალით იხილოთ და დარწმუნდეთ.

დავითმა ჰიანურის შავ, მოგრძო ბუდეს გადახედა, რომელიც მარჯვენა ხელში ეჭირა გოგონას.

— ხომ არ გავვიანდებით კონცერტზე?

— არა, — გოგონამ საათს დახედა, — ორმოცი წუთი კიდევ არის ჩემს განარგულებაში.

— მაშ ოცი წუთი შესწირეთ ჩემს საიდუმლოს.

— ვწირავ.

— სასიამოვნოა. კარგია გამართეთ, თორემ მარტოხელა კაცი თუ ფიქრებმა დაიმართოხელეს...

— რა მოხდა, რაზე ფიქრობთ?

— შავის გასაგებად, მე შგონია, 15 — 20 წუთი იკმარებს... დიდ შოლოდინში ვარ...

შურამ გაოცებით შეხედა დავითს, მერე საათი ერთხელ კიდევ გასინჯა: ხუთი წუთი გასულიყო. შურამ მკლავში ხელი გამოსდო დავითს. რამდენიმე წუთი ბულვარზე წინ და უკან სეირნობაში გაატარეს.

ორივე სდუმდა. ორივე თავისთვის ფიქრობდა. ორივე ელოდა.

რამდენიმე თვის წინათ შურას სამშობლო ქალაქი მტერმა დაიკავა. ქალაქიდან ლტოლვილებმა სამშობლოს მახლობელ და შორეულ კუთხეებს შეაფარეს თავი. შურა მამითურთ საქართველოსაკენ გამოეშურა ლტოლვილ მუსიკოსთა ჯგუფთან ერთად. შურას და მის მამას დავითთან დაბინავება ხვდათ წილად. დავითის ოჯახმა შინაურულად მიიღო ლტოლვილი. საუბარში შურა ხშირად იგონებდა თავის უფროს დას, რომელიც ომის დაწყების დღიდანვე ფრონტს ემსახურებოდა.

ხუთი წუთი კიდევ გავიდა. თხუთმეტი წუთის ლოდინმა შურას მოთმინება გაუნახევრა, მაგრამ, გარდა იმისა, რომ შეპირებული იყო, თვითონაც აინტერესებდა მია დავითის პაემანის ფინალი.

ის იყო დავითმა ელექტრონის ბოძთან მიიღბინა და საათს თხუთმეტ წუთში მეთხუთმეტედ დაჰხედა, რომ ბულვარის ნაპირას, მათ შორიასლოს, ავტობუსი შეჩერდა და მკაფიოდ გაისმა ქალის ხმით წარმოთქმული დავითის გვარი, სახელი და მამის სახელი. დავითი შეტორტმანდა... ხელიდან გავარდნილი საათი ძეწყვზე დაეკიდა და დაბზრიალდა...

შეცივებულივით აცახცახებულმა დავითმა ავტობუსთან მიიღბინა, კაბინის ფანჯარაში გადმოყუდებულ ახალგაზრდა ქალს ხელი გაუწოდა და დაბნეულობისაგან, სიჩქარისაგან, სიხარულისაგან მსუქან, დაედაჟა ლოყაზე აკოცა.

გოგონა მშვიდად დაუხვდა დავითის ასეთ შეგებებას.

შორიასლოს მდგომ შურას სიწითლემ გადაჰკრა სახეზე. გაპარვა დააპირა: დავითს მართლა პაემანი დაუნიშნავსო, — გაივლო გუნებაში და ავტობუსის ჩრდილში მიდგა...

— სად არის... — ამოიღვა ენა დავითმა, მაგრამ მღელვარებისაგან სათქმელი ვეღარ დაამთავრა.

ახალგაზრდა ქალმა მშვიდად, ბოხი ხმით ამცნო: აქ არისო, კაბინიდან გადმოვიდა, ავტობუსის კარი გაღო და დავითის გვარი გაიმეორა. მერე კარებთან მომდგარ დაქრილს ხელი შეაგება, დავითისაკენ თავი მიიბრუნა და ახარა:

— აა თქვენი ვაჟი!

დავითი სწრაფად მიეშველა ვაჟს და როცა მიწაზე ფეხი დაადგმევინა, გადაეხვია და შუბლზე აკოცა.

ამ ახალგაზრდა ქალმა დაურეკა დავითს საღვურიდან: თქვენი ვაჟი ჩამოვიყვანე და ბინაზე მოგვერითო.

დავითმა მარტო იმის შიშით ვერ გაუმხილა ვაჟის ჩამოსვლის ამბავი შინაურებს, რომ არ იცოდა, რა ყოფაში ნახავდა შვილს. ახლა კი ერთი შეხედვით, გარეგნულად, უვნებელი რომ ნახა, ანგარიშმიუცემლად, კმაყოფილებით წაიბუტბუტა თავისთვის: მადლობა გამჩენსო.

— ძია დავით, — გაისმა შურას მორიდებული ხმა. მან დაუფრთხვებლად დასდო თავისი საყვარელი, სათუთი საკრავი ბულვარის ფილაქანზე და დავითის მკლავს ჩასკიდა ხელი: — გამაცანით თქვენი ვაჟი. *მედიცინის*

სანამ დავითი მიჰხედავდა, ახალგაზრდა ქალმა, მედიცინის *მედიცინის* სამსახურს ჩემს გავონებაზე ყური სცქვიტა, დააკვირდა, მერე ისე დაჰკრა მზარზე ხელი, რომ შურამ ცალი მუხლით ჩაიჩოქა.

— აი სადა ყოფილა ეს ცელქი ესა! — კმაყოფილებით, საყვედურით და სიხარულით წამოიძახა სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა მედიცინის დამ.

დები მაგრა გადაეხვივნენ ერთმანეთს.

შურას დას ორი დაჭრილი შეომრის საავადმყოფოში მოკეთების შემდეგ სამშობლოში წაყვანა დაავალეს შვებულების გასატარებლად. მედიცინის დამ სიამოვნებით იკისრა დაელება, მით უმეტეს საქართველოს ნახვა ადრეც ენატრებოდა...

ყოველგვარ სიამოვნებას ელოდა საქართველოში მომავალი, მაგრამ როგორ მოიფიქრებოდა, თუ ამ სიამოვნებას გაუთვალისწინებელი სიხარულიც დაემატებოდა...

— ძალზე კმაყოფილი ვარ საქართველოთი! — მიმართა მედიცინის დამ დავითის ვაჟს.

შემდეგ შურას მიუბრუნდა, ახალი მისამართი გაამეორებინა, სახლსაც ახელ-დახედა, ქუჩაც მოათვალიერა და უთხრა:

— როგორც კი მეორე დაჭრილს (იგი ყველა იქ მყოფს გააცნო დავითის ვაჟმა) პატრონს ჩაეაბარებ, უკან გამოვბრუნდები და ორი დღის შვებულებას თქვენთან გავატარებ.

— დიად, არც გაქვთ უფლება სხვაგან გაატაროთ, თქვენისთანა სტუმარს ვერავის დაფუთობ!

გამომშვიდობებისას დავითი რატომღაც ერთხელ კიდევ დაიბნა და ერთხელ კიდევ აკოცა ლოყაზე ყოჩად დაიკოს.

კომისარი

სულ ერთი საათის სავალი გზა იყო სოფელ კალიანინომდე. იქ დაიბადა და აღიზარდა ტულის ოლქის პარტიზანული რაზმის კომისარი სტეპან გავრილოვი.

რაზმი, რომელმაც წითელი არმიის ნაწილთან ერთად გაათავისუფლა მრავალი სოფელი, ახლა ისვენებდა, რომ ალიონზე ისევ შეტევაზე გადასულიყო და სხვა სოფლები გაეთავისუფლებინა რბევისა და აწიოკებისაგან.

არ ეძინა მხოლოდ გავრილოვს. მოთმინება ეკარგებოდა ვაეკაცს. მოსვენებას არ აძლევდა თავისი სოფელი, აქედან სულ ხუთი კილომეტრის მანძილზე მდებარე. იქა ჰყავდა მოხუცი დედ-მამა და ის... მარინა, სოფლის საბჭოს აგრონომი, ნათელთვალება, ცქრილა, სიცოცხლით სავესე რუსი ვოგონა. მარინა.

ციხფერი აბრეშუმის კაბაში რომ დაუვლიდა რუსულ ცეკვას, ნიავივით მიმოჰქროდა წრეში და ვინ იცის, რამდენ ვაეკაცისათვის აუტოკებია გული.

გავრილოვს ვერ წარმოედგინა, რომ კალიანინოში გარეწარი გერმანელები ბატონობდნენ, არბევდნენ და ანადგურებდნენ მის კარმიდამოს. ვერ გაუძლო სულიერ შფოთვის და ზე წამოიქრა, აეტომატი ილღიაში ამოიღო, ნადავლი პარაბელუმში გასინჯა და გარეთ გავარდა.

— სად მიდიხარ, სტეპან! — მოესმა სიბნელეში გამოღვიძებული ამხანაგის ძახილი.

— მცხელა, ვერ მომისვენია; ცოტას გავივლი...

— ცხელაო! რა დროს სიცხეა, შე დალოცვილო, ამ საშინელ ყინვაში! ვიცი რა სიცხეც გაწუხებს! არაფერია, სტეპან, მალე იქაც ვიქნებით...

გავრილოვი სწრაფი ნაბიჯებით სოფლისაკენ მიმავალ გზას გაუდგა.

თენდებოდა. აღმასივით კიადობდა აქოჩრილ ნაძვებზე შეყინული თოვლის ფიფქი. ვინ იფიქრებდა, რომ მტრის ტანკების საჯიჯგანი გახდებოდა ეს მიწა-წყალი? გავრილოვი ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ გერმანელები არბევდნენ და ბილწავდნენ მას, სამშობლო ქვეყანას.

ირგვლივ ისეთი მყუდროება სუფევდა, თითქო არც ერთი ყუმბარა არ გამსკდარიყოს ამ არემარეში.

გათენდა და გავრილოვმა თავის სოფელს მიაღწია. იგი ნაძვნარით მიდიოდა.

ერთ ხესთან შეჩერდა, ამოიკითხა:

„მარინა“...

კარგად ახსოვს ის საღამო. ზღვასავით მღელვარე მწიფე პურის ყანები ოქროსფრად ბზინავდნენ ჩამავალ მზის სხივებზე. შორიდან ოდნავ მოჩამოდა გარმონის და ვოგო-ბიჭების ხმა.

მარინა და სტეპანი სდუმდნენ. ეს ისეთი წუთი იყო, როცა სიტყვა ზედმეტია, როცა გული გულს ესაუბრება სიტყვებზე უფრო მეტყველი ვინა და... გავრილოვი, ვით მხატვრული ზეშთავონებით აგზნებული უხარულ ფატაღებით ჰყვეთდა ხეზე საყვარელ სახელს. მარინა მის ფერხითი კანკალილი და, რაღაც იდუმალი კმაყოფილებით მთვრალი, თავისთვის დიდინებდა.

— სტეპან!

— რა იყო, მარინა?

— გოყვარვარ?

— შეცამეტეჯერ მეკითხები დღეს, მიყვარხარ. სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ! — ამ სიტყვებით გავრილოვი ქალს გვერდით მიუჯდა და სახეზე დაეკონა. მწიფე პურის სურნელმა გააბრუა ორივე. ასე იყვნენ კარგა ხანს.

გავრილოვმა თვალები გაახილა. ყველაფერი ეს თითქო გუშინ განიცადა.

კომისარი ბავშვივით აღელდა: თვალწინ საკუთარი სოფელი გადაეშალა, გადაშვარი სახლები და ობლად დარჩენილი ჩაშავებული ლუმელის მიღები, გაპარტახებული ეზოები და სამრეკლო, რომელზედაც სამი ჩამოხრჩობილი ქანობდა.

ვინ იყვნენ ნეტავი ისინი?

უცბათ შორიდან სოფლის საბჭოს ეზოში გერმანელების პატარა ჯგუფი შენიშნა, — მანქანას ტვირთადნენ. გავრილოვმა ბუჩქებს შეაფარა თავი, მტრისაგან ამოთხრილ სანგარში ჩასაფრდა, ავტომატი მოიმარჯვა და სროლა ასტეხა. შემდეგ წელში მოიკეცა, სროლითვე გაირბინა მეორე სანგარამდე და ახლა იქიდან დაიწყო სროლა. კომისარი კარგად ხედავდა, როგორ ვარბოდნენ აქეთ-იქით უთავბოლო სროლით გერმანელები. რთცა ყოველი მიწყნარდა და ფრიცებიც აღარ სჩანდნენ, გავრილოვი ტყიდან გავიდა და მომარჯვებული ავტომატით დაადგა გზას სოფლის საბჭოსაკენ. როგორც სჩანდა, გერმანელების მთავარ ნაწილებს უკვე დაეტოვებინათ აქაურობა, დღეს დარჩენილებიც ასდევნებოდნენ მათ.

სოფლის საბჭოში ისე შევიდა, რომ გზაში არაფერ შეხვედრია. კარებს ფეხი ჰკრა და გააღო: ეტყობოდა, არ ელოდნენ. ოთახში მყოფებმა შიშითა და გავიროვებით სავსე თვალები მიაპურეს კომისარს.

— სტეპან!

გავრილოვის წინ ცხრა მოღალატე იდგა, ცხრა მისი თანამემამულე, ცხრა არამზადა.

ზიზღი და სიძულვილი გამოიხატა გავრილოვის სახეზე. ოთახში დინჯად შესვლისას გაძარცული ავლადიდებით სავსე სკიერს ფეხი ჰკრა. შემდეგ მაგიდას მიუახლოვდა და იქვე კედელზე გაკრული ქალაქი ჩამოგლიჯა. ქალაქზე წარწერილი იყო: „მაიორ ფონ-რედერის მამულის სტაროსტა ბ-ნი ბლინოვი“.

გაცეცხლებული კომისარი მივარდა კოლმეურნეობის ყოფილ მეჯინიბეს ბლინოვს და ისეთი სილა გააწნა, რომ ბლინოვმა თავი ვერ შეიმავრა და ორჯერ ყირამალა გადატრიალდა.

— ეგეც, შენ, ბ-ნო ბლინოვ! სად არის თქვენი ფონ-რედერი, რატომ არ წავიყვანათ მანქანით?

— ჩვენ არ გვინდოდა... ძალით ჩაგვითრიეს...

— იუდებო! სად მალავდით ამდენ შხამს? ეეჰ, მტოდნოდა მაინც...

ესენი იყვნენ გერმანელების ადგილობრივი წარმომადგენლები, რომლებმაც ასე მუხანათურად გაჰყიდეს თავიანთი ქვეყანა და ახლა საცოდავად ცახცახებდნენ პარტიზან გავრილოვის წინაშე. ცდილობდნენ ეთქვათ ჩამე, თავი ემართლებინათ, მაგრამ კომისარმა შესწყვიტა მათი ლტლტულობა.

— ახსნა-განმარტება საჭირო არ არის, ყველაფერი აშკარაა. სამ საათში აქ იქნებიან წითელი ჯარის ნაწილები. ეხლავე აღადგინეთ გზა, მოამზადეთ ბინებში, ორ საათ დროს გაძლევთ, ყველაფერი მზად უნდა იყოს ამ ხნის განმავლობაში.

კომისარი მარტო დარჩა. ფანჯრები გააღო, — სული ეხუთებოდა სიბრაზისაგან. ასე იყო ჩამდენსამე ხანს, შემდეგ აჩქარებით გაიჭრა გარეთ და შინისაკენ გაეშურა.

გავრილოვი გაშეშებული იდგა და თავის კარმიდამოს უყურებდა: სახლის მაგივრად ხედავდა შავად გარუჯულ ლუმელს შუა ეზოში. არც ბალი, არც არყის ხეები. თითქო ცოცხალ არსებას არასოდეს არ გაველოს ამ არემარეში.

— სად არიან მოხუცები?

— აწამეს ურჯულოებმა და როცა ვერაფერი ვერ ათქმევინეს, სახლში ჩაჰკეტეს და...

— დასწვეს... ცოცხლად დასწვეს!

სხვა არაფერი უთქვამს კომისარს. ქული მოიხადა. თვალები ცრემლით აევსო, ოდნავ მოიხარა ბეჭებში, თითქო მძიმე ტვირთის ასაწევად მოემზადაო. ამ ნაცარში იყო ყველაფერი, მთელი მისი წარსული: ბავშვობა, ყრმობა, პირველი სიყვარული და პირველი სიძულვილი.

გამოუთქმელი შურისძიების ცეცხლი სწვავდა ვაჟაკს, უცრემლო ქეითინი ახრჩობდა. გავრილოვმა მოკრძალებით აიღო თავის სახლისაგან გადარჩენილი აგური, სათუთად გაახვია ხელსახოცში და ფარაჯის ჯიბეში ჩაიღო.

მის გარშემო თანდათან გროვდებოდნენ სოფლელები, ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ. მაგრამ თითქოს ვერაფერს ამჩნევსო, კომისარი ფოლადის ქანდაკებასავით უძრავად იდგა ერთ ადგილას და მხოლოდ ქარი უფანტავდა ხშირ, ქერათმას. უცბათ გველნაკბენივით მოტრიალებულმა იკითხა:

— მარინა სად არის?

ყველანი სდუმდნენ.

— სად არის მარინა?

აჭვითინებულმა ქალებმა სამრეკლოსკენ გაიხედეს. ყველაფერი გასაგები გახდა კომისარისათვის. მანაც სამრეკლოსკენ მიიქცია სახე და ჩამოკიდულ დანახა თავისი მარინა... ქარი არხევდა მის ფირუზისფერ კაბას, — საქორწილო კაბას.

— ერთი სიტყვაც ვერ ათქმევინეს წყულებმა შენზე... აწამეს, მაგრამ მაინც სამი ჰიტლერელი ჩაიძალა. აი გაწყდეს მაგათი ჯილაგი, მაგ ურჯულოებისა!

გავრილოვმა თავისი ცხოვრების გზა უფრო ადვილად განვლო, ვიდრე მანძილი თავის სახლიდან სამრეკლომდე. ავიდა მალა და იმ ხელებით, რომლებიც არა ერთხელ მოხვევინია საყვარელ არსებას, ჩამოხსნა მარინას გვაში.

ნუთუ ეს მისი ცქრილა, მშვენიერი მარინაა? მარცხენა თვალი ამოეჩიჩქნათ ფაშისტებს და თვალის მაგივრად შავი სისხლის კოშტი მიმზნარიყო სა-

ხეზე, თმა ნახევრად გადავლიჯათ კანიანად, ცალი მკერდი ამოვკრათ...
 გავრილოვმა თვალები განაბა და ხელები დაუკოცნა წამებულს.

„შურისძიება, სასტიკი, უღმობელი შურისძიება!“ — იმ რენკენ მთქმობ-
 დებდა მას დედ-მამის ფერფლი და მარინას ნავემ-ნატანჯის ხეჭულაქასა
 ასე იყო გავრილოვი ერთხანს, შემდეგ მძიმედ ასწია თავი და სოფლებზე
 მიმართა:

— დანარჩენებს ნუ ჩამოხსნით, დაე, ნახონ ჩვენებმა ეს საწინელება...

კომისარმა ქუდი დაიხურა და სოფლის საბჭოსაკენ გაეშურა.

მოლაღატენი აივანზე იდგნენ. მათ დანახვაზე გმინვა აღმოხდა ყველას.

— რა ჰქენით?

— ყველაფერი მზად არის, სტეპან.

ხალხი მოლაღატეებისაკენ მიიწევდა მუქარით და გავრილოვი ძლივს აკა-
 ვებდა მათ.

მალე წითელი არმიის ნაწილიც შევიდა სოფელში. მისთვის უკვე აღდგე-
 ნილი იყო გზა, მზად იყო აბანო და ცხვებოდა პური.

სოფელმა ახალი ცხოვრება დაიწყო.

ძლივს იცნობდით მხოლოდ სტეპან გავრილოვს: გაჟალარავდა, ღრმა ნაო-
 ქები და შეკრული წარბები აბერებდენ ახალგაზრდა სახეს. თითქო დაჰკარგა
 მან ყოველივე ის, რაც აცისკროვნებს სიჭაბუკეს და სიცოცხლის ხალისს.

სალამოს ბატალიონის კომისარმა დაიბარა გავრილოვი და სოფლის პატ-
 რონობა სთხოვა, მაგრამ გავრილოვმა გადაჭრილი უარი განუცხადა.

— არა, აშშ. ბატალიონის კომისარო, მე ვერ მოვისვენებ, სანამ ჩვენს
 მიწა-წყალზე თუნდაც ერთი გერმანელი მაინც დარჩება ცოცხალი...

მეორე დღეს ალიონზე პარტიზანთა რაზმი გავრილოვის მეთაურობით
 ტყეში გაიჭრა და დღესაც შიშის ზარსა სცემს იგი მტერს ჭალაქ ბრიანსკის
 წიასავლებთან.

მეზღაპრის დღეა

აზოვისპირა მხარემ ნათელი ღამეები იცის ხოლმე გაზაფხულზე. ვარსკვლავთა შუქი მსუბუქი ნისლივით არ ეფინება ზღვას. სანაპიროები ჩაშავებულია, მყუდროებით მოცული. თვით ზვირთებიც კი ნელინელ გადარბიან ერთიმეორეზე და მიჰქრებიან მარჩხა ადგილებისაკენ.

იმ ღამეს ელვა-ქუხილი იყო მოსალოდნელი. შორს, ზღვაზე, ყუბანის მხარეს ყოველ წუთს ენთებოდა შუქი, ირწეოდა ზღვა, თითქოს სადღაც უფსკრულში იმსხვრეოდნენ სქელი და ლურჯი შუქის არშით შევერცხლილი ღრუბლები. მაინც კარგი ღამე იყო ეს. კატარღებზე, სათევზაო კარაპებზე, ბოლინდერებზე, გემ „მსტიტელზე“ მყოფნი, ყველანი კმაყოფილნი იყვნენ სმინდით. სულ შემუთვევლ სიბნელეში ნელა მიემართებოდა გემების ქარაფანი. არც ერთ გემზე არ ციმციმებდა სანიშნო შუქი.

სადესანტო გემის „მსტიტელის“ ფლაგმანი მალა აწეული ღუზებით მიემართებოდა. ის უახლოვდებოდა კლდოვან სანაპიროს. გემბანზე დადგმულ ქვემეხებიდან უკვე მოეხსნათ შალითები. მაგრამ ჯერ კიდევ არაიან იცოდა: არც კატარღებზე მყოფმა ქართული დივიზიის მებრძოლებმა, არც საფლაგმანო გემზე მსხლომმა სახმელეთო მეზღვაურებმა, არც პატარა ხომალდებზე მყოფმა წითელარმიელებმა, თვით მეთაურებმაც კი არ იცოდნენ, თუ სად გადასხამდნენ დესანტს. ასეულეებში ბევრი იყო ზღვისპირა მხარეს მცხოვრები. აქ იყვნენ: ეისკელი მეთევზეები, მარიუპოლელი მღნობელები, ტავანროგელი მერყავეები.

ყველა ამათ დიდი ანგარიში ჰქონდათ გერმანელებთან.

მთელი სანაპირო ყრუ ღუმილით იყო მოცული და მის მალალ ფლატეებზე მეთევზეთა პატარა სოფლიდან ახლა არ მოსჩანდა სასურველი ნიშანი. დესანტის მეთაური მშვიდად და ფიქრით გარემოცული იდგა გემ „მსტიტელის“ უოშკის ხიღზე. მას ეჩვენებოდა, თითქოს დურბინდი, რომელიც ზელში ეჭირა, ყოველ წუთს უფრო და უფრო მძიმდებოდა.

გემის ბოცმანი სოფელ „დიდი პლავნიადან“ — ანდრეი ჩუმაჩენკო განუწყვეტლივ აგდებდა წყალში სიღრმის საზომს. მას უამისოდაც კარგად შეეძლო ეთქვა ამ ადგილებში წყლის სიღრმის ოდენობა, ვინაიდან მისთვის ნაცნობი იყო მთელი ეს მარჩხა ადგილები, ყველა წყალქვეშა კლდე სანაპიროების გასწვრივ, მაგრამ ახლა ომი სწარმოებდა და საქირო იყო წესის დაცვა...

ანდრეი ჩუმაჩენკო მთელ თვეს არა ყოფილა შინ. იგი ყველაზე გვიან წავიდა სოფლიდან. იგი წაეიდა სწორედ მაშინ, როცა ლურჯ ბოლში გახვეწულმა გერმანელების ტანკებმა ლობეების მტვრევით გაიარეს ვიწრო შესახვევებში. იქ კლდის ქიმის გადაღმა, დედა ელოდებოდა ჩუმაჩენკოს. მის დედას, მალალს, წარმოსადევს, მკაცრსა და ჭიარამოსილს, გემზე მყოფთაგან ბევრი

იციობდა. წასვლისას იგი არც კი გამომშვიდობებია ანდრეის. ქალბატონი ტბრალოდ უთხრა შეილს:

— ვიცოდი, რომ ავრე იქნებოდა. მამაშენიც წავიდა გერმანელებთან... სპობრძოლველად. დავკარგე იგი... ახლა კი... შენც მკეარგები. შურტი... იქნე... მათზე მამის გამო, შენს გამო, ჩემი ცრემლებისა და მწუხარების გამო... შური იძიე... წადი!

ანდრეიმ კარგად იცოდა, თუ რას ნიშნავდა ეს სიტყვები, რომლებშიაც მკაფიოდ მოიხსოვდა ესოდენი სიმტკიცე და შეუპოვრობა. ერთადერთი, რაც კი ამ ქვეყნად გააჩნდა ქალს, იყო ანდრეი, თუმცა მისთვის არასოდეს არ უთქვამს ეს.

ახლა კი, როცა „მსტიტელი“ უახლოვდებოდა „დიდ პლავნიას“, ანდრეის სამშობლო სოფელს, უკვე მერამდენეჯერ აგონდებოდა განშორების ის ბოლოში გახვეული, ქარიანი საღამო, ის მტერიანი, მეწამული გზა, რომლითაც იგი წავიდა. თავათ მას არ უნდოდა ასე ჩქარა დაბრუნება, მაგრამ უშიშარი გზის ძებნაში, ტალღებზე მოქანავე გემი პირდაპირ „დიდ პლავნიას“ სანაპიროებს უახლოვდებოდა. გემების კოშკების ხიდებზე, გემბანზე, ქიმზე, თითქმის ერთიმეორეზე მიკვდილი იდგნენ მებრძოლები. სიჩუმე, რომლითაც მოცული იყო გემი, თითქოს ანდრეის სულს წარმოადგენდა ამ წუთში. მანქანების შეკავებული რიტმი, რომლის გამო მიძიმედ ირყეოდნენ გემბანი, კოშკები, ხიდები, თითქოს ამ გაქვავებული და მრისხანე ასეულის გულისძგერა იყო.

წყლის სიღრმის საზომის მოედნიდან ანდრეი შესცქეროდა გემის კიდეებზე მოთამაშე აქაფებულ ზვირთებს. ელვა დროგამოშვებით სინათლეს შეაფრქვევდა ფლატეების სანაპიროს, მაშინ კი მკაფიოდ გამოჩნდებოდა ხოლმე ბორცვების დაქანებაზე, აქა-იქ სივრცეში ატყორცნილი ალვის ხეების მოქანავე კენწეროები.

გემის მანქანების შეკავებული გუგუნე ჩქარა სულ შესწყდა. ტალღამ უფრო მძაფრად დაიწყო დგაფუნე, და მეთაურმა მშვიდად განაცხადა:

— დელვა იქნება!

მალაღი, ქალარამოსილი მეთაური იდგა ჩუმად, დაძაბულად, — ფიქრებში გართული. ასევე სდუმდა მის გვერდით მდგომი ორივე შტურმანი. ისინი მთელი საათის განმავლობაში ასე იდგნენ მეთაურის ბრძანების მოლოდინში.

ელვის შუქზე წუთით გაიკრიალებდნენ ხოლმე მეთაურის მკერდზე გადაჯვარედინებული ტყვიამფრქვევის ლენტე და ქამარზე ჩამოკიდებული გრანატები. ეს ძველი მეზღვაური სრულიად დამშვიდებული იყო, მხოლოდ ღურბინდს უქერდა ხელებს. ბოლოს იგი შეეკითხა უფროს მოადგილეს:

— მგონი, გემბანზე არიან ამ სოფლის მკვიდრნი, არა?

— არიან! — მიუგო უფროსმა მოადგილემ. — ბოცმანი ჩუმაჩენკო „დიდ პლავნიადან“ არის.

მეთაური მისკენ გადაიხარა:

— მოიხმეთ ჩემთან!

წუთის განმავლობაში ანდრეი ვიწრო ტრაპით ავიდა მალაღი. მეთაურმა ხელი გაუწოდა მას, ბოცმანი კი, რომელიც პატაკს აძლევდა, შეაჩერა.

— ბოცმან ჩუმაჩენკო, ვინ დაგრაათ თქვენ სოფელში?

— დედა, — მიუგო ანდრეიმ.

— რამდენი წლისაა?

-- სამოციასა...

მეთაურმა თავი ჩაჰკიდა, ხიდს გაჰყვა მცირე მანძილზე, მერე შეჩერდა და მოაჯირის ლინჯზე მძიმედ დაეყრდნო ხელებით.

— აქ ყოველ სოფელში არიან ჩვენები, დიდ პლავენასა და მამაკაცი დარჩა. მათ იციან, რომ დესანტი მოდის. მხოლოდ რატომღაც ჯერჯერობით ნიშანი არა სჩანს. იქნებ წაიყვანეს... იქნებ გერმანელები არიან სოფელში?

— დაზვერვა ხომ არ არის საჭირო? — შეეკითხა ანდრეი.

— დიალ, შენ წახვალ დაზვერვაზე. აქ კიდევ არის ვინმე ამ სოფლიდან?

— ორი არის: ოსტაპ ტარანენკო და სტეპანე პასტუხი.

— კარგი, — უთხრა მეთაურმა. — ისინიც თან წაიყვანე. თუ სოფელი გერმანელების მიერ დაკავებული არ არის, ცეცხლი დაანთეთ ნაპირზე, უენებლად და უდანაჯლისოდ უნდა გადავიდეთ.

— არის! — მიუგო ანდრეიმ. უმაღლე წასასვლელად შებრუნდა, მაგრამ მეთაურმა იდაყვზე წაავლო ხელი, შეაჩერა:

— თუ იქ გერმანელების გუშავები არიან, მცველები, არა უშავს რა, საშიში არ არის. ოღონდ მსხვილი ნაწილები ნუ იქნებიან...

ჩუმაჩენკომ ოსტაპი და სტეპანე ქვემოთ იპოვნა, ანძასთან. მან ჩუმად გადასცა ამხანაგებს მეთაურის ბრძანება. ამხანაგებიც უსიტყვოდ წამოდგნენ, ჩუმაჩენკოს მიჰყვნენ და ბაილებთან მივიდნენ. უმაღლე შესხნეს ბაწრები და ბაილები ნელა შეაცურეს ტალღებზე. მხოლოდ ახლა, როცა ისინი გემის კიდეს შორდებოდნენ, ჩუმაჩენკომ იგრძნო გულის გახშირებული ძგერა. იგი უკან იჯდა, ბაიდის ქიმზე, საჭესთან. იმის მიუხედავად, რომ იგი ასე ახლოს იყო ამხანაგებთან, მათ სახეს მაინც ვერ ხედავდა. არც ერთი იმათგანი ხმასაც არ იღებდა.

სანაპიროს შავ ჩრდილს ისევ მოჰკრა თვალი ანდრეიმ. მერე მარჩხას გაახედა. წინათ, თვით ღამ-ღამობითაც კი, არა სწყდებოდა მუშობა ამ სანაოსნოზე. ბოლაზე დამდგარ მეთევზეთა იალქნიანი ხომალდებიდან გადმოშლილი ცეცხლის შუქის ანარეკლი კრთოდა მღელვარე ტალღებზე. მეთევზეები გადიოდნენ ღია ზღვაში და ისევ ბრუნდებოდნენ. მაგრამ ახლა, უკაცრიელი და გამოყრუებული იყო მთელი ეს სანაპირო.

ოსტაპი და სტეპანე ცდილობდნენ არ ეხმაურათ, ფრთხილად ახსნეს ნიობები. ბაიდის ფსკერზე ახრამუნდნენ კენჭები. რამდენიმე ხანს სრულიად გაუნძრევლად იდგნენ ერთ ადგილზე, ყური სულ სანაპიროსკენ ჰქონდათ მიპყრობილი. ყველაზე ადრე წამოდგა ანდრეი, ხელით შეაკავა ჭამარზე ჩამოკიდებული, მოქანავე გრანატები, მერე მსუბუქად გადახტა მარჩხზე. მასვე მიჰყვნენ დანარჩენები. დაქანებულ ფლატეზე მიმავალი ბილიკით გაემართნენ ისინი ანდრეის სახლისაკენ. ჩუმაჩენკომ შორიდანვე შენიშნა თავისი სახლის ჩამუჭებული ოთხკუთხედი ფანჯრები. ისევ ძალუძრად აუძგერდა გული. ამ ფანჯრებზე აკაკუნებდა ხოლმე იგი, როცა გვიან ღამით დედა მოუთმენლად მიელოდა ზღვიდან მის დაბრუნებას.

ანდრეი ცერებზე შედგა. მაღლა აიწია და ნელა დააკაუნა ფანჯარა. უმაღლე შეირხა ფანჯრის ფარდა. ოთახიდან ფეხის ხმა მოისმა. ანდრეიმ იცნო ეს ხმა, აჩქარებული და ფრთხილი. რა თქმა უნდა, დედამ იცოდა, რომ დაბრუნდებოდა იგი. ამხანაგები ქიშკართან შეჩერდნენ. ანდრეი ყველაზე წინ მივიდა. მოაჯირთან. იცდიდა, მაგრამ კარი არ იღებოდა. მხოლოდ ურდულის ხმაური მოისმოდა ოთახიდან.

ბოლოს კარიც გაიღო. ანდრეი ოთახში შევიდა. დედამ უცბად არ მიხურა კარი, მაგიდას მივარდა, რომ ლამაზა ჩაეჭრო, მაგრამ ანდრეიმ მოიძახა:

— იქ, ქუჩაში ღვანან ჩემი ამხანაგები, შემოუშვი ისინიც.

დედა კართან მივიდა, შედგა, ყური მიუვლო. ზღვის კესტების ხმაში ზევის ჩამოვარდნის ხმაურით შეიჭრა ოთახში.

ოსტაპმა და სტეპანემ ერთსა და იმავე დროს გადააბიჯეს კარის ზღურბლზე. მეზღვაურის ქუდები მოიხადეს, მიესალმნენ დიასახლისს, მაგრამ მან პასუხი არ გასცა:

— გვიცნობდეთ დაუბატიეებელ სტუმრებს! — ნელა წარმოსთქვა სტეპანემ და გაიღიმა თავისი ჩვეულებრივი, რაღაც ჩაფიქრებული ღიმილით. მალაღლი, ქერა, ზღვისფერთვალეებიანი, იგი ყოველთვის ოდნავ მოკრძალებული და მორიდებული იყო ადამიანებთან. და აი ახლაც ნაბიჯით უკან დაიხია, როცა ანდრეის დედა შებრუნდა მისკენ.

— სტეპან, შენ დედა არა გყავს თუ? — შეეკითხა მას ქალი.

— მყავს, — მიუგო მან წინანდებურად ჩუმად.

ანდრეი სწრაფად წამოდგა შერხიდან. ქალმა ხელები გაუწოდა, თითქოს უნდა შეაჩეროსო. თან ოსტაპსა და სტეპანეს მიაჩერდა.

— ეტყობა, საშიშარი მღვთმარობაა... ანდრიუშა, ვერ გადავიტან, ჯავრი-საგან მოგვედები... იმათ მთელი ახალგაზრდები ამოხოცეს აქ... შენი მეგობრებიც... შენც მოგვლავენ...

უეტრად შეტოკდა იგი, აქვითინდა. ანდრეის მოეჩვენა, თითქოს უფრო მძაფრად ახმაურდაო ზღვა. მიუახლოვდა დედას, მოეხვია. ოსტაპი და სტეპანეც მიუახლოვდნენ ქალს. ანდრეიმ უთხრა დედას:

— მე ხომ ვიცნობ ჩემს სანაპიროს, ყოველი ქვაც კი მიყვარს აქ. ახლა კი გერმანელები არიან აქ, ძაღლები... ჩვენები ზღვიდან მოდიან... ჩვენებიც გესმის, დედა, ხუთი ათასი კაცი, ერთად! მოვდივართ, რომ დავხოცოთ ისინი, რომლებმაც ჩვენ მოგვეგლიჯეს მშობელ დედას, რომლებიც გვხოცავენ ჩვენ... არა, კი არ დავხოცავთ მათ, ავკუწავთ... — ანდრეიც ატირდა, ისიც ყრულ აქვითინდა. — დამწყველე, შემაჩვენე, დედა, თუ მე შერცხვენილი და შეურაცხყოფილი ვიარო, თუ გერმანელ ძაღლს, ფაშისტს, ქედს მოვეუხრი, თავს დაუეკრავ... — ანდრეი კარისკენ გაიჭრა, მაგრამ ისევ შედგა.

დედამ თავი მალა ასწია, პირსახოცით სახე მოიწმინდა და ახლაც, როგორც პირველად, გადახედა ოსტაპსა და სტეპანეს.

— მართლა მოდიან, შვილებო?

ოსტაპმა და სტეპანემ თავი დახარეს.

— დიად!

მოულოდნელად სრულიად დამშვიდდა იგი.

— ანდრეი, შენ არ იცნობ დედაშენს, შენი პაპა მეფეს ღონზე გაქცა... ბაბუა აჯანყებულებს ჩამოჰყვა ახოვზე... მამა კი, თვითონაც კარგად იცო... რა გინდათ, ბავშვებო?

— უნდა ავანთოთ სანიშნო ცეცხლი, — მიუგო ოსტაპმა. მერე იკითხა: — გერმანელები სოფელში არიან?

ანდრეი შებრუნდა. იგი შესტკეპროდა დედას. თითქოს დიდხნის განშორების შემდეგ ახლა გამოიცნო.

— დიად! — წარმოსთქვა დედამ, თან კედლიდან თავშალი ჩამოხსნა. — მხოლოდ ცოტანი არიან... ფიჩხს შევავროვებ... აქ დაიცადეთ.

აივნისკენ წასული ისევ შებრუნდა, ღრმად ჩაფიქრებული მიჩქვნილი ან-



დრეის: — რამდენია იქ, ზღვაზე? ხუთი ათასია სთქვი, არა?
ანდრეიმ თავი დაუქნია.

— რა გაეწყობა... ეს სამი კაცი როდია...

ანდრეიმ ხელი წაავლო დედას, მერე შემოეხეცა.

იმ საღამოს მეტი არაფერი უთქვამთ ერთმანეთისათვის დედას და შვილს.
ანდრეი მხოლოდ შეეკითხა:

— ის, რაც ბიჭებმა შეინახეს აქ, ისევ ხელუხლებლად არის?

— ხელუხლებლად არის, — მშვიდად მიუგო დედამ.

ამხანაგები ფეხდაფეხ მიჰყვნენ ქალს, გარედ გავიდნენ. სარდაფში ჩავიდნენ თუ არა, თაროების ქვეშ ხელები მოაფათურა ანდრეიმ. იგი შეეხო ტყვიამფრქვევის ცივ ლულას. სულ მცირე ღრო დასჭირდა დერეფნის ღია კარებში ტყვიამფრქვევის დაღვმას. მერე მიეშველნენ დედას ფარდულიდან ლობესთან ფიჩხის მიტანაში. ეს ღობე მომადლო, კლდოვან ბორცვზე გადადიოდა. ბავშვობისას ანდრეი მთელი საათობით იჯდა აქ და გადასცქეროდა ზღვას. მაშინ აქედან მოსჩანდა ზღვის დაუსრულებელი წარმტაცი სივრცე. მაგრამ ახლა ვერაფერს ხედავდა. წყვდიადი იყო დაფენილი ზღვაზე.

როცა ფიჩხი დასდეს, ანდრეიმ უთხრა დედას:

— ახლა წადი, მეზობლებთან გადადი, ისინი დაგმალავენ საღამე...

ქალმა გაკვირვებით შეხედა შვილს.

— ალბად მასჩრობ?

მერე მაგიდიდან ლამფა აიღო, თავშალი მიაფარა და აივანზე გავიდა. ამხანაგები სულგანაბული შესცქეროდნენ მოხუცს. ანდრეიმ გაიფიქრა, რომ სწორედ ამ წუთში, ზღვაში, „მსტიტელის“ ხილზე მეთაური და შტურმანებიც ასევე დგანან მოლოდინში, ისინიც გაქვავებულებივით დგანან, მთელი ზომალდი სულგანაბულია და ათასი თვალი გამოიციქირება აქეთ, ამ ღამის სიბნელეში.

დედა ნელა ჩავიდა აივნის კიბის საფეხურებზე. ფრთხილად მიჰქონდა მკერდთან აფარებელი, ანთებული ლამპა. როცა იგი შუა ეზოს გადადიოდა, სინათლის შუქი კრთოდა მის მხრებზე. ქარი არხევდა მის თავშალს, მაგრამ ლამპა მაინც ვერ ჩაქრო, ისე ფრთხილად მიჰქონდა იგი ქალს.

ყველაზე ადრე ოსტაბი მიუჯდა ტყვიამფრქვევს. ლობესთან კი ვარდისფერმა ნაპერწკლებმა გაითამაშეს ჰაერში. მერე ალი შეირჩა. ის მოედო გამხმარ ფიჩხებს, დაუბერა ქარმა და უცბად კოცონად აქცია იგი. კიდევ მთელი წუთის განმავლობაში ცეცხლთან იდგა დედა, თითქოს ეშინია კოცონი არ ჩაქრესო.

როგორც ყოველთვის, ახლაც დამშვიდებული და შკაცრი სახის გამომეტყველებით დაბრუნდა იგი ოთახში. თაროდან გუდმოიღო პურის ყუა, სამ თანაბარ ნაწილად გასჭრა და სამი ფინჯანი რძე დაასხა.

— გმადლობთ, დედა! — უთხრა სტეპანემ და ხელი აუქანკალდა, როცა რძით სავსე ფინჯანი გამოართვა ქალს.

ბედნიერებით საესე თვალებით მისჩერებოდა მას ანდრეი.

ოთახში მკაფიოდ მოისმოდა კოცონზე დაყრილი გამხმარი წყნეული და ფიჩხის ტკაცუნი. ამ ხმას დაერთო ქუჩაზე ცხენების აჩქარებულ თქარათქური. ტყვიამფრქვევთან მიწოლილმა ოსტაპმა განზე გადასდრნა და ნაქერი და ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ფინჯანი რძე. ოსტაპი შეეშინდა...

სამი ცხენოსანი გამოეჭანა ღამის სიბნელიდან, ისინი კოცონთან მიიჭრნენ და ყალყზე შეაყენეს ცხენები. ერთმა ცხენმა ფიცარი შეანგრია: ცხენი მძიმედ გადავარდა ღობის იქით. ოფიცრის ჩაჩქანმა გაიკრიალა ცეცხლის შუქზე. ოსტაპს მოეჩვენა, თითქოს რამდენიმე ტყვია მოხვდა ამ ჩაჩქანსო. ალბად, ცხენიც დაიჭრა, რადგან ის ფრუტუნით გაეშურა ბოსტინისაკენ, თან გაიტაცა გვერდზე ჩამოკიდებული დაჭრილი მხედარი. დანარჩენი ორი სხვა მხედარი უკვე გაქპრა. ოსტაპმა დამშვიდებით ამოისუნთქა. მერე იატაკიდან აიღო ფინჯანი რძე...

უჩინარი, გაძვერა მტერი, რომელმაც ოსტაპს ესროლა, გამოცდილი მსროლელი უნდა ყოფილიყო: ოსტაპის ხელში ნამსხვრევებად იქცა ფინჯანი. ოსტაპი ზურგით გადაეშვა. სისხლი და რძე ერთმანეთში აირია იატაკზე. ტყვიამფრქვევთან უმაღლე მიიჭრა ანდრეი, მაგრამ სტეპანემ შეაჩერა იგი:

— ჩემი რიგია, — გაუღიმა და სახეზე შეანათა თავისი ცისფერი ჩაფიქრებული თვალები.

ქუჩიდან ხშირი სროლა მოისმა. ფანჯრის მინები ნამსხვრევებად ჩამოეშვა შავიდაზე, თაროებზე დალაგებულმა ქურქულმა ზარივით დაიწკრიალა. სტეპანე ტყვიამფრქვევთან იჯდა. ანდრეი ფანჯარასთან იდგა და ორივე ხელში მომარჯვებული გრანატები ეჭირა.

ფანჯრის გადაღმა ზრინწიანი ხმა მოისმა:

— ალე ვერნიხტენ!

— ყველას ამოწყვეტას გვიპირობენ, — მშვიდად წარმოსთქვა სტეპანემ. ქუჩიდან კოცონის სინათლეზე ათიოდე ფაშისტმა მიიბზინა. სტეპანემ ერთი ჯერით მოსთიბა ისინი. ანდრეი ტაბურეტზე შედგა, ზურგით მიეყრდნო კედელს და ფეხის ერთი წაკვრით ჩაღეწა ფანჯრის ჩარჩოები. ელვის შუქზე შენიშნა ხიშტების ტრიალი და უმაღლე ერთიმეორეზე ვადისროლა ორივე გრანატი. ვილაცამ მძაფრი ხმით შეჰყვირა. ფანჯრის იქით ისევ მოისმა ცხენების აჩქარებული თქარათქური. ანდრეიმ ავტომატი შეისწორა, მერე ქამარში ნაგანი გაიჭრა.

ღობესთან კი ენთო კოცონი, ის სულ ღვივდებოდა, ვიზგიზებდა, ალი მიიწვევდა მალა. მის შუქზე არც ერთი ლანდი არ გამოჩენილა, მაგრამ გადაღმა, ქუჩის იმ მხარეზე, სადამდეც კოცონის შუქი ვერ აღწევდა, გახშირებული სროლა მოისმა.

სტეპანე მთელი საათის განმავლობაში არ შორდებოდა ტყვიამფრქვევს. ანდრეის დედა კუთხეში იდგა და მშვიდად შესცქეროდა ამ სურათს. როცა სტეპანე დაეცა და იატაკზე გაშალა თავისი ღონიერი ხელები, დედამ ნაგანი გამოართვა ანდრეის და უთხრა:

— ახლა კი გასწი, წადი!..

ოთახის ჩამტვრეული ფანჯრის გადაღმა ზღვა გუგუნებდა. ანდრეის კი ამ ხმაურში ნაცნობი ხმები მოესმოდა. იგი გასცქეროდა სიბნელეში და წუთებს ითვლიდა. იქ, „მსტიტელზე“, რა თქმა უნდა, აშკარად ხედავდნენ კოცონის

ცეცხლს. ცეცხლის ალი მიიწვედა მალა და იშლებოდა ქარში. რამდენიმე წამში კი გასკდა ზედ კოცონზე, მაგრამ ის მაინც არ ჩაქრა. ახლა უკვე ლობის ფიცრებს ედებოდა ცეცხლი.

ღამის სიბნელეში ქუჩიდან ოთხჯერ მიიტანა იერიში გერმანულ არმიას, მაგრამ ვერც ერთმა ფაშისტმა ვერ მიადწია სახლის აივნამდე. ანდრეის პირდაპირ ესროდნენ. თიხის ნამსხვრევები სცვივოდა ჰერიდან, კედლებიდან, თავზე ეყრებოდა. იშენდდა მტერთი საესე თვალებს. კოცონის ალი კი ძლიერდებოდა, დიდდებოდა. ცეცხლისა და ელვის შუქით იყო გაელვარებული ღამე.

ანდრეის ხელი გაუშეშდა. ასე დარჩა იგი ტყვიამფრქვევთან, შეუპოვარი და უძრავი... იქნებ ამ უკანასკნელ წაშში ეს მშობლიური სანაპირო მოძრაობდა და მისცურავდა მის თვალწინ.

ღედა ზურგიდან მიუახლოვდა შვილს. სცადა მისი გაშეშებული ხელი მოეწორებინა ტყვიამფრქვევისათვის, მაგრამ ვერ შესძლო. მაშინ ქალმა მხრიდან თავშალი გადაიძრო და ანდრეის გადაათარა. თითქოს ემშვიდობებოდა იქაურობას, ოთახში თვალი მიმოავლო, კედელზე ჩამოკიდებული ანდრეის ბავშვობის სურათი გაასწორა და აივანზე გავიდა. მალალი და ჭადარამოსილი, იგი მთელი წუთის განმავლობაში იდგა ცეცხლის შუქით განათებული. არც ერთი ტყვია არ უსროლიათ მისთვის, როცა იგი კიბის საფეხურებით ეზოში ჩადიოდა. ქუჩის შესახვევში, ლობის იქით, წამოდგა რამდენიმე გერმანელი ჯარისკაცი. ისინი განცვიფრებით შესცქეროდნენ ქალს, რომელმაც სულ ახლო მანძილზე შენიშნა გერმანელები. ათეული თოფის ლულა იყო მიშვერილი ქალისკენ. იგი მაინც არ შეშინდა, ფარულამდე მივიდა მტკიცე ნაბიჯებით, შეაგროვა ფიჩხი, მიიტანა და დაყარა კოცონზე, რომელიც უკვე ქრებოდა. სიბნელეში ვიღაცამ ნელი ხმით წარმოსთქვა:

— ღედა...

ქალს უკან არ მიუხედინა. შებრუნდა, სახლისაკენ წავიდა. კოცონის ახალი ალი უნათებდა გზას. როცა აივანზე აღიოდა, მთელი ტანით გააჩრქოლა და შედგა. თითქოს იხრჩობოდა, ისე წამოიყვირა გერმანელმა ოფიცერმა და რამდენჯერმე ზედიზედ ესროლა ქალს. ღედა ძლივს ავიდა უკანასკნელ საფეხურზე.

კოცონის ალი ისევ მალა მიიწვედა. ისინი, რომლებიც ახლა ლობის ძირში იყვნენ მიმაღლური, კარგად ხედავდნენ ქალის სახეს. ქალი ახლა ყურს უგდებდა რაღაცას, იცინოდა. ქვემოთ, ზღვიდან მოისმოდა შეკავებული, ყრუ ხმაური, თითქოს ტალღები ავარდნილანო სანაპიროებზე, თითქოს ახლა სულ მალა მიიწვევდნენ ისინი, თითქოს წალეკესო მათ მთელი სოფელი. ამ ხმაურში მკაფიოდ მოისმოდა ადამიანთა ხმები, შეძახილები...

საზღვაო დესანტი მოქმედების დაწყებისათვის ემზადებოდა.

სამხრეთიდან ნელთბილი ქარი ჰქროდა. ლურჯი ღრუბელი სანაპიროებს ეფინებოდა. წვიმის პირველი მსხვილი წვეთები აქა-იქ ეცემოდნენ ბალახში.

მიწყნარდა თუ არა იერიშის უკანასკნელი ხმები, დესანტის მეთაური აივანზე ავიდა. ღედა ოსტაპისა და სტეპანეს გვერდით ეგდო. ანდრეიც იქვე ეგდო, ტყვიამფრქვევთან, თითქოს ჩანაცრებულ კოცონს უდარაჯებდნენ. მეთაურმა ხელზე აიყვანა მეზღვაურის ღედა, დიდხანს შეცქეროდა სახეში, მერე ქული მოიხადა და აეოცა მას გამხდარ და გაფითრებულ ტუჩებზე...



ქართული

ენციკლოპედია

მებრძოლები და მეთაურები: რუსები, უკრაინელები, ქართველები, ყაზახები, სომხები მჭიდრო წრედ იდგნენ აიენის წინ, მეთაურის მსგავსად მათაც მოიხადეს ქუდები... ლურჯი ელვა ანათებდა მათ შიშველ თავებს. სიხუმეში მკაფიოდ მოისმოდა, როგორ ეცემოდნენ ბალახებში წვიმის წვეთები.

დესანტის რაზმები უკლებლივ გადავიდნენ სანაპიროზე. ისინი ლაშქრული მწყობრით მიემართებოდნენ მყუდროებით მოცულ ქუჩებში, სანაპიროს გასწვრივ, ანდრეის სახლის გასწვრივ... ისინი მიემართებოდნენ დასავლეთით, პიტლერელთა დივიზიების წინააღმდეგ. ცეცხლის ყოველი გაელევა კრთოდა წვიმისაგან დასველებულ მებრძოლთა სახეებზე... თითქოს სტიროდნენ ისინი უსიტყვოდ, ყრუდ ღვრიდნენ მდულარე და მრისხანე ცრემლს...

მათ გზას უნათებდა კოცონის ცეცხლი, მისი ხსოვნის ცეცხლი, დედის ცეცხლი..

თარგმნა: პოლიო აბრამიძე

ლ. გორგილაძე

გერმანიის ყაჩაღი იმპერიალიზმი

იმპერიალიზმი ყველა ქვეყანაში არსებითად ერთნაირია. მაგრამ იმავე დროს ყველა ქვეყნის იმპერიალიზმს აქვს თავისებურება და სპეციფიურობა, რაც ანსხვავებს მას სხვა იმპერიალისტურ ქვეყნისაგან.

როგორია, ისტორიული განვითარების თვალსაზრისით, გერმანიის იმპერიალიზმის თავისებურება?

ლენინი მიგვითითებდა, რომ გერმანიაში საქმე გვაქვს იუნკრულ-ბურჟუაზიულ იმპერიალიზმთან. გერმანია, როგორც ნაციონალური სახელმწიფო, წარმოიშვა 1871 წელს 25 სახელმწიფოს გაერთიანების საფუძველზე. ეს გაერთიანება ხალხს არ მოუხდენია. იგი პრუსიის იუნკერთა „რკინისა და სისხლის“ პოლიტიკის შედეგი იყო.

როგორც ცნობილია, 1848 წლის რევოლუციის ძირითადი საკითხი, პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებასთან ერთად, იყო საკითხი გერმანიის გაერთიანებისა. ლენინი აღნიშნავდა, რომ „რიგში იდგა გერმანიის გაერთიანების საკითხი. კლასების მაშინდელი თანაურთიერთობისას ეს შეიძლებოდა მომხდარიყო ორნაირად: ან რევოლუციის გზით, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროლეტარიატი და სრულიად გერმანიის რესპუბლიკას ჰქმნიდა, ან პრუსიის იმ დინასტიური ომების გზით, რომლებიც განამტკიცებდნენ პრუსიულ მემამულეთა ჰეგემონიას გაერთიანებულ გერმანიაში“. (ტ. XV, გვ. 547).

პირველი გზა ვერ განხორციელდა. 1848 წლის რევოლუცია დამარცხდა. ბურჟუაზიამ უღალატა რევოლუციის საქმეს. მან ვაჰყიდა პოლიტიკური თავისუფლებისა და ნაციონალური გაერთიანების საქმე. ამით ისარგებლა იუნკრულმა პრუსიამ. „არა უმრავლესობის სიტყვებითა და დადგენილებებით სწყდება დროის დიდი საკითხები, — ამბობდა ბისმარკი, — ეს იყო 1848 და 1849 წლების დიდი შეტომა, — არამედ რკინითა და სისხლით“. ამიერიდან იუნკრული, თავად-აზნაურული პრუსია „რკინითა და სისხლით“ ცდილობს მოახდინოს თავის გარშემო გერმანიის ნაციონალური გაერთიანება. პრუსია გერმანიის ნაციონალური გაერთიანების ტრადიციული მტრების ავსტრიისა და საფრანგეთის წინააღმდეგ მოწყობილ ომებში (1866 და 1870 — 1871 წ.წ.) ამარცხებს მათ და ძალით თუ მუქარით აიძულებს გარედან დახმარებას მოკლებულ სხვა გერმანულ სახელმწიფოებს გაერთიანდნენ პრუსიის გარშემო.

„პრუსიის და ავსტრიის პროლეტარიატის სისუსტე, — ამბობს ლენინი, — იყო იმის მიზეზი, რომ მან ვერ შეუშალა ხელი ავარაჩიებს და ბურჟუაზიას მოეხდინათ გარდაქმნა მუშათა ინტერესების წინააღმდეგ, მუშათათვის უაღრესად არახელსაყრელ ფორმაში, მონარქიის, თავად-აზნაურობის პრივილე-

გიებს სოფლის უუფლებობის და საშუალო საუკუნოებრიობის სხვა მრავალი ნაშთის შენარჩუნებით“ (ტ. XV, 263).

გაერთიანებული გერმანია წარმოადგენდა არა ბურჟუაზიულ-აღმშენებელ ბურჟუაზიულ-იუნკრულ სახელმწიფოს. თავად-აზნაურობამ განაპირობებელი მდგომარეობა შეინარჩუნა, სამხედრო და სახელმწიფო აპარატი იუნკრობის ხელში დარჩა. იუნკრები შეადგენდნენ ფაქტიურად ხალხზე გაბატონებულ სამხედრო წოდებას, რომელიც მხეცური სისასტიკით ძირშივე ჰკვეთდა დემოკრატიული მოძრაობის სულ მცირედ გამოკრთომასაც კი. პრუსია სამხედრო ყაზარმის წარმოადგენდა, სადაც, ერთის მხრით, უხეშობა მპრძანებლობდა, ხოლო მეორეს მხრით — ბრმა, უსიტყვო, უაზრო, მონური მორჩილება მეფობდა. პრუსიის რეაქციონური იუნკრები ჰქმნიდნენ (და აღვივებდნენ) სამხედრო პროფესიის კულტსა და ომის ფეტიშს. ისინი განუწყვეტლივ ამზადებდნენ და ატარებდნენ ომებს სხვისი ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად ან უბრალოდ, გამდიდრების მიზნით. მირაბომ მოსწრებულად შენიშნა, რომ ომი „პრუსიულ სახელმწიფოს პროფესია არის“. პრუსია პარაზიტულად იზრდებოდა გერმანულ სახელმწიფოთა „თბილი ნეხვის გროვაში“ (მარქსი). თავის ავანაჟური მიზნების განხორციელებისათვის იგი არ ერიდებოდა არაერთარ საშუალებას. პრუსიისათვის იმთავითვე დამახასიათებელი იყო ევრაზობა, თაღლითობა, მსუნაგობა, მხეცური სისასტიკე.

იუნკრები მჭიდროდ უკავშირდებოდნენ ბურჟუაზიას. გერმანიის მთელი ისტორია არის ისტორია იუნკრებისა და ბურჟუაზიის ბლოკისა. გერმანიის ბურჟუაზიულ-იუნკრული იმპერიალიზმი გამოხატავდა როგორც იუნკრების, ისე ბურჟუაზიის ინტერესებს, მარქსი ასე ახასიათებდა გერმანიის სახელმწიფო წყობილებას: ეს არის, — ამბობდა იგი, — „პარლამენტარული ფორმით შეღამაზებული, ფეოდალური ნაშთებით შენარჩევი, უკვე ბურჟუაზიის გავლენას დაქვემდებარებული, ბიუროკრატიულ-კაბინეტური და პოლიციის საფარველ ქვეშ მყოფი სამხედრო დესპოტიზმი“ („გოთას პროგრამის პროექტის კრიტიკა“).

გერმანიის იმპერიალიზმის თავისებურებას წარმოადგენდნენ აგრეთვე ეკონომიური განვითარების შედარებით მაღალი ტემპები. 70-იან წლებიდან გერმანიის განვითარება უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ინგლისისა და საფრანგეთისა. ლენინი აღნიშნავდა, რომ 1871 წლის შემდეგ გერმანია 3—4-ჯერ უფრო სწრაფად გაძლიერდა, ვიდრე ინგლისი და საფრანგეთი. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1871 — 1900 წლებში ჰვანახშირის მოპოვება გაიზარდა 3-ჯერ და უფრო მეტადაც, ხოლო თუჯის გამოდნობა 6-ჯერ მეტად, რის შედეგადაც გერმანიამ ევროპაში პირველი ადგილი დაიკავა, მსოფლიოში კი — მეორე, ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ.

სად უნდა ვეძიოთ გერმანიის ასეთი სწრაფი განვითარების მიზეზები? გერმანიის ინდუსტრიალიზაციის საქმეში დიდი როლი ითამაშა დამარცხებულ საფრანგეთისაგან აღებულმა კონტრიბუციამ — 5 მილიარდმა მარკამ. მან მისცა პირველი მძლავრი ბიძგი მრეწველობის განვითარებას. მაშინ, როცა გერმანიაში მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის საფუძველზე ინდუსტრიალიზაცია ხდებოდა, ინდუსტრიალურ ინგლისში უკვე დიდი ხნით ადრე შექმნილი იყო დიდი ძირითადი კაპიტალი, რომელიც ხელს უშლიდა და აფერხებდა ახალ მიღწევათა ფართო მასშტაბით გამოყენებას, მით უმეტეს, რომ ინგლისის მსოფლიო ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა ჰქონდა მო-

პოვებული და ამიტომ სხვა ქვეყნების კონკურენციისა არ გმინოდა. იმავე დროს, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, გერმანიაში ყოველთვის ადგილი ჰქონდა მეშათა კლასის სასტიკ ექსპლოატაციას, რაც აჩქარებდა ინდუსტრიალიზაციის საქმეს. გარკვეული როლი ითამაშა იმანაც, რომ გერმანიაში მსოპოვებიან მნიშვნელოვანი ბუნებრივი სიმდიდრეები (ქვანახშირი, რკინა).

კაპიტალიზმი ვითარდება სოფლის მეურნეობაშიც. 1848 წლის რევოლუციის დამარცხების გამო მოიხსნა სოფლად კაპიტალიზმის განვითარების ამერიკული გზა, რაც გულისხმობს ფეოდალური მეურნეობის რევოლუციის გზით მოსპობას. იმარჯვებს პრუსიული გზა, რომლის დროსაც „ბატონყმური მემამულური მეურნეობა ნელნელა გადაიზრდება ბურჟუაზიულ, იუნკრულ მეურნეობად, ათეული წლობით აგდებს რა გლეხებს უსაშინელეს ექსპლოატაციას და კაბალაში, გამოიყოფა რა ამავე დროს უმნიშვნელო უმცირესობა „გრესბაუერებისა“ (მსხვილი გლეხებისა)“ (ლენინი, ტ. XI, გვ. 348).

ამგვარად, 1871 წლის გაერთიანების შემდეგ სწრაფად განვითარდა ახალგაზრდა და ძლიერი მტაცებელი გერმანიის იუნკრულ-ბურჟუაზიული იმპერიალიზმი.

ლენინი ამზობდა:

„გამოჩნდა ახალი მტაცებელი 1871 წელს. შეიქმნა ახალი კაპიტალისტური სახელმწიფო, რომელიც განუზომლად უფრო სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე ინგლისი. ასეთი სწრაფი განვითარება გერმანიის კაპიტალიზმისა იყო განვითარება ახალგაზრდა და ძლიერი მხეცისა, რომელიც ევროპის სახელმწიფოთა კავშირში გაჩნდა“ (ტ. XXX, გვ. 337).

როგორც ზემოთ დავინახეთ, გერმანიის დააგვიანდა კაპიტალიზმის განვითარების გზაზე გამოსვლა. როცა იგი ინდუსტრიალურ, იმპერიალისტურ ქვეყნად ჩამოყალიბდა, მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, ინგლისს, საფრანგეთსა და სხვებს მსოფლიო უკვე განაწილებული ჰქონდათ. აქედან გამომდინარეობს გერმანიის იმპერიალიზმის შემდგომი დამახასიათებელი თავისებურება: განსაკუთრებულად აგრესიული, ყაჩაღური ხასიათი. გერმანიის იმპერიალიზმი იმთავითვე ხასიათდებოდა არაჩვეულებრივი მსუნავობით, მხეცური სიმკაცრით და ვერავობით.

1897 წელს საგარეო საქმეთა სტატს-მდივანმა, შემდეგში რეიხსკანცლერმა ფონ-ბიულოვმა რეიხსტაგში განაცხადა: „წავიდა ის დრო, როდესაც სხვა ხალხები ერთმანეთს შორის მიწებსა და წყლებს ინაწილებდნენ, ზოლო ჩვენ, გერმანელები, მარტოოდენ მტრედისფერი ცით ვკმაყოფილდებოდით. ჩვენ ჩვენთვის მოვითხოვთ ადგილს მზის ქვეშ“.

1891 წელს ჩამოყალიბდა რეაქციონური, შოვინისტური ორგანიზაცია: „პანგერმანული კავშირი“, რომელიც ვველაზე უფრო ყაჩაღური და მტაცებლური გეგმების პროპაგანდას ეწეოდა. იგი მოითხოვდა კოლონიების დაპყრობას, ჭადაგებდა პოლანდიის, ბელგიის, საფრანგეთის ლოტარინგიის, შვეიცარიის, დანიის, ავსტრიის ხელში ჩაგდებას, რუსეთის დანაწილებას და პოლონეთის, ბალტიის შხარისა და უკრაინის დაპყრობას. ზოლო ამ მტაცებლური მიზნების განხორციელებისათვის ასაბუთებდა ომების აუცილებლობას. მათ წრეში მოდად იქცა ნიცშეს კაციჰამიობის „ფილოსოფია“. ნიცშე ჭადაგებდა ომების მარადიულობასა და გარდუვალობას. მისწრაფება ზელისუფლებებისადმი, — აი, ნიცშეს აზრით ყოფიერების უღრმესი არსი, რომელიც აუცილებელს ზდის ომებს. ომი „სამკურნალო საშუალებაა“. წყნარი, მშვიდო-

ბიანი ცხოვრება ასუსტებს და ლუბავს ქვეყანას. თუ უარპყოვ ომს, აცხადებს ნიციე, — უნდა უარპყო დიადი ცხოვრება. კაცობრიობა, ამბობს იგი, — საჭიროებს „უდიდეს, უსაშინელეს ომებს და, მათსადაც უნდა ვიხილონ სობისაკენ დროებით დაბრუნებას“.

„პანგერმანული კავშირი“ ფაშისმის წინამორბედი. ფაშისტებმა მისგან ისესხეს ავიაზაქური, დაპყრობითი გეგმები, და გააფართოვეს იგი მსოფლიოს დაპყრობის გეგმამდე. ხოლო ნიციეს ფილოსოფია ახალგაზრდობის სულეირ მოშამვისა და მოწამელის ერთ-ერთ საშუალებად გაიხადეს.

როგორც აღნიშნეთ, როცა გერმანიის იმპერიალიზმი ჩამოყალიბდა, „მზის ქვეშ“ ადგილები უკვე დანაწილებული იყო. აქედან გერმანელი იმპერიალისტების განუწყვეტელი ცდები: ვინ მოატყუონ და გაძარცვონ, ვის წაართვან და წაგლიჯონ. გერმანიის მთელი ისტორია არის ისტორია გაუგონარი ვერაგობისა და მუხანათობისა, მოწინააღმდეგის საშინელი აწიოკებისა და გაყლეტისა, ნგრევისა და განადგურებისა. ლენინი, ხაზს უსვამდა რა გერმანიის იმპერიალიზმის განსაკუთრებულად აგრესიულ ხასიათს, აღნიშნავდა:

„უმთავრესად ინგლის-საფრანგეთის ჯგუფის წინააღმდეგ დაირაზმა კაპიტალისტთა მეორე ჯგუფი, კიდევ უფრო მტაცებლური, კიდევ უფრო ყაჩაღური იმპერიალისტთა ჯგუფი, რომელნიც კაპიტალისტურ სუფრას მიაღწენენ, როცა ადგილები დაკავებული იყო“.

XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს გერმანიის იუნიკრულ-ბურჟუაზიული იმპერიალიზმი რეაქციის ბურჟად გადაიქცევა. იგი იწყებს სხვა ხალხების რევოლუციური, გამანათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ ჯალათის როლის შესრულებას. ჯერ კიდევ 1871 წელს გერმანიამ დიდი დაბმარება გაუწია საფრანგეთის ზალხის საზიზღარ მოღალატეებს — ტიერსა და სხვებს პარიზის კომუნის სისხლში ჩახშობისას. ლენინი, ამბობს რა პარიზის კომუნის დამარცხების მიზეზების შესახებ, აღნიშნავს: „ტიერის გარიგება ბისმარკთან. ბისმარკის როლი დაჭირაებული მკვლელისა“ (ტ. XXX, გვ. 112).

1900 წელს ჩინეთში იფეთქა სახალხო აჯანყებამ, რომელიც მიმართული იყო უცხოელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ. იაპონიის, გერმანიის, მეფის რუსეთის, ინგლისისა და საფრანგეთის გაერთიანებულმა ძალებმა ჩააქრეს აჯანყება. აჯანყების ჩაქრობის საქმეში უმაგალითო, მხეცური სისასტიკით გამოიჩინოდნენ გერმანელები. მათ მთელი ლაშქრობა მოაწყვეს ჩინელების წინააღმდეგ. დანაგრეეს და მოსპეს სოფლები და სხვა დასახლებული ადგილები, მასობრივად გაყლიტეს მშვიდობიანი მოსახლეობა. გერმანიის ჯარი ზუსტად ასრულებდა კაცუქამობის იმ მითითებას, რომელიც მას კაიზერმა ვილჰელმ II-მ მისცა. აი როგორი სიტყვით მიმართა მან ჩინეთში გასაგზავნად დამსჯელ რაზმს:

„თქვენ კარგად იცით, რომ ბრძოლა მოგიხდებათ მუხანათ, უშიშარ და კარგად შეიარაღებულ მოწინააღმდეგესთან. როცა შეეჯახებით, გახსოვდეთ: არ დაინდოთ, ტყვეები არ წამოიყვანოთ; ვინც ხელში ჩაგვივარდებათ, უნდა დაიღუპოს! ისე, როგორც ათასი წლის წინათ ჰუნებმა მეფე უცელის (ტილას) წინამძღოლობით გაითქვეს სახელი, რაც მათ ახლაც შემზარავად ხდის ტრადიციასა და ისტორიაში, — დაე ასევე გერმანელის სახელი ჩინეთში თქვენი საშუალებით გახდეს იმდენად ცნობილი, რომ ათასი წლის შემდეგაც ვერც ერთმა ჩინელმა ვერ გაბედოს აღმაცურად შეხედოს გერმანელს“.

ვილქელმ მეორე და მისი მთავრობა ყოველთვის რუსეთის ცარიზმის ყვერთ-
გულესი მოკავშირე და რუსეთის მშრომელთა დაუნდობელი მტერი იყო. რო-
გორც ცნობილია, 1905 წლის რევოლუციის ჩასაქრობად კავშირის მხატვრობამ
ნიკოლოზ სისხლიანს სამხედრო დახმარება აღუთქვა. გერმანიის ცარიზმს
მისცა ნახევარი მილიარდი მარკა სესხი და მოამზადა სამხედრო ინტერვენცია
რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ. 1905 წლის ნოემბერში გერმანიის სამ-
ხედრო გემებმა მიიღეს ბრძანება პეტერბურგში წასვლისა, რათა საშიშროე-
ბის შემთხვევაში შეფის ოჯახი კელნში გადაეყვანათ. იმავე დროს ზეთი გერ-
მანული კორპუსი მზად იყო, თუ ნიკოლოზ მეორის მთავრობა თავისი ძა-
ლებით რევოლუციას ვერ გაუმკლავდებოდა, მოეწყო ლაშქრობა რუსეთის
მშრომელთა წინააღმდეგ. ამგვარად, გერმანია, რომელიც XIX საუკუნის
40-იან წლებში რევოლუციური მოძრაობის ცენტრი იყო, XIX საუკუნის
დამლევს და XX საუკუნის დამდეგს რეაქციის ბურჯად გადაიქცა.

ლენინი 1902 წელს თავის შრომაში „რა ვაქეთოთ“ აღნიშნავდა, რომ თა-
ნამედროვე სოციალ-დემოკრატიაში გაჩნდა ორი მიმდინარეობა — რევოლუ-
ციური და ოპორტუნისტული. პირველის ცენტრად რუსეთი გადაიქცა, მეო-
რესი კი — გერმანია. მაშინ, როდესაც რევოლუციური მოძრაობის კერად გა-
დაქციულ რუსეთში ლენინი და სტალინი ახალი ტიპის პარტიას
პქმნიან და რევოლუციურ მოძრაობას ანაღებენ, რეაქციის კერად გადაქციულ
გერმანიაში ფეხს იკიდებენ და იფურჩქნება მუშათა არისტოკრატიაზე დაყრდ-
ნობილი ოპორტუნისმი. ოპორტუნისტები სოციალიზმს ნაციონალიზმით
სცვლიან. ისინი გამოდიან საკუთარი ქვეყნის ბურჟუაზიის ინტერესების დამ-
ცველად. მხარს უჭერენ გერმანიის იმპერიალიზმის აგრესიულ, დაპყრობითს
პოლიტიკას. გერმანიის სოციალ-დემოკრატის ლიდერის ბერშტეინის ანტი-
მარქსისტული რევიზიონისტული შეხედულებები საერთაშორისო ოპორტუ-
ნიზმის პროგრამად იქცა. იგი უარყოფს პროლეტარულ რევოლუციასა და
პროლეტარიატის დიქტატურას, მოითხოვს სოციალ-რეფორმების გზაზე გა-
დასვლას. იგი მომხრეა ბურჟუაზიასთან თანამშრომლობისა. რევიზიონისტებს
(ბერშტეინი და სხვ.) ფაქტურად მხარს უჭერენ ცენტრისტები (კაუცი და
სხვები). ცენტრისმი რევოლუციური ფრაზეოლოგიის საფარ ქვეშ ცდილობს
შეუფლოს ოპორტუნისმი პროლეტარულ ინტერესებს — ამ უკანასკნელის
პირველისათვის დამორჩილების გზით.

თანმიმდევარი, რევოლუციური შემოქმედებითი მარქსიზმის პოზიციებიდან
რევიზიონიზმს ბრძოლას მხოლოდ ლენინი და სტალინი უცხადებენ.
ლენინმა და სტალინმა მარქსისტული აზროვნების ისტორიაში პირ-
ველებმა გამოააშკარავეს ოპორტუნისმის ფდური სათავეები. მათ უკუაგდეს
სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრის თეორია და დასაბუთეს შეგნებუ-
ლობის პარტიის თეორიის მნიშვნელობა მუშათა მოძრაობაში. ლენინმა
და სტალინმა ამილეს ოპორტუნისტები, როგორც იმპერიალისტური
ბურჟუაზიის აგენტები მუშათა მოძრაობაში.

ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1906 წელს შრომაში: „ანარქიზმი თუ
სოციალიზმი?“ სწერდა:

„რეფორმისმი (ბერშტეინი და სხვები), რომელსაც სოციალიზმი მხოლოდ
შორულ მიზნად მიანიხ და მეტ არაფრად, რეფორმისმი, რომელიც ფაქტი-
ურად უარყოფს სოციალისტურ რევოლუციას და მშვიდობიანი გზით ცდა-
ლობს სოციალიზმის დამყარებას, რეფორმისმი, რომელიც კლასთა თანამშრომ-

ლობას ქადაგებს და არა კლასთა ბრძოლას, — ეს რეფორმიზმი დღით-დღე იხრწნება, დღით-დღე ჰკარგავს ყოველივე სოციალისტურ ნიშანწყაღსა!

როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, მე-19 საუკუნის დამთავრებულ დროიდან და „თავისუფალი“ ტერიტორიების დანაწილება. დაიწყო ბრძოლა მსოფლიოს ხელახლა დანაწილებისათვის. ამ ბრძოლას განსაკუთრებით აძლიერებს იმპერიალისტური ქვეყნების უთანაბრო და ნახტომისებური განვითარება, რაც სწრაფად სცვლის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ეკონომიური და სამხედრო ძალების თანაფარობას და იწვევს იმპერიალისტური ომების გარდუვალობას. 1914 — 1918 წლების ომი იყო ომი იმპერიალისტური, რომელიც მიზნად ისახავდა განაწილებულ მსოფლიოს ხელახლა განაწილებას. ეს ომი მოამზადა ყველა იმპერიალისტურმა ქვეყანამ, ასე რომ მის გაჩაღებაში ყველა ისინი დამნაშავენი არიან.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, გადაჭრით უნდა აღინიშნოს, რომ ომის უშუალო დამწყები, მისი ინიციატორი იყო გერმანიის იმპერიალიზმი. სამხედრო მომზადების ის უპირატესობა, რომელიც მას ჰქონდა, აიძულებდა გერმანიის იმპერიალიზმს გაეხსნა იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა კენახი, აეღო ინიციატივა და დაეწყო ომი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ომს ათეული წლის განმავლობაში ამზადებდნენ ყველა ქვეყნის მშობრული წრეები, ყველა ქვეყნის გაბატონებული კლასები, მაგრამ ომის დამწყებად ლენინი მიიხსენიებს გერმანიის იმპერიალიზმს სთვლის.

„გერმანიის ბურჟუაზიამ, — ამბობდა ლენინი, — რომელიც ზღაპრებს ივრცელებს, რომ თავდაცვით ომს ეწეოდა, ნამდვილად თავისი თვალსაზრისით ყველაზე უფრო ხელსაყრელი მომენტი აირჩია ომის დასაწყებად, თავისი უკანასკნელი სამხედრო ტექნიკური გაუმჯობესებანი გამოიყენა და რუსეთსა და საფრანგეთს დაასწრო, სანამ ისინი ახალი შეიარაღების უკვე გადაწყვეტილ და მიღებულ გეგმას განახორციელებდნენ“ (ტ. XVIII, 72).

რა მიზნებს ისახავდა გერმანიის იმპერიალიზმი? გერმანიის ბურჟუაზიისა და იურცრების იმპერიალისტური მოთხოვნები ასეთი იყო: გერმანიის განუყოფელი ბატონობა მთელ მსოფლიოზე — ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიისა და პორტუგალიის კოლონიების დაპყრობისა და სამხრეთ ამერიკაზე გავლენის გავრცელების გზით. მთელი გერმანიის იმპერია იყოფა ორ ნაწილად: სრულყოფილიან გერმანიად და დაპყრობილ ტერიტორიად, რომელიც გერმანიის მრეწველობის ნედლი მასალისა და გასაღების ბაზად იქცევა და რომლის მოსახლეობა სრულიად ჰკარგავს პოლიტიკურ, ეკონომიურ და იურიდიულ დამოუკიდებლობას და მონურ მდგომარეობაში ვარდება. გერმანიის იმპერიალისტები მისწრაფებდნენ — წაერთმიათ რუსეთისათვის უკრაინა, პოლონეთი, ბალტიის მხარე. მათი მიზანი იყო შორს გადაესროლათ რუსეთი ბალტიისა და შავი ზღვის მიდამოებიდან. ამ იმპერიალისტური მიზნების განხორციელებისათვის გერმანიამ არ ერიდებოდა არავითარ საშუალებას. იგი მიმართავდა დიპლომატიურ თაღლითობას, პროვოკაციას, საშინელი სიმშვეცი უსწორდებოდა დამარცხებულ ხალხებს. გერმანიის შეიარაღებულმა ურდობებმა „გაძარცვეს ნახევარი ევროპა, მოახრჩვეს პატარა ქვეყნებისა და სუსტი ხალხების უმეტესობა“ (ლენინი).

გერმანიის იმპერიალისტების მტაცებლური გეგმები განსაკუთრებით ფართოდ და სრულად ჩამოყალიბებულია რეისტაგის დებუტატის ფრიდრიხ ნაუმენის წიგნში „შუა ევროპა“, რომელიც 1915 წლის ოქტომბერში გამოვიდა.

ავტორი „ქრისტიანული სამართლიანობის“, „ნაციონალური თანასწორობისა“ და „სოციალისტური დემოკრატიის“ დემოკრატიული ფორმაში ცდომილებების გამოყენების გერმანიის იმპერიალიზმის ავანტიურის მისწრაფებებსა და მის მიზანსა. ჩვენ, გერმანელებს, ამბობს ნაუმენი, ერთი მიზანი გვაქვს. ეს ერთიანობა გამოიწვევდა „ახალხორ სკოლის, ყაზარმის, პოლიციის, მეცნიერებისა და სოციალისტურ პროპაგანდის ერთიანი მუშაობით“. გერმანელთა მიზანი, მისი აზრით, ის არის, რომ მიღწეულ იქნას ჯერ ევროპაში, შემდეგ მთელს მსოფლიოში გერმანიის ჰეგემონია. „თავდაპირველად ჩვენი თვალი, — ამბობს ნაუმენი, — მიმართული უნდა იყოს შუა ევროპისკენ, რომელიც გადაჭიმულია ჩრდილოეთი და ბალტიის ზღვებიდან ალპებამდე, ადრიატიკის ზღვამდე და დუნაისპირა დაბლობის სამხრეთ ზოლამდე. ყოველი ისტორიული პარტიკულარიზმი აქ მსოფლიო ომით უნდა მოისპოს“. ამგვარად, გერმანიის ახალი იმპერიის ძირითადი ბირთვი შუა ევროპაა. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. „ცხოველუნარიანი შუა ევროპა, — განაგრძობს ნაუმენი, — საჭიროებს მის გვერდით მდებარე აგრარულ ოლქებს. გარდა ამისა, მისთვის საჭიროა ჩრდილოეთ და სამხრეთ სანაპიროების შესაძლო გაფართოება და აგრეთვე ოკეანის გადაღმა კოლონიების დასაკუთრება“. ფაშისმის წინამორბედი ნაუმენის იმპერიალისტური პროპაგანდა თავის დასრულებას გერმანიის ფაშისმში ნახულობს.

ლენინი ჯერ კიდევ 1914 წელს აფრთხილებდა ჩვენი ქვეყნის მშრომელებს, რომ გერმანიის „ბურჟუაზია იუნკრებთან ერთად ყოველ ძალღონეს იხმარს, რომ, როგორც არ უნდა გათავდეს ომი, დახმარება გაუწიოს მეფის მონარქიას რევოლუციის წინააღმდეგ რუსეთში“. (რჩ. ნაწ. ტ. III).

ლენინის სიტყვები მთლიანად გამართლდა. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისთანავე ჩვენს ქვეყანას ვერაგულად თავს დაესხნენ გერმანიის იმპერიალიზმის თავით ფეხამდე შეიარაღებული ურდოები. მათ მოახდინეს ბელორუსიის, უკრაინის, ბალტიის შხარის ოკუპაცია, დიკავეს პსკოვი და გაემართნენ პეტროგრადისაკენ; გერმანელი ინტერვენტები მიზნად ისახედნენ — დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება და ჩვენი ქვეყანა თავიანთ კოლონიად გადაექციათ. ბოლშევიკების პარტიამ გადმოისროლა ლოზუნგი: „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია“ და მოუწოდა მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლისაკენ. ლენინი ამბობდა: „ჩვენს წინ არის მჩაგვრელი, რომელიც მუხლს გვაპერს გულზე და ჩვენც შევებრძოლებით მას რევოლუციური ბრძოლის ყველა საშუალებით“ (ტ. XXII, 321). მაგრამ გამარჯვების მისაღწევად არ იყო საკმარისი რევოლუციური აღტყინება და ენტუზიაზმი. საჭირო იყო მთელი ძალების ორგანიზაცია და მობილიზაცია.

1918 წლის მარტში ლენინი სტატიამი „საქმიან ნიადაგზე“ სწერდა:

„ჩვენი წმინდა მოვალეობაა ფხიზლად შევავასოთ ჩვენი მდგომარეობა, აღვრიცხოთ ძალები, შევამოწმოთ სამეურნეო მექანიზმი. ყველაფერი ეს უნდა ხდებოდეს სამხედრო დროის სისწრაფით, ვინაიდან ყოველი დაყოვნება ჩვენს ახლანდელს მდგომარეობაში ქვეყნისათვის „სიკვდილის მსგავსია“. ჰანიბალი ილაყაფის კარებთან დგას. ეს არ უნდა გვაეწვედებოდეს არც ერთ წუთს.

ომის ნამდვილად საწარმოებლად აუცილებელია მაგრად ორგანიზებული ზურგი. საუკეთესო არმიას, რევოლუციის საქმის უერთგულეს ადამიანებს,

დაუყოვნებლივ გაანადგურებს მტერი, თუ ისინი საკმარისად შეიარაღებულნი, სურსათით მომარაგებულნი, გაწვრთნილნი არ იქნებიან. ეს იმდენად ნათელია, რომ განმარტებას არ თხოვლობს“ (ლენინი, ტ. XXII, 347).

წითელი არმიის ახალგაზრდა რაზმებმა 23 თებერვალს ნატივად დაიპყრონ თან სასტიკად დამარცხა გერმანელი დამპყრობელები. გერმანელ ტყვეობასთან გადაწყვეტი ბრძოლის დღეს 23 თებერვალს იშვა ჩვენი შრომალიური წითელი არმია.

პარტიამ, გადაიტანა რა შეუპოვარი ბრძოლა ტროცკისტ-ბუხარინელებთან, რომლებიც „საქმით დაეხმარნენ გერმანელ იმპერიალისტებს და ხელი შეუშალეს რევოლუციის ზრდასა და განვითარებას გერმანიაში“ (ტ. XXII, 307), დასლო ზავი მაშინ ყველაზე საშიში მტაცებელი გერმანიის იმპერიალიზმთან, „რათა მიეღო შესვენება, განემტკიცებინა საბჭოთა ხელისუფლება და შეექმნა ახალი, წითელი არმია, რომელიც შესძლებდა დაეცვა ქვეყანა მტრების თავდასხმისაგან“ („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკ. კურსი“, გვ. 262).

მაგრამ გერმანიის იმპერიალიზმთან ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. გერმანელმა ოკუპანტებმა 1918 წლის მაისში თავიანთი ჯარები, ადგილობრივი ნაციონალისტების თხოვნით, შეიყვანეს საქართველოსა და აზერბაიჯანში და დაიწყეს ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის ძარცვა და ჩაგვრა.

სწორად რა 1918 წელს საქართველოში გერმანელ იმპერიალისტთა თარეშის შესახებ, ლენინი აღნიშნავდა:

„საქართველოს დამოუკიდებლობა აშკარა მოტყუებად გადაიქცა; სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სხვებით ხელში ჩაგდება გერმანიის იმპერიალისტების მიერ, გერმანიის ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ“ (ტ. XXIII, გვ. 155).

უკრაინის თეთრგვარდიელ რადასთან დადებული „ხელშეკრულებით“, გერმანიის ჯარებმა დაიკავეს უკრაინა და დაიწყეს უკრაინელი ხალხის მხეცურა აწიოკება. ამხანაგი სტალინი სტალიაში „უკრაინის კვანძი“, ახასიათებდა რა გერმანულ იმპერიალიზმს, მიუთითებდა, რომ მას თავისი ხიშტებით ჩვენი ქვეყნის მუშებისა და გლეხებისათვის მოაქვს „სამარცხენო უღელი, რომელიც არაფრით არა სჯობია ძველს, თათართა უღელს“. დამპყრობელთა წინააღმდეგ საბჭოთა უკრაინამ და ბელორუსიამ გააჩაღეს სამამულო გამანთავისუფლებელი ომი. წითელმა არმიამ განდევნა გერმანელი დამპყრობელები უკრაინისა და ბელორუსიის საზღვრებიდან.

ლენინი და სტალინი ნათლად ხედავდნენ გერმანელი იმპერიალისტური მხეცის დამარცხების გარდუვალობას. გერმანიის გამარჯვება — ამბობდა ლენინი, — რაც უფრო ფართოვდება, მით უფრო მეტად აშკარავდება მისი უიმედო მდგომარეობა. ლენინი აღნიშნავდა, რომ გერმანიის წარმატებას ფრონტებზე არ მივეყვართ ომის გამარჯვებით დამთავრებამდე: „ეს მხოლოდ შეტყმნის კიდევ ერთ დამონებულ ქვეყანას, რომელიც მოითხოვს ოკუპაციას, გერმანელთა ჯარებით დაკავებას და კვლავ ომის წარმოებას“. 1918 წელს გერმანია კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. გერმანიას გამოეღია ეკონომიური და ადამიანთა რესურსები. დაუსრულებელმა ომმა ქვეყანა დაუძლურებამდე და შიმშილობამდე მიიყვანა, ჯარში, ოქტომბრის რევოლუციის გავლენით, გაძლიერდა რღვევა და მისწრაფება ზავისაკენ. არმიამ დაკარგა ბრძოლის წინანდელი უნარი. გერმანია იძულებული გახდა დამარცხებულად ეცნო თავი

და ზავი ეთხოვა. 1918 წლის ნოემბერში იფეთქა გერმანიაში რევოლუციამ, რომელმაც ვილჰელმის მთავრობა ჩაახშო. ლენინი, ახასიათებდა რა ომის შედეგებს, გერმანიის იმპერიალიზმის მიმართ ამბობდა: „ჯერ იგი არაჩვეულებრივად ცაიბერა, მან სამი მეოთხედი ევროპა დაიკავა, გასუქვავა, ხელისუფლებამდე იქვე გასკდა და საშინელი სიმყარაღე დასტოვა“.

1933 წელს გერმანიაში ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა პიტლერელთა პარტია, „იმპერიალისტთა პარტია, თანაც პარტია ყველაზე უფრო მტაცებელი და ავაზაკი იმპერიალისტებისა მსოფლიოს ყველა იმპერიალისტთა შორის... პარტია დემოკრატიულ თავისუფლებათა მტრებისა, პარტია შუასაუკუნეობრივი რევოლუციისა და შავრაზმული რბევა-აწიოკებისა“ (სტალინი).

გერმანიის სახელმწიფოს სათავეში ფაშისტების ჩადგომას შედეგად მოჰყვა გერმანიის განვითარების შეფერხება, დაღმავალი ვითო უკან დაქანება იმ ქვეყნისა, რომელმაც პროგრესულ კაცობრიობას მისცა გოეთე და შილერი, კანტი და ჰეგელი, ბეთხოვენი და ვაგნერი. ქვეყანა, რომელმაც მსოფლიოს მარქსი და ენგელსი მისცა, ფაშისტებმა გადააქციეს რბევა-აწიოკებისა და რევოლუციის ქვეყნად, მკვლელთა და მძარცველთა ქვეყნად. ამა თუ იმ ქვეყნის წინსვლის ასე შეფერხება პირველი შემთხვევა არ არის ისტორიაში. „მსოფლიო ისტორიის წარმოდგენა, — ამბობდა ლენინი, — რომ იგი მიიმართება წინ მშვიდად და წესიერად, გარეშე ზოგჯერ უზარმაზარი ნახტომისა უკან, არაღილექტიური, არამეცნიერული და თეორიულად უმართებულოა“ (ლენინი, ტ. XIX, 217).

როგორი იყო პირობები, რომლებმაც განსაზღვრეს 1933 წელს გერმანელ ფაშისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება?

გერმანიის მშრომელი ხალხი 1914 — 1918 წლების ომის შედეგად განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ქვეყანა დიდად იყო დაუძლურებული გაჭიანურებული და დამღუპველი იმპერიალისტური ომის შედეგად, აგრეთვე კონტრიბუციებით, რომლებსაც გერმანია იხდიდა გამარჯვებული ინგლის-საფრანგეთის სასარგებლოდ. მშრომელები იტანჯებოდნენ თავიანთი და უცხოეთის ბურჟუაზიის უღელქვეშ. 1929 წლის ეკონომიურმა კრიზისმა გამოიწვია მშრომელი მასების მდგომარეობის შემდგომი მკვეთრი გაუარესება. უმუშევრობის ზრდა, ხელფასის შემცირება, გლეხობის პროლეტარიზაცია, წვრილბურჟუაზიის მასობრივი გაკოტრება, — ყოველივე ეს იწვევდა მშრომელი მასების უკმაყოფილების ზრდას, რასაც მოსდევდა რევოლუციური აღშფოთება. გერმანიის ბურჟუაზია რწმუნდებდა, რომ მმართველობის ძველი მეთოდებით ხელისუფლების შენარჩუნება შეუძლებელია, ვინაიდან მუშათა კლასს შეუძლიან გამოიყენოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თავისუფლებები რევოლუციური მოძრაობის გასაჩაღებლად. „ამიტომ მან გადასწყვიტა, რომ გერმანიაში ბურჟუაზიის ძალაუფლების შესანარჩუნებლად არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება — ბურჟუაზიულ თავისუფლებათა მოსპობა, პარლამენტის (რეიხსტაგის) დაყენა ნულამდე და დამყარება ტერორისტული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური დიქტატურისა, რომელიც შესძლებდა დაერთგუნა მუშათა კლასი და ეპოვა თავისთვის ბაზა რევანშისტულად განწყობილ წვრილ-ბურჟუაზიულ მასებს შორის“ (საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მრკ. კურსი“, გვ. 367).

ბურჟუაზიამ ძალაუფლება გადასცა ფაშისტებს, ღრმად დარწმუნებულმა, რომ პიტლერელთა პარტია, როგორც უბოროტესი რევოლუციონერები საშინაო

პოლიტიკაში, სისხლში ჩაახშობდა მშრომელი მასების რევოლუციურ ბრძოლას, ხოლო საგარეო პოლიტიკის დარგში, როგორც პირწავარდნილი იმპერიალისტები, გააჩაღებდა ბრძოლას რევანშისათვის, ბრძოლას მსოფლიო ბატონობის მოპოებისათვის.

გერმანულ ფაშისტებს ხელისუფლების მიღების საქმეში დანდნად დაეხმარა მუშათა კლასის გამცემი — სოციალ-დემოკრატია. ფაშიზმმა ხელისუფლების დაპყრობა შესძლო იმიტომ, რომ სოციალ-დემოკრატია ატარებდა ბურჟუაზიასთან კლასობრივ თანამშრომლობისა და შემთანხმებლობის ტაქტიკას, რის შედეგადაც მუშათა კლასი გაითიშელი აღმოჩნდა, მას არ მოეპოებოდა საკუთარი რიგების ერთიანობა. კომუნისტური პარტია კი იმდენად ძლიერი და გავლენიანი არ იყო, რომ სოციალ-დემოკრატის წინააღმდეგ და მისი გვერდის ავლით მოეწყო გადამწყვეტი ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ.

უკეთებდა რა ანალიზს გერმანიაში მომხდარ ამბებს, ამხანაგი სტალინი პარტიის XVII ყრილობაზე ამბობდა:

„ფაშიზმის გამარჯვება გერმანიაში უნდა განვიხილოთ არა მარტო, როგორც ნიშანი მუშათა კლასის სისუსტისა და შედეგი მუშათა კლასის მიმართ სოციალ-დემოკრატისა და ლალატისა, რომელმაც გზა გაუკაფა ფაშიზმს. ის უნდა განვიხილოთ აგრეთვე, როგორც ნიშანი ბურჟუაზიის სისუსტისა, როგორც ნიშანი იმისა, რომ ბურჟუაზიის უკვე აღარ შეუძლია იბატონოს პარლამენტარიზმისა და ბურჟუაზიული დემოკრატის ძველი მეთოდებით, რის გამოც იძულებულია მიმართოს საშინაო პოლიტიკაში მმართველობის ტერორისტულ მეთოდებს, როგორც ნიშანი იმისა, რომ მას აღარ შეუძლია გამოსავალი მოიხსნოს ახლანდელ მდგომარეობიდან მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკის საფუძველზე, რის გამოც ის იძულებულია მიმართოს ომის პოლიტიკას“ („ლენინიზმის საკითხები“, გვ. 537).

„ფაშიზმი, წარმოადგენს რა შესაუყუნებობრივ რეაქციისა და შავრახმული ჩბევა-აწიოკების პარტიას, ცდილობს მასების დაპყრობას და შიმშრობას მოტყუების გზით; თაღლითობისა და დემაგოგიის გზით, დაშინებისა და ტერორის გზით. ჯერ კიდევ 1920 წელს გამომუშავებულ პარტიის პროგრამაში ფაშისტები ჰპირდებოდნენ გლეხობას მიწასა და პროცენტული მონობის მოსპობას, ხელოსნებს — შეკვეთებს, წვრილვაჭრებს — უნივერსალური მღაზიების კონკურენციის მოსპობას, მუშებს — დიდ ხელფასს და უმუშევრობის მოსპობას. თავისი პროგრამის რეაქციონური შინაარსის დაფარვას ისინი ანტიკაპიტალისტური ფორმით ცდილობენ. ფაშისტები ცდილობენ მშრომელი მასების სიმპატია სოციალიზმისადმი გამოიყენონ ფინანსური კაპიტალის სასარგებლოდ. იმიტომ არის, რომ ისინი თავიანთ თავს ნაციონალ-სოციალისტებს უწოდებენ. ამხანაგმა სტალინმა ამხილა მათი ეს ცდა და ნათელყო პიტლერელთა ნამდვილი ბუნება. ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ თავგასულ იმპერიალისტებს და უბოროტეს რეაქციონერებს სურთ „ნაციონალიზმისა“ და „სოციალიზმის“ სამოსელით დაფარონ თავიანთი ავაზაკური იმპერიალისტური ბუნება. „ყვედები ფარშავანგის ფრთებით ირთებებიან, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — მაგრამ ყველი, რაც უნდა მოირთოს ფარშავანგის ფრთებით, მაინც ყვეად დარჩება“.

პიტლერელები სოციალისტები კი არა, სოციალიზმის დაუძინებელი მტრები არიან. მათ დაიშინეს გერმანელი ხალხი, წაართვეს მას ელემენტარული დემოკრატიული თავისუფლებანი, გაამეფეს რეაქციონურ-შავრახმული რევი-

მი ტერორისა და ჩაგვრისა. მათ გერმანელი მშრომელი ხალხი მუშა-პირუტყვად გადააქციეს.

ჰიტლერმა 1929 წელს გერმანიის ნამდვილ ბატონ-პატრონებთან — ფინანსიურ მაგნატებთან — თათბირზე განაცხადა:

„მართებული არ იქნებოდა გაგვეკეთებინა დასკვნა, რომ ჩვენ, ნაცისტურ-სოციალისტები, კაპიტალიზმის წინააღმდეგნი ვართ. პირიქით, ჩვენ რომ არა ვყოფილიყავით, გერმანიაში ბურჟუაზია არ იქნებოდა. ნუ წაართმევთ ადამიანებს უკეთესი მომავლის იმედს, პირიქით, გააღვივეთ იგი. ალყა შემოვრტყმული ციხე-სიმაგრის გარნიზონი ხომ მხოლოდ მანამდე იბრძვის, სანამ იგი იმედოვნებს, რომ საიდანმე დახმარებას მიიღებს“.

ჰიტლერელები ნაციონალისტები კი არა, პირწავარდნილი იმპერიალისტები არიან. ისინი მსოფლიო ბატონობის მიღწევაზე ოცნებობენ.

„ჩვენ ეფიქრობთ, — ამბობს ჰიტლერი, — ჩვენი მუდმივი ბატონობა დავამყაროთ და ისე განვამტკიცოთ იგი, რომ ათას წელს მაინც ვაგრძელდეს. ჩვენი მისია ის არის, რომ სხვა ხალხები დავიმორჩილოთ. გერმანელი ხალხი მოწოდებულია, რათა ბატონთა ახალი კლასი მისცეს მსოფლიოს“.

ჰიტლერელთა ურდოებმა დაიპყრეს და დაიმონეს ევროპის ხალხები, წაართვეს მათ ნაციონალური დამოუკიდებლობა და ელემენტარული დემოკრატიული თავისუფლებები. ცდილობენ გაიხადონ ისინი მორჩილ მონებად.

გერმანელი ფაშისტები კულტურის დაუძინებელი მტრები არიან. ისინი არიან მუსასაუკუნეების ბნელეთის მოციქულები, რომლებიც ანგრევენ და სობუნ ხალხთა კულტურულ საუნჯეებს. აი როგორი შეხედულებისა არიან ფაშისტები კულტურასა და განათლებაზე:

„ჩვენ ბარბაროსები ვართ, — ამბობს ჰიტლერი, — და ჩვენ გვინდა ბარბაროსები ვიყვნეთ. ეს არის საპატიო სახელწოდება. კულტურა, ცივილიზაცია, ჰუმანიზრობა და სხვ. არის გამოხატულება სისულელისა, მხდალობისა და თავის თავზე დიდი წარმოდგენისა“.

„მე ვამტკიცებ, — ამბობს ჰერინგი, — რომ ის, ვინც ბევრს ფიქრობს, კითხულობს და განსაკუთრებულ ჭკვიანად სთვლის თავის, ის ყველაზე მეტად მხდალია“.

ასეთია ჰიტლერელ კაცოქამიათა ავაზაკური გეგმები და შეხედულებები: ფაშისტი არამხადები კაცობრიობას მოსპობასა და განადგურებას უშინადებენ.

როგორც აღვნიშნეთ, გერმანელმა იმპერიალისტებმა, გადასცეს რა ჰიტლერელებს ხელისუფლება, მისცეს მას დავალება: მოეწყოთ რევანში, მოეშინადებინათ და გაეჩაღებინათ ომი მსოფლიოს დასაპყრობად. ჰიტლერელებმა მთელი რიგი წლების განმავლობაში შექმნეს ძლიერი სამხედრო მანქანა. მშრომელთა გაუგონარი ექსპლოატაციისა და მათი მოთხოვნილების შეკეთი შემცირების გზით მოაწყეს თანამედროვე შეიარაღების — ავტომატების, ტანკების, თვითმფრინავების — მასობრივი ფართო მანქანით წარმოება. ველური ტერორითა და კაცოქამია პროპაგანდით, ე. წ. რასიული თეორიის პროპაგანდით, გაზრწნეს ახალგაზრდობა და გაიხადეს ის თავიანთი ავაზაკური ზრახვების ბრმა შემსრულებლად.

ფაშისტური გერმანია დაუკავშირდა ორ სხვა აგრესულ სახელმწიფოს — იაპონიასა და იტალიას და გააჩაღა მხადება ევროპის სახელმწიფოთა საზღვრების ძალდატანებითი გადასინჯვის და მსოფლიოს ხელახლა განაწილებას განსახორციელებლად.

ამხანაგი სტალინი, ეხება რა კოლონიებისა და გავლენის სფეროების ხელახალი გაყოფისათვის ომის რეალურ საფრთხეს, მიუთითებს ომის ორ კერძზე: შორეულ აღმოსავლეთში — იმპერიალისტურ იაპონიაზე და ევროპის ცენტრში — გერმანიის ფაშიზმზე.

ამხანაგი სტალინი, მიუთითებდა რა ომის საფრთხის არსებობას, ავტორიტეტობდა ჩვენს ხალხს კაპიტალისტური გარემოცვის არსებობის პირობებში სამხედრო ინტერვენციისა და რესტავრაციის ცდების საფრთხის არსებობის შესახებ. „სასაცილო და სისულელე იქნებოდა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — თვალეზი დაგვეხუტა და არ დაგვენახა კაპიტალისტური გარემოცვის ფაქტა და გვეფიჭო, რომ ჩვენი საგარეო მტრები, მაგალითად, ფაშისტები, თუ მათ შემთხვევა მიეცათ, არ შეეცდებიან მოახდინონ სამხედრო თავდასხმა სსრ კავშირზე“. „ეს გარემოება გვავალდებულებს, — გვასწავლიდა ამხანაგი სტალინი, — მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში“.

1935 წელს იტალია თავს დაესხა აბისინიას და დაიპყრო იგი. 1936 წელს ზაფხულში გერმანიამ და იტალიამ მოაწყეს სამხედრო ინტერვენცია ესპანეთში. 1937 წელს იაპონია, მანჯურიის დაპყრობის შემდეგ, შეიჭრა ჩრდილოეთ და ცენტრალურ ჩინეთში. 1936 წლის დამდეგს გერმანიამ დაიპყრო ავსტრია, ხოლო 1939 წლის მარტში ხელთ იგდო ჩეხოსლოვაკია. 1939 წლის პირველ სექტემბერს ჰიტლერელთა გერმანია თავს დაესხა პოლონეთს. ამის საპასუხოდ 1939 წლის 3 სექტემბერს ინგლისმა და საფრანგეთმა გერმანიასთან საომარი მდგომარეობა გამოაცხადეს. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომლის ინიციატორი, მომწყობი, გამომწვევი და დამწყები ჰიტლერული გერმანიაა.

ომს თავის პირველ ეტაპზე ცალმხრივი ხასიათი ჰქონდა. ომს აწარმოებდნენ აგრესიული ქვეყნები არააგრესიულ დემოკრატიულ სახელმწიფოთა ინტერესების წინააღმდეგ, ხოლო ეს უკანასკნელნი „თავს ისე მოგვარევენ, თითქოს ომი მათ არ ეხებოდეს, ხელეზს იბანენ, უკან იხევენ, ქებას ასხამენ თავის მშვიდობისმოყვარეობას, ღიძღავენ ფაშისტ აგრესორებს და... თავის პოზიციებს უთმობენ აგრესორებს, ირწმუნებიან რა ამასთან, ჩვენ წინააღმდეგობის გასაწევად ვეშაღებითო“ („სსკ.კ.პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 405).

ინგლისისა და საფრანგეთის იმდროინდელმა მმართველმა წრეებმა ხელი აიღეს კოლექტიური წინააღმდეგობის გაწევის პოლიტიკაზე, უარჰყვეს საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის პოლიტიკა. მათ ჰიტლერულ გერმანიას თავი დააშინებინეს რევოლუციის აჩრდილით. ამით ისარგებლა ფაშისტურმა გერმანიამ. მან დასავლეთ ევროპაში განახორციელა „ელვისებური ომის“ ჰიტლერული გეგმა, რომლის ძირითადი თავისებურებებია: ა) მოწინააღმდეგის პოლიტიკური იზოლიაცია, ბ) მოწინააღმდეგის ბანაკში არსებულ წინააღმდეგობათა გამოყენება და მის ზურგში „მეხუთე კოლონის“ შექმნა, გ) ომის გამოუცხადებლად უცარი, ვერაფერი თავდასხმა. ფაშისტურმა გერმანიამ ცალცალკე, სათითაოდ დაამარცხა ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოები.

ჰიტლერელებმა დასავლეთ ევროპის დაპყრობილ ხალხებს მოუტანეს გაუგონარი ტანჯვა-წამება, განადგურება და გაჩანაგება, შიმშილი და სიკვდილი. გერმანელმა ფაშისტებმა ევროპის ხალხებს, როგორც „დაბალი რასის“ წარმომადგენლებს, წაართვეს თავიანთი სახელმწიფოებრიობა, ხელში ჩაიგდეს მათი ეკონომიური დოვლათი და სიმდიდრე. ყველგან მონურ-ბატონყმური წესები დაამყარეს. დაპყრობილ ქვეყნებში გაუგონარი ტერორი გაამეფეს. და

ყოველივე ამ საშინელებას ფაშისტები უწოდებენ „ახალ წესრიგს ევროპაში“. მაგრამ ევროპის დროებით დამონებული ხალხები ვერ შეურიგდებიან გერმანელების მიერ შექმნილ მონათმფლობელურ წესებს. ევროპის ხალხებმა ყველაზე დებთან დამპყრობელთა წინააღმდეგ საბრძოლველად, დღითიდღე მსოფლიოში და მათი ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი ბრძოლა ჰიტლერელთა წინააღმდეგ. „მართო თავშეყვარებული ჰიტლერელი ბრძევები ვერა ხედავენ, რომ ევროპის „ახალი წესრიგი“ და ამ წესრიგის ყბად-აღებული „საფუძველი“ წარმოადგენს ვულკანს, რომელიც ყოველ წუთს მზად არის ამოხეთქოს და წალეკოს გერმანელთა იმპერიალისტური ხეხულა“ (სტალინი).

დროებით შესძლეს რა დაემონათ ევროპის ერები, ჰიტლერელებმა გამოილაშქრეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ისინი იმედოვნებდნენ, საბჭოთა ქვეყნის დაპყრობისა და გაძარცვის გზით გამოესწორებინათ თავიანთი შერყეული ავანაჯური საქმეები და განეგრძოთ ომი ინგლისისა და ამერიკის შეერთებულ შტატების წინააღმდეგ. 1941 წლის 22 ივნისს ფაშისტურმა გერმანიამ მუხანათურად დაარღვია თავდაუსხმელობის პაქტი და უცრად თავს დაესხა ჩვენს მშვიდობიანობის მოყვარე ქვეყანას.

რა სურთ ჰიტლერელ ბარბაროსებს? რა მოაქვთ გამზეცებულ ფაშისტურ დოგმებს ჩვენი ქვეყნის მშრომელთათვის?

ფაშისტ ავანაჯებს სურთ, წაართვან საბჭოთა ხალხს ბრძოლითა და შრომით მოპოვებული ახალი თავისუფალი ცხოვრება და გერმანელი იმპერიალისტების უუფლებო მონებად გახადოს. მათ სურთ, ჩვენს ხალხს წაართვან თავისუფლება და ნაციონალური სახელმწიფოებრივობა და გერმანელი იმპერიალისტებისა და ბარონების მუშა-პირუტყყად აქციონ. „ამრიგად, საქმე ეხება საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლეს, სსრ კავშირის ხალხთა სიკვდილ-სიცოცხლეს, საქმე ეხება იმას — თავისუფალი უნდა იყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხები თუ მონობაში უნდა ჩაეარდნენ“ (სტალინი).

გერმანელების მიერ ჩვენი ქვეყნის დროებით დაპყრობილ მიწა-წყალზე ჰიტლერელები სჩადიან საშინელ ბოროტმოქმედებას: უდაბნოდ აქცევენ დასახლებულ ადგილებს, სწვადვენ სოფლებსა და ქალაქებს. იჭიროებენ და ჭლეტენ ხალხს, მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს, მხეცურად აწამებენ და ჰკლავენ წითელარმიელებს.

ამიტომ ჰიტლერელებთან შეიძლება მხოლოდ ერთი ენით ლაპარაკი: ზისტიცა და გრანატის, ტყვიისა და ყუმბარის ენით. გაფლეთილ, უნდა იქნან ჰიტლერელი პირუტყყები. „უნდა გაველიტოთ უკლებლივ ყველა გერმანელი ოკუპანტი, რომლებიც ჩვენს სამშობლოში შემოიჭრნენ მის დასამონებლად“ (სტალინი).

1942 წლის ზაფხულის დამდეგისათვის გერმანიის სარდლობამ ფრონტის სამხრეთ უბანზე თავი მოუყარა დიდძალ ჯარსა და უდიდესი რაოდენობის ტექნიკას. მან გააშვივლა თავისი ფრონტის სხვა ადგილები ევროპაში, იქიდან გადმოიყვანა 22 დივიზია. მოხვეტა მთელი თავისი რეზერვები ვასალურ ქვეყნებში (იტალია, რუმინეთი, უნგრეთი, სლოვაკია), მობილიზაცია უკუ 70-მდე დივიზიას და აღმოსავლეთის ფრონტზე გადმოიყვანა. მუქარით და შოსყიდვით გაატარა იძულებითი მობილიზაცია ოკუპირებულ ქვეყნებში. ყოველივე ამის შედეგად გერმანელებმა სამხრეთ ფრონტზე მნიშვნელოვანი სიჭარბე შექმნეს ჯარებისა და ტექნიკის რაოდენობის მხრივ. ამის გამო კი

მათ შესძლეს სერიოზულად შეევიწროებინათ ჩვენი ჯარები. ჩვენ დაგვკარგეთ მნიშვნელოვანი რაიონები და ქალაქები და მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი განვიცადეთ.

მიუხედავად გერმანელების მიერ მთელი ძალების დაძაბვისა, ჩვენ შეტყევეთი ოპერაციების განვითარება შესძლეს მხოლოდ სამხრეთ უბანზე, ამასთან ეს ოპერაციები მათ ჩაატარეს გაცილებით უფრო ნელა, ვიდრე ომის პირველ პერიოდში. უდიდესი ზარალის ფასად მათ მოახერხეს მხოლოდ სამხრეთ მიმართულებით წამოეწიათ წინ მნიშვნელოვნად. რაც შეეხება სხვა ფრონტებს, ინიციატივა ჩვენი ჯარების ზელთ არის და ისინი აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწევიან.

ფრონტმა ჩვენსკენ წამოიწია. იგი კავკასიონის კალთებს მოუახლოვდა. მტერს სურს მოსწყვიტოს კავკასია საბჭოთა კავშირს და ზელში ჩაივლოს ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრეები (ნავთი, მარგანეცი, უხვი და ნაყოფიერი მიწები). ვერაფი და ბოროტი მტერი ცდილობს კავკასიის ხალხებს წაართვას ის დიადი მონაპოვარი, რომელიც მათ მოიპოვეს საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

ამ დაძაბულ და რთულ ვითარებაში საჭიროა უფრო მეტი ორგანიზებულობა, რკინისებური დისციპლინა, ბოლშევიკური სიფხიზლე; უფრო მეტი სიმამაცე, გამბედაობა და უშიშროება ბრძოლაში.

ყოცხალ საგმირო საქმედ უნდა ვაქციოთ ამიერ-კავკასიის ხალხთა დიადი, საზეიმო ფიცი სტალინისადმი, რომელიც თბილისში გამართულ ანტიფაშისტურ მიტინგზე დასდეს ამიერკავკასიის ხალხის წარმომადგენლებმა:

„გეფიცებით თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ მტკიცედ და მამაცურად, დიდ რუს ხალხთან — ჩვენს უფროს ძმასთან ერთად, ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად ვიბრძოლებთ გერმანელ ფაშისტ ყაჩაღთა წინააღმდეგ მანამდე, ვიდრე სავსებით არ გავსრესთ ფაშისტ ქვეწარმავლებს.

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს“.



შექსპირის ავაზაკი პერსონაჟები და ჰიფოკრიდი ბანდიზები

უილიამ შექსპირი თავის ტრაგედიაში უზუად გვიხატავს ავაზაკებისა და კაცის მკვლელების დანაშაულებრივ სახეებს, რომელთა შინაგანი ბუნება და ხასიათი უდიდესი მხატვრული სიძლიერით არის მოცემული მის მაკბეტში, იაგოში, ედმუნდში, რიჩარდ მესამეში.

რა თქმა უნდა, შექსპირის ავაზაკების სამოქმედო ასპარეზი და მასშტაბი სულ სხვაა, ვიდრე ჩვენი დროის ჰიტლერელი ავაზაკებისა. შექსპირი ვერ წარმოიდგენდა, რომ ავაზაკები და კაცის მკვლელები მეოცე საუკუნეში, ერთად შეყრილნი, საკუთარ სახელმწიფოს შექმნიდნენ, შექმნიდნენ ტანკებითა და თვითმფრინავებით, ზარბაზნებითა და ავტომატებით შექურცილ საკუთარ არმიას და, ორგანიზაციულად და იდეურად გაერთიანებულნი, თავს დაესხმოდნენ მრავალი თაობის მიერ შექმნილ კულტურისა და ცივილიზაციის მონაპოვარს.

ჰიტლერელმა მტაცებლებმა თავიანთი სიმხეციოთაც ბევრად გადააჭარბეს შექსპირის ავაზაკებს. ისინი ასჯერ და ათასჯერ უფრო მხეცები არიან, ვიდრე შექსპირის ზემოთდასახელებული პერსონაჟები. მაგრამ, მიუხედავად ასეთი განსხვავებისა, მათ ავაზაკურ ბუნებასა და ხასიათში მაინც ბევრი რამეა საერთო, ნათესაური.

თავმოყვარეობა, შური, ანგარება, ძალაუფლების ხელში ჩაგდება, ვანდიდება, ბატონობისაკენ მისწრაფება — აი რა ამოქმედებს შექსპირის მკვლელებს და ავაზაკებს. როგორც ჰიტლერელი, ისე შექსპირის ავაზაკებიც ბოროტნი არიან, გულქვანი, მკაცრნი, დაუნდობელნი. მათში ამოკვეთილია ყოველგვარი შებრალება და „გულითმოლობა, დედაკაცის შესაფერი“, მათთვის უცხოა ადამიანური გრძნობები და იდეები, უცხოა სიკეთისა და პატიოსანების საწყისები. შექსპირის ენით რომ ვთქვათ, მათში „გინდა კეთილი გული გიძებნია, გინდა რძე მამალი ტოცხვერის გვამში“. მხეცური სიძულვილით ისინი დაუნდობლად სპობენ ყველას და ყველაფერს, ვინც და რაც მათ ზნელ ზრახვებს გზად ეხიდება, და მიმართავენ ყველაფერს, რაც მათ ხელს შეუწყობს ცბიერება, სიცრუე, ღალატი, წამება, მკვლელობა, — აი ის საშუალებანი, რომელთაც ისინი იყენებენ თავიანთი ბოროტი ზრახვების მისაღწევად.

შექსპირის ავაზაკი პერსონაჟების ეს თვისებები — მათი ბოროტება, სიმკაცრე, დაუნდობლობა, საშუალებების განურჩევლობა — საერთოდ ყველა ავაზაკის აუცილებელი თვისებებია. თუ ადამიანი ბუნებით კეთილია, პატიოსანი, დამნდობი და შემბრალე, იგი ავაზაკური საქმისათვის არ გამოდგება.

ლედი მაკბეტს აშინებს თავისი ქმრის მაკბეტის კეთილი ბუნება, რომელიც ავაზაკისთვის შეუფერებელია. იგი დასცინის მის პატიოსნებას, რომელიც მის ავ ზრახვებს წინ ეღობება.

„მავრამ მეშინის

შენის კეთილი ბუნებისა, რაიც თითქოს რძით
გაჲლენთილია, და ვაი თუ გზას აღზვიოს.
სახელოვანი გწადის იყო, თავმოყვარებაჲ
საქმარისი გაქვს, მავრამ გინდა, რომ ამ დიდებას
პატიოსნებით მიალწიო“, —



ეუბნება იგი მაკბეტს.

შექპირის ავაზაკები უმთავრესად პატიოსან და კეთილ ადამიანებზე ასპა-
რეზობენ. ავაზაკი მაკბეტი ჰველ ღუნკანზე და ბანქოზე ნადირობს, იაგო —
დამნლობ ოტელოზე. სისხლით უძღები რიჩარდ მესამე სპობს ყველას, ვინც
მას ფეხში ებლანდება. იგი დაუნდობლად ჰკლავს თავის ძმას კლარენსს,
აღრჩობს ტოუერში თავის ძმისწულებს. იგი არა ზოგავს თავის მეგობრებსაც.
ავაზაკი ედმუნდი („მეფე ლირიდან“) ამბობს: ყველაფერს ვიკადრებ, რაც
ხელს შემოიწობსო. იგი თვალებს სთხრის საკუთარ მამას, სდევნის თავის პა-
ტიოსან ძმას ედგარს. ედგარზე იგი ამბობს:

„ისეა იგი უბოროტო, გულწრფელ-მართალი,
რომ სხვის ბოროტსაც ვერ მიმხედარა, ვერ მიუგნია;
იგი თავისის სულელური პატიოსნებით
შალე მოხვდება ჩემს ბაღეში და თავს გაიბამს“.

ამასვე იმეორებს ცბიერი იაგო სათნო და კეთილ დესდემონაზე:

„დესდემონას სათნოებას მე ფისად გავხდი,
მის სიკეთეზედ ბადეს მოვქსოვ და იმ ბაღეში
გაეაბამ ყველას“.

შექპირის ავაზაკები და კაცის მკვლელები ჰგომბენ სინიდიისისა და მოვა-
ლოზის ადამიანურ გრძნობას, რომელიც ანელებს მათ სიმკაცრეს, ბოჭავს
მათ მხეცურ ინსტინქტებს, აგულჩვილებს და ალაჩრებს ადამიანს. ღუნკანის
მოკვლის წინ ლედი მაკბეტს აშინებს, რომ იგი ქალია, სუსტი, გაუბედავი, და
შესთხოვს ავ სულებს. შექპატონ გამბედაობა და სიძკაცრე, რაც საქირთა
კაცის მოკვლისთვის, განაშორონ მისგან მისი სქესი, აავსონ იგი ავკაცობით
და გზა დაუბზონ სინიდიისის გრძნობას, რომ სინანულმა ღუნკანის მოსაკლა-
ვად აღმართული ხელი არ შეაყენოს:

„მოდით სულნო, ბნელ განზრახვათა
ჩამგონებელნო, განმაშორეთ ეს ჩემი სქესი!
ამავსეთ მკაცრის ავკაცობით თავით ფეხამდე,
ეს თხელი სისხლი შემიდევდეთ და გზა დაუბზეთ,
ამოუქოლეთ სინიდიისის ტანჯვას და ქენჯნას,
რომ შენანება ბუნებრივი არ დამიბორუნდეს
და არ დამიბზოს ეს მძვინვარე ზრახვა და ფიქრი,
ან აღსრულებას და მათ შორის არ ჩაეკედლოს.
თქვენ, ხელმძღვანელნო კაცის კვლისა, სადაც კი სუფევთ
და უხილავად ცდილობთ ვენებას ბუნების ძალთა, —
მოდით აქ ჩემთან, ეს ძუძუნი დედაკაცისა,
რძის სამავიეროდ, გარდაჰქმენით ბალღამის გუბედ!..“

თუ რა მოტივით უარყოფენ შექსპირის კაცის მკვლელები სინიდიის, ამის შესახებ ინტერესს მოკლებული არ იქნება მოვისმინოთ „რიჩარდ მესამედან“ მეორე კაცის მკვლელის მსჯელობა:

„სინიდიისი, — ამბობს იგი, — ადამიანს სწორედ ავლენილუბს საფრთხეებს: კაცს ისე ეერა მოუბარავს-რა, რომ მაშინვე ბრალი არ გამოუმტლავდეს, ფიცს რომ აპირობდეს, ის ყანყაროში მისწვდება; მეზობლის ცოლს ისე ვერ გაუ-არზიყდება, რომ მან ქვეყანას არ მოსდოს. სინიდიისი- მორცხვი, გაუბედავი აზრდილია, ადამიანს გულს უღელვებს და ყველგან გზაზედ წინ ეხიდება. ერთხელ ბედზედ ოჭროთი სავეს ქისა ვიპოვნე და იმან პატრონისთვის დამა-ბრუნებინა. ვისთანაც კი დაიბუდებს, გლახად გარდაქმნის და აქი ყველგან გამოაბანურეს კიდევ; ქალაქებსა და დაბებში ბინა ვერსად მოუყიდნია. ვი-საც კეთილი ცხოვრება სურს, თავის თავს უნდა მიენდოს, სინიდიისზე-კი ხელი აილოს“.

აეზაკთა შორის უდიდესი აეზაკი, შექსპირის ენით რომ ვთქვათ,

„მტარვალი, სისხლით ამოთხვრილი, კაცთა მკვლევანი,
ზედწეული სისხლში, სისხლით დამკვიდრებული,
ვინ იცის, რა გზით ამ დიდების მომპოებელი
და ამომხოცი თვით იმათი, ვინც გზა გაუხსნა,
ქვა უფარვისი, საზიზღარი, რამაც თვის ფასი
ცბიერებითა მოიპოვა ინგლისის ტახტზედ.“

რიჩარდ მესამემ არ იცის, რაა „გულით მოღობობა, დედაკაცის შესაფერი“, და როს სხვები იცრემლებიან, „მის თვალთა სცვივა მხოლოდ წისქვილის ქვები“.

სინიდიისი, რიჩარდის აზრით, ბავშვების შესაშინებლად გამოგონილი ზღაპ-რია, იგი ძლიერების შემფერებელი სილაჩრეა და მეტი არაფერია:

„...უსუსურ სიზმრებს ნულარ უფროთხით. სინიდიისიო
ეგ ლაჩართაგან მოგონილი სიტყვაა მხოლოდ
ძლიერებისა შემფერებლად. ჩვენ სინიდიისად
მტკიცე მარჯვენა გვქონდეს ჩვენი, კანონად — ხმალი,
წინ, წინ წავიდეთ, მამაცურად, მტერს დავერიოთ,
თუ ცას ვერ ავალოთ, ჯოჯოხეთში მაინც შევცვივდეთ!“

შექსპირის აეზაკებისა და კაცის მკვლელების ეს შეხედულება სინიდიისზე და მათი ამორალიზმი პიტლერელმა ბანდიტებმა თავის მსოფლმზედველობის ქვაკუთხედად გამოაცხადეს. უფრო მეტიც: მათ ეს ამორალიზმი ისე განავითარეს, რომ თვით შექსპირის აეზაკები მათთან შედარებით კეთილშობილ რაინდებად გვესახებიან.

ადამიანი, — ამტკიცებენ ეს ბანდიტები, — ბუნებით შეცია, ნადირი. მას აქვს თანდაყოლილი მხეცური ძმსტინქტები, რომელთა შემოჭვა ან სახის შეც-ვლა, ვაკეთილშობილება არაეითარ კულტურას არ შეუძლიან. ყველაფერი, რაც ზღუდავს ადამიანში მის მხეცურ სისასტიკეს — ჰუმანურობა, მებრალეობა, სინიდიისი, პატოსნება, საერთაშორისო სამართალი, მორალი და სხვა, დაგმო-ბილ უნდა იქნას. რაც უფრო მეტი მხეცური სიმკაცრით აწამებ, მოკლავ, გაძარცვავ, ვაანადგურებ, მით უფრო მეტი სრულად გამოავლენ შენს ნამდ-ვილ ბუნებას: ამიტომ გზა, გზა მიეცით სისხლს, კაცის კვლას, ზოცვა-ელე-

ტას!“ გაულოტეთ ყველა, ვინც ჩვენი წინააღმდეგია, გაულოტეთ, გაულოტეთ! მასუბს ამისათვის აგებთ არა თქვენ, არამედ მე. ამიტომ გაულოტეთ მოუწოდებს თავის ბანდას ჰიტლერელთა ერთ-ერთი მესვეური — პერონგი. ამ მოუწოდების თანახმად, ჰიტლერელები ჟღერენ და ჟღერენ მშვენიერად: მცხოვრებთ, სძარცვავენ და ანადგურებენ მათ ქონებას, აუპატრონებენ ქალებს, აწამებენ მოხუცთ, სტანჯავენ უდანაშაულო ბავშვებს. და რომ ამ სისხლიან გზაზე ჰიტლერელი მკვლელები სინდისმა არ ამხილოს, მათი სიმეცრე და უღმობელოება არ შეაყენოს, ადოლფ ჰიტლერიც შექაპირის კაცის მკვლელებთან ერთად აუქმებს სინდისს. იგი ბრძანებს:

„მე ვანთავისუფლებ ადამიანს დამამცირებელი ქიმერიისაგან, რომელსაც სინდისი ეწოდება... სინდისი, როგორც წინადაცვეთა, ამახინჯებს ადამიანს“... იგივე ჰიტლერი სწერს: „სინდისიერი კაცი, რომელიც თავს მოვალედ სთვლის... კონსულტაცია მიიღოს თავის სინდისისაგან, — აშკარა სულელია“.

ამგვარად, ზრახვების მხვინე მიმართულებას და სიმხეცეს, როგორც შექაპირის ავაზაკები, ისე ჰიტლერული ბანდიტები მიჰყავს ადამიანის უძვირფასესი განძის, სინდისის უარყოფამდე. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ამ მხრივაც შექაპირის ავაზაკები ჰიტლერულ კაცობრივებთან შედარებით, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო კეთილშობილად გამოიყურებიან, რამდენადაც მათში სინდისის ქენჯნისა და სინანულის გრძობების სახით გზა და გზა მაინც იღვიძებს ადამიანი (მაკბეტი, რიჩარდ მესამე და სხვ.).

ჰიტლერული ბოროტმოქმედნი უფრო შორს მიდიან. ისინი არა მარტო სინდისს უარყოფენ, არამედ ჯვაროსნულ ლაშქრობასაც აწყობენ ადამიანის მეორე უძვირფასესი განძის გონების წინააღმდეგ. გონება ლაგამს სდებს მხეცურ ინსტინქტებს, აღვიძებს ადამიანურ თვითშეგნებას, ასწავლის ადამიანს რეალურ სინამდვილეს, აზხელს ფაშისმის ავაზაკობას, მის სიველურეს და კაცთმძღვარებას. ამიტომ ჰიტლერელებს აშინებთ კულტურა, მეცნიერება, ცოდნა, განათლება. ის რეჟიმი, რომელიც ვერ პოულობს ვერავითარ გამართლებას გონების წინაშე, ომს უცხადებს თვით გონებას, რათა შესცვალოს იგი მხეცური ინსტინქტებით.

„ვერდილი აზრს, — ამბობს ჩვენი დროის ბარბაროსი ჰიტლერი, — შეგნებას, ცოდნას და საესებით დავემორჩილოთ მხოლოდ ჩვენს ინსტინქტებს, და ელბრუნდეთ ბავშვობას, გავხდეთ კვლავ გულუბრყვილონი“.

თავისი მტაცებლური ზრახვების მისაღწევად ჰიტლერს სჭირია ადამიანები, რომელნიც კულტურის დანგრევასა და მშვიდობიანი მოსახლეობის ზოცვა-ელეტაში ჰპოვებენ უმაღლეს ადამიანურ სიტკობებას. ჰიტლერი თვითონ აცხადებს:

„მე მჭირდება მაგარმუშტებიანი ადამიანები, რომლებსაც არ შეაჩერებს პრინციპი, როცა ვისმეს მოკვლავს საჭირო“.

ამასვე იმეორებს მეორე ბანდიტი გერონგი:

„ის, ვინც ბევრს ფიქრობს, მეტს კითხულობს და ჭკვიანია, ის ჩვენთვის გამოუდევარია“.

რაც უფრო ხალხი რეგენი, უფიცი და ბნელია, მით უფრო კარგად გრძობენ თავს ჰიტლერელები, მით უფრო თავისუფლად შეუძლიან მათ ამოქმედონ თავიანთი დანები, მით უფრო დაუსჯელად ჩაივლის მათი სისხლიანი პრაქტიკა. რომ თავიანთი სამყოფელი სრულ სიბნელეში მოაქციონ, ჰიტლე-

რელები სპობენ მეცნიერებას, სდევნიან გამოჩენილ მეცნიერებს, ანგრევენ უნივერსიტეტებს, ციხელს აძლევენ ადამიანის ტვინის გენიალურ ნაშრომებს.

ბნელეთის მოციქულთ თვალს ჰკვეთს სინათლის სხივები. აქი შექსპირის კაცის მკვლელებიც ბნელეთში დათარეშობენ. თავისი ავკაცობის დასაწაღავად ლედი მაკბეტი მოუხმობს ღამის სიბნელეს:

„შენ, ბნელო ღამევე, მოაბლოვდი და ჯოჯოხეთის უუწყვედიადეს შავის კვამლით გარს შეიშოსე, რომ ჩემმა ბასრმა დანამ თვითვე ვერ დაინახოს თვისი ნაქმნარი და ზეცამაც ვერ გააჩუქოს თვისი სხივებით ბნელი ფარდა და ხმა არ მისცეს: „დადექ, შეჩერდი!“

მკვლევლობის წინ სიბნელეს მოუხმობს ავაზაკი მაკბეტიც:

„ზეცის ვარსკვლავნო, სხივოსნობა თქვენი მიმალეთ, რომ ჩემს ბნელ ზრახვებს ეგ სინათლე არ მოეფინოს“.

როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში ჰიტლერელები, უარყოფენ რა ყოველგვარ მორალს და პატოსნებას, ანზორციელებენ ავაზაკ ედმუნდის სიტყვებს: „ყველას ვაკადრებ, რაც მე ხელს შემიწყობს“. „ადამიანთან მოპყრობაში დასაშვებია ყოველგვარი მეთოდი. როდესაც პოლიტიკა მოითხოვს, უნდა ვიცრუოთ, ლალატი ჩაეიდინოთ და მოვკლათ კიდეც“. ფაშისტების ყაჩაღური გეგმების განხორციელებაში უდიდეს როლს ასრულებს ვერაგობა, მუხანათობა. ჰიტლერი აქაც გულახდილად ამბობს, რომ იგი მზად არის ხელი მოაწეროს ყოველგვარ ხელშეკრულებას და ასევე თავისუფლად უარჰყოს იგი. „მე ყოველგვარ დათმობაზე წაეალ, — ამბობს ეს ავაზაკი, — იმისათვის, რომ ხელფეხი თავისუფალი მქონდეს“.

კაცის მკვლელები და ავაზაკები ჩვეულებრივად თავიანთ მტაცებლურ სახეს ცბიერებით მალავენ და თავიანთ ბოროტ ზრახვებს არაეის უშხევენ. ჰიტლერული მტაცებლები თავს ინიღბავენ ცრუ ნაციონალური და სოციალური იდეოლოგიით. გაიმყვრობა, სიცრუე, ცბიერება, მზაკვრობა და ლალატი მათი განუყრელი თვისებებია. ობერ-ბანდიტი ჰიტლერი აცხადებს: „ბევრს არ აქვს იმის წარმოდგენაც კი, თუ როგორ უნდა იქნან მოტყუებული მასები, რომ ისინი ჩვენს მზარეზე გადმოვიბიროთ“. ჩვენი დროის კაცის მკვლელებისა და ყაჩაღების სამეფოში, ე. წ. ჰიტლერისში არსებობს სპეციალური სამინისტრო — პროპაგანდის სამინისტრო, რომელსაც ცნობილი ბანდიტი ჰებელსი მეთაურობს. ამ სამინისტროს მთავარი ამოცანაა — დაუმალოს ხალხს სინამდვილე, სისტემატურად და მეთოდურად ატყუოს მასები. მასების მოტყუების მიზნით ჰიტლერული ბანდიტები თავს ინიღბავენ სოციალიზმისა და ნაციონალიზმის ლოზუნგებით. გაჰყვირიან ერისა და კულტურის სახელით, თავს იმოსავენ ცრუმეცნიერული თეორიებით. ჰიტლერული „ყვავები ფარშავანგის ფრთებით ირთებიან, მაგრამ ყვავი რაც უნდა მოიროთოს ფარშავანგის ფრთებით, მაინც ყვავად დარჩება“ (სტალინი).

შექსპირის ავაზაკებიც, ისევე, როგორც ჰიტლერული ბანდიტები, თავიანთი ნამდვილი სახით რიდი გამოდიან. ისინიც ზეციურ სახეს ღებულობენ და თავის ავკაცობას ერთგულებისა და სიყვარულის სამოსელში ახვევენ.

ცბიერებით სავე იავო ამბობს:

„როცა სატანას უნდა რამ მოიმოქმედოს უსაზარლესი, იგი ზეციურ სახეს იღებს და ატყუებს, როგორც მე სინხლას ზეცას ვიმოწმებ, მე ეს არ მომდის ერთგულდებით ან სიყვარულით, მე თავს ვაჩვენებ ასე მხოლოდ, რომ შევირთულო, რაც განზრახვა მაქვს. რა იქნება, აბა, იფიქრე, გულის პასუხი ყოველივე გამოვამყდევნო, გამოვაქვეყნო ჩემის ქცევით ამ სულის სიღრმე? ეს ხომ იმას ჰგავს, გული ჩემი ხელზე დავიდო და მივეშვირო დასაკორტნად ჭილყვავ-ყორანთა. მე ის არა ვარ, რაცა ვჩანვარ“.

ავაზაკი ლედი მაკბეტი შემდეგი სიტყვებით არიგებს ქეთას მაკბეტს, თუ როგორ უნდა მოიქცეს, რომ ავაცომა არ გაუმეღავდეს:

„თვლით, ხელით და სიტყვიერად ეცადე ტკბილად იქცეოდე, შენ დაემსგავსე უმანკო ყვავილს, რომლის ქვეშაც გველნი ბუდობენ“.

სინხლით უძღვები არამზადა გლოსტერიც („რიჩარდ მესამე“), რომლის მზაკვრობამ მრავალი უდანაშაულო ადამიანი შეიწირა, თავის ავზრახვებს გულმოდგინედ მალავს და არავის უმხელს.

„არაიენ მინდა, რომ ჩემს გულში იხედებოდეს“, — ამბობს ეს ავაზაკი.

რათა თავისი ბოროტების კვალი დაფაროს, იგი თვალთმაქცური საფნოებით და საღეთო წიგნების იგავებით იმოსავს თავს:

„ეგრე ჩემს შიშველ აესულობას ვახვევ და ვმოსავ ძველის წიგნების იგავებში და წმინდანადაც ვერჩენები ხალხს, როს ვადგევარ ეშმაკის გზასა“.

ასეთია ავაზაკების მზაკვრული ბუნება:

„ყველა მათგანი მართლის მოქმელის სახესაც ქვეშე ჰფარავს უფრო მეტს ავ განზრახვას და მზაკვრობას ...ისინი ყველას ხელთ ულოკვენ, ფცხთ ეშლებიან, გულში კი მალვენ ათასნაირ გესლიან წადილს“.

მაგრამ შექპირის ავაზაკები და კაცის მკვლელები თვითონაც გრძნობენ, რომ მათი ავაზაკური საქმეები ანტიბუნებრივი, ანტიადამიანური და ანტიზნეობრივია. ჰიტლერულ ბანდიტებს კი, პირიქით, თავიანთი ბოროტება, სიმხეცე და ძალმომბრობა ბუნებრივ, ადამიანურ და ზნეობრივ მოვლენად მოაჩნიათ. ისინი თავიანთ სიმხეცეს ვითომ ბუნების კანონებზე აფუძნებენ და ამით ამართლებენ. ამ მიზნით მათ გამოიყენეს ცრუმეტყნიერული „თეორია“, ე. წ. რასიული „თეორია“, რომლის მიხედვითაც უკეთესზე უკეთესი რასა არიული რასაა. „ყველაფერი, რაც არ ეკუთვნის არიულს, — აცხადებს ჰიტლერი, — ბზე და ჩალაა და უნდა განადგურდეს“. არიული რასა, — ამ ბანდიტების აზრით, — მტაცებელი რასაა, მისი საუკეთესო თვისებაა — გლიჯოს მსხვერპლი, იყოს სასტიკი. ეს რასა, რომლის წარმომადგენლებაც ჰიტლერელებს თავიანთი თავი მოაჩნიათ, ვითომ განგებისაგან არის მოწოდებული იბატონოს დაბალ რასებზე. აქედან, ჰიტლერული ბანდიტების სიტყვით, მათ მიერ წარმოებული ყაჩაღური ომები, ძარცვა-გლეჯა და მკვლელობები ბუნების ურყევი კანონე-

ბის მიხედვით ხდება. ბუნების სახელით, ბუნების კანონებს ამოვარებულ-
ლი ჰიტლერელი ბანდიტები ცდილობენ გაამართლონ თავიანთი სინერჯი და
ავკაცობა, ქვეყნების დაპყრობა, ხალხთა დამონება. რას იზამე, ჩემო მამო, ბრა-
ლია, თუ თვით ბუნებამ დანიშნა ისინი მუხანათებად, ავაზაკებად და უკაცის
წყველებად! ბოროტება ფაშისტ კაცი-ქაშეების სტიქიაა. მათ არ შეუძლიანთ
სხვაგვარად მოქცევა, ისევე როგორც მორიელს არ შეუძლია არა ჰებენდეს და
შხამავდეს ირგვლივ ყველას, ან მგლებსა და აფთრებს — ხელი აიღონ მსუ-
ნავობასა და სისხლისმსმელობაზე.

ჰიტლერელი მძარცველების მიერ ასეთი გაცვეთილი ოინებით თავის გამარ-
თლებას თვით შექსპირის ავაზაკებიც კი დასცინიან. ავაზაკი ედმუნდი („მეფე
ლირიდან“) ამბობს:

„სასაცილოა კაცთ სულელობა! როდესაც უბედურება გვეწვევა რამე, მაშინ
ჩვენს უბედურებას, — თუნდ რომ ჩვენი ბრალიც იყოს, — გადავბრალებთ
ხოლომე მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს. თითქოს ჩვენ ვიყვნეთ გულმურტა-
ლნი მარტო იმისათვის, რომ ეგ ეგრე გვაქვს დანიშნული, ვიყვნეთ სულელ-
ნი — ზენარის ძალდატანებით; ფლიდნი, ქურდნი, ავაზაკნი — სფერათა ბრუნ-
ვის გამო; ლოთნი, ცრუნი, მლიქენი — ვარსკვლავთა შემოქმედებისაგან, და
თითქოს ყოველივე ბოროტება ზენარის განგებისაგან წარმოსდგებოდეს. მა-
ლიან ოსტატური თავის გამართლება არ იქნება მეძავე-მრუში კაცისაგან, თვი-
სი ძალღური მსუნავობა ვარსკვლავებს გადააბრალოს?! აქაო და ესა და ეს
ვარსკვლავი იყო ცაზედ, როცა დედაჩემმა მამაჩემთან შესცოდაო და ამა და ამ
ვარსკვლავზე დავიბადეო, — ამისათვის უსათუოდ მხეცი და მრუში უნდა
ვიყო“.

ჰიტლერელები არა მარტო ავაზაკები არიან, ისინი ჩვენი საუკუნის სირ-
ცხელს, შირსა და სნებას წარმოადგენენ. არ არსებობს სიტყვა, არ არსებობს
სახელი, რომლითაც შეიძლებაოდეს მათი შებილწვა, მათი შეურაცხყოფა. რას
იტყვით ისეთს, რომ შეიბილწოს ამ ბანდიტების სახელი?

მხეცს? — ამ სახელით ისინი ამყობენ კიდევ. ამბობენ: „ღიად, ჩვენ მხე-
ციები ვართ და რაც უფრო მხეცური სისასტიკით ვგლეჯთ მსხვერპლს, მით
უფრო სრულყოფილად ვავლენთ ჩვენს ქეშმარიტ ბუნებას“.

რეგვენს, უეცს, გაუნათლებელს? — თვით ჰიტლერი ამბობს: „მე ვადლო-
ბელი ვარ ჩემი ბედისა, რომ მან არ მაკუთვნა მეცნიერული განათლების
ხარისხი. მე უკეთ ვერძნობ თავს“.

ბარბაროსს? — „ღიად, ჩვენ ბარბაროსები ვართ, — ამბობს გერინგი. — ჩვენ
გესურს ბარბაროსები ვიყოთ. ეს საპატიო სახელწოდება... ჩვენი მიზანია —
ვთესოთ შეშფოთება“.

და აი ამ ბანდიტებს, ნაძირალებს და მკვლელებს, რომელთაც თავიანთ
სათარეშო მოედნად დღეს გერმანია და დროებით ოკუპირებული ქვეყნები
ვაუბლიათ, თავი მოაქვთ წმინდა სისხლის მატარებელ არიელებად, გერმანელი
ხალხის „ნაღებად“, გერმანელი ერის ქეშმარიტ შეილებად!

სინამდვილეში კი არც ერთი ფაშისტი არამზადა არ არის გერმანელი ხალ-
ხის ხორცი ხორცთაგანი. ყველა ისინი წარმოადგენენ მუწუტს გერმანელი
ხალხის სხეულზე, ჩირქს მის ძარღვებში.

ფაშისტ ურდოების მიერ დღეს ფეხქვეშ გათელილ გერმანიის ხალხს, იმ
ხალხს, რომელიც სამართლიანად ამყობს თავისი ნამდვილი შეილებით, რომ-
მელმაც კაცობრიობას მისცა მარქსი, კანტი, ჰეგელი, ბეთხოვენი, გოთე,

შილერი, ჰაინე და სხვანი, შეუძლიან მიმართოს პიტლერელ ბანდიტებს, ლორის სიტყვებით:

„ეაი რომ შენ ხარ ჩემი შვილი, ჩემი გულ-ღვიძელ-პირისა
ჩემი ხორცი ხარ, ჩემი სისხლი! მაგრამ რას ვამბობ?!
ხორცი კი არა, — შენ ხარ ჰირი ჩემი ხორცისა,
რომელსაც უნდა უნებლიედ ჩემად გზადიდე!
სისხლი კი არა — შენ ხარ ჩირქი, სნება და შხამი
წყლულით, იარით შემწიკვლულის ჩემის სისხლისა!“

კულტურული კაცობრიობის და პირველ რიგში თვით გერმანელი ხალხის მთავარი ამოცანაა — წარხოცოს ეს სირცხვილი, მოსამოს მიხაკისფერი ჰირი და სნება. ამას მოითხოვენ ადამიანისა და ცივილიზაციის ინტერესები, ამას მოითხოვს კულტურული კაცობრიობის სასიცოცხლო ინტერესები.

შექსპირის ავაზაკ პერსონაჟების მიმართ მკითხველი მუდამ ზიზზსა გრძნობს. უზომ-უძიროა ის ზიზღი და მძულვარება, რომელსაც მთელი მოწინავე კაცობრიობა ფაშისტ ქვეწარმავლების მიმართ განიცდის.

ამ მძულვარების გამოხატვას ისევ მხატვრული სიტყვის გენიალური ოსტატი, დიდი შექსპირი თუ შესძლებს შემდეგი სიტყვებით:

„...კუნძო, ქვანო, უარესებო ამ უგრძობელ
უტყვე საგნებზედაც... წუწყო ძაღლებო, სუნთქეაც-კი
მძავს მე თქვენი ისე, ვით ოშხივარი, ამოსული მყრალ ქაობიდან.
ადამიანის მძოვრს ვაღარებ მე თქვენს სიცოცხლეს,
ზემოდგებული რომ საზარლად ჰაერსა სწამლავს.“

უფრო მკვეთრად და მკერმეტყველურად ამ სიძულვილზე ლაპარაკობს ჩვენი საბჭოთა ხალხი, ჩვენი ძლევაშოსილი წითელი არმია, რომელიც, იარაღით ხელში იცავს რა თავის მიწა-წყალს, თავის დამოუკიდებლობას, თავის ადამიანურ ღირსებებს, კალიასავით მუსრავს და ანადგურებს ფაშისტ ურდოებს.

ფაშისტთან ბრძოლა მარტო ავაზაკებთან ბრძოლა როდია. ეს არის ბრძოლა სიკეთისა ბოროტის წინააღმდეგ, სინათლისა ბნელეთის წინააღმდეგ, ბრძოლა ადამიანისა მხეცის წინააღმდეგ. კაცობრიობამ ერთხელ სძლია ბნელეთს, მხეცს და გამოვიდა ცივილიზაციის შარავზაზე. დღეს მკვერთით ამდგარი ბნელი ძალები კვლავ დაძლეული და დათრგუნული იქნებიან.

შექსპირის ტრაგედიებში ბოროტი ძალები მარცხდებიან. მისი ყველა ავაზაკი საბოლოოდ მხილებული და განადგურებულია. მუხანათ მაკბეტს მაკდუფი ჰკლავს, ბოროტი ედმუნდი საკუთარი ძმის ედგარის ხმლით იგმირება, ცბიერი იაგო გაბაწრული გაჰყავთ სცენიდან, სისხლით უძღებ რიჩარდ მესამეს რიჩმონდი ჩააძაღლებს...

ვერც პიტლერელი ბანდიტები გაექცევიან თავიანთ ბედს, რადგან, როგორც შექსპირი ამბობს,

„ბოროტი საქმე დღის სინათლეს ეერსად წაუვა,
თუნდ დასამალად დედამიწა გადაეფაროს.“

ბ. ნატროშვილი

ღაპრით გუჟამიშვილი

ძველი საქართველოს არც ერთ მემკვიდრეს გურამიშვილის სახელი არ უხსენებია.

ეს გასაგებიც არის.

მემკვიდრე არ არის ვალდებული ლიტერატორის ისტორიკოსიც იყოს. ბუნებრივია, რომ უკეთ ვიცით თეიმურაზ პირველის, არჩილისა და ვახტანგ მეექვსის ბიოგრაფია, ვიდრე გურამიშვილისა.

ისინი მკვიდრებში მოხვდნენ არა როგორც პოეტები, არამედ როგორც მეფეები და რაინდები.

პოეზიისათვის ვერ მოიცილიდა მემკვიდრე, რომელსაც უნდა ეჩვენებინა ქართლის შავზნელი მე-17 საუკუნე და არა ნაკლებ ქარიშხლიანი დასაწყისი მე-18 საუკუნისა.

ვერც გურამიშვილის სამხედრო ცხოვრების შესახებ გვეტყვის რამეს ქართლის მკვიდრე — ჩრდილოეთის ომი, მინიხის ვალაშკრებანი ყირიმში, შვიდწლიანი ომი ტრეკოტანების ძველ მიწაზე, სადაც გურამიშვილი იარაღით ზელში იბრძოდა, ვერ ვახდებოდნენ ჩვენი მკვიდრის თემად.

ამიტომ სდუმს მკვიდრე გურამიშვილის სახელზე.

სდუმს იმ ბრძოლების შესახებ, რომლებშიაც თავათ იგი იღებდა მონაწილეობას.

მაგრამ თითქოს პოეტმა თითონ იკისრა როლი თავისი ცხოვრების მემკვიდრისა.

არც თეიმურაზს, არც ვახტანგს იმდენი არ უწერია თავის ცხოვრებაზე, რამდენიც გურამიშვილმა დასწერა.

„დავითიანი“ — გურამიშვილის თხზულებათა სრული კრებული — მონუმენტალური ქმნილებაა, სადაც გადაშლილია პოეტის მთელი ცხოვრება, დაწყებული მისი დაბადებით და დამთავრებული ანდერძით.

მთელი წიგნი ვეებერთელა მონოლოგია იმ ადამიანისა, რომლის ბედიც ნათლად გამოხატავს მე-18 საუკუნის ქართლის სინამდვილის ტრაგედიას.

უფრო მეტიც: ამ წიგნში მოსჩანს მთელი ძველი საქართველოს ტრაგედია. დევნისა და განდევნილობის გოდებით სავსეა ეს წიგნი.

მისი ფურცლებიდან ისმის მგლოვიარე ხმები სამშობლოდან სამუდამოდ წასულებისა, განდევნილებისა, რომელნიც აღარ დაბრუნებულან, ტყვეებისა, რომელთაც აღარ ღირსებით მშობლიური ცის ნახვა, ადამიანებისა, რომელთათვისაც ცხოვრება ავი დედინაცვალი იყო.

თვალმოუწვდომელი და ვრცელია მარშრუტი გურამიშვილის ცხოვრებისა.

სად არ ატარა იგი ბედმა, სად არ წაიყვანა?

ამიტომ ძნელია სრულყოფილად მოთხრობა მისი ცხოვრებისა.

აქ საქმეობრივი და გამოსაცნობი უფრო მეტია, ვიდრე აქსიომატური. ჩვენ ვიცით, რომ მან დალესტინის ტყვეობიდან გაქცევისას ოსოქოლადან თერგამდე თერთმეტი დღე იარა, მაგრამ არ ვიცით, რამდენ წელს იყო ის ტყვედ პრუსიაში.

ვიცით, რომ გზაზე შვიდი ტყვემალე იპოვნა, მაგრამ არ ვიცით, როგორ გაატარა შვიდჯერ ათი წელი თავისი ცხოვრებისა.

მრავალ შემთხვევაში ვიცით არა საჭირო წერილმანი მისი ცხოვრებისა, მაგრამ მთავარი არ ვიცით.

ჩვენ მაინც შევეცდებით ვადმოგვცეთ სრული სურათი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისა.

შევეცდებით დავაყენოთ საკითხი პოეტის განათლებისა და მსოფლმხედველობის წყაროს შესახებ, გავარკვიოთ საკითხი პოეტის დამოკიდებულებისა ქრისტიანობასთან, გავარკვიოთ გურამიშვილის ისტორიული კონცეპცია და ნათელვყოთ ის ტრადიცია, რომლითაც მან შეგვიქმნა მომდევნო თაობა მწერლებისა.

თუ რამდენად შეეძლებოდა ამ ამოცანის გადაჭრას, ამას მსჯავრი დეე სამართლიანმა მკითხველმა დასდოს.

დალესტინის ტყვე

ქვეყანას ვარ უტოხსა, დავარგული ტყვეო,
ზედა მთასა ივართასა, აწ მომშველეთ,
არსადა მყავს მისამართი, მე შენ მოგმართეთ,
ამინთე მე ბნელს სანთელი და გამინათეთ.

დ. გურამიშვილი.

ავარიის მთებში, ხუნძახის მხარეს, არის სოფელი, რომელსაც ძველად ქარბუელები ოსოქოლას ეძახდნენ.

წდიდარია ოსოქოლა თავისი ბაღებით და უხვია თავისი წყლებით.

დალესტინის ეს აული განთქმული იყო იმიტაც, რომ იქ აკეთებდნენ მთელ კავკასიაში ყველაზე უკეთეს ყალიონებს.

ამ მიდამოებში, ოსოქოლას მახლობლად, აულებში დაიბადნენ და აღიზარდნენ ყაზი-მოლა და შამილი.

აქ, ოსოქოლაში, უფრო გვიან, მე-19 საუკუნეში, სამკვედრო-სასიცოცხლო ჰაზიანთში ებრძოდნენ მეფის რუსეთის არმიას შამილი, ყიბიდ მამადი და ჰაჯი-მურატი.

მაგრამ მართო თავისი ყალიონებით და ნაიბებით როდია ოსოქოლა ცნობილი. ამ სოფლის სახელი დარჩა ქართულ ლიტერატურის ისტორიაში, რადგან გურამიშვილმა თავისი პირველი ტყვეობის მძიმე დღეები იქ გაატარა. ეს იყო მისი სიჭაბუკის დროს.

მან აღრეულ სიჭაბუკეშივე გაიზიარა ბედი ტყვისა, ბედი, რომელიც ხალხმა თავის ნადვლიან ლეჩქებსა და სიმღერებში არა ერთგზის გამოიტირა.

ეს ლექსები აღადგენენ ისტორიას, როცა ტყვედ წაყვანილ ვაჭარებსა და ლამაზ ქალებს დასტირიან. ისინი გვახედებენ სამშობლოს მიწას მოწვევით და მიანიანთა სულში, რომელთაც გურამიშვილივით საკუთარ თავზე გამოუსყიდეს ეპოქის ავბედითობა.

ყველა ისინი მსხვერპლნი არიან იმ გაუთავებელი ომებისა, რომლებიც საქართველოს საუკუნეების განმავლობაში თავს ატყდებოდნენ.

ირანისა და თურქების ხანები და ბეგები არა მარტო თითონ არბევდნენ საქართველოს სოფლებსა და ქალაქებს, არამედ აქეზებდნენ დაღესტნელ ბეგებს, მეთაურებს, რათა ისინიც დასხმოდნენ ქართველებს, აეოხრებინათ მათი სახლკარი, გაეწყვიტათ და ტყვედ წაყვანათ ხალხი.

შემოსეული მტერი ცდილობდა გადაეკეტა ხალხისათვის მთებში გასაქცევი გზა-კი და ყოველი მხრიდან სიკვდილისა და განადგურების რკალში მოემწყვდია იგი. ვახუშტის ცნობით შაჰ-აბასმა შეუთვალა ლეკებს:

„რამეთუ მნებავს მოწყვეტა კახეთისა და რომელნი შემოვიდნენ თქვენ კერპთა მთასა შინა, თქვენ მოსრენით და ტყვე ყვენით ივინი და აღგავსნენ მეთა ნიჭითა“ (ვახუშტი — „საქართველოს ცხოვრება“, გვ. 178).

ეს გამონაკლისი შემთხვევა არა ყოფილა. როცა დარბეული ხალხი ბარიდან აიყრებოდა, ის მთასა და ტყეს საიშედო თავშესაფრად ვეღარ იგულებდა. იქაც ყოველ ხის ძირას, ყოველ ბეჭობის გადაღმა მტერი იყო ჩასაფრებული და შაჰ-აბასის ურდოს გადარჩენილი მოთარეშე დაღესტნელი ტყვიის წერა ხდებოდა.

ასე იყო მე-17 საუკუნეში, როცა შაჰ-აბასმა ქართლ-კახეთი აიკლო.

მე-18 საუკუნის დასაწყისში კვლავ აივსო ჩვენი ქვეყანა ავაზაკთა ბრბობით. მღვთმარობა უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც ვახტანგ მეექვსე რუსეთში გადაიხვეწა და ქართლში თურქები დამკვიდრდნენ. უნუგეშო და შემადარწუნებელი იყო სურათი იმდროინდელი საქართველოსი. თურქი ჯარი აოხრებდა მას. ყველა ამას ზედ ემატებოდა დაღესტნელთა თარეში, რომელნიც აწიოკებდნენ არა მარტო ქართულ მოსახლეობას, არამედ ზოგჯერ თავზარსა სცემდნენ საქართველოში შემოსეულ თურქებსაც-კი. როგორც ვახუშტი და სუხნია ჩხეიძე გადმოგვცემენ, დაღესტნელებმა არა ერთხელ ამოსწყვიტეს ქართლში თურქები და არა ერთხელ გაფანტეს და გააბრუნეს მათი ლაშქარი ქართლის მინდვრებსა და ტყეებში. აქედან სჩანს, თუ რა მოძალადეებული უნდა ყოფილიყო ლეკების თარეში, როცა ისინი ნადავლის გატაცებაში თურქებსაც ეცილებოდნენ. ქართლი ისე დააცარიელესო, — გადმოგვცემს ვახუშტი, — რომ ტყვედ წასაყვანი აღარავინ იყო. თუ სადმე ვინმე გადარჩა, ისიც სიმაგრეში იყო შეფარებული. ასე უმწეოდ და უპატრონოდ იყო დარჩენილი ქვეყანა.

ამაზე შესჩიოდა იმერეთის დედოფალი რუსეთს: სვეტიცხოველი ავაზაკთა და წარმართთა ბუნავად იქცაო, — სწერდა ის თავის წერილში. — ქალსა და რძალს იტაცებენ, ორსულ ღედებს აუპატიურებენ, კბაუკებს ხოცავენ. ყანებსა და ვენახებში გლეხი კაცი აღარ სჩანს და მისი ლილინი აღარ ისმის. „თუ ვინმე სიკვდილისა და საფლავის ღირსნი იქნების, ივინიცა მხეტთა ბოროტ-ხოვან შეიქმებიან“.

ამავე საშინელ სურათს ხატავს გურამიშვილიც:

„მოისრა ხშირი ქვეყანა, ვახდა ვერანად, ტრიმლად,
სულ წარიტაცეს, თუ ვინმე მოურჩათ წამლად.“



გურამიშვილი
შინაქვეყნისა

საგურამო მტრისათვის ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი იყო სათარეშოდ. საგურამოში, გორის უბანში სცხოვრობდა ის ოჯახი, სადაც 1705 წელს ჩვენი პოეტი დაბადებულა.

როგორც ფეოდალურ ოჯახებში დამკვიდრებული ტრადიცია მოითხოვდა, ბავშვი გასაზრდელად ძიძისათვის მიუბარებიათ. ალბათ, დიდხანს დარჩენილა ის ძიძისთან. და სწორედ ამ პერიოდში მიუღია მას ყველაზე ღრმა შთაბეჭდილებანი. ეს ნათლად ემჩნევა მისი აზროვნების სისტემას, მის ლექსიკას. ის ერთადერთი პოეტია, რომელიც მთელ მე-17—18 საუკუნის პოეტთა შორის ქართლელი გლენჯიკაცის ენით სწერს და გლენჯიკური ყოფის ცნებებით აზროვნებს.

მაგრამ ამაზე შემდეგ.

ძიძისაგან დაბრუნებული, იგი თავის ოჯახში იზრდებოდა, რომელიც საკმაოდ ხალხმრავალი ყოფილა. დღესასწაულებზეო, — ამბობს პოეტი, — ჩვენი ოჯახის ქალ-რძალნი უხეირო ქათიბებით როდი გამოდიოდნენო. მას ჰყოლია ძმები, დები. პოეტის სიკბაბუჯის ასაკში მისი დედ-მამაც ცნობილი ყოფილა.

გურამიშვილი 19 წლისა იყო, როცა ზედაველის ბრძოლა გაიმართა, ბრძოლა, როცა ქართველებმა სცადეს წაერთმიათ თურქებისათვის გორისციხე. პოეტი მონაწილეობას იღებდა ამ ბრძოლაში, როგორც თვითონ ვაღმოგვცემს. პირველი იერიში ქართველებმა წარმატებით განაეითარეს, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდნენ.

საგურამოში პოეტი, როგორცა სჩანს, აღარ დაბრუნებულა, ის გაპქცევია მტრის ურდოების თარეშს. თავი შეუფარებია ნათესაეებისთვის ქსნის ხეობაში, სოფელ ლამისყანაში.

მაგრამ ვერც ამ გაქცევამ უშველა და ზაფხულში, ყანების მკის დროს, ის ტყვედ წაიყვანეს ლეკებმა.

ამ ამბავს პოეტი შემდეგნაირად ვაღმოგვცემს:

დილით, მომკვლებზე ადრე წასულა ის ყანაში. მომკვლები შორიდან ყოფილან მოსასვლელნი. ჯერ თურმე არსადა სჩანდნენ. მას აუხსნია იარაღი, მუხის ძირას მიუყუდებია და ხშირ ტყეში ჩასულა წყაროზე პირის დასაბანად.

რა იცოდა, რომ ამ ტყეში იყვნენ ჩასაფრული ხუნძახელები, რომელთაც იგი ირტოზის გორიდან დაუნახავთ და შემდეგ ტყეში ჩასულან. პირის დაბანის დროს თავს დაესხნენ, დაატყვევეს, ხელები შეუტრეს—და წაიყვანეს.

ამ დღიდან იწყება მისი დაუსრულებელი ხეტიალი. გზა, რომლითაც იგი ქართლიდან წაიყვანეს, ხან მიყრუებულ, უღრან და ფოთლოვან ტყეებს მისდევდა, ხან ციცაბოდან ჩამონგრეულ კლდეების თავზე ვადადიოდა. ძალმიხბილი და სასოწარკვეთილი მიჰყვებოდა პოეტი იმ ბილიკებს უცხო ქვეყნისაკენ. ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ ის დაღესტნის ოსოქოლაში მიიყვანეს.

სდუმდა მაშინ დაღესტანი. ღრმა ძილით ეძინა მთელ აღმოსავლეთს. ეს იყო თითქმის ერთი საუკუნით ადრე იმ დროზე, როცა მთებში საომარი განგაში ატყდა და შაჰაბატის მწვეანე დროშა აფრიალდა.

პოეტის გადმოცემის მიხედვით, მას საშინელ პირობებში უცხოვრობდა. ეს ისედაც ცხადია: ახლა ის ჩვეულებრივი მონა იყო, რომლის არც საჭმელზე და არც სასმელზე არავინ არ იზრუნებდა.

მისი ტყვეობა მართლაც საშინელი უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ მისთვის, რომ თვითონ ლეკები ძალზე ლატაებენ და ვაპარტახებულნი იყვნენ.

ისინი ტყვეს თავის დასახსნელს სთხოვდნენ და როცა გამოშვებულნი აღარავინ აღმოჩნდებოდა, მიჰყავდათ იგი ახლო აღმოსავლეთში, რომ გაეყიდათ ან კიდევ მისირის ხმალზე თუ მოზარნიშულ თეთრ კონდახიან სტამბულზე გადაეცვალათ.

გურამიშვილის გამომხსნელი არავინ აღმოჩნდა, ალბათ, იმიტომ, რომ მას მახლობლებისთვის ხმის მიწვდენა არ შეეძლო, არ შეეძლო თავისიანისათვის გაეგებინებინა თავისი ტყვეობისა და ოსოქოლაში ყოფნის ამბავი.

როგორც კი გაყიდვა დაუპირეს, გაეჭკათ, მაგრამ დაიჭირეს, სცემეს და ბნელ ორმოში ჩააგდეს.

ასეთი ორმოები დაღესტანში საპყრობილეების მაგიერობას ეწოდნენ. მისი სიღრმე სამ ადღს არ აღემატებოდა. სინათლისა და ჰაერისთვის ზემოთ პატარა ამოჭრილი ჰქონდა. ამ თავისებური საპყრობილის სურათი დაგვიხატა ლევ ტოლსტოიმ თავის „ჰაჯი-მურატში“, როცა აღწერა იუსუფის, ჰაჯი-მურატის შვილის, პატიმრობა.

გურამიშვილს, ეტყობა, მოსთხოვეს დაეგმო ქრისტიანობა და ისლამი მიეღო, მაგრამ პოეტი ამ შემთხვევაშიაც ისე მოიქცა, როგორც მეთვრამეტე საუკუნის ქართველი მოიქცეოდა.

არ გატყდა, სულით არ დაეცა.

მან მტკიცედ გადასწყვიტა, ხელმეორედ გაქცეულიყო, თუმცა ადვილი არ იყო ეს.

როგორც თვითონ ვაღმოგვეცნა, გაქცევა სიზმარმა გააბედინა:

„ხმა მესმა ძილსა შინაო:
 „რას ხეჩინავ, რასა ფშვინაო,
 აქ რას უწევხარ საძილოდ,
 რატომ არ წახვალ შინაო“.
 ფეხი წამომკრა წყნარადა,
 ჯოხითაც დამაშინაო:
 „რატომ ვერ ხედავ წასვლასა,
 აგრე რამ შეგაშინაო?“
 დამაწვენილმან აქ შენმან,
 აქ აღარ დამაწვინაო;
 მასთან გიბრძანა დაწოლა,
 ვისთანაც გაქორწინაო,
 ადექ, იარე, წაივდეთ,
 მე წაგიძღვები წინაო“.

არის წუთები ადამიანის ცხოვრებაში, როცა წაიშლება ხოლმე საზღვარი ფანტასტიურსა და ნამდვილს შორის. ასეთი წუთები განუცდია პოეტსაც: მას ეს სიზმარი ცხადი ჰგონებია და სიზმარში ნახული ჩვენებაც რომელიდაც პატიმრად მიუღია. მაგრამ როცა მოჩვენება აფრთხილებს და ეუბნება, რომ ის

მწყემსმა კეთილმა გამოგზავნა და დააბარა — ნულარ დააყოვნებ, წადი, გზას მოყვასის, დისა და ძმის ცრემლი გაგინათებს და ვაგიკვალავს, მაშინ პოეტს ეს სიზმარი რაღაც განგების ჩვენებად მიუღია და შორეული მგზავრობისათვის მზადებად დაუწყია.

ზატხულის დამღევს მან, როგორც იყო, მოატყუა ლეკებმა და დაიხრებოდა ჩრდილოეთისაკენ გაიქცა.

მეომარ ტომს როდი ეცალა მუდამ თვალი სჭეროდა ერთ საცოდავ ტყვეზე — ისინი განუწყვეტლივ ბრძოლაში იყვნენ გაართულნი.

გაქცეულ ტყვეს, ანგლო-საქსურ სიმღერის სიტყვებით რომ ვთქვათ, მწვანე გზებით უნდა ეგლო, უგზო-უკვლოდ უნდა ებეტიანა, მისი მგებური დღისით მზე იყო და ღამით ვარსკვლავები.

შვიდი ვარსკვლავი, რომელსაც პოეტი ახსენებს, აჩვენებდა მას გზას და უადვილებდა პოლარული ვარსკვლავის გამოცნობას.

ეს არის მანევენბელი ჩრდილოეთისა.

ამ ჩრდილოეთის ვარსკვლავს, რომელიც ყველაზე უფრო მეტად ბრწყინავს ვარსკვლავთა შორის, მიანდო პოეტმა თავისი მომავალი და გეზიც მისკენ აიღო.

შუა დაღესტანში, ხრიოკ მთებში, ღამით საშინელი აედარი წამოესწრო, ქარიშხალსა და ჰეჰა-ქუხილს სეტყვა მოჰყვა.

ამ დამაყრუებელ ჰეჰა-ქუხილს, უზარმაზარ ხანძარს, რომელიც ცაზე იწებდა და ყოველ წუთში მიწაზე გადმოშვებდას ლამობს, პოეტის გული უსაზღვრო შფოთვით და განგებით აუესია. მარტოდ-მარტო დარჩენილ ბუნების პირაქუში და საზარელი მრისხანების წუთებში სეტყვის შიშით თავი სარტყლით შეუხვევია და განაბულა. უცებ ელვის შუქზე გამოქვამული შეუნიშნავს და თავი შეუფარებია.

მორწმუნე პოეტმა აქაც ღვთის მფარველი, მადლიანი ხელი დაინახა და მოგვიანებით ლექსით მადლობა გადაუხადა განგებას გადარჩენის გამო.

ცა რომ გადაიწმინდა, ის გამოქვამულიდან გამოვიდა.

დაღესტნის უდაბურ და უკაცურ მთებში ხეტიალმა გარეგნობით იგი ველურს დაამსგავსა. მღერის შიშით იძულებული იყო სამი დღე შამპში წოლილიყო. გაქცევისას როგორღაც ნარმის ახალი პერანგი გაჰყოლია, მუხლ-ქვევით კი დედიშობილა ყოფილა. მშიერ-მწყურვალი ხან ყვავის ფრჩხილას სჭამდა, ხანაც მკვახე კოწახურითა და ტყემლით იკვებებოდა.

მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათად თუ ვისმეს ასე ცხარე ცრემლით უტირია შიშშილზე, როგორც გურამიშვილი ტირიდა.

ევედრება ცისკარს, გზის ნათელ შარავანდედს და ღვთისმშობელს:

„პური არა მაქვს, მიბოძე,
მშინ, მაჭამეო,
შენი გაჩენილი ვარ და
შენ დამარჩინეო.
დღეს სადილად არა მაქვს-რა,
გამომიჩინეო;
დავიკრიფე ყოვის ფრჩხილი
და ისი ვჭამეო“.

და შემდეგ:

«ვიტყვი, ქვესენის ვარდები,
მისვეტ-მიბოძეო,
მოდი, გამშართე წელ-გულში,
სულ დავიბლუნძეო;
კიდევ შემოსე, სიცივით
სულ ვკრე ამ ღამეო,
ბალა-ჩალაში დავმერები,
ვითა დაღლა მეო».

ასე იარა მან თერთმეტი დღე, ხოლო მეთორმეტე დღეს უჭალო მდინარის პირს მიადგა.

შიშით და იმედით დაღა მან ფეხი ჩრდილო კავკასიის მიწაზე.

მდინარის გაღმა მან ხალხი დაინახა, მაგრამ ვერ გაბედა შეძრახებოდა მათ, ვერ გაბედა ხალხში გამოჩენა. ეს დღევ ისე დააღამა, რომ ჩალიანიდან არ გამოსულა.

უძილოდ გატარებული ღამის შემდეგ დილით ის ბაღნარს წააწყდა. ბარაქით სავესე შემოდგომა უხვად გაუმასპინძლდა დაქანცულს, შიშშილით ღონე-გამოლეულ ტყვეს.

ამ წუთებში გურამიშვილმა, პირველად ქართლიდან ტყვედ წამოყვანის შემდეგ, მუეჩინთა გაბმული ძახილის ნაცვლად გაიგონა ეკლესიის ხარების რეკა.

მიხვდა, რომ უკვე გადაარჩენილია, უკვე სამშვიდობოსაა გასული. მაგრამ გამახვილებულმა და გახვიადებულმა ეჭვიანობამ ერთხელ კიდევ მოაგონა, რომ სიფრთხილე იყო საჭირო. ერთი წუთით გაურბინა ფიქრმა, შეიძლება ეს ყველაფერი მოჩვევება იყოსო. მით უმეტეს შეაშინა ხალხის ჩაცმულობამ, რომელიც შორიდან რაღაც ფანტასტიურად ეჩვენებოდა. ქალების თავის მოსართავი და სამკაული თითქოს დევის რქებსაც მიაშგავსა, მაგრამ ახლა არჩევანისა და ყოყმანის დრო აღარ იყო. გავიდა ბაღებიდან და მიუახლოვდა ადამიანებს, რომელნიც კალოსა ლეწავდნენ.

კალოზე მომუშავეებს გრძელი პერანგები ეცვათ, ყელზე ჯვრები ეკიდათ. დავითი მიუახლოვდა ერთ მათგანს, ჯვარზე ემთხვია და პირჯვრის წერა დაიწყო. ხანგრძლივი ზეტიალისა და შიშშილის შემდეგ, ალბათ, საშინელი გამომეტყველება უნდა ჰქონოდა, რომ რუსებმა სიტყვის თქმაც აღარ დააცალეს და მაშინვე პური მიაწოდეს.

— დაი ხლება, ლაზარ, — რომ გაიგონა დავითმა, მიხვდა რუსებში იყო. სიხარულით მუხლებმა კანკალე დაუწყეს. რომელიღაც ყაზახს შეებრაღა და როგორც თავის შვილს, ისე მოუარა მას. ამ რუსმა გადაჰკოცნა და ცხარე ცრემლით იტირა. სასწრაფოდ თარჯიმანიც უშოვნეს, ერთი გადაკარგული ფშაველი, სახელად იანვარა.

ტყვე-ყოფილი ჯერ ეკლესიაში წაიყვანეს, მერე სამღივნოში მიიხმეს და თავგადასავალი აამბობინეს.

თერგიდან ის სოღალში წავიდა, იქიდან — ასტრახანში. ამ ადგილებში ის, ალბათ, მრავალ ქართველს შეხვდა და მათი შემწეობით გაიგებდა, სად იყო იმჟამად ვახტანგ მეექვსე და რა ბედი ეწიათ მასთან ერთად წასულ ქართველებს, რომელთა შორის მრავალი მისი ნაცნობი და მახლობელი ერია.



ასე იხსნა მან თავი ტყვეობიდან. ამიერიდან მას სტამბულში უსახელოდ და სამუდამოდ დაკარგვა აღარ ეწერა, იგი მოსკოვისკენ გაემართა.

რომელ წელს დაატყვევეს გურამიშვილი? რამდენი ხანი იმყოფებოდა ტყვეობაში? როდის გაიქცა ის მეორედ ხუნძახიდან?

ეს კითხვები ბუნებრივად წამოიჭრებიან ჩვენს წინაშე.

ამ თარიღების საბოლოოდ დადგენა დღემდე ვერ მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქართული ლიტერატურის ისტორიის მრავალმა მკვლევარმა და მეცნიერმა სცადა.

აკად. მარი ფელისიტე ბროსე, გადმოგვცემდა რა სხვის ნაამბობს, აღნიშნავდა, თითქოს გურამიშვილი დატყვევების დროს 16 — 17 წლისა ყოფილიყო, ე. ი. დატყვევების თარიღად, მისი აზრით შინნეული უნდა იქნას 1721 — 1722 წლები.

ა. ხაბანაშვილის აზრით, გურამიშვილი დაატყვევეს 1724 წელს.

თედო ჟორდანიას, მ. ჯანაშვილს და აკად. კ. კეკელიძის აზრით, პოეტის დატყვევება 1725 წელს უნდა მომხდარიყო.

ალ. ბარამიძეს პოეტის დატყვევების თარიღად 1727 წლის ზაფხული მიაჩნია.

ერთადერთი წყარო, რომელსაც შეუძლიან შექი მოპოვონოს გურამიშვილის ბიოგრაფიის ამ ბნელით მოცულ თარიღებს, არის ისევ პოეტის ლექსთა კრებული. ამ წყაროდან ვიცით წელი პოეტის ვახტანგთან მისვლისა: 1730 წლის დამლევს ან 1731 წლის დამდეგს გურამიშვილი უკვე მოსკოვშია. ეს ყოველგვარ ეჭვს ვარუშა.

პოეტის წიგნიდან სჩანს, რომ ის დალესტანში ძალიან დიდხანს არ დარჩენილა. ეს აღნიშნა ალ. ბარამიძემაც. გურამიშვილის ტყვეობა, მისი აზრით, „მინც და მინც ხანგრძლივი არ უნდა ყოფილიყო“. ამას ნათლად ადასტურებენ ის ლექსები, რომლებშიაც პოეტი თავისი ტყვეობის შთაბეჭდილებებს გადმოგვცემს. ეს ერთი. მეორე ის უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ დალესტანელები ტყვეებს თავისთან დიდხანს არ აჩერებდნენ, არ იყო ეს მათთვის სახეირო, არ შეეძლოთ მათი გამოყენება, როგორც უფასო მუშა-ხელისა. ამიტომ იგდებდნენ თუ არა ტყვეს ხელთ, სასწრაფოდ მიჰყავდათ გასასყიდად. აქი თვითონ პოეტიც სწერს, მიყვანისთანავე გასასყიდად დამაშურესო.

ეს ვარემოება უნდა გვახსოვდეს, როცა დატყვევების თარიღს ვძებნით.

რას გვეუბნება თვითონ გურამიშვილის წიგნი ამის შესახებ?

პოეტმა თავისი წიგნი მონუტეებულემაში შეაღვინა და სისტემაში მოიყვანა. ამ რთულ მუშაობაში მას გარკვეული წესი აუღია. თავისი თხზულების ისტორიულ ნაწილში პოეტი მისდევს, ისევე, როგორც მემბტიანენი იქცეოდნენ, მოვლენათა ქრონოლოგიურ ვითარებას, ის მოგვითხრობს საქართველოს ისტორიის ვახტანგ მეექვსის გამეფებიდან გარდაცვალებამდე და ამასთან ერთად გადმოგვცემს თავის ბიოგრაფიასაც. იგი არა ჰყოფს, არ აცალკევებს ერთი მეორისაგან „ქვეყნის წახდენას“ და საკუთარ უბედურებას. ამიტომ, ცხადია, დატყვევების თარიღის გაგებას გავვიადვილებს იმ პოლიტიკურ მოვლენათა თარიღების დადგენა, რომელნიც გურამიშვილის პოემაში მოიხსენე-

ბიან იქ, სადაც პოეტი თავის დატყვევებაზე ლაპარაკობს და რომელთაც ის თავის უბედურებას უკავშირებს.

გურამიშვილის პოემაში გადმოცემულია ჯერ საქართველოს ამჟამინდელი — ქართლისა და კახეთის ომი, ვახტანგისა და კონსტანტინეს ბრძოლა, თურქების შემოსევა და შემდეგ ის თავგადასავალი, რომელიც შეემთხვა ვახტანგ მეექვსეს და გადახვეწილ ქართველობას სამშობლოს გარედ. აქვე იძლევა იგი ნადირ-შაჰის აღზევების ისტორიას. ამ ორ ვრცელ ეპიზოდს შორის, შუაში, პოეტმა ჩაურთო ცალკე თავი: „დავით გურამიშვილის ლექთაგან დატყობა“.

რატომ დაარღვევდა ის ქრონოლოგიას აქ, როცა სხვაგან ყოველგან იცავს?

ამ ლექსამდე პოეტი რუსეთში წასულ ვახტანგზე არაფერს ამბობს. წინასწარ აღებული გეგმა ავალებს მას ჯერ ის ამბები მოათავოს, რაც საქართველოში მოხდა მისი თანდასწრებით. ის თითქოს სცდილობს მართლ ის გადმოგვეს, რაც უნახავს, ამიტომ სწერს:

„ვახტანგი რუსეთს წაბრძანდა,
რაჭაზე გარდაიზრა,
სხვას იმის ამბავს კვლავ ვერცხვი,
ჯერ არა გამოვიბრა“.

ეს ერთის შეხედვით თითქოს გაუგებარია. როცა პოეტი ამ სტრიქონებსა სწერდა, მას ვახტანგის მთელი ცხოვრებაც და გარდაცვალებაც ნახული ჰქონდა. მას რაშია საჭმე? იმაში, რომ მას ჯერ არა სურს ქრონოლოგიას გადაუხვიოს, ის თავის ბიოგრაფიას ქართლის ისტორიას უფარდებს და ამ თვალთახედვით, პოემის ამ კომპოზიციის აზრით, მან ჯერ არ იცის, რა დავმართა ვახტანგს და სად არის იგი. ამას მერე დაუბრუნდება, როცა აგვიწერს თავის დატყვევებას, გაქცევას, ვახტანგთან მისვლას. პოემის წინასწარ მოფიქრებულ კომპოზიციის მიხედვით ეს უფრო ლოგიკური და ბუნებრივია.

აი ამიტომ მოიმიზეზა პოეტმა ვახტანგის ამბის არცოდნა.

ამის შემდეგ ვნახოთ, რა პოლიტიკურ მოვლენებზე შეაჩერა თავისი ინტერესი პოეტმა ლექსში „დავით გურამიშვილის ლექთაგან დატყობა“, რა მოვლენებს შეუფარდა თავისი სამშობლოდან დაკარგვა?

ამ ლექსში იგი მოგვითხრობს, როგორ დაეცა საქართველო, როგორ დაესია ყვაფი და ყორანი ქართლ-კახეთს. ქართლი თურქებმა დაიპყრეს, კახეთიც აოხრდა და მთელი ქვეყანა ნაპარტახევად იქცა. კარგი დღე აღარც კონსტანტინე მეფეს დაადგა, იმ კონსტანტინეს, რომელმაც ასეთი ცუდი როლი ითამაშა ვახტანგის სამეფოს დაცემაში და რომელსაც სპარსელებმა მაჰმად ყულიხანი უწოდეს და შემდეგ თურქებმა ორთულდანი ფაშობა მისცეს:

„კახს ბატონს კონსტანტილესა,
საქმე მოუბდა ყალათი,
ტანთ ხეანთჳრის ქურქი ჩაიცვა,
დასთმო ყვენის ხალათი.
მტერს დამორჩილდა ნებითა,
ველარა ქნა-რა ძალათი,
მიენდო, თავის თავზედა
ახმარებინა ჯალათი“.

და ამის შემდეგ:

„რაც მოგახსენე, მოგვეგვარა
 ჩვენ ერთმანეთის ბრძოლაში,
 ქართლი ოსმალომ დაიპყრო,
 კახეთი ლეკთა მოლაშა;
 სუნით მოიკცა მთა-ბარი
 ჩვენი მკვდრის მძორთა ყროლაში“.

და შემდეგ ამავე ლექსში, ცოტა ქვემოთ, პოეტი განაგრძობს:

„ქვეყნის წახდენის მიზეზით,
 ვცხოვრობდი სხვის ქვეყანაში“.

განა ცხადი არ არის, რომ ეს ქვეყნის წახდენა, რომლის ბოლო ეპიზოდად კონსტანტინე მეფის სიკვდილია აღებული, ხდება მანამდე, სანამ გურამიშვილს დაატყვევებდნენ?

ფიქრობთ, რომ ასეა.

კახეთის მეფე კონსტანტინე უსუფ-ფაშამ დაიბარა სადარბაზოდ და შემდეგ, როცა მეფე უკან ბრუნდებოდა, ცხენზე შეჯდომის დროს ხანჯლით მოაკვლევინა. ეს მოხდა 1729 წელს. იმავე წელს სცადეს თურქებმა კახეთის დაპყრობა და იმავე წელს უნდა დაეტყვევებინათ გურამიშვილი და ხუნძახში წაეყვანათ.

ასე რომ, ჩვენის აზრით, გურამიშვილს დალესტანში მხოლოდ ერთი ზამთარი გაუტარებია, მეორე ზაფხულს ის უკვე გაქცეულა. ყოვლად შეუძლებელია ამაზე მეტს ხანს ის დალესტანში დარჩენილიყო.

აბჯართსაცავის უფროსი

ადვილი არ იყო გზა ასტრახანიდან მოსკოვამდე. ამ გზის გავლა მით უმეტეს ვაუტანებლობდა გურამიშვილს, რომელიც შემთხვევით იყო მოხვედრილი უცნობ ქვეყანაში.

მოსკოვში ჩასვლისთანავე პოეტი ეახლა ქართლის მეფეს. ვახტანგმა ის ძალიან კარგად მიიღო და ჯაბადარ-ბაშის თანამდებობა მოსცა.

მშ დროს დაუწერია პოეტს ზმიანი შაირი „სიუხვის კოკა ბატონსა“. ეს ლექსი ნათქვამია იმის გამო, რომ ბატონებმა (იგულისხმებიან ვახტანგი და ბაქარი) პოეტისათვის ხალათის ბოძება განიზარახეს. ამ ლექსში პოეტი მეფის სიუხვეზე ლაპარაკობს, რომელიც კაცს სიღატაკისაგან განკურნავს და ღარიბებს — „ქველთა მცმულებს“ — ახალ კაბებსა და ახალუხებს ჩააცმევს.

გადახვეწილი ქართულელები თითქოს მზიარულად ატარებდნენ დროს. პოეტის თქმით, ვახტანგის ამალაში ზშირად იმართებოდა მეჯლისები, იყო ლექსთა თქმა და ვალობა, თამაში და შექცევა. ერთი ასეთი დროს გატარების უამს, ტრადიციულ ნადიმზე, რომელსაც ხალისიანი ქართული შაირობა უნდა მოჰყოლოდა, გურამიშვილიც გამოუყვანიათ და მელექსეობაში ჯავახიშვილისათვის გაუჯიბრებიათ. ვინ არის ეს ჯავახიშვილი? ჩვენ არ ვიცით. მის შესახებ მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ის „პირად მკლე და ტანად ხმელი“

კაცი ყოფილა. გურამიშვილს ადვილად დაუმარცხებია თავისი მოწინააღმდეგე. ჩემი შაირები მას ნარცეცხლასავითა ჰხედებოდაო, — ამბობს გურამიშვილი.

იმავე წლებშია დაწერილი გურამიშვილის მეორე ზმინანი „*სტეფანე*“, ლმერთმან ნუ მოგცეს“. პოეტი ვახტანგს შობას ულოცავს და ლხინის მოუშლელობას, ურიცხვი ლაშქრის ყოლას, მუდმივ სიხარულს და ბედნიერებას უსურვებს.

მესამე ზმინან შაირში („დალამდა, დილა გათენდა“) პოეტი რომელიღაც ქართველი თავადის ქორწილს აღწერს, რომელიც მოსკოვში გადუხვდიათ.

ამ მსუბუქი, ხალისიანი ლექსებით იწყებს პოეტი თავისი შემოქმედების ვრცელ გზას.

მაგრამ ქართველობა გასართობად და სამხიარულოდ როდი იყო გადახვეწილი შორეულ ქვეყანაში. მისი მხიარულება რაღაც გარეგნული იყო, ეს იყო თავდავიწყება სასოწარკვეთილებასა და მოლოდინის წუთებს შორის.

მოწყენილი და ნალღლიანი ყოფილა თათონ ვახტანგიც. გული სტკიოდაო, — გადმოგვეცემს გურამიშვილი, — რომ პეტრე პირველს ცოცხალს ვეღარ ჩაუსწრო და რომ მომდევნო ხელმწიფეებიც — ეკატერინე პირველი და პეტრე მეორე — ზედი-ზედ დაიხოცნენ. ქართლის მეფემ აღარ იცოდა, ვისთვის მიეშართა, საით წასულიყო, ვისგან ეთხოვნა დახმარება და რა გზა აერჩია. ამასობაში გადიოდნენ წლები და ქართლის ხსნის პერსპექტივა ნელნელა იჩრდილებოდა.

„მოცალეობასა შინა მყოფი“ მეფე ქართლისა „*კმუნვა-ნალველის*“ გასაქარვებლად“ ლექსებსა სწერდა, რომლებშიაც უმადურ და დაუნდობელ წუთისოფელს უჩიოდა. მისივე სიტყვით რომ ვსთქვათ, მელნად ნალველს ხმარობდა, კალმად გულს და კვლავ მოლოდინში იყო, კვლავ ქვეყნის წყლულის მკურნალის გამოჩენას უყდიდა.

იმავე დროს ის მთლად გულზე ხელ-დაკრეფილი არ იჯდა. ქართლიდან მას შრავალი წერილი მისდიოდა. ამ წერილების მეოხებით ეცნობოდა თავისი ქვეყნის ვითარებას და ცდილობდა ყოფილიყო იმ პოლიტიკური სიტუაციის კურსში, რომელიც მისი წასელის შემდეგ აზიაში მკვიდრდებოდა.

აზიის პოლიტიკურ ცხოვრებაში კი ახალმა ქარიშხალმა დაჰბერა. ირანსა და თურქეთს შორის ცხარე ომი დაიწყო, რუსეთის მთავრობამ გადასწყვიტა ესარგებლნა ამ ომით და საჭიროდ ჩასთვალა მეფე ვახტანგის გაგზავნა კასპიის მხარეში. გურამიშვილის ცნობით, რუსეთის ტახტის მფლობელმა ანა იოანეს ასულმა ვახტანგი პეტერბურგში მიიხმო და უბრძანა:

„... მე მიპირავს
ზღვის მიდამო, გაღმა მხარი;
სოლიასა და დარუბანდსა,
ბაჭოსა სდვას ჩემი ჯარი.
მუნ მობრძანდი, საქურტლისა
მუდამ მზა არს ღია კარი,
ლაშქარი და ზაზინანი,
ვით გენებოს გაიხმარი“.

ვახტანგი გახარებული დაბრუნდა მოსკოვში და თავის შვილთან ბაქართან ერთად სალაშქრო მზადებას შეუდგა.

ეს იყო 1734 წელს. ამ წელს არის დაწერილი გურამიშვილის მეორე ზმიანი შარი „მოსკოვს ქალაქს მზეს ველოდით“, სადაც ნათქვამია, რომ მოსკოვში ყოფნას ახლა სოლადში დგომა გვირჩევენიაო.

სოლალისაკენ წასვლა მოსკოველ ქართველებს განთიადის ^{ერქიველნი} დასაწყისად ^{დასაწყისად} ეჩვენებოდათ, თავისუფლების მზის ამოსვლის მაუწყებლად. მოდიოდნენ სოლალისაკენ იმ ფიქრით და იმედით, რომ თბილისის გალავნის კარიბჭესაც მალე შეაღებდნენ. გურამიშვილის ლექსშიც ეს იმედია გამოთქმული.

ახლა ყველა ჩქარობდა, ამიტომ გადასწყვიტეს სამხრეთისაკენ წყლით წამოსულიყვნენ. ერთი თვის განმავლობაში ექუსი ნავი ააგებინეს, ჩაუშვეს ვოლგაში და კასპიის სანაპიროებისაკენ გამოემართნენ.

გურამიშვილიც თან გამოჰყვა ვახტანგს, როგორც მეომარი და უფროსი აბჯართსაცავეისა.

პოეტი სწერს:

„წინ ეტიკი მოგვიძლოდა,
ვიღლისა წყალს დავევიო“.

მაგრამ განგების ეტიკმა უკვე იყივლა მათ თავზე: ჯერ იყო და წყლით მოგზაურობა გაუჭირდათ და იმ დროს, როცა ამ გზას ჩვეულებრივ ერთ თვეს გადიოდნენ, მათ სამი თვე მოანდომეს. ხმელეთზე რომ გადავიდნენ, უკვე საბედისწერო ამბავი დაუხვდათ. ხმელეთზე გადასვლისთანავე მათ რუსეთის მეფის ელჩები შემოეყარნენ, რომელნიც პეტერბურგისაკენ მიაჭროლებდნენ ცხენებს და ავი ამბები მიჰქონდათ.

თურქეთის ძლიერება რომ ეცემოდა, ეს თვითონ ვახტანგმაც იცოდა. ჯერ კიდევ მოსკოვში იყო, როცა არაგვის ერისთავის ბარძიმის წერილი მიიღო: „ურუმში ისე დასუსტდა, რომ ბაღდადი წაართვეს, ორასი კაცი აღარა ჰყავთ ქართლში... თუ ახლა არ ეცადეთ, დაიკარგა ეს ქვეყანა“. იცოდა ეს ვახტანგმა, მაგრამ არ ელოდა ირანის იქამდე გაძლიერებას, რომ ეს უკანასკნელი შესძლებდა არა მარტო ურუმის წამოჩოქებას, არამედ იმ ტერიტორიების დაპყრობასაც, რომელნიც უკვე რუსეთის გარნიზონებს ეჭირათ.

გურამიშვილმა თავის პოემაში ვრცლად აღწერა, როგორ ჩაიგდო ხელში ერთმა უბრალო თარაქამმა ნადირ-შაჰმა ირანის ტახტი, როგორ დაამარცხა მან მეზობელი სახელმწიფოები და უზრუნველჰყო ირანის ბატონობა მთელს წინა აზიაში:

„ხმლით შეაშინა თურქეთი,
დალისტანი და ბუხარა;
რუსთ ხელმწიფესაც მისწერა,
გამეცა ბაქოს, ნუ-ხარა“.
სოლალს, დარუბანდს, არშოანს,
თქვენ რა ხელი გაქვთ ბაქოსა,
დასაბაქველი მბაქველმან
არც აგრე უნდა ბაქოსა“.

რუსეთის ჯარმა დარუბანდი დასცალა, სოლალის ციხე დაანგრია და ყიზლარისაკენ დაიხია.

ნადირ-შაჰის ძლიერების წინაშე ქედი მოიხარა მთელმა აღმოსავლეთმა.

ქართლის ხსნის იმედი ისევ ჩაპქრა და მომავალს ისევ ნისლი გადაეფარა. სასოწარკვეთილი ვახტანგი მოსკოვში აღარ დაბრუნებულა, მან უკუღმურზე ზელი ჩაიქნია, ყველაფრის იმედი გადაიწყვიტა. გადასწყვიტა ასტრახანში დასახლებულიყო და გადახვეწილი ქართველები თავისი შვილის ბაქარისათვის ჩაებარებინა.

1737 წელს ვახტანგი გარდაიცვალა.

ძლიერად გამოიტირა მისი სიკვდილი გურამიშვილმა:

„ვინ რა ბოძი წაიტკა,
სახლ-კარი თავს დაგვეტკაო,
ლხინი, შვება და სიამე
სულ ჭირად გარდაგვეტკაო.
ჩვენ ყმანი დავრჩით, პატრონი
წავიდა, შორს გაგვეტკაო.
გაფრთხილდი, შენც არ დაგვეტკე,
ღვთის მაცა, მაგრა დეჰ, ცაო“.

ამით დამთავრდა დავით გურამიშვილის ჯაბადარბაშობა.

სიხლნისა და ოფლის სასხიდაელი

ვახტანგის სიკვდილმა თავზარი დასცა გადახვეწილ ქართველებს. ამიერი-დან ისინი პოლიტიკური მებრძოლები კი აღარ იყვნენ, არამედ უსახლკარო, მიუსაფარი ხალხი, რომელსაც ის-ღა დარჩენოდა, რომ ფიზიკური არსებობა მაინც შეენარჩუნებინა.

გადასწყვიტეს არ დაჰშორებოდნენ ერთმანეთს:

„დავდგეთ, თუ სადმე წავიდეთ,
ერთად ვიძებნოთ პურია“.

არც გურამიშვილი ჩამოჰშორებინ თავის თანამემამულეებს.

ამ ლუკმა-პურის ძებნამ ისინი რუსეთის არმიის მეომრებად გადააქცია. 1738 წელს მათ ცალკე ქართული პოლკი შეადგინეს. როგორც წარჩინებული გვარის შვილებს და რუსეთის არმიის მეომრებს, მათ უკრაინაში სამკვიდრო მამულები დაურიგეს.

დავით გურამიშვილს მირგოროდის მაზრაში მისცეს მამული და ოცი კომ-ლი ყმა.

ასე ძლივს მოიკიდა ფეხი მიწაზე გურამიშვილმა.

მირგოროდიდან ოცი კილომეტრის მანძილზე, მდინარე ხოროლის მახლობ-ლად, არის ერთი სოფელი, რომელსაც ძველად უკრაინელები გურამოვში-ნას ეძახდნენ.

ასე დაიბადა ქვეყნად მეორე საგურამო.

იმ შეუდგა პროექტი თავისი მამულის მოწყობას, მაგრამ მას, ერთხელ მიწი-დან აწყვეტილს, მშვიდობიანი ცხოვრება აღარ ეღიერსა. გურამიშვილი თავის გადახვეწილ თანამემამულეებთან ერთად მონაწილე გახდა იმ ომებისა, რომ-ლებითაც აღსაყეს იყო მეთვრამეტე საუკუნე. ქართლში დამარცხების სიმწ-ვავე მათ სცადეს რუსეთის არმიის ბრძოლების ყიფინში დაევიწყებინათ.

1739 წელს გურამიშვილი თურქების წინააღმდეგ იბრძვის, იგი ბესარაბიაშია, როცა რუსებმა ხოტინის ციხე აიღეს. ომის მონაწილე ქართველების მხნეობამ და ვაჟაკობამ რუსეთის არმიის სარდალი მინიხი განაცხადებდა და ალტაეებში მოიყვანა.

1740 წელს რუსეთის ხელმწიფემ, რომელსაც მინიხმა ქართველების სიმამაცე აცნობა, ბრძანება გასცა, რათა რუსეთის არმიაში ქართული პოლკები გაემრავლებინათ. ამ მიზნით კაციც კი გაგზავნეს ასტრახანსა და ყიზლარში, რათა იქ დარჩენილი ქართველები ჩაეყვანათ და სამხედრო სამსახურში ჩაერთებინათ.

1742 წელს გურამიშვილი ფინეთის სრუტის მარცხენა მხარეზე იბრძვის. ამ ომზე ამბობს თავის პოემაში: ფრიდრიქსკაშში შევიციელები ცეცხლით გამოვბუგეთო.

1757 წელს გურამიშვილი ისევ ბრძოლის ველზეა. ის დანარჩენ ქართველებთან ერთად ანუ, როგორც თვითონ ამბობს, თავის ძმებთან ერთად დასავლეთში იმყოფება და ახლა ავსტრიის ინტერესებს იცავს, რომელსაც პრუსიის მეფემ ფრიდრიხ მეორემ სილუზია წაართვა.

ეს იყო ბრძოლა შუა ევროპის გაყოფისათვის.

და ახლა რუსეთის არმიის ჯარისკაცთ იმისათვის უნდა ებრძოდნათ, რომ სილუზია ისევ ავსტრიის საიმპერატორო დინასტიას დაჰბრუნებოდა.

შვიდ წელიწადს გაგრძელდა ეს ომი.

ძნელი არ არის წარმოდგინოს კაცმა გურამიშვილის მდგომარეობა ამ შვიდი წლის განმავლობაში. არმიაში ყველას ერთი მარშრუტი ჰქონდა და ყველას ერთი ტანჯვა ეწერა.

ხსენებული წლის მისში რუსეთის არმიამ, რომელსაც გრაფი აპრაქსინი ედგა სათავეში, ვადალახა საზღვარი და პოლონეთის ტერიტორიიდან აღმოსავლეთ პრუსიაზე იერიში მიიტანა.

პოვალდი, პრუსიის ფელდმარშალი, ნელ-ნელა უკან იხევდა, ბრძოლაში არ ებმებოდა. მხოლოდ ქალაქ კენიგსბერგის მისასვლელელებთან დაიწყო მოწინააღმდეგეთა მოწინავე ცხენოსანი რაზმების შეტაკებანი.

და აი სოფელ გროს-ევერსდორფთან გენერალური ბრძოლა გაიმართა. რუსებმა მთლიანად გაანადგურეს ლევალიის არმია, რომლის გაფანტულმა და გადარჩენილმა ჯარისკაცებმა ტყეებს შეაფარეს თავი. ნისლმა და მახლობელ სოფლებში გაჩენილმა ხანძარმა უფრო მეტად დააბნია პრუსიელები. ისინი იქამდე დაიბნენ, რომ პრუსიელების მეორე ბაზამ პირველ ბაზას (ეშელონს) დაუწყო სროლა. ამ ბრძოლაზე გურამიშვილი სწერს:

„ორმოც ჩვიდმეტ ბრუსის კოროლს
შეურყივეთ ტახტის სვეტი“.

მართო ეს გამოძახილი ჰპოვა მის ლექსებში ამ საზარელი ბრძოლის ველშია, გროს-ევერსდორფის მინდორმა, რომელიც მთლიანად გადახნული იყო ყუმბარით, ჩექმებისა და ფლოქების ნაკვალევით, მორწყული იყო ადამიანის სისხლით, რომელიც აქრელებული იყო ყველა ფერის მუნდირში გამოწყობილი მკედრებითა და დაჭრილებით.

გაოფლიანებული და თოფის წამლის კვამლით სახეგამურული, გადარჩენილი ჯარისკაცები დაეძებდნენ თავიანთ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ, ცოცხალთა შორის თუ არა, მკედრებში მაინც ეპოვნათ ისინი.



დამშვიდებული არც ჩვენი ქართველი ჰუსარები იქნებოდნენ.

მათ შორის იყო დავით გურამიშვილიც.

გამარჯვებული არმია რუსებისა უკან დაბრუნდა. ამ გაუმჯობესებულ და უაზრო უკან დახვეისათვის აპრაქსინი, როგორც მოლაღატკისარშხანისა-შორეს და მის ნაცვლად ფერმორი დანიშნეს.

იმ ზამთარს არმია ლიტვაში იყო დაბანაკებული.

1758 წელს იანგარში რუსი პოლკები ისევ პრუსიისაკენ გაემართნენ. მაგრამ ეს მომდევნო წელი შვიდწლიანი ომისა კვლავინდებურად იღბლიანი აღარ აღმოჩნდა.

პოეტი ამაზე სწერს:

„ორმოცთრამეტ ბრუსმან დაგვკრა,
თავსა დაგვახვივა რტვი,
მე ჩემ მშებსა დამაშორა,
ლუწისაგან დავრჩი კენტი“.

1758 წლის აგვისტოში რუსი პოლკები მიადგნენ კიუსტრინის ციხე-სიმაგრეს. ეს არე-მარე ხელსაყრელი არ იყო ბრძოლისათვის. ციხე-სიმაგრის ფორტიფიკაციური ნაგებობების — ბასტიონებისა და რაველინების მისასვლელები მთლიანად დაკობებული იყო. ჭაობი შეუძლებელსა ხდიდა გადამწყვეტი იერიშის მიტანას კიუსტრინზე. ჭაობი არც ტრანშეების გათხრის შესაძლებლობას იძლეოდა.

კიუსტრინის მიდამოები სამუდამოდ, მთელი სიცოცხლის მანძილზე დაახლოვდა გურამიშვილს. ამ ჭაობებში ის ცხენიანად ჩაფლულა. ამ შემთხვევას მან სპეციალური ლექსი მიუძღვნა: „ოდეს დავით გურამიშვილი კიუსტრინის ომში ცხენითურთ ლიაში დაეფლა, იმის მუნასიბად ღვთის მშობლის შესხმა“. ამ ლექსში პოეტი სწერდა:

„ყოვლად წმინდავ ღვთისმშობელო, დიდო დედოფალო,
თუ შენ მე არ აღმომიყვან, ძნელად აღმოვალო!
თავყანსა გცემ, გეაჯები, ვითხოვ შემოიწყნარო,
მიმკვდარებულს მიმამშველო უკვდავების წყარო.
ჩემი ცრემლი ზედ იდინე, ცხოვრების წყლის ღარო,
გაუფრთხილდი, ცუდ-უბრალოდ არსად დამიღვარო“.

მაგრამ გურამიშვილი ადვილად გადარჩენილა. ასეთი ბედი ყველას როდი ხვდა: შრავალი ცხენოსანი პრუსიელი მსროლელის ტყვიის მსხვერპლი ვახდა. როცა რუსებმა დაინახეს, რომ ამ გზით, ამ ტაქტიკით ისინი კიუსტრინს ვერ აიღებდნენ, გადასწყვიტეს ქალაქი საალყო არტილერიით დაეძლიათ.

საალყო მორტირების ძლიერმა ცეცხლმა ხანძარი გაუჩინა ქალაქს. მთელი კიუსტრინი დაიწვა, მაგრამ ქალაქის გარნიზონი მტერს მაინც არ დანებდა, რადგან მან იცოდა, რომ კიუსტრინს თითონ ფრიდრიხ მეფე უახლოვდებოდა ორმოცათასიანი არმიით.

შეიღწლიანი ომის ამ ეტაპზე, ამ წელს დაატყვევეს გურამიშვილი პრუსიელებმა.

ძნელი სათქმელია, როდის მოხვდა ის ტყვედ — კიუსტრინის ციხეში, სადაც ცხენმა უღალატა, თუ სოფელ ცოტინ-დორფთან, სადაც პრუსიელებმა წაჭაბუკებით უკუაგდეს და გაფანტეს მოწინააღმდეგის პოლკები. მათ აუარებელი ტყვე წაიყვანეს.

ამ ტყვეებს შორის უნდა ყოფილიყო გურამიშვილიც.

დატყვევების შემდეგ პოეტი მავდებურგის (ქალაქი ელბის ნაპირზე) ციხეში დაამწყვდიეს.

დალესტინის ბნელი ორმოების შემდეგ მან ახლა ევროპული საპურობლის გურულმულეების საშინელებაც განიცადა.

მაგრამ ამაზე იგი სდუმს თავის ლექსებში. და საერთოდ ძალიან ძუნწად, მხოლოდ ხანდახან და ისიც ვაკვრით, იხსენიებს ამ უზარმაზარ ომებს, რომლების მონაწილაც თითონ იყო.

მან უამრავი ქვეყანა შოიარა, უშორესი გზები და მანძილები გადასჭრა. ვინ იცის, რომელი ქვეყნის ქარი არა სცემდა მას სახეში, რომელი ქვეყნის წვიმა არ ასველებდა, რომელი ქვეყნის მტვერი არ ენახა მის ფეხსაცმელს. ვინ იცის, რამდენი შთაბეჭდილება განიცადა, რამდენი უცხო აღმამიანი ნახა, ნახა გოთური სტილის ტაძარი და ძველი ქალაქი, პოლემიუკების ქოხმახები და ფეოდალების ციხე-დარბაზები და ბრძოლები, გაუთავებელი ბრძოლები, რომელნიც მთელ მსოფლიოს აზანზარებდნენ.

მაგრამ ყველაფერმა ამან მის პოეზიაში ღრმა კვალი ვერ დასტოვა.

რა იყო ამისი მიზეზი?

საქმე იმაშია, რომ მას ომები ვეღარ გაიტაცებდნენ. აპრაქსინის და ფერმონის დროშის ქვეშ ის ენტუსიაზმით ვეღარ იბრძოლებდა. რა ესაქმებოდა მას, თუ ვინ ვის დასძლევდა, ვინ გამოვიდოდა გამარჯვებული — ავსტრიის იმპერატორი თუ პრუსიის მეფე ფრიდრიხ მეორე? მისთვის სულ ერთი იყო, ვის დარჩებოდა სელეზია — პრუსიას თუ ავსტრიას. ის ამ ომში წაიყვანეს არა შალაღმა იდეებმა, არა გატაცებამ და სამშობლოს სიყვარულმა, ის ამ ომში იძულებით წავიდა, რათა საკუთარი სისხლით და ოფლით, როგორც თვითონ ამბობს, გადაეხადნა ვალი რუსეთის იმპერიისა, რომელმაც მას უკრაინაში მამული მისცა. რა რომანტიკა უნდა ჰქონოდა ამ ბრძოლას? რად გაახარებდა სხვისი გამარჯვება, როცა საკუთარი თვალით ჰქონდა ნახული თავისი სამშობლოს განადგურება? რით შეაძრწუნებდა და რას უჩვენებდა ახალს უცნობი და უცხო აღმამიანების ბრძოლა ტვეტონების ძველ მიწაზე, როცა საკუთარი თვალით ჰქონდა ნახული ნათურქალი, სისხლით მორწყული საქართველოს ტრაგედია?

ამიტომ გაჰქრა ეს ყველაფერი მისთვის, როგორც აჩრდილი, როგორც რაღაც კოშმარული სიზმარი, რომლის შინაარსიც აღარ გახსოვს, მაგრამ გამოფხიზლების წუთებში რაღაც ბუნდოვნად მაინც გტანჯავს და გაწვალებს.

არ დასტოვეს კვალი მის შემოქმედებაში უცხო ბუნების სურათებმაც, ესეც იმიტომ, რომ ბატონ-ყმური არმიის მეომრისათვის ეს იყო არა ამწვანებული მინდორი, არამედ განსაზღვრული ზონები იერიშისა და თავდაცვისათვის.

მაგრამ დაუბრუნდეთ მისი ცხოვრების მოთხრობას.

როდის დაბრუნდა პოეტი მადეგურგის ტყეობიდან? 1760 წელს, როცა რუსებმა ბერლინი აიღეს თუ 1762 წელს, როცა პრუსიაში და რუსეთში ზავი შეკრეს? ძნელია აქ გადაჭრით თარიღის დადგენა. ის კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ტყეობიდან უკრაინაში დაბრუნებულ პოეტს თავისი მამული აობრებული დაჰხვედრია.

ამას მოწმობს მისი ლექსი: „ოდეს დავით გურამიშვილი ბრუსიაში დატყოვდა და თუ რამ აქენდა თავისი საცხოვრებელი, ისიც დაეკარგა, იმისთვის ტირილი:“

„გავხდი გლაზაკი და დავრდომილი,
თუმცა საწუთროს მოვანგარე;
ვარ ცარიელზე მე დავდომილი,
საუნჯისაგან კარს გარე მდგარე“.

და კიდევ:

„ვარ მე მტერთაგან მწარედ გაძრცილი,
ტანთ საქორწინე ნაცმელთ ხეული,
სულ დამკარგვია ზეთი და ცვილი
და საკერასე გორგლად ხვეული“.

ამანაც არ გაუტეხა გული. როგორც ეტყობა, ისევ აღუდგენია თავისი სახლკარი, ისევ უცდია მშვიდობიანი ცხოვრების დაწყება, მოუხნავს მინდვრები, მოუყვანია ქერი და პური, მაგრამ ისევ მოუკითხიათ და ისევ იძულებით სადღაც გაუფზავნიათ.

სად უნდა წაეყვანათ პოეტი?

აღბათ, ისევ მომქმედ არმიაში. მას იმ ზომამდე მოეზრდა ომები, რომ აღარც ახსენებს, რა მხარეს გაგზავნეს და სად იბრძოდა ქართული პოლკი უკანასკნელ ხანებში.

ჩვენის აზრით, სამართლიანი უნდა იყოს აღ. ბარამიდის მოსაზრება იმის შესახებ, რომ გურამიშვილმა სამოცდაათიან წლებში საბოლოოდ დაანება თავი სამხედრო სამსახურს (ამ დროს ის უკვე პორუჩიკი ყოფილა), გამოეთხოვა ქართულ ჰუსართა პოლკს და სამუდამოდ დამკვიდრდა უკრაინაში.

და ამდენმა ომმა მას ერთი კარგი და საამაყო მოგონებაც არ დაუტოვა, რომ ჩაეჭოვა იგი თავის დიდებულ ლექსებში — ესეც მისი, როგორც პოეტ-მეომარის ტრაველია იყო, ტრაველია ადამიანისა, რომელმაც ნახევარი სიცოცხლე ფრონტზე გაატარა, რომელმაც სიკვდილამდე სამხედრო მუნიციპალიტეტში შეინარჩუნა.

უკრაინაში დაბრუნების შემდეგ გურამიშვილმა მუდმივ საცხოვრებელ ადგილად მირგოროდი აირჩია. ამ დროიდან იწყება მისთვის ყველაზე ძნელი სულიერი მარტოობის წლები.

ეს გრძნობა განწირულებისა განსაკუთრებით მძაფრად იგრძნობა მისი უკანასკნელი პერიოდის ლექსებში.

ის მოსთქვამს, რომ წუთისოფელმა მას აღარაეინ შეარჩინა, სულ გაწყვიტა მისი მოყვანის, რომელთაგან ერთიც აღარ დადის მიწაზე, დაპყარვა მეგობრებიც, რომელთაგან ზოგი ბრძოლამ იმსხვერპლა, ზოგი ბუნებრივ სიკვდილით გარდაიცვალა.

თითონაც დაუძღვრდა მოხუცი და დაუთვლელ ფრონტებს — ჩრდილოეთის, ყირიმის — შეიდწლიანი ომის კამპანიებს, ორჯის ტყვეობას უკვალოდ არ ჩაუვლიათ. მთელმა ამ გაუთავებელმა ვაი-ვაგლახმა იგი წელში გასტეხა.

მისი ერთადერთი ნუგეში პოეზია და იყო. და მართლაც შემოქმედების მხრივ ეს უკანასკნელი წლები მისთვის ყველაზე უფრო ნაყოფიერი იყო.

1774 წელს დაუწერია მას „კაცისა საწუთროსაგან ცილობა და ბუბობა, ერთმანეთის ძვირის ხსენება“. ამავე წელსაა დაწერილი „ამ წიგნის გამლექსავის სულის მოხსენება“.

ღრმა მოხუცებულობის დროსაა დაწერილი „ქაცვია მწყემსიც“.

ახლა პოეტი უფრო და უფრო მეტად ფიქრობს სიკვდილზე და ისიც ხშირად აჩვენებს ნიშნებს თავის მოახლოებისას: უფრო მოღლილი და მკაცრი ხდება მისი თვალსაზრისი ცხოვრებაზე, ცალი თვალთ საესებით ბრმავდება და მეორეთიც უკვე ცუდად ხედავს.

უკანასკნელ წლებში სილატაკეშიც ჩავარდნილა: ოცი თუმანი ვერ უშოვნია, რომ თავის მიერ მოფიქრებული სარწყავი არხის და წისქვილის პროექტი განახორციელოს.

და მაინც დაუღალავად მუშაობს, თითქოს ახლა სურს შეავსოს მთელი ის ღრო, რაც მან ომებსა და ხეტიალში ვააცდინა.

სამშობლოში დაბრუნებაზე ახლა მას ოცნებაც აღარ შეუძლიან. ის მხოლოდ მგრძნობიარე ლექსებით ეთხოვება წუთისოფელს:

აი მისი ლექსი „საფლავის ქვაზე დასაწერი“, რომელშიაც ის უკანასკნელად იგონებს საქართველოს, თავის წინაპართა საფლავებს და ძვალთშასალავს:

„წმინდა იონე კახეთს ზედადენს
სასწაულობით ქვეთიარს ცრემლს ადენს,
ქართლს წმინდა შიო ღვიმეს ძელებს ავლენს, —
ორნივე შერებთან სასწაულს ამდენს.
ამ ორ მონასტერს მაქენდა ალაგი
სასაფლაო და ძვალთ შასალავი;
ორივე ქვეთიარით აღშენებულ
სახლ-გალავნებით დამშვენებულ.
ახლა მობრძანდი, მნახელო, მნახე,
მისად სანუფქოდ სად დავიშარბე.
ზორკით აქ ვლპები, აწ ჩემი სული,
არა ვიცი-რა, სად არს მისული“.

სწერს ლექსად ანდერძსაც, რომელშიაც სჩივის, რომ დამტირებელი და დამმარხველი არავინა ჰყავს. ახლა ლექსიც, პოეზიაც ვეღარ ამშვიდებს მის სულს:

„აღარ მსურს ქნარი, საკრავად სტვირი,
 არც ზედ დამღერა, აწ ამას ესტერი,
 ცრუმან საწუთრომ მარიდა პირი,
 არ აღმისრულა მან დანაპირი!
 ეინ ხართ ლეთიანი და მადლიანი,
 კოდ-სასწორ მართალ, სწორ-ადლიანი,
 გთხოვთ შემობრალთ, რას შევდარი მნახთ,
 შენდობა მითხრათ, როცა დამმარბოთ“.

გაქანული
 გიგლიძისა

და შემდეგ ანდერძს სტოვეებს, რომ უბრალოდ და უზეიმ-ზაროდ დამარბონ. კუბოს ნუ შეუღებავენ, სულ ერთია მიწა შესკამს, მოეშლება სილამაზე, როცა ზევიდან ქვა და სილა დაეყრება.

ნურც იტირებთ, — სწერს ანდერძში, — ძაძა-ფლასებს ნუ ჩაიცვამთ.

დავით გურამიშვილის გარდაცვალების წელი დღემდე არ ვიცოდით. მხოლოდ უკანასკნელ წლებში უკრაინელმა მკვლევარმა დიმიტრი კოსარიკმა იპოვნა დოკუმენტები, რომელთა მეოხებითაც ირკვევა, რომ პოეტი გარდაცვლილია ქ. მირგოროდში 1792 წლის 21 ივლისს (ძველი სტილით).

პრიტიკა ჯა ბიბლიოტეკაშია

საბჭოთა კავშირის
კავშირისთვის

შალვა ჩაღიანი

ადექსანდრა აბაშელის დექსები

ეხლაბან გამოვიდა თანამედროვე ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის — ალექსანდრე აბაშელის რჩეული ლექსების კრებული. ეს კრებული საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ პოეტის მთელი შემოქმედებითი გზა, რომელიც თითქმის ოცდათხუთმეტ წელს მოიცავს. ამ დროის მანძილზე ა. აბაშელმა განვლო თავისებური, წინააღმდეგობათა შემცველი გზა.

ა. აბაშელი წარმომადგენელია ქართველ პოეტთა იმ თაობისა, რომელიც სამწერლო მოღვაწეობას იწყებს პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ. ამ თაობის მწერალთა შორის იგი ყოველთვის გამოირჩეოდა საკუთარი შემოქმედებითი ხმით.

ა. აბაშელი ერთ-ერთი პირველი სიმბოლისტთაგანია საქართველოში. მისი ადრინდელი შემოქმედება ვითარდებოდა რუსი სიმბოლისტების (ა. ბალმონტი, ვ. ბრიუსოვი) გავლენის ქვეშ (ლექსები: „შავი აჩრდილი“, „განთიადის მოლოდინში“, „სსსს... უუუუ“, „მორეცნება“, „მირაჟი“ და სხვ.), თუმცა იმავე დროს იგი მრავალი მომენტით იყო დაკავშირებული „პარნასულ“ პოეზიასთან. თავისებური „ობიექტივიზმი“, რომანტიკული მღელვარების უქონლობა, სიცივე, აღწერითი მომენტების სიჭარბე, პოეტური სახის გამოკვეთილობა და ეპიტეტების სიზუსტე ძალიან აახლოვებდა მას ფრანგ „პარნასელებთან“.

ა. აბაშელის პირველი წიგნის — „მზის სიცილის“ — მთავარ მოტივს შეადგენს, ერთის მხრით, მზის კულტი, ხოლო მეორეს მხრით — გრძნობა გულგატეხილობისა. პოეტმა მოგვცა ლამაზი, პლასტიური სახე მზისა. იგი მარად „მზობელი მზის“ ძიებაშია, სურს დაინახოს „ცის მნათობის ცეცხლის მფრქვეველი“, რადგან ის არის „მოვლენილი სიცოცხლის მცველად“. მზე შევების მომტანია, „სხივოსანი ზღვაა“, ქვეყნის „ოქროს ტალღებში განმზანელია“. ამიტომ პოეტი მთელ ჰიმნს უძღვნის მას:

„მზევ მშვენიერო, მნათობ მფევე, ცხოველმყოფელო,
სიცოცხლის წყაროვ, საკურთხეველის ცეცხლო დიადო,
ლაქვარდ სიერცეში ოქროს სიმთა ამითოთლეველო,
სხივოსან ზღვაო, ქვეყნის დიადო, ცის განთიადლო!“

(„მზის წიადში“).

წარმართის აღგზნებით უმღერავდა საგალობელს ა. აბაშელი დაუსაბამობისა და უსაზღვროების გამოხატველ მზეს. იგი მთელი თავისი არსებით მზესთან არის, იფერფლება მის „ცეცხლთა ტალღებში“, ბანაობს მის „სხივთა ზღვაში“.

ა. აბაშელის პოეზიაში მზე გამოდიოდა, როგორც არაამქვეყნიური გატაცების სიმბოლო. ამიტომ იყო, რომ „მზის წიაღში“ მონაეარდგ პოეტის იდეალური ხმა ცისა მოუწოდებდა — დაბრუნებოდა სინამდვილეს, ცხოვრებას, რადგან მისთვის „ცა მუნჯია და უგრძნობი, არას ეტყვის, ნურას ეკვლობას“. თუ მას მართლაც სურს ოდესმე ცის საიდუმლოება ამოხსნას, — დედამიწაზე უნდა დაბრუნდეს სამოქმედოდ; თუ იგი მიისწრაფვის მნათობთა საიდუმლოება ამოიკითხოს, უპირველეს ყოვლისა უნდა გაიცნოს მიწის სევდა:

„აქ რას ეძებ, ცის წიაღში,
ვარსკვლავთ შორის, მიწის შვილო,
რად დასტოვე დედამიწა,
ბრძოლის ველად გადაშლილი?!
რად გაეჭეც მიწის კენესას,
მიწის ნაღველს დაგუბებულს?
ტანჯვის ცრემლის ოკეანეს
და სისხლის ზღვას აზვირთებულს?!

ცა მუნჯია და უგრძნობი,
არას ეტყვის, ნურას ჰკითხავ...
მიწის სევდას გაეცანი, —
ვარსკვლავებსაც წაიკითხავ...“

(„მიწის სევდა“).

იდეალური ხმის შთაგონების შემდეგ პოეტი უბრუნდება დედამიწას, ცხოვრებას. მზის სიღიადისა და ბრწყინვალეების კონტრასტს წარმოადგენს ამქვეყნიური სინამდვილე. „მიწის ბურთი“ თავისი „შავი აჩრდილით“ იჭრება სამყაროში, როგორც დამარდვეელი მისი მიმზიდველი, ლამაზი ყოფნისა. მუუზარებისა და ტანჯვის „შავი აჩრდილი“ დაჰპატრონებია კაცობრიობის ცხოვრებას, მის ბედს. ა. აბაშელს იპყრობს „მიწის სევდა“. ეს სევდა ღებულობს მძაფრი უიმედობის ხასიათს. პოეტი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ

„განვლო დრომ... ცხოვრებამ დამიშლი კარები.
განშორდი ჭვეყანის, არავის ვეკარები.
რაც იყო, არ მეტრა, გამოჭრა ყოველი.
მომავლის არა-რა მწამს, აღარას მოველი“.

(„ელეგია“).

უკმაყოფილება ცხოვრებით, მომავლის ცეცხლის უქონლობა, სწრაფვა სინამდვილისაგან განშორებისა, — აი რა ზღვება დამახასიათებელი ამ პერიოდში ა. აბაშელის პოეზიისათვის. იგი ჰქმნის საკუთარ, ინდივიდუალისტურ სამყაროს, რომელიც დაშორებული იყო „სოფლის ჩოჩქოლს“.

„მთის კლდოვან თხემზე გამოგვეთეთ საკურთხეველი,
შეგ დაგბინადვი სოფლის ჩოჩქოლს განშორებული...“

(„ჩემი ტაძარი“).

„მზის სიცილის“ შემდეგ გამოქვეყნებულ ლექსებშიაც (კრებული „ანთებული ხეივანი“) ა. აბაშელი გვამცნობს, რომ დაიღალა, რომ იგი „დათოვ-

*) „ელეგია“ და „ჩემი ტაძარი“ ა. აბაშელს არ შეუტანია ჩრდილი ლექსების კრებულში.

ლილ ბაღშია“, რომ „იწვის გრძნობა დამწყვედელი, გული შხამით დაიღარა“, „მწარე ცრემლით ვასაზრდობ მე ჩემ სევდით მოცულ ვნებას“, რომ „ცრემლით აივსო ჩემი გული და დაზიანდა“, რომ „შუალამის სევდამ გამოიხმო“, „წარდილით ვიმოსვი, ვით მზე ჩასული“, რომ თხზავს „მწუჭარეებს... ფსალმუნს“, დადგა მისი „სულის შემოდგომა“, რომ მასში „სევდამ... ცრემლებმა დაისადგურა“ და „სასაფლაოს“ მიადგა.

ა. აბაშელისათვის მთელი მსოფლიო გადაქცეული იყო საზარ ციხედ: „მსოფლიო ციხეა საზარი და ტყვეა არსება ყოველი, არა აქვს სასჯელსა საზღვარი... დარაჯი — სიკვდილი მზად არის, მის ძახილს ყოველ წამს მოველი“ („ტრიოლეტები“). პოეტი იმასაც იმბობს, რომ ქვეყანაზე ცრემლის ღირსი არაფერია („საფერფლე ურჩა“). იგი მიისწრაფვის განშორდეს „ფიქრებს ამ ქვეყნიურს“.

მარტობისა და ცხოვრებისაგან გაქცევის სურვილთა გვერდით ა. აბაშელის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი ბუნებას. მაგრამ ბუნება მისთვის არ იყო მართო ფონი, არ იყო მატერიალურ-საგნობრივი სამყარო, არამედ ინტიმურ, სულეერ განცდათა გამზიარებელი ობიექტი. ამ მხრით ა. აბაშელის დამოკიდებულება ბუნებისადმი ტიპიურ-რომანტიკული იყო. ცნობილია, რომ რომანტიკოსები ცდილობდნენ ბუნებაში მოენახათ გამოხმაურება თავიანთი ოცნებისათვის, მისწრაფებისათვის, განწყობილებებისათვის. რომანტიკოსების წარმოდგენით ბუნების მოვლენანი სავსეა საიდუმლო, ადამიანისათვის უცნობი ცხოვრებით, რომ ბუნება გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე მისი გარეგანი გამოხატულება, ბუნება აღვივებს ადამიანის სულში საიდუმლო ძალებს. რომანტიკოსებს ეჩვენებოდათ, თითქო ჩანჩქერი, ვარსკვლავები, ხეები, ყვავილები სავსე იყოს ადამიანური ცხოვრებით, ესმით მათ ადამიანის ტანჯვა, მწუხარება. ჰენრიხ ჰაინე ერთ-ერთ თავის ლექსში იძლევა ბუნების მიერ ადამიანისადმი თანაგრძნობის სურათს: პოეტი ზაფხულის მშვენიერ დილას მისეირნობს ბაღში, იგი დამწუხრებულია და არავის არ უმელავენებს თავისი მწუხარების მიზეზს, მაგრამ ბაღში მყოფი ყვავილები გრძნობენ მის მდგომარეობას და ჩასჩურჩულებენ გამაყნენებელ სიტყვებს.

ა. აბაშელისათვის ბუნება დამშვიდების წყაროდ იყო გამხდარი. ბუნების მოვლენების ანალოგიით ამელავენდა იგი თავის უიმედო განწყობილებებს. შემოდგომის გაყვითლებულ ტყეს, მკვწარ ფოთლებს ადარებდა იგი თავის თავს. ტყის განმარტოებაში თითქოს ესმოდა პოეტს უხილავი ხმები თანაგრძნობისა. ასეთი რომანტიკული განცდა ბუნებისა მრავალ ლექსში აქვს გადმოცემული მას („ღამის მხატვარი“, „დათალხული ფირუზი“ და სხვ.). ბუნების სიმშვიდის ყოველი ხაზი, მისი ფანტასტიკური მღვმარება დამშვიდების წყაროდ შედიოდა პოეტის დამწუხრებულ სულში.

მიუხედავად ასეთი უიმედობისა და გულგატეხილობისა, ა. აბაშელს თავის შემოქმედებით ცხოვრებაში ამ ხანებშიაც ჰქონდა ისეთი მომენტები, როდესაც იგი ცდილობდა დაბრუნებოდა ამქვეყნიურ სიანამდვილეს, აისახა საზოგადოებრივი ყოფის მოვლენები. პოეტი ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ მისი მიზანია მზეს დაუახლოვოს დედამიწა, მიწის კენესა შეუერთოს ცის სიხარულს, შეარიგოს ცა და მიწა, „გააღმერთოს“ მიწის შვილი, გააბას ცისარტყელა მიწით ცამდე გაუქრობელ ცეცხლის ხიდად, რათა „მიწის შვილი ცის-

კენ ვლიდეს საიდუმლო საზილველად“. საზოგადოებრივ მოტივს გამტარებავს ლექსი „სევდის ჰანგი“. ამ ლექსში პოეტი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ იგი განშორდა სინამდვილეს და „ცის ეთერში“ დაბნავდა, შავრამ იქ მარტოობას ვერ გაუძლო, მის სულს მოსწყინდა ცაში ფრენა, მოაგონდა ღმერთის არსებული ცრემლის გუბე, მიწის ხუნდები და ისევ დაუბრუნდა ცხოვრებას. „ჩაქრა დილა“ პირველი რევოლუციის ალგორითული განსვენებაა. პოეტი იგონებს მოციმციმე, შევების ცრემლით ანათროლო დილას, რომელიც „ციურ მნათობს შესცინოდა უკუნეთთან შენაბრძოლი“, როდესაც „წალკოტს გული მოეჭარვა მძივად წყობილ აღმასს ნამით“, როდესაც ირგვლივ ყოველივე ლხენის წამით მოხიბლული ნეტარებდა, როდესაც „საუკუნეთ განაჭვდი კაცთ ბორკილი იმსხეროდან, ძველი ქვეყნის ძველი ჰანგი ახალ ჰანგში ინთქებოდა“. ამ სურათის მოგონებამ პოეტის შეგენებას ღრმა კვალი დაამჩნია.

ა. აბაშელი თითქოს ბრძოლის იდეითაც იმსკვალებოდა, მტკიცდებოდა მასში სოციალური განთავისუფლების აზრი და მოწოდება:

„მომავლის შეიღწო, იმტხრდეს დღეს ჩენი დაფი ნაღარა!
ვაქოთ, ვინც ჩაგრულთ სახსნელად უმანკო სისხლი დღევარა!
დღეს მაინც ვიგარჯოთ სიამე დაკადილ სულის შეგებისა,
ეს ჩენი დღეა: სიმბოლო ნათელ-მზის გამარჯვებისა!
დღე ბნელოდეს გარშემო, სვანეი, ყორანნი ჰყოლდენ,
სერაფიმთ ნაცვლად აღ-ქაჯნი სამოთხის ბჭეზე ჰყოლდენ!
ცის თალი, შავად მოსილი, მოგვარგოთ ვარსკვლავთ გერცხლითა,
რწმენის ყვაილი გაფურჩქნოთ, გრძნობა ავანთოთ ცეცხლითა.

ღრო მოვა, დამეს ჩიხრაავს შუჭურ ვარსკვლავის ცილი,
ცის ეთერს ააკაშკაშებს მზის ცხოველ სხივთა სრილი!...

(„ა ღ ღ ვ ა მ ა“).

მომავლის ეს რწმენა, ეს შეგენება ა. აბაშელის პოეზიაში დამკვიდრებული იყო უიმედობისა და გულგატეხილობის გვერდით. ეს იყო ერთმანეთის გამომრიცხველი მოვლენები, ჩვეულებრივი წინააღმდეგობა, რაც წითელი ზოლივით მიჰყვებოდა ა. აბაშელის მთელს შემოქმედებას.

პირველ ორ წიგნშივე („მზის სიცილი“, „ანთებული ხეივანი“) გამოამჟღავნა ა. აბაშელმა თავისი თავი, როგორც ორიგინალური შემოქმედებითი პრინციპების, მხატვრული მეთოდის მატარებელმა პოეტმა. მისი პოეტური სახეები „მზის სიცილში“ და „ანთებულ ხეივანში“ მკვეთრად არიან ჩამოყალიბებული, „მატერიალურად“ სავსენი არიან. პოეტისათვის არ არის დამახასიათებელი ემბლემატურობა, რაც ასე იყო გავრცელებული სიმბოლისტური სკოლის პოეტებს შორის. მისი მხატვრული სახეები ჩამოკვეთილი არიან მარმარილოსავით, თითოეული მისი სტრიქონი და სტროფი თითქოს „წონადია“, ყოველი მისი ლექსი წარმოადგენს არქიტექტორულ მთლიანობას. ყველა ეს თვისება ა. აბაშელს აახლოვებს ფრანგ „პარნასელებთან“.

ა. აბაშელი თავისი შემოქმედებითი პრინციპებით ეკუთვნის პოეტ-სკულპტორების წყებას. თავის ყოველ ლექსს იგი პირდაპირ გამოკვეთს ან ჩამოთლის. მის ლექსებს ყოველთვის ახასიათებს მტკიცე არქიტექტონიკა, ყოველი სიტყვა ლექსში სდგას თავის ადგილზე. მისი ნიჟისათვის დამახასიათებელია უნარი იმისა, რომ სიტყვებით მკაფიოდ გამოხატოს თავისი გრძნობა და განწყობილება. მის ლექსებში მკითხველი ხშირად შეხვდება ლამაზ და თავისებურ შედარებას, ალიტერაციას.

კარგა ხანია ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გამოითქვა ის მკვეთრ-
 ლება, რომ ა. აბაშელი უმთავრესად „აზრის პოეტია“, წინააღმდეგ ისეთი
 პოეტებისა, როგორიც არიან ვალ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი და სხვები, რომ-
 მელთა შემოქმედებაშიც სჭარბობს გრძნობის სტიქია, უშუალოდ აქტიურ-
 ლი გაქანება. ეს მოსაზრება სწორია. ა. აბაშელი თავისი პოეზიის ხასიათით
 უფრო მეტად „რაციონალისტია“. მისი ლექსი ხშირად ისეთ შთაბეჭდილებას
 სტოვებს, თითქოს ის წარმოადგენს მონოლოგს და არა ლირიკული უშუალო-
 ბით გამოთქმულ აზრებსა და განწყობილებებს. ამიტომ არის, რომ ა. აბაშე-
 ლის ლექსების უმეტესობას ახასიათებს „სიცივე“ და „აბსტრაქტულობა“,
 მსჯელობითი ხმა. მისი ლექსი ხშირად აღწერითს ხასიათს ღებულობს. იგი
 თითქოს ჰქმნის პოეტურ ნატურმორტს, რომელშიაც ჩახატული არიან საგნე-
 ბი, სურათები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცების
 პირველ წლებში ა. აბაშელის შემოქმედებითი განვითარება დიდი წინააღმ-
 დგობებით მიმდინარეობდა. მის პოეზიაში კვლავ ისმოდა გულგატეხილობისა
 და უიმედობის ხმები. ჩვენი ცხოვრების გარდაქმნის პროცესს პოეტი უჭვი-
 თა და უიმედობით შეჰყურებდა, რასაც იგი დაუფარავად გამოსთქვამდა თა-
 ვის ლექსებში. ამ ლექსების უმრავლესობა შემდეგში მან მოათავსა კრებულ-
 ში „გაბზარული სარკე“.

უცხო, ანტირევოლუციურ იდეურ პოზიციებზე განმტკიცებული ა. აბაშელი
 თავისებურ პოეტურ სახეებში ამჟღავნებდა უკიდურეს სეპტიკიზმსა და პე-
 სიმიზმს. იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს პოეტმა დაჰკარგა ორიენ-
 ტაცია ცხოვრებაში, თითქოს იგი ისევ წარსულისაკენ იცქირებოდა, თითქოს
 ჩაკვდა მასში აქტივობისა და ბრძოლის განცდის შეგრძნობა. ეს წლები შეიძ-
 ლება ჩაითვალოს პოეტის შემოქმედებითი კრიზისის გამოხატულებად. ამ
 მდგომარეობაში ა. აბაშელი კარგა ხანს დაჩაჩა.

უფრო მოგვიანებით ა. აბაშელი დგება იდეურ შემოქმედებითი ძიების
 გზებზე. სოციალისტური მშენებლობის ძლევაში ისეა აღმავლობამ სხვებთან
 ერთად ისიც დააყენა გარდაქმნის გზაზე. პოეტი თანდათან იგნებს ახალ
 ცხოვრებასთან დაახლოვების აუცილებლობას, იგნებს, რომ განახლებული სი-
 ნამდვილე მოითხოვს ჯანსაღ, მებრძოლ განწყობილებებს:

„ახლა კი ვამბობ, როცა ირგვლივ ცეცხლი ანთია,
 ბრძოლის მაგივრად ატირდება მხოლოდ ჯებანი.
 რა არის ლექსი, თუ არ გრძნობის აპოთეოზი.
 დასტუნეთ მზიურ ენერჯით ყოველი სტროფი,
 რომ წაითხვის დროს სიხარულის გავარდეს თოფი
 და სტრიქონებმა დაიფეთონ გულის თიოზე“...

(„პოეტებს“).

ეს სიტყვები, ეს შეგნება ა. აბაშელისათვის არ იყო მხოლოდ დეკლარაცია.
 ეს იყო გულწრფელი მოწოდება, რომლის საფუძველზედაც გააკეთა მან სა-
 ძანადო შემოქმედებითი დასკვნები.

უკანასკნელი ათი წელი ა. აბაშელის შემოქმედებითს განვითარებაში არის
 ყველაზე უფრო ნაყოფიერი, იდეურად გამართული და მხატვრულად მნიშ-
 ნელოვანი.

ა. აბაშელის ლექსების კრებული „მზე და სამშობლო“ ნათლად შეტყვე-
 ლებს იმის შესახებ, რომ პოეტმა ორგანიულად შეითვისა სოციალისტური სა-

ნამდვილის მოვლენები. ერთ-ერთ ლექსში („გზა მშვიდობისა“) იგი აზრობს, რომ დღეს „მინდა ახალგაზრდული მღერა“, რომ „შეეხარი ახლად ჩემს დაბადებას“, რომ მსურს ჩემი ლექსების ხმა გაისმას, როგორც ქვეყნის, როგორც „გრიალი მთაში თოფისა“:

„გასწით, ლექებო, თქვენს ყოველ ხმაში
მე ჩემი გულის სინათლეს ვხედავ-
გასწით, გაფრინდიო, გაინაგარდეთ,
რომ თქვენი ხმები მზეში ავარდეს,
რომ ოჭროს წვიმად გადმოიღვაროს,
რომ ჩემი ქვეყნის მთებსა და ველებს
თქვენი რითმების მისწვდეს წყრილი
და მშობელ მიწის მზიან თაველებს
დაიდგენ თქვენი უმრტი ალი.
გასწით, შერცხლებო ჩემი ოცნების,
წაიღეთ ჩემი აღფრთოვანება,
ჩემი სიმღერის და გოაცების
მთელი სიმძლავრე და ხმოვანება.
და თუ ლაზრულად საღმე შერდით,
საფრთხის წინ საღმე თუ მოდუნდებით, —
სჯობს, მაღალ ხეებს შეასკდეთ მკერდით,
ბუდეში ნულარ დამბრუნდებით.
ჩემი სიმღერა გულში რად მინდა,
თუ ის არავის ემახსოვრება...
თუ მისი კილო ისე დაკნინდა,
რომ ხალხის გუგუნს არ ეჭოვება“..

„მზე და სამშობლო“-ში ა. აბაშელი თითქმის მთლიანად დაშორდა ავად-
მყოფურ-კამერულ მოტივებს. იგი დიდი შემოქმედებითი გზებით წარმო-
ვეისახავს ახალი ცხოვრების სიდიადისა და ბრწყინვალეების ნათელ, თვალწარ-
მტაც სურათებს. მეტი გაბედულება და სიმძაფრე შეიძინა მისმა პოეტურმა
ხმამ, მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი გახდა მისი ლექსების თემატიკა;
ლექსებმა მოიპოვეს მეტი მოქნილობა და მუსიკალობა, ლირიკული უშუალო-
ბა და სინარჩარე. ამ ლექსებში იგი უმღერის ბედნიერ სამშობლოს, მის გმირ
ადამიანებს, ხალხთა დიდ ბელადს — სტალინს, განახლებულ კოლხიდას,
საბჭოთა ახალგაზრდობას, ჩვენი ქვეყნის დამცველ სახელოვან პატრიოტებს,
ახალ თბილისს და სხვ.

ა. აბაშელი დროულად და ოსტატურად დაწერილი ლექსებით გამოეხმაუ-
რა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში მომხდარ ღირსშესანიშნავ მოვლენებსა და
თარიღებს, როგორცაა სტალინური კონსტიტუციის მიღება, უმაღლესი საბ-
ჭოს არჩევნები.

ა. აბაშელის ყოველი ახალი ლექსი ნათლად მეტყველებს იმის შესახებ,
რომ იგი დიდი გულწრფელობით და პირდაპირობით იბრძვის ახალი ცხოვრე-
ბის ამსახველი პოეზიის განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ა. აბაშელის იმ ლექსებზე, რომლებითაც
იხსნება წინამდებარე კრებული. ეს ლექსებია „გმირული დღეების“ ციკლი.
ეს ლექსები პოეტმა გამოაქვეყნა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე და
უშუალოდ ენებიან სამამულო ომის მრისხანე დღეებს.

სამამულო ომის დაწყების პირველ დღეებშივე დააწერა ა. აბაშელმა თავის
ლექსებს დევიზად:



„ჩემო კალამო! ყოველ გარიერას
შენ შეზაროდი დილის ჩიტავით.
უმღერდი მიწას, ელვას, ჭარიშხალს,
და მოვლილი გაქვს ზეცა შედივე.
დღეს ამ მიწა-წყალს, ამ ცის განთიადს
მუხანათურად დაესხა მტერი,
და შენს ნისკარტზე ცეცხლი ანთია,
შენ ამ უდიდეს ბრძოლაზე მღერი.
დასთმე სიმღერა სხვა ყოველგვარი,
ყოველი კილო, სიტყვა და აზრი,
გარდა ერთისა: მხოლოდ მედგარი
დავრჩეს ყვილი, ხმალივით ბასრი.
რომ ყველაფერი, რაც შენში ფეთქავს
გმირული, მძაფრი და პირუთენელი,
მგზნებარე სიტყვა, რაც უნდა გეთქვა,
მაგრამ ამ დღისთვის დარჩა უთქმელი,
ამ ერთ ყვილში მოზღვაფდეს ერთად,
როგორც მოშკადარი მთიდან ლაშქარი.
კალამო! მხოლოდ შემესერა მტერთა,
დადაივიწყე სხვა ყველაფერი“.

(„ჩემს კალამს“).

ყველაზე უფრო მეტად ამ ლექსებში გამოჩნდა ა. აბაშელის შემოქმედების ღირსშესანიშნავი მხარე: აქტუალობა, იდეური სიმძაფრე, პატრიოტიზმი, საქვეყნო საქმისადმი დაქვემდებარება პოეტური მუშაობისა.

სამამულო ომის თემაზე დაწერილ ლექსებიდან კრებულში ყველა არ არის შეტანილი, მაგრამ მაინც პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ამ ხასიათის ლექსებით ა. აბაშელი ერთ პირველთაგან ადგილს იკუროს თანამედროვე ქართულ საბჭოთა პოეზიაში. სამამულო ომის ყოველ მნიშვნელოვან ეპიზოდსა თუ ფაქტს იგი უშუალოდ ეხმარება მაღალმხატვრული ნაწარმოებებით. „ცამ დაიქუხა გუშინ“, „დედის წერილი“, „ხევსური ტანკისტი“, „შევმუსროთ მტერი“, „სახალხო ლაშქარი“, „ლენინის ქალაქს“, „ბელადის სიტყვა“, „ლაპარაკობს მოსკოვი“, „ომში მიმავალ ქართველ გეომარს“ და სხვა ლექსები, ასახავენ საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას გერმანულ ფაშისტურ თავდასხმელების წინააღმდეგ. ყველა ამ ლექსიდან გამოსკვივის მტკიცე რწმენა ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვებისა.

ა. აბაშელი ამ ლექსებში ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხალხს განუსაზღვრელად უყვარს თავისი სოციალისტური სამშობლო, მზადაა მისთვის გასწიროს სიცოცხლე, პოეტი გვიხატავს მებრძოლთა კონკრეტულ სახეებს, ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მთელი დიადი საბჭოთა კავშირის თანამომქმე ხალხებთან ერთად სახელოვნად იბრძვიან ქართველი ხალხის შეილები, რომელთაც ვაჟკაცობის არა ერთი და ორი მაგალითი გვიჩვენებს. პოეტი ლაპარაკობს ჩვენი ხალხის ფოლადისებური სიმტკიცის შესახებ, რომ კავკასიონის მაღალ კარებთან გუშავად იდგა ქველი ქართველი — შეუპოვარი და შემმართველი, მტრის ვერაგ ხელს არ აკარებდა სამშობლოს, ომში კაეივით ნაპერწყლებს კვებსდა. შრომაში დინჯი და გულკეთილი ქართველი იდგა მზისაგან ჩაუანგულ კლდესთან, თვითონაც კლდისაგან გამოკვეთილი, და იცავდა თავის მომავლის ვარსკვლავს. მან თუმცა ბევრი ვაება განიცადა, მაგრამ მტერს არ დაუთმო თავისი კერა. ამ გმირთა მემკვიდრეები არიან თანამედროვე მებრძოლ-

ნი, რომლებიც იცავენ მზიან მიწას, ზღვასავით გაშლილ ქვეყანას, მოძვე ერების თავისუფალი შრომის კავშირს.

„ველეგან, სადაც ბრძოლა მტერთან და ხალხი იცავს კერას და ნაშენს, სხვა სახელოვან გმირებთან ერთად ჭრთველთა მკერდზე იფარავს მამულს“.

(„ომში მიმავალ ჭრთველ მეომარს“).

პოეტი მძაფრი მოწოდებით მიმართავს მეზობლებს, რომელსაც ხალხმა და სამშობლომ დიდი საქმე დააველა:

„დაბადი მეხად ვერავს და აესულს, ზეზე და ელიტი წყვილად და ცალად. გფარვიდეს მარად ბრძოლაში გასულს მშობელი მიწის მადლი და ძალი. პურისთვის მოსულ გადამთიელებს რკინა და ტყვია აჭამე ცხელი...“

(„ომში მიმავალ ჭრთველ მეომარს“).

ხალხი აქებს, ხალხს უყვარს მხოლოდ ის, ვინც უშიშარი გულით, ხმლითა და შუბით მტკიცედ იცავს ქვეყანას.

მხატვრული სისადავით და გამძაფრული სიტყვებით ასახავს ა. აბაშელი ხევსური ტანკისტის ვაჟკაცობას. ცნობა მოვიდა, რომ ერთ-ერთ ტყეში შეპარულა მტრის ტანკი. ხევსურ ტანკისტს დაავალეს მტრის ტანკის განადგურება:

„წამოხტა გახარებული, ან-კი რა ხეყნა სჭირდება! მღეროდა გული ვაჟკაცის, განა დიაცებს ტირიდა! მიუხაროდა საომრად, ვით ჯიბეზე სანალიროდა. ტყისპირი შემოიარა, მტერი მოჩხრიკა, მონაბა. დასჭყვილა: „ვერ შავიბრალებ, რადგან დაშიზმის მონა ხარ!“ ტანკი მიადგო ტანკზედა, მტერი მოთელა, მონაყა“.

ასეთ გმირთა სამშობლოა ჩვენი ქვეყანა, და, პოეტსაც სჯერა, რომ ასეთი ქვეყანა ყოველგვარ გამოცდას გაუძლებს, ყოველგვარ განსაცდელს დასძლევს.

ეს შეგნება, ეს რწმენა აუცილებელი გამარჯვებისა ამოძრავებს არა მარტო ა. აბაშელის თანამედროვე პოეზიას, არამედ მთელი საბჭოთა ხალხის გრძნობასა და მისწრაფებას.

ა. აბაშელის რჩეული ლექსების კრებულის გამოცემა სასარგებლო საქმეა. იგი პოეზიის მოყვარულ მკითხველს წარმოუდგენს ამ საინტერესო პოეტის მთლიან შემოქმედებითს ფიგურას.

ბ. ნაკთები—„არმაზის ბილინგვა“¹⁾

დოქ. გ. წერეთლის ახალი სამეცნიერო ნაშრომი „არმაზის ბილინგვა“ სამ ენაზეა დაბეჭდილი: პირველად ის დაიბეჭდა რუსულად ცალკე წიგნად, როგორც ისტორიის ინსტიტუტის ნაშრომი („Армазская билингва. Двухязычная надпись, найденная при археологических раскопках в Мцхета-Армази“. Изд. АН Груз. ССР. Тбилиси, 1941 г., 72 გვ., ორი სურათით), შემდეგ დაიბეჭდა ქართულად ნ. მარის სახელობის ინსტიტუტის მოამბეში (ტ. 12, გვ. 1—48) და მას მოჰყვა ოდნავ შემოკლებული თარგმანი ინგლისურად: „The Bilingual Inscription from Armazi near Mcheta in Georgia“ (იქვე, გვ. 49—83).

სამი ტექსტის შედარებისას ირკვევა, რომ აქა-იქ მცირეოდენი განსხვავებაა მათ შორის, მაგრამ არა არსებითი ხასიათისა. ავტორის სურვილის თანახმად, ქართული რედაქცია წარმოდგენილ იქნა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადისერტაციოდ დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სემიტური ფილოლოგიის დარგში.

პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ გ. წერეთელი ერთი უნიკიერესთაგანია ჩემს მოწაფეებს შორის. მას წილად ზედა ჩვენს უნივერსიტეტში სემიტური ენების ხელმძღვანელობა, პირველ ყოვლისა არაბული ენისა, რომელიც მან ჩემგან ჩაიბარა და რომელსაც ის ჩინებულად უძღვება. ძირითადი მიმართულებით გ. წერეთელი არაბისტია, მისი ნაშრომები უმთავრესად არაბულ ენასა და არაბულად დაწერილ ძეგლებს ეხება. ასეთებია, მაგ., მისი გამოკვლევები შამილის წერილების შესახებ და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მისი საფუძვლიანი გამოკვლევა შუა აზიის არაბული კილოსი, რომლის შესახებ წინასწარი ცნობები უკვე დაბეჭდილია, ხოლო ვრცელი გამოკვლევა დამზადებულია დასაბეჭდად.

არაბულს გარდა გ. წერეთლის სამეცნიერო ინტერესები სხვა სემიტურ და არა-სემიტურ ენებსაც სწევდება. უნივერსიტეტის კურსის დასრულების შემდეგ, ასპირანტად ყოფნის დროს მან საცესებით გამოიყენა ლენინგრადში მივილინება და იქაური კარგი პირობები: აკად. ე. კრაჩკოვსკის ხელმძღვანელობით დახელოვნდა არაბულ ენაში, ხოლო აკად. პ. კოკოვცევის ხელმძღვანელობით შეისწავლა სხვა სემიტური ენები: ასირიული, სირიული და ებრაული. ებრაულის ცოდნამ საშუალება მისცა მას გამოეცა მცხეთა-სამთავროში ახლად აღმოჩენილი ებრაული წარწერა, ხოლო ასირიულის ცოდნამ გაუადვილა საუცხოვოდ გამოეცა მშვენიერი ალბომი საქართველოს მუზეუმში დაცული ურარტული ძეგლებისა.

ამ ნაშრომების წყალობით გ. წერეთელმა ფართოდ გაიკავია გზა სამეცნიერო მუშაობისათვის. საფიქრებელი იყო, რომ თავის ნიქსა და მომზადებას სხვაგანაც გამოიჩინდა და აი კიდევაც მიეცა მას ასეთი შემთხვევა.

¹⁾ ბეჭდავს რა აკად. ა. შანიძის წერილს „მნათობი“, ადგილს დაუთმობს მეორე მხარის საპასუხო წერილსაც.

1940 წლის შემოდგომაზე განსვ. აკად. ი. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით წარმოებული გათხრების დროს არმაზში აღმოჩენილი იქნა ორი წარწერა: ერთი მარტო არამეული ასოებით შესრულებული, მეორე კი — ორენოვანი: ბერძნული და „არამეული“. გ. წერეთელმა თავის კვლევის საგნად გაიხადა ამ წარწერების ამოშიფრვა, წაკითხვა, თარგმნა და ისტორიული კომენტარები. სადისერტაციო ნაშრომი ბილინგვას ეხება, თუმცა აქა-იქ ერთენოვანი წარწერის ცნობებიც არის დამოწმებული.

გამოკვლევა შედგება 7 თავისაგან, რომელთაც მიუძღვის პატარა შესავალი, სადაც მოცემულია ცნობები წარწერის აღმოჩენის შესახებ და გარეგნული აღწერილობა ბილინგვისა.

I თავი (გვ. 2 — 14) ეხება ბილინგვის ამოშიფრვისა და დათარიღების საკითხს. აქ მოცემულია ბილინგვის ანბანი ტრანსკრიპციითურთ ოთხ ენაზე (ებრაულად, არაბულად, ლათინურად და ქართულად) და პალეოგრაფიული ანალიზი.

II თავში (გვ. 15 — 26) მოცემულია ტექსტი და მისი ტრანსლიტერაცია ქართული, ებრაული და ლათინური ასოებით, შემდეგ თარგმანი, შესადარებლად ბერძნული ტექსტი და მისი თარგმანი და ვრცელი შენიშვნები პარალელური ტექსტისათვის.

III თავი (გვ. 27 — 31) ეხება სპეციალურად საკითხს, თუ რას წარმოადგენს პარალელური წარწერის ენა.

IV თავში (გვ. 31 — 32) მოცემულია ტექსტის კომპოზიციის ანალიზი.

V თავში (გვ. 32 — 34) განხილულია წარწერის მოქმედი პირები.

VI თავში (გვ. 34 — 46) წარმოდგენილია ტექსტის ისტორიული კომენტარები და, უკანასკნელ,

VII თავი (გვ. 46 — 48) ეხება წარწერის ისტორიულ მნიშვნელობას.

როგორც თავების შინაარსიდან ჩანს, მონაგრაფია ყოველმხრივ ეხება პატარას, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან ეპიგრაფიკულ ძეგლს.

გამოკვლევას, როგორც მოსკოლდნელი იყო, შრავალი ღირსება ახლავს, მაგრამ მოეპოვება სუსტი მხარეებიც. მე ამ სუსტი მხარეებიდან უნდა დავიწყო.

გ. წერეთლის თხზულების სათაურია: „არმაზის ბილინგვა“. ასეთი სათაური ავტორს უთუოდ აეაღებდა, რომ ორენოვანი წარწერა მას შეესწავლა მთელი მოცულობით, როგორც ბერძნულ ნაწილში, ისე მის პარალელურში. მაგრამ რას ეხდებოდა გამოკვლევაში? ავტორი სპეციალურად ეხება მარტო ქვემო ტექსტს, არამეული ასოებით შესრულებულს, შემო ტექსტს კი, ბერძნულს, მხოლოდ გაკვრით იხსენიებს, იმდენად, რამდენადაც ეს ქვემო ტექსტის ადგილების გაგებისთვის არის საჭირო. ამით აიხსნება, რომ ერთ ადგილას ვკითხულობთ: „იმისთვის, რომ ბილინგვის ორივე ტექსტის შედარების საშუალება გვექნეს, აქვე მოვიყვანთ ბერძნულ წარწერასაც, თუმცა ის ამჟამად უკვე გამოკვლეულია“. ამონაწერი ადგილი ცხადყოფს, რომ ბერძნული ტექსტი მას არა სპეციალური გამოკვლევის საგნად გაუხდია, არამედ სხვათა შორის მოუხმია ქვემო წარწერასთან შესადარებლად. რომ ეს ასეა, იქედანაც ჩანს, რომ ბერძნული ტექსტისა მას არც პალეოგრაფიული მხარე აინტერესებს, არც დათარიღების საკითხი. საჭმე იქამდის მიდის, რომ მას პროფ. ს. ყაუხჩიშვილის გამოკვლევის დასკვნაც კი არ აქვს დამოწმებული თავის გამოკვლევაში ბერძნული ტექსტის დათარიღების შესახებ. ამიტომ უფრო შესაფერისი იქნე-

ბოდა, რომ გამოკვლევისთვის სათაურად მიეცა: „არმაზის ბილინგვის მკვებო ტექსტი“, ან რაღაც ამისი მსგავსი.

არ შეგვიძლია მწუხარებით არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ მწერეთელს თავის ნაშრომში არსად განმარტებული არა აქვს, თუ როგორ ესმის მას მის მიერ ნახმარი ტერმინები: „სპარსული“, „საშუალო სპარსული“, „ფალაური“. მხოლოდ ერთგან შენიშნავს: „ტერმინით ფარსული, парсийский, Parsic, აღინიშნება საშუალო სპარსულის ერთ-ერთი შტო, ე. წ. სასანურ-ფალაური და არა თანამედროვე სალიტერატურო ენა, როგორც ამას ზოგიერთი არა სპეციალისტი ჩადის ყოველდღიური საუბრის დროს“-ო (გვ. 5, შწ. 1).

თუ ფარსულია საშუალო სპარსულის შტო სასანურ-ფალაური, მაშინ ფალაური, ალბათ, იქნება ე. წ. „ქალდეურ-ფალაური“, რომლითაც აღნიშნავენდნენ არა იმდენად სხვა ენას, რამდენადაც დაწერილობის სხვა სახეს.)

არა სპეციალისტმა საუბრის დროს რომ შეცთომა დაუშვას ტერმინის ხმარებაში, ეს არ იქნება დიდი ცოდვა, მაგრამ სპეციალისტს უთუოდ მოეთხოვება, რომ განმარტოს მის მიერ ხმარებული ტერმინები; ეს სავალდებულოა, როდესაც ამ ტერმინებს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს მიღებული ისტორიულად და შეიძლება სხვადასხვანაირად იქმნენ გაგებული მკითხველის მიერ. ეს თანაბრად შეეხება, როგორც „სპარსულს“, ისე „ფალაურს“ და თვით „ფარსულსაც“.

მე-XIX — XX ს. ს.-ში ჩვენში სპარსელების სახელით ცნობილი იყვნენ ირანის აზერბაიჯანიდან გამოსულები, რომლებიც საქართველოში (უმთავრესად თბილისში) ეპქრობას ეწეოდნენ. ამიტომ ზშირად „სპარსულს“ ეძახდნენ იმ ენას, რომელზედაც ეს სპარსელები ლაპარაკობდნენ, ე. ი. თურქულ ენათა ერთ-ერთ სახეს, ხოლო ირანის სახელმწიფო ენას, ენას ფირდოუსისა და საადისას ამ „სპარსულისაგან“ განსხვავებით „ფარსულს“ ეძახდნენ, ე. ი. ტერმინს, რომელიც წარმოადგენს ქართულ გამოთქმას სპარსული „(ზ ე ბ ა ნ ე) ქ ა რ ს უ ლ ი“-სას, რომელიც ისტორიულად „სპარსულის“ სახელითაა ცნობილი ქართულ მწერლობაში.

ფალაურის სახელით ჩვენში ძველადგანვე ცნობილი იყო ახალი სალიტერატურო სპარსულის წინამორბედი სალიტერატურო ენა, რომლისთვისაც არამეული ასოები და იდეოგრამები იყო გამოყენებული. ჩვენში არ არჩევდნენ, წიგნური იყო ეს ენა თუ ეპოგრაფიკული, ირანის ცენტრალურ კილოზე დაწერილი, თუ სამზრულზე. ამიტომ ჩვენში ისტორიულად ცნობილი „ფალაური“ აერთიანებს გ. წერეთლის „ფალაურსაც“ და „ფარსულსაც“. ყოველ შემთხვევაში, თუ ტერმინების შერჩევისას თანამედროვე ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურის პრაქტიკას დავეყრდნობით, მაშინ Pahlavi-ს „პართული“ უნდა ეწოდოს ქართულად და Parsic-ს „პარსული“ (და არა „ფარსული“).

ტერმინების განუმარტებლობის გამო მკითხველი იძულებულია, თვით მიმართოს სათანადო ლიტერატურას; მაგრამ აქაც შეიძლება მან ზოგიერთი ტერმინის შესახებ ვერ იპოვოს დამაკმაყოფილებელი პასუხი. მაგ., „პარსულის“ სახელით იცნობენ შუა სპარსულის ენას, რომლის ტექსტები წაწერია არაბული შრიფტით, და არა იმ ენას, რომელსაც გ. წერეთელი ფარსულს უწოდებს.

რომ ტერმინოლოგიური ხასიათის საკითხები მოსაგვარებელია, იქიდანაც ჩანს, რომ ერთისა და იმავე წარწერისათვის ერთსა და იმავე ავტორს სხვადასხვა დროს სხვადასხვა ეჭრნალში სხვადასხვა სახელი დაურქმევია: შაბურ

*) А Фрейман, Среднеперсидский язык и его место среди иранских языков: „Восточные записки“, I, Ленинград, 1927, стр. 51.

პირველის წარწერას მ. შპრენგლინგმა პირველად პაჰლავური უწოდა, შემდეგ კი პარსული.¹⁾

ამიტომ გ. წერეთელი ვალდებული იყო, რომ, ვიდრე სხვის კრტიკას დაიწყებდა ტერმინების ხმარების საკითხში, თვითონ მოეცა თავისი ტერმინების განმარტება თუნდაც ძალიან მოკლედ. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ მისი „ფარსული“ და „ფალაური“ იმდენად სხვადასხვა ენას არ აღნიშნავს (როგორც ეს შეიძლება მკითხველმა გაიგოს), რამდენადაც ერთისა და იმავე ენას — შუა სპარსულის — ორ სხვადასხვა დიალექტს, რომელთაც განსხვავებული ანბანი ჰქონდათ.²⁾

სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ ცნობილი ირანისტი ა. ფრეიმანი არ არის მართალი, როდესაც ამბობს, რომ წინათ არ აქცევენ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ორენოვანი წარწერები (პაჰლავურად და პარსულად) ახლოს დგას ერთმანეთთან ენის მხრივით. ჯერ კიდევ თომასი აღნიშნავდა 1878 წ., რომ არტაშერ პაპაკანისა და მისი უახლოესი მემკვიდრის წარწერები კლდეზე ამოკვეთილია ორი ვერსიით, რომლებიც დიალექტურად განსხვავდებიან და შესრულებულია ერთი და იმავე ნორმალური ანბანის ოდნავი მოდიფიკაციითაო.³⁾

გ. წერეთელი თავის მიმოხილვაში, რომელიც ეხება დამწერლობას, ამბობს: „ჩვენი დამწერლობის ძირითადი ვერტიკალური ხაზებისათვის დამახასიათებელია მიმართულება /, რადგანაც ჩვენ მარცხნიდან მარჯვნივ ვწერთო, მაშინ როდესაც ფინიკიურსა და არამეულში იმავე ხაზებს საწინააღმდეგო მიმართულება ახასიათებსო: |, რადგანაც ტექსტი მარჯვნიდან მარცხნივ იწერებოდაო“ (გვ. 5). „ჩვენი დამწერლობა“ რუსულ ტექსტში (გვ. 6—7) наше письмо-დ იკითხება, ინგლისურად კი ამას our writing უდრის. ამ შემთხვევაში გ. წერეთელი ეყრდნობა Lidzbarski-ს, მაგრამ ერთია საყურადღებო: „ჩვენს დამწერლობაში“, რომელიც მარცხნიდან მარჯვნივ მიდის, უთუოდ, ბერძნულიც შედის. მაგრამ რას ვხედავთ იმავე არმაზის ბილინგვის ბერძნულ წარწერაში? იქ ხომ ვერტიკალური ხაზები საზოგადოდ ვერტიკალურია, და არა დახრილი! და თუ დახრილიც ვგებდებო აქა-იქ, დახრილია არა მარჯვნიდან მარცხნივ, არამედ მარცხნიდან მარჯვნივ (მაგალითად, მეორე სტრიქონის ΠΙΤΙΑΣΟΥ სიტყვაში).

ამას გარდა, თუ მოვიგონებთ სომხურ მრგლოვანსა და ქართულ მრგლოვანს, რომლებიც აგრეთვე მარცხნიდან იწერება, აღნიშნული დებულება „ჩვენი დამწერლობის“ ვერტიკალური ხაზების მიმართულების შესახებ არ იჭნება სწორი. შეიძლება ის სწორი იყოს, ვთქვათ, სომხური ნოტრაჯირისა და ქართული ნუსხურისათვის, ლათინური დაწერილობის გარკვეული სახეებისათვის და შეიძლება აგრეთვე ბერძნული ნუსხურისთვის, თორემ როგორც ზოგადი დებუ-

¹⁾ M. Sprengling, A new Pahlavi Inscription: AJSL. 58 (1937), pp. 126—144; Zur Parsik-Inschrift an der Kaaba des Zoroasters: ZDMG, Bd. 91, Heft 3 (1937), pp. 552—672.

²⁾ ასეთა პალეოგრაფიულ მიმოხილვიდან გტყობილობთ, რომ სპარსულს ჰგავს სამეხი, ეძველეს სასანურს ზ, დ, საშუალო სპარსულს მ, ფალაურს თ, მ, კ, შ, ფარსულს ზ, დ, ზ. მოდიო და გაიგეთ, რა იფიქსიონება ამ ტერმინებში!

³⁾ Thomas, Sassanian Inscriptions: JRAS. N. S. v. III (1878), p. 242.

ლება მიუღებელია. ლიძბარსკიზე დაყრდნობა ამ შემთხვევაში დახმარებას ვერ გაგვიწევს. ამიტომ სიმართლეს არ შეეფერება მტკიცება იმისა, რომ „7“ სქემა ბილინგვაში „)“ სქემად გადაკეთებული ისეთი დამწერლობისთვის არის დამახასიათებელი, რომლებშიაც ტექსტი მარცხნიდან მარჯვნივ იწერება (გვ. 6). ამის გამო ზედმეტია ვარაუდი იმის შესახებ: „ზომ არ იყო ჩვენი წარწერის ამომჭრელი მიჩვეული წერას ისეთ ენაზე, რომელშიაც ტექსტი მარცხნიდან მარჯვნივ მიიმართებოდა“. ეს ვარაუდი, მე მგონია, სრულიად უსაფუძვლოა.

პირველი სიტყვა, რომელიც გ. წერეთელს ამოუკითხავს, ყოფილა **შნთ** („წილი“), მოთავსებულია წარწერის უკანასკნელ სტრიქონში. შემდეგ მას მოუხერხებია **ბრთ** („ასულ“) სიტყვის ამოკითხვა.)

პალეოგრაფიული მიმოხილვა არმაზის ბილინგვის ქვემო ვერსიისა ვრცლად აქვს მოყვანილი დოკ. გ. წერეთელს ქართულად და რუსულად და ოდნავ შემოკლებით ინგლისურად. ასოების სათითოოდ შედარებას სემიტური შრიფტის სხვადასხვა სახეებთან ავტორი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ზოგი ასო მონახულობით ჩვენს წარწერას ფალაურთან აახლოებს, ზოგი ფარსულთან, ზოგიც არამეულთან, კერძოდ პალმირულთან.

1. ფარსულს მოგვაგონებს **ბ** (მაგრამ უფრო არქაულია), **დ** (უახლოვდება, ის წინ უსწრებს სასანური წარწერების **დ-საო**), **ზ** (ერთგვარი ნათესაობა გმჩნევია).

2. ფალაურთან მსგავსებას იჩენენ: **ა** (ალეფი („ძალიან მცირედ ჰგავს“)), **თ** (მაგრამ უფრო არქაულია), **მ**, **კ**, **შ**.

3. არამეულს: **ა**, **გ** (გვიანდელია), **შ**.

4. პალმირულს: **ა**, **ვ**, **ზ**, **ტ**, **ლ** (პალმირულის ზოგ სახეს), **ა** (ალეფი (ერთგვარი მოჩვენებითი მსგავსებაა)).

5. ებრაულს (ევადრატულს): **ქ**, **ნ** [არმაზული **ნ-ს** შესახებ ქართ. რედაქციაში ნათქვამია, რომ ამ ასოსი ერთგვარი ნათესაობა შეიძლება დავინახოთ ებრაული (ევადრატული) დამწერლობის ზოგიერთი ძველის სათანადო (ბოლოკიდურ) ნიშანთან (გვ. 9), მაგრამ რუსულ რედაქციაში აქ ებრაულის ნაცვლად არამეული იკითხება].

6. სირიულს (ესტრანგელს): **ლ**, **მ** (**ბ**).

7. საშუალ სპარსულს: **სამები**.

8. სასანურს: **ზ**, **დ** (უძველესიათ).

9. ფინიკიურს: **თ** (საშუალ ფინიკიურის ძველ ტიპსა).

10. ახალ პუნურს: **გ**.

*) ჩემი ამოკითხვა კი სულ სხვა გზით მიმდინარეობდა. პირველად ვივარაუდე, რომ ორი ასოსგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც რვაჯერ გვხვდება წარწერაში (სტრ. 1, 2, 3, 4, 5, ხის, 8, 9), იქნებოდა ნაწილაკი **ჰა**, რომელსაც მომდევნო სახელებთან დაკავშირებით დაკისრებული აქვს ჩვენი ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციის გამოხატვა. ვარაუდი რომ სწორი უნდა ყოფილიყო, ამას ადასტურებდა მეორე სტრიქონის პირველი სიტყვა, რომელიც იმავე ჯგუფით იწყებოდა. საფიქრებელი იყო, რომ ეს იქნებოდა საკუთარი სახელი სერაპიტის მამისა, რომელიც ბერძნულში გენიტის ფორმით არის წარმოდგენილი: *Σεραπίτου*. მაშასადამე, მთელი სიტყვა, ოთხი ნიშნისაგან შემდგარი, ასე უნდა წაკითხულიყო: **ჰატი**-ამით უკვე დადგენილ იქნა ოთხი ასოს შნიშვნელობა. შემდეგი საფუძვრი იყო ძღმანგანის ამოკითხვა, რომლის ორი დასაწყისი ასო (**ატი**) უკვე ნაცნობი იყო. ამის შემდეგ უკვე ილარ იყო ჩემთვის ზნელი წარწერის ყველა ასოს შნიშვნელობის დადგენა.

როგორც ვხედავთ, პალეოგრაფიული მიმოხილვა ითვალისწინებს ყველა სემიტურ შრიფტს.

შესადარებლად გ. წერეთელი იყენებს არა მარტო ლიძხაურულ ტაბულას, რომლებიც შეიღვენენ მისი ცნობილი Handbuch-ის შესრულტომის, კარა-მედ აგრეთვე ცალკეულ გამოცემებსაც, როგორცაა Nöldeke-სი, Sachau-სი და Euting-ის გამოკვლევები სემიტური წარწერების შესახებ. შუა საპრსული-სათვის ის იმეორებს Sprengling-ის გამოცემას შაბურ I-ის წარწერისას, მაგრამ არ ჩანს, რომ მას ძველი ნაშრომებიც გამოეყენებინოს, მაგ., თომასისა, რომელსაც შედარებითი ტაბულა აქვს შედგენილი „ქალღეურ-ფალაურისა“ და „სასანურ-ფალაურისა“.

ვისაც საშუალება ექნება თვითონ მიმართოს პირველ წყაროებს და გ. წერეთლის პალეოგრაფიული შედარება შეამოწმოს, დარწმუნდება, რომ მას ეს შედარება დიდი კეთილსინდისიერებით ჩაუტარებია, მაგრამ, რადგანაც ამის საშუალება ყველას არა აქვს და არც ექნება, ამიტომ ავტორი კარგს იზამდა, რომ თავის შრომისთვის დაერთო ლიძხაურის Handbuch-ის მეორე ტომიდან სამი ტაბულა (I. ფინიკიური, II. არამეული, III. ებრაული), ხოლო „ფალაურისა“ და „ფარსულისათვის“ თომასის ტაბულა ან თვითონ მას საგანგებოდ შეედგინა წარწერათა პალეოგრაფიული შესწავლის საფუძველზე. მაშინ მის მსჯელობას არმაზული არამეული ნიშნების მოხაზულობის შესახებ მეტი დამაჯერებლობა ექნებოდა, რადგანაც ყოველ მკითხველს ექნებოდა საშუალება, ავტორის საბუთიანობა იქვე შეემოწმებინა.

იმედი გვაქვს, რომ გ. წერეთელი ამ ნაკლს გამოსაწორებს იმ ნაშრომში, რომელსაც გვპირდება № 1 წარწერის შესახებ.

რაც შეეხება გ. წერეთლის მოსაზრებას ქართული ანბანის ფინიკიურსა და ძველ არამეულთან გენეტიკური ნათესაობის შესახებ, უნდა მოგახსენოთ, რომ ამისთვის მის გასაზიარებლად არც წ-ს მოხაზულობაა საკმარისი და არც სხვა ასოების მსგავსების შემთხვევები (ფ-სი, ხ-სი). ეს მოსაზრება, გაკვრით გამოთქმული შენიშვნაში (გვ. 18) და რამდენაღმე აგრეთვე თვით ტექსტში (გვ. 13 — 14), შეიძლება სამუშაო თეორიად იქნეს მომარჯვებული, მაგრამ მას დამტკიცება უნდა ქართული ანბანისა და არამეულის მთლიანად შედარების საფუძველზე. ამ შედარებისას რა თქმა უნდა, არ შეიძლება უგულვებელყოფილ იქნეს სომხურისა და ბერძნულის ურთიერთობა ქართულთან, როგორც ამას გვიჩვენებს, არა მარტო ისეთი შეხვედრები, როგორცაა დიდი მსგავსება ფშენივიერებს შორის (ბერძნ. ΦΘΧ, ქართ. **ჟ**), არამედ აგრეთვე ანბანის რიგი ამ ენებში, თ და ტ ასოების ადგილის შენაცვლება ქართულ-სომხურ-ბერძნულში, ხმოვნების ხმარება საზოგადოდ და კერძოდ უ ხმოვნის გადმოცემის ხერხი, კ ასოთა მსგავსება ქართულსა და სომხურში (ქართ. **ქ**, სომხ. **ქ**) და სხვა და სხვა. ეს საკითხები ყველა მკიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. საზოგადოდ ქართული ანბანის გენეზისის პრობლემა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად გადაწყდეს ცალკე, სომხურისა და ბერძნული ანბანის გენეზისის საკითხების შესწავლასთან დაუკავშირებლად. ამიტომ, თუ ჩვენს ავტორს ჰსურს თავისი წვლილი შეიტანოს ქართული პალეოგრაფიის ძირითადი პრობლემის გადაწყვეტაში და თავი დაიზღვიოს მცდარ დებულებათაგან, მან იმავე დროს მეზობელ ერთა ანბანთან ურთიერთობის საკითხებიც უნდა შეისწავლოს.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში მოსაზრებას ქართულ ასოთა წარმოშობის შესახებ, რომელსაც ჯერ კიდევ დასაბუთება სჭირდება, უნდა განვაცხადოთ, რომ მთელი I თავი გ. წერეთლის გამოკვლევაში დიდი მნიშვნელობით და ცოდნით არის დაწერილი. ამიტომ მიუღვამელი კრიტიკოსი უთუოდ განიზიარებს გ. წერეთლის დასკვნას იმის შესახებ, რომ არამეული ასოებით შესრულებული არმაზული წარწერები წარმოადგენს ახალ შტოს სემიტურ შრიტებს შორის და რომ მას საფუძვლით შეეფერება „არმაზული“, რომელიც პირველად გ. წერეთელმა შემოიღო.

ერთი შენიშვნა მაინც: ავტორი ერთგან ვაკვრით ამბობს, რომ „არმაზულის“ მაგივრად „ქართულ-არამეულს“ ხმარებაც მოხერხებულა, მაგრამ შეიძლება არასწორ შეხედულებას ჰქმნიდეს არმაზის დამწერლობაზეა“. (გვ. 5, შწმ. 3). სწორი აზრია, ამიტომ არასწორი შეხედულების მომცემი ტერმინი აღარ უნდა ეხმარა მას: მე-11 გვერდზე იკითხება: „თუ არ ვიფიქრებთ, რომ ქართულ-არამეული ფორმა ერთი ასოსი ბერძნულის ან ქართულის გავლენის შედეგია“.

ტექსტის ენობრივი შენიშვნების შესახებ საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ეს ნაწილი (თ. II), საუკეთესო ნაწილია მთელს ნაშრომში: ამაზეა დამყარებული არა მარტო ტექსტის გაგება, არამედ კულტურულ-ისტორიული საკითხების დასმა და მათი ფარგლების მოხაზვა. ზოგიერთი საკითხი მაინც კამათს იწვევს.

გარდაცვალებული ქალის სახელი ბერძნულში ΣΗΡΑΠΕΙΤΙΣ-ად იკითხება, პარალელურში კი — ს რ ფ ა ტ. გ. წერეთელი ფიქრობს, რომ ბერძნული Η პარალელურ ტექსტში „აინს“ საშუალებით არის გადმოცემული. სხვაგან შენიშნავს: შესაძლებელია „აინი“ წარწერაში ე-ს აინიშნავდეს საერთოდ, მაგრამ ეტიმოლოგიური აინიგ, როგორც ეს ცბადა სიტყვიდან ჩანს, თავის ბდგილზეა შენახული (გვ. 26, შწმ. 2). ეს დებულება რომ სწორი იყოს, მაშინ რაგვიე აინი იქნებოდა სხვაგანაც, სახელდობრ ზევანისა და ქსეფარნუგის სახელებში, რომლებიც ბერძნულში ეტას საშუალებით არის გადმოცემული. რადგანაც ამას ვერ ვხედავთ, ამიტომ არ შეიძლება დაშვება, თითქო ეტა აინით იყოს გადმოცემული, მით უმეტეს, რომ გარდაცვალებული ქალის სახელი ბერძნული არ არის. ავტორის ვარაუდით შეიძლება ის ეგვიპტური წარმოშობისა იყოს, შეიძლება ადგილობრივისა, მაშასადამე, ამ სახელის აინი უფრო თანხმოვანს გულისხმობს და არა ხმოვანს.

უნდა დავეთანხმოთ გ. წერეთელს, რომ ზევან-ი (ან ზევან-ი) არ არის უცხოური გადაცემა ჯევან-ისა ან ჯავან-ისა. მაგრამ როგორი წარმოშობისაც უნდა იყოს ეს სახელი, სემიტურისა თუ ირანულისა, ძნელია, რომ ის ვიცნოთ ჯევანის პროტოტიპად, რომლის შესაძლებლობასაც გ. წერეთელი ვარაუდობს (გვ. 19). აფრიკატიზაციის გზით ზ მოგვეცმნა არა ჯ-ს, არამედ ძ-ს. ამიტომ უთუოდ გონიერულია, როცა ავტორი დასძენს, რომ ურყევი საბუთი საამისოდ არ მოგვეპოვებაო (გვ. 19).

გ. წერეთლის ნაშრომის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად უნდა ჩაითვალოს შენიშვნები პარალელური ტექსტისათვის (გვ. 17—26). აქ თვითველი სიტყვის შესახებ მოცემულია მისი შესატყვისობანი სხვადასხვა სემიტურ ენაში და შეძლებისდაგვარად დადგენილია ის მნიშვნელობა, რომელიც სიტყვას მოგპოვება ბილინგვაში. ამ ნაწილში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია „კლალ“ სიტყვისა და ბერძნული $\nu\sigma\alpha\tau\epsilon\iota\sigma$ -ის მნიშვნელობათა იდენტობის დადგენა. თარგუმისა და ბიბლიის მოწმობათა შეჯერების საფუძველზე შესაძლებელი ხდება

ამ ტერმინებში დაეინახოთ „ცოტა“ („უმცროსის“ მნიშვნელობით). აქედან მნიშვნელოვანი დასკვნები კეთდება ისტორიული ხასიათისა ჩვენში სხვადასხვა ხარისხის ერისთავთა არსებობის შესახებ.

ბერძნული ტექსტის ქართულ თარგმანში შემდეგი იქცევა ყურადღებას ჯადმოკცემულია ხ-თი: ზევახ. თუ წარწერა II საუკუნისაა, როგორც გ. წერეთელი ფიქრობს, შეუძლებელია, რომ ის ხ-დ იქნეს წაკითხული. ბერძნულიდან სომხურში და ქართულში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით შემოსულ სიტყვებში ყველგან ჰ გვაქვს (მაგ., ქრისტე), და არა ხ.

ეს წარწერა კი უშეკვლად უფრო ადრინდელია, ვიდრე ქრისტიანობის ოფიციალური დამკვიდრება სომხეთსა და საქართველოში.

წარწერის თარგმანში ყურადღებას იქცევს შემდეგი: ავტორი ამბობს, რომ წარწერის პირველი ნახევარი მე-7 სტრიქონის ფრხმ მლქ-ამდე არ იწვევს რაიმე დაბრკოლებას გაგების მხრითო“ (გვ. 17), მაგრამ ჩად დასჭირდა ავტორს შენიშენა იმის შესახებ, რომ მე-5 სტრიქონის უკანასკნელი სიტყვა („ძე“) „ეხება იოდმანგანს“-ო? (გვ. 6, შნშ. 2). საიდან ჩანს, რომ იოდმანგანს ეხება? — მხოლოდ ბერძნული ტექსტიდან. რომ ბერძნული ტექსტი არა, არავის მოუვიდოდა ფიქრად, რომ იოდმანგანს ეხება. პირიქით, სიტყვათა თანამიმდევრობა პარალელურ ტექსტში ისეთია, რომ აგრობა ეზოს მოძღვარი მამაა ქსეფანრუგ მეფისა, ამიტომ ამ საკითხის ასე გვერდის ავლა საეკიალურ გამოკვლევაში არ შეიძლებოდა. საჭირო იყო დამტკიცება, რომ ეს „ძეობა“ იოდმანგანს ეხება და არა ქსეფანრუგს.

ტექსტის სიტყვების დეტალური შესწავლის შედეგად ავტორი გვაძლევს თარგმანს, რომელიც არც ძველი ქართულითაა და არც ახლით. „ეზომს მოძღვარი“ ყოველთვის ძველი ორთოგრაფიითაა მოცემული, ქალის სახელი კი ახლით (სერაფიტ). ამას გარდა, მგონია არც ძველია და არც ახალი ასეთი სიტყვები: „ძისა აგრიფა ეზომს მოძღვრისა ფარსმან მეფისა“.

შეძლო თუ არა გ. წერეთელმა მეორე ტექსტი მთლიანად გასაგებიცა და შეკითხვებისათვის, ყოველმხრივ დაეძლია ის? ვერა, ვერ შეძლო. შიგ მინც რჩება ვაუგებარი ადგილები. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ გ. წერეთელმა ლენინგრადში შევიღებების წყალობით და საეკიალური ლიტერატურის გაცნობით საგრძნობლად წასწია წინ აღნიშნული წარწერის შესწავლის საქმე. თუ ზოგი რამ ისევ გასარკვევი რჩება, ეს აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ მასალის უქონლობით: გვაკლია როგორც არამეული, ისე სპარსული, ქართული და სომხური წყაროები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ვავითვალისწინოთ ყოველი დეტალი წარწერისა. ის, რაც გ. წერეთელმა მოახერხა ასეთ პირობებში, ცოტა არ არის. მე ნებას მივსცემ ჩემს თავს მოვიყვანო ერთი ადგილი წერილიდან, რომელიც გამომიგზავნა აკად. პ. კოკოცეცემა პასუხად ჩემი გამოკვლევისა „ეზომს მოძღვარ“ ტერმინის შესახებ. აი რას მწერდა ცნობილი სემიტოლოგი არმანის ბილინგვის პარალელური ტექსტის შესახებ:

Очень любопытно употребление слова qallil в значении «младший, меньший по возрасту», что в арамейских диалектах, за исключением нескольких мест таргума Псевдо-Ионафана к Пятикнижию, нигде, насколько мне известно, не встречается. Очень любопытно также употребление арамейского слова ywh, как идеограммы в значении

perfecta. Первое слово надписи (anh), может быть, следовало читать *ana «я», т. е. переводить: «я Серапита» и т. д. Многие мне, впрочем, остается в семитических элементах надписи *ḥayyayyā*, ила რა გასაკვირველია, რომ ყველაფერი ერთბაშად ვერ გაარკვეის (ლოც. გ. წერეთელმა, რომელსაც არამეულსა და საშუალო სპარსულში სპეციალურად არ უმუშავნია.

გ. წერეთელი ფრთხილი მკვლევარია, შეიძლება ითქვას, მეტისმეტად ფრთხილი და თავდაპირველი. სიფრთხილე მას საშუალებას არ აძლევს, გადაჭრით თქვას ამჟამად, თუ რომელია ის ენა, რომელზედაც დაწერილია ბილინგვის წვემო ტექსტი. ამ ტექსტში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში საკუთარ სახელებსა და საზოგადო სახელთა გამეორებებს, სულ არის, ნაწილაკებითურთ, 32 სიტყვა, რომელთაგანაც 29 არამეულია, სამი კი სპარსული. ეს — ლექსიკური შედგენილობის მიხედვით. გრამატიკული თვალსაზრისით ტექსტი გვიჩვენებს ისეთ მოვლენებს, რომლებიც აშკარად ლაღადებენ, რომ ენა არ არის სემიტური: მსაზღვრელი დაისმის საზღვრულის წინ (კლალ ბტშშ „მცირე პიტიახში“), ქალის მიმართ მამრობითი ფორმება ნახმარი და სხვა. ყველაფერი ეს აშკარად გვეუბნება, რომ ენა არ არის არამეული, მაგრამ, თუ არამეული არაა, რომელია ის? სამი სპარსული სიტყვის ხმარება გ. წერეთლისთვის გადაამჭრელი არ არის. საკითხის საბოლოო გადაწყვეტას ავტორი გვიპირდება № I წარწერის ამოშიფვრასთან ერთად. თუ ეს ამოშიფვრა დიდი ხნით არ იქნება გადადებული, მაშინ საკითხის გადადებაში შეიძლება ავტორს დაეთანხმოს კაცი.

ერთს მაინც ვამჩნევთ გ. წერეთლის გამოკვლევაში: ყველგან, სადაც ავტორს ხელი მიუწვდება, არამეულ სიტყვათა მნიშვნელობის დადგენისას ის არ ივიწყებს მათ იდეოგრამულ გამოყენებას სპარსულში და ყოველთვის აღნიშნავს, თუ როგორ იკითხებოდა ის სპარსულში. ამას გარდა დასკვნა ბილინგვის მეორე ენის შესახებ ისეთი ფორმულით აქვს მოცემული მას, რომ მისი სპარსულობა არაა თუ გამორიცხული არ არის, არამედ სწორედ აქეთვე არის მიმართული აზრი. ოღონდ შეიძლება, რომ აქ იყოს უფრო ძველი საფეხურის კვალი (გვ. 31).

ტექსტის კომენტარიებში, რომლებიც საზოგადოდ კარგად არის დაწერილი, ერთი ადგილი ძქცევს ყურადღებას: გ. წერეთელი ამბობს: „ბილინგვის ორივე ტექსტის დეტალურმა შესწავლამ დამარწმუნა, რომ მწერალი საკმაო ოსტატობით არჩევს ბერძნულ და არამეულ შესატყვისობებს და ჩვენ არა გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ მას არ ესმოდა ბერძნული ტექსტის მნიშვნელობა და ამიტომ შეცთომით თარგმნიდა მას არამეულზე ან პირიქით“-ო (გვ. 36). ამას ამბობს ის „კლალ“ სიტყვის ხმარებასთან დაკავშირებით. მაგრამ ავტორი ვერის ამბობს გარკვევით იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა, რომ ერთი და იგივე შირი, სახელდობრ გარდაცვალებული ქალის მამამთილი ავრიბა ბერძნულ ტექსტში პიტიახშად არის დასახელებული, ქვემო „არამეულ“, ტექსტში კი — ეზოს მოძღვრად. ამ შესაბამობას რომ ვერ ვაართვა მან თავი და ვერ ახსნა როგინად, აზრი გამოთქვა, „შეიძლება ავრიბა ორივე თანამდებობას ასრულებდა და ამიტომ ერთ შემთხვევაში ის პიტიახშად მოიხსენიეს, ხოლო მეორედ — ეზოს მოძღვრად“ (გვ. 46), „მაგრამო, დასძენს ავტორი, შეიძლება ეს მწერლის დაუ-

დევრობითაც აიხსნასო“. არა, ასეთ დაუდევრობას ვერ დავსწავებთ. ^{თუ ვიტყვი} რომ დაუდევრობა იყო ამ შემთხვევაშიო, მაშინ ისიც ^{დასაშვანია} რომ წარწერის შემდგენელი შეცდომით თარგმნიდა ტერმინს ერთი ^{ენიდან} მეორეზე, ამის წინააღმდეგ კი გ. წერეთელი უთუოდ ამხედრდება. ^{საქართველო}

ტექსტის კომენტარიებში საცილობელია ეტიმოლოგია პიტიახშისა, რომელიც ავტორის სპარსულ სიტყვად მიაჩნია „არმენიზებული“ ფორმით. ამის საშუალებას არ გვაძლევს „ი“, რომელიც პირველ მარცვალში შედის: ქართულში ჩვეულებრივ პიტიახში გვხვდება (პიტიახში თუ არის სადმე, უთუოდ გადამწერის შეცდომაა), სომხურში ი იფულისხმება, ბერძნულში და ლათინურში ყველგან ი გვაქვს. ეს ი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. ამიტომ ეტიმოლოგია, რომელსაც გ. წერეთელი გულისხმობს, საცილობელია.

მე არ ვეხები საკითხებს ისტორიული ხასიათისას, რომლებიც ავტორის საზოგადოდ კარგად აქვს დამუშავებული, მაგრამ, რა თქმა უნდა, საცილობელი აქაც ბევრია.

არ შემიძლია არ ვუსაყვედურო გ. წერეთელს იმის შესახებ, რომ ის ზოგჯერ არ ითვალისწინებს მკითხველის ინტერესებს. მაგ., ერთგან (გვ. 39) ამბობს, რომ პიტიახშის შესახებ მრავალი ეტიმოლოგია არსებობსო და მიგვიხითებს Herzfeld-ის წიგნზე (Paikuli). თითქო ავტორმა არ იცოდეს, რამდენად ძნელია ამ წიგნის შოვა თბილისში! პიტიახშობა საქართველოშიც იყო. ეს სიტყვა, მასასადამე, ჩვენთვის გარკვეული ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის მატარებელია. არ შეიძლება არ გვიანტერესებდეს მისი ეტიმოლოგია და ისეთ წიგნზე მითითება, რომელიც არ იშოვება, არას გვშველის. იმგვარს გამოკვლევაში, როგორცაა გ. წერეთლის „არმაზის ბილინგვა“, აუცილებელი იყო არსებული ეტიმოლოგიების ჩვენება.

სხვაგან გ. წერეთელი ამბობს: აერომანის ცნობილი პერგამენტი ბევრად უფრო ხნიერია, ვიდრე (არმაზის) ბილინგვა და უფრო ძველ ეპოქას ეკუთვნის“ (გვ. 29). აქვე შენიშნავს უკეთებს და მიუთითებს ჩიკაგოში გამოცემულ წიგნზე. რა გაუჭირდა გ. წერეთელს ეთქვა ჩვენთვის, თუ რომელ საუკუნეს სკუთვნებს დასახვლებული წიგნის ავტორი ამ ძეგლს?

უკანასკნელ, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ გ. წერეთელმა მიტხედავად იმისა, რომ სტამბას არ მოეპოვებოდა აღმოსავლური ენებისათვის საჭირო ასოები, თავისი გამოკვლევა ისე გამოსცა, რომ ეს ტექნიკური დაბრკოლება დასძლია და გამოკვლევა სათანადოდ გაფორმებული წარმოადგინა, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ავტორი სათანადო ყურადღებით ეკიდება მკითხველს საზოგადოების ინტერესებს.

დასკვნა სარეცენზიო წიგნის შესახებ ასეთია: შეიძლება ავტორმა ყველაფერი ზოგჯერ ვერ ახსნა (მაგ., მან ვერ შესძლო გამოერკვია მნიშვნელობა ქრისტე სიტყვა-იდეოგრამისა და ვერ მოგვცა პასუხი არმაზის ბილინგვის მიერ წამოყენებულ კარდინალურ საკითხზე, თუ რას წარმოადგენს ენა პარალელური ტექსტისა), მაგრამ ამაში ბრალი მიუძღვის უმთავრესად არა ავტორს, არამედ იმ გარემოებას, რომ არ გვაბადია საკმაო მასალები არამეულის შესახებ და აგრეთვე საშუალო სპარსულის კილოების შესახებ (ფალაურისა, პარსულისა), რომლებიც არამეულ სიტყვებს ხმარობდნენ თავისი სიტყვების იდეოგრამებად, ე. ი. წერდნენ არამეული ასოებით და არამეული სიტყვებით, მაგრამ გამოთქვამდნენ

სათანადო სპარსულ სიტყვებს. მიუხედავად ამისა, უნდა აღენიშნო, რომ გ. წერეთელმა საერთოდ რიგიანად შეასრულა ნაქისრი ვალდებულებები:

1) გამოარკვია მნიშვნელობა ყველა 22 ასოსი, რომლებიც გვხვდება არმაზის ბილინგვის არამეულ ნაწერში და მათი სხვა სემიტური ანბანებთან შედარებით დაადგინა, რომ არმაზულ ნაწერს უჭირავს განსაკუთრებული ადგილი სემიტური შრიფტის არამეულ სახეებს შორის: პალმირულსა, ფალაურსა, პარსულსა და სხვებსა;

2) პალეოგრაფიული მონაცემებისა და ისტორიული ცნობების მიხედვით გამოარკვია მიახლოებითი თარიღი არმაზის წარწერებისა;

3) გამოარკვია თითქმის ყველა სიტყვა-იდეოგრამის მნიშვნელობა, დაადგინა იგივეობა და ზუსტი მნიშვნელობა ტერმინებისა *vaxšair* და „კალაღ“-ისა, რომლებიც სხვადასხვაგვარად ესმოდათ და მოგვცა თარგმანი ახლად-აღმოჩენილი ორენოვანი წარწერისა;

4) ქართულის, სომხურისა და სხვა ისტორიული წყაროების კრიტიკული ანალიზის საშუალებით დაადასტურა არმაზის ბილინგვის მიერ მოცემული ფაქტი სხვადასხვა რანგის პიტიანშთა ერთდროული არსებობის შესახებ ძველს საქართველოში;

5) გამოარკვია ხასიათი და საერთო მნიშვნელობა არმაზის ბილინგვისა, როგორც მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტისა ძველი საქართველოსათვის;

6) მოამზადა ნიადაგი, რომ ამოშიფრულ და ახსნილ-განმარტებულ იქნეს წარწერა № 1, რომელიც ბილინგვასთან ერთად არის აღმოჩენილი არმაზშივე, მაგრამ მარტო არამეული ასოებით არის დაწერილი; და ამგვარად

7) საგრძობლად წასწია წინ ახლად მოპოვებულის არმაზის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საქმე, ძეგლებისა, რომელთაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს 1—2 ს.ს.-თა ისტორიისათვის.

ამიერიდან გ. წერეთლის „არმაზის ბილინგვა“, რომელიც გამოცემულია ქართულად, რუსულად და ინგლისურად, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში შევა, როგორც უდაოდ მნიშვნელოვანი გამოკვლევა, რომელსაც ანგარიშს გაუწივენ არა მარტო სემიტოლოგიისა და ირანიტიკის ზოგიერთი დარგის სპეციალისტები, სახელდობრ, არამეულსა და საშუალო სპარსულში მომუშავენი, არამედ, პირველ ყოვლისა, საქართველოს ისტორიკოსები.

„არმაზის ბილინგვა“ არ არის ერთად-ერთი მეცნიერული ნაშრომი გ. წერეთლისა: მის კალამს ეკუთვნის სხვა ნაშრომებიც, რომლებიც მნიშვნელოვანია თავისი შედეგებით. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია გამოკვლევა შუა აზიის არაბული დიალექტების შესახებ და „საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები“, რომლებიც უკვე მოვიხსენიეთ (გვ. 135).

საერთოდ გ. წერეთლის სახით ჩვენ გვყავს მომზადებული მეცნიერი, რომელსაც შეუძლია მძლავრად მოქნევა, აქვს ფართო სამეცნიერო პერსპექტივები, შემეძლია ბუნებრივი ნიჭით, გულში უღვივის სამეცნიერო კვლევადიების სიყვარული და თანაც დიდი აქვს შრომის უნარი. მის დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რომ თვითველი დებულება მისი მეცნიერული ნაშრომისა კარგად აწონ-დაწონილია, შემოწმებულია და დასაბუთებულია. შეგიძლიანთ არ გაიზაროთ მისი აზრი ამა თუ იმ საკითხის შესახებ, მაგრამ არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოთ მას.

7. IV. 1942.

თბილისს.

ბესიკის 2 ღაქსის განმარტებისათვის

როგორც ირკვევა, ჩვენს ლიტერატურის ისტორიაში არამც თუ ჯერ საკმარისი ზედმიწევნით არ არის შესწავლილი ბესიკის მღვლევარე ცხოვრება, არამედ ჯერ კიდევ საკმარისად არ ყოფილა ათვისებული მისი შემოქმედება, ჯერ კიდევ სწორედ არ ყოფილა გაგებულნი თვით ზოგიერთი მისი ლექსი, ზოგიერთი მისი გამოთქმა.

მაგალითისათვის შევჩერდები ბესიკის ლექსებში ხმარებულ „ატადის კალოზე“.

როგორც ცნობილია, გამოთქმა „ატადის კალო“ გვხვდება ბესიკის ორ ლექსში: „ცრემლთა ისარნი“ და „სამძიმარი“.

აი ეს სტრიქონებიც:

1. ვა კიდევანთა, ესდენ თქმათა გლოვისა ხმანო,
ატადის კალოს, სავალალოს, სადა ხართ თქმანო,
(„ცრემლთა ისარნი“).

- და 2. გამოჩნდა კალო
ატადის სავალალო,
ოდეს გცანო, ძალო,
ხელდაკრებით საბრალო.

(„სამძიმარი“)¹⁾

ბესიკის რედაქტორებს (ს. გორგაძე, ალ. ბარამიძე და ვ. თოფურია), როგორც ჩანს, ან ყურადღება არ მიუქცევიათ ამ გამოთქმებისათვის, ანდა, ახსნა-განმარტების გაძნელების გამო, ბესიკის თხზულებისადმი დართულ ლექსიკონში არ შეუტანიათ და აუხსნელი დარჩენიათ.

ბესიკის უკანასკნელ რედაქტორებს (ალ. ბარამიძე და ვ. თოფურია) „ატადის კალო“ შეტანილი არა აქვთ ბესიკის არც საკუთარ სახელთა საძიებელში.

ამგვარად ბესიკის მკითხველ-შემსწავლელი გაურკვეველობის წინაშე დგას.

როგორც ჩანს, ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევია აკად. კ. კეკელიძეს და ამ გამოთქმისათვის ერთგვარი ახსნა-განმარტებაც მოუძებნია.

პატივემული მკვლევარი ამ საკითხს ეხება მისი რედაქციითა და გამოკვლევით ახლა ხანს გამოცემულ წიგნში: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, რომელიც, როგორც ცნობილია, წარმოადგენს თამარის პირველ ისტორიას.

ეს ძეგლი ჩვენამდის მეტად დამახინჯებულ, მე-17-ე საუკუნის რედაქციით არის მოღწეული და აკად. კ. კეკელიძის ამ გამოცემით მოცემულია

¹⁾ ბესიკი, ა. ბარამიძის და ვ. თოფურიას გამოცემა. ტფ. 1933 წ. (გვ. 12 და 39).

ცდა ტექსტის აღდგენისა. მაშასადამე, დამახინჯებულ ადგილების გასწორებისაც.

„ისტორიანი და აზმანი შარავინდედთანი“-ს გასწორებულ ტექსტისადმი წამძღვარებულ გამოკვლევაში (1—50 გვ.)¹⁾ წარმოდგენილია შესწორებული ადგილები და ამ შესწორებათა საბუთები. აქვე (43—45 გვ.) მოცემულია ახსნა-განმარტება ჩვენთვის ამჟამად საინტერესო „ატადის კალისათვის“, თვით ბესიკის ლექსებზე მითითებით.

თამარის პირველ ისტორიაში, იქ, სადაც ისტორიკოსი თამარის გარდაცვალებას აფიქსურს, ნათქვამია: იქმნა-ტყეპა: მსგავსი: ეპოთა: ატადესთა: და გოდებანი: მსგავსნი: მოოგვრებისა: იელუსარემისანი: იელუსალიმისა: მიერ: მგოდებელისა: (გვ. 53, სტრ. 2—4). ეს ადგილი აკად. კ. კეკელიძეს ასე აქვს შესწორებული: „იქმნა ტყეპა, მსგავსი ვაებათა ატიდესთა, და გოდებანი, მსგავსი მოოგვრებისა იერუსალიმისანი, იერემიასა მიერ მგოდებელისა“.

კითხვაზე, თუ რა არის „ატადესთა“, აკად. კ. კეკელიძე უბასუხებს: „აქ ჩვენ გვაქვს ნათესაობითი ბრუნვა („ვაებათა ატადესთა“) „ატადე“ სახელისა. ამ სახელში გვესმის გამოძახილი ძველი ბერძნული მითოლოგიისა, რომელიც დაკავშირებულია ფრაგიელთა ღვთაების „Αττα“-ის ვინაობასთან.“²⁾

ამის შემდეგ აკად. კ. კეკელიძეს მოჰყავს ცნობები ატისისა და მის კულტის შესახებ უმთავრესად ჯ. ფრეზერიის მიხედვით³⁾ და დასძენს: როგორც ვხედავთ, ატისის სახელი გლოვისა, ვაებისა და მწუხარების სიმბოლოდ ქცეულაო.

ამ გვარად, თუ ვერწმუნებით პატივცემულ მკვლევარს, გამოდის, რომ თამარის პირველმა ისტორიკოსმა თამარის გლოვის დღის აღსანიშნავად შედარებისათვის გაიხსენა ერთი მხრივ ატისის სიკვდილთან დაკავშირებული გლოვის დღე და მეორის მხრივ იერემიას გოდება იერუსალიმის აოხრების გამო. რომ უფრო დაგვირწმუნოს მის შესწორებისა და გავების სისწორეში პატივცემული მკვლევარი იმასაც კი გვიხსნის, თუ როგორ წარმოსდგა ბერძნული „Αττα“-იდან „ატადე“.

იგი წერს:

„ატადე“ არის დამახინჯებული ფორმა „ატიდესი“. „ატიდე“-კი მიღებულია ბერძნულ genitiv-იდან: „Αττα-Αττα: genitiv-ს ჩამოშორებია დაბოლოვება — თა და მიმატებია ქართული დაბოლოვება — ე (როგორც ეს ხდება ხოლმე — თა-ით დაბოლოვებული ბერძნული სახელების ქართულად გადმოკეთებისას), აქედან ერთი — ტ — გამჭარალა, რადგანაც ქართული ენა ორ ერთნაირ თანხმოვანს ერთი მეორის გვერდით ვერ ითმუნს, თუმცა შესაძლოა ისიც, რომ ეს სახელი ქართველებს ერთი ტ-თი მიეღოთ. (ბერძნულად ის გვხვდება ერთი ტ-თაც).“

ამის შემდეგ მკვლევარი იხსენიებს დღესდღეობით მისთვის ცნობილ მხოლოდ ერთ შემთხვევას ამ სახელის (ე. ი. ატადეს) ხმარებისას ძველ ქართულ მწერლობაში და მიუთითებს ბესიკზე.

¹⁾ ნახ. „ისტორიანი და აზმანი შარავინდედთანი“ (ცდა ტექსტის აღდგენისა) აკად. კორ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით. საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი. 1941 წ.

²⁾ დასახელებული გამოკვლევა, გვ. 43.

³⁾ ნ. მისი „Золотая ветвь“ III, 62—71.

გამოდის, რომ, როდესაც ბესიკი გლოვის სიმბოლოდ „ატადის კალო“ ასახელებდა, მას არ ესმოდა რომ ამ სიტყვებში დამახინჯებულ „ატადის ვაება“ იმალებოდა.

რამდენად დამაჯერებელია ასეთი ამბავი და რამდენად საინტერესო-რიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ტექსტში აკად. კ. კეკელიძის მიერ შეტანილი შესწორება „იქმნა ტყემა, მსგავსი ვაებათა ატიღესთა“.

ბესიკის ლექსებში ხმარებულ გამოთქმის „ატადის კალო“ ასეთ ვაებაზე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ასეთს შესწორებაზე კიდევ შეიძლებოდა ვინმე დათანხმებულიყო, რომ არ არსებობდეს უფრო სანდო წყარო, საიდანაც შეეძლოთ ამ გამოთქმის ამოღება როგორც თამარის ისტორიკოსს, ისე ბესიკს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ თამარის ისტორიკოსი უეჭველად დიდ სასულეო ვანათლებლის მქონე პიროვნებაა და ბესიკიც არ არის მოკლებული ამ ტოდნის წყაროს, როგორც ერეკლეს კარის მოძღვრის შვილი, ძველ ტრადიციებზე აღზრდილი.

რა წყაროა ის წყარო, საიდანაც ჩვენს მწერლობაში შემოსულა „ატადის კალო“? ეს წყარო უეჭველად ბიბლია არის და შემომოყვანილ სამივე შემთხვევაში გლოვისა და მწუხარების მხატვრულ ასახვისათვის გამოქვეყნებულია არა „ატისის გლოვა“, არამედ ბიბლიურ იაკობის გლოვა იოსების მიერ, „ატადის კალოზე“ რომ იქმნა შესრულებული.

განა დასაშვებია ერთი წუთითაც კი, რომ თამარის ისტორიკოსს ის დიდი და „მიუთხრობელი მწუხარება, რომელიც მოიწია მკვდრთა ზედა საქართველოსთა“ თამარის გარდაცვალების გამო, რომელიც „ძნელად გამწარებულნი იტყებდეს და ისხმიდიან თავთა ნაცარსა და მტტერსა“, შეედარებინა იმ გლოვისათვის, რომელსაც ატისის ტაძარში მართავდნენ ატისისადმი შეწირულები, რომლებიც, ჩვენი მკვლევარის სიტყვებით რომ ვთქვათ: „აღზნებულნი და ტკივილის გრძობას მოკლებულნი, ბასრი ქვის დანით თავს ისაჭურისებდნენ, მოიჭრიდნენ სასქესო ორგანოს და ქალღმერთს მსხვერპლად სწირავდნენ“. რასაკვირველია, ყოველად დაუშვებელია.

განა დასაშვებია ერთი წუთითაც კი, რომ ბესიკის „ტრემლთა ისარნი“, რომელიც გოდებაა თანზრდილთა და სწორთა განშორებულ პოეტისა, იმ გლოვის ხმებასა და თქმებას იხსენიებდეს, რომლებიც ატისის ტაძრიდან მოისმოდა ხოლმე „სისხლის დღეს“?

განა დასაშვებია, რომ სამგლოვიარო ოდა „სამძიმარი“, რომელიც მთლად გაედუნთილია ბიბლიურ ამბებით, გლოვის სიმბოლოდ ატისის სახელს გამოიყენებდა?

რასაკვირველია, არა.

თამარის ისტორიკოსიც და ბესიკიც მწუხარებისა და გლოვის სიმბოლოდ ასახელებენ ბიბლიაში კარგად ცნობილ „ატადის კალოს“ და არავითარ მითოლოგიურ გამოძახილს აქ, რასაკვირველია, ადვილი არა აქვს.

ვკითხვით ახლა, ბიბლიის რომელ წიგნში გვხვდება „ატადის კალო“ და რას ნიშნავს იგი.

ბიბლიის პირველსავე წიგნში, რომელსაც „შესაქმე“ ეწოდება და მოსეს მიეწერება, 50-ე თავის მე-9 და მე-10 მუხლში ვკითხულობთ:

„0). და მივიდეს კალოებსა მას ზედა ატადისსა, რომელ არს წიად იორდანესა და ეტყებდეს მას ტყებითა დიდიდა და ძლიერიდა ფრიად, და ჰყო იოსებ გოდება მამისა თვისისა შუქად დღე.“

0. იხილეს შვედრთა ქუჩეანისა ქანაანისთა გლოვა კალოსა ზედა ატადისასა, და თქუს: ესე გლოვა დიდ არს მეგვბტელთა: ამისთვის უწოდეს სახელი ადგილსა მას, გლოვა ეგვბტისა¹⁾, რომელ არს წიად იორდანესა“.

რა ახსნა-განმარტებაა მოცემული სათანადო ლიტერატურაში ამ ადგილსა და მის სახელწოდების შესახებ?

ცნობილ ებრაულ ენციკლოპედიაში ვკითხულობთ:

А т а д — название гумна, находившегося у Абель Мицраима к западу от Иордана, где остановился траурный кортеж, сопровождавший тело Якова. Там он оставался в течение семи дней (Быт. 50, 10 сл.). Предание рассказывает, что это место получило название Абель-Мицраим, в знак того, что, здесь, именно, справлялся траур по Якове. Но по мнению позднейших ученых Абель — тут означает не «траур», а «луг». Однако последнему противоречит то обстоятельство, что еще доньше у населения Сирии, в областях, лежащих к востоку от Иордана и Ливана, удержался обычай удаляться на все время семидневного траура по усопшим в черную, украшенную козьими рогами палатку, которая разбивается, специально для этого случая на току в западной части поселения. Здесь же, в палатке, в течение траурного времени, поконится прах усопшего.²⁾

ეს წყაროებიც საკმარისია, ეგონებთ, იმის გასარკვევად, რომ ბიბლიით ცნობილია „კალოები ატადისა“ (ებრაულად „გორენ ჰა ატად“³⁾, სადაც იოსებს და მასთან მყოფ სამგლოვიარო ამაღას, როდესაც ისინი მიასვენებდნენ იაკობის გვამს ქანაანის საზღვარზე (через границу хананейскую) შვიდი დღის განმავლობაში დაუსვენებიათ მისი გვამი და დაუტყრიათ „ტყებითა დიდიდა“. იმ დიდი გლოვისა გამო, რომელიც გაუმართავთ ეგვიპტელებს (მისრელებს) — იოსებმა და მის ამაღას — „კალოსა ზედა ატადისასა“, ადგილობრივ ქანაანის მოსახლეობას ამ ადგილისათვის შეურქმევია „აბელ მიცრაიმ“, რაც ნიშნავს „მისრეთის გლოვას“. დღემდის სირიელებში, იორდანისა და ლიბანის აღმოსავლეთით მდებარე ადგილებში შენახულა ეს ჩვევა: შვიდი დღის გლოვა მიცვალებულისა შავ კარავში, რომელსაც კალოზე დასცემენ ხოლმე. ევეს ვარეშეა, რომ თამარის დროის ისტორიკოსიც და ბესიკიც ბიბლიით ცნობილ „ატადის კალოს“ ასახელებენ და ბერძნულ მითოლოგიიდან ამ შემთხვევაში რისამე სესხება არავითარ საჭიროებით არ იყო გამოწვეული.

¹⁾ ხაზი ჩემია (ს. ი.).

²⁾ Еврейская энциклопедия, т. III, 378 — 79 стр. იხ. აგრეთვე Kurzes Bibelwörterbuch herausgegeben von D. H. Guthe (Tübingen und Leipzig, 1903) 54 გვერდზე სიტყვა Atad და მისი განმარტება.

ამგვარად თამარის პირველ ისტორიკოსის დამახინჯებული ადგილი: „იქმნა ტყემა მსგავსი ეპოთა ატადესთა“ ასე უნდა გასწორდეს:

„იქმნა ტყემა მსგავსი კალოთა ატადესთა“. ამას მხარს უჭერს უკვე აღნიშნული ცხოვრების“ ე. წ. თეიმურაზისეული ვარიანტი, სადაც ვკითხულობთ: „კალოთა ატადესთა“.

ამას მხარს უჭერს აგრეთვე განსაკუთრებით ბესიკის „სამძივარი“. საკმარისია შევხედოთ ჩაიკითხოს ბესიკის შემდეგი, თანმიმდევრობით მიყოლებული სტროფი, რომ დარწმუნდეს ჩვენი მოსაზრების სისწორეში. საყურადღებოა, რომ ამ სტროფებში მოცემულია თითქმის სრული აღწერილობა „ატადის კალო“-სთან დაკავშირებულ გლოვისა. აი ის ადგილები:

8. ეგვიპტით გამო
 ზმა ისმის მიწყვი სავამო,
 კრულავს საპამო
 ძილი იოსებს ვსწამო;
 ძმანი მიდამო
 პრთვენ სისხლის ცრემლთა მნამო“.

ზემო მოყვანილი მოსაზრებანი, ვფიქრობთ, საკმარისი უნდა იყვნენ იმისათვის, რომ დავასკვნათ:

„ატადის კალო“ თამარის ისტორიკოსსაც და ბესიკსაც ბიბლიიდან აქვთ ამოღებული და ატადის კულტი აქ არაფერ შუაშია.

ი. გრიშაშვილი

ერთი ჩაცანზიის გეგმა

(პასუხად მამია დუღუჩავას)

ამხანაგმა მამია დუღუჩავამ ჩემის რედაქტორობით გამოცემულ აკაკის III ტომის შესახებ რეცენზია დაბეჭდა („მნათობი“, 1942 წ., № 7—8).

ავტორი სადაც მაქვს, — რა მეთქმის, მაგრამ როცა რეცენზენტი აკაკის ტექსტის ზოგიერთი ადგილის არასწორედ წაკითხვას მაბრალებს, არ შემიძლიან გავჩუმდე, და ამ წერილით არ გავეკამათო, მით უმეტეს, რომ ეს ეხება აკაკის ტექსტის დადგენის საკითხს და მეორედ — შეიძლება ზოგიერთმა გამოცემელმა დაუჯეროს რეცენზენტს და აკაკის ამ მესამე ტომიდან ამოღებულ ზოგიერთ ნაწარმოებთან გამოცემის დროს, ჩემი გვარი (როგორც რედაქტორისა) მიჩქმალოს და რომელიმე „პასუხისმგებელი რედაქტორის“ მიწაწერით უფრო არივ-დარიოს აკაკის ცალკეულ ნაწარმოებთან გამოცემის საქმე!

უბრველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ მე აკაკის ტექსტი არ ამომიხევიან მზამზარეულად გამოცემულ რომელიმე წიგნიდან და ისე არ გადამიცია სტამბისათვის აკაკის ყოველი ნაწარმოები დიდის გულმოდგინებით შემისწავლია, შემიდარებია საარქივო მასალებსათვის, ავტოგრაფებსათვის, პირველ ნაბეჭდ ტექსტისთვის და ისე გამომიმზევებია აკადემიურ გამოცემაში. მაგრამ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ და ამის შესახებ პატივცემული რეცენზენტი ზომიანე მეთადაც მაქვს...

მამ რა ამბავია? რა მოხდა? რათ ავიღე ხელში კალამი?

აკაკის ერთ პოემაში („ალექსი“), სამი სიტყვა გადავსხი რითმების მიხედვით. მე ვიცი, რომ მამია დუღუჩავა მეცნიერი მუშაკია; მაგრამ თუ მას ლექსებიც უწერია, უმეველად უნდა მიეღო ჩემი „გასწორება“ და საყვედურის მაგივრად განსაკუთრებული ზალისით აღვნიშნა ეს ჩემი რედაქტორული ინტუიცია, რადგან აკაკის არც ერთ გამომცემელს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია. (ოღნავე ჩემებურადაა დაბეჭდილი გავზეთ „დროებაში“ — 1876 წ., № 56).

შევუღვეთ ფაქტების მოყვანას:

ამბ. მამია დუღუჩავა ამბობს: „კლასიკოსის ნაწარმოებში შესწორების შეტანა, მაშინ როდესაც ამის საფუძველს არ იძლევა ამ ნაწარმოების არც ერთი ვარიანტი, ან შესასწორებელი ადგილი რამე აშკარა დამახინჯებას არ იძლევა, გაუმართლებელია“ — (ხაზი ჩემია. — ა. გ.).

სრული სიმართლეა, კლასიკოსის ნაწარმოების გასწორება თვითნებურად არ შეიძლება. მაგრამ თუ „აშკარა დამახინჯება“, მაშინ შეიძლება — დასძენს რეცენზენტი. ჰო და მეც ეს დამახინჯება მეცა თვალში და შევასწორე. შევასწორე მეთქი ვამბობ, მაგრამ ამ შესწორებით აკაკის სიტყვები როდი

გადამისხვაფერებია — იმისი წამიშლია, ჩემი ჩამიწერია. არა! ამას არც რეცენზენტი მიკითხნებს. ის მხოლოდ ზეპირად, მასალის მოუხსენებლად ამბობს რედაქტორზე, რითმები გადაუსვამსო! მორჩა და გათავდა! და რეცენზენტის ეს ადგილიც... „ეს ითქმის უფრო არსებითი შესწორების შესახებ, არამედ“ „ალექსის“ ერთ-ერთ სტროფში შეუტანია რედაქტორს რითმების მიხედვით“ („მნათობი“. 1942 წ. № 7 — 8. გვ. 251).

პატივეთვლ რეცენზენტს უნდა მოეყვანა აკაკის პოემის „ალექსის“ ტექსტი: რა იყო და რა „შეეცაწორე“! ამით მკითხველი თვით გაერკვეოდა, რაიმე „ცოდვა“ ჩაიდინა გრიშაშვილმა თუ დუღუჩაეა სცდება? მან ეს არ ჩაიდინა. მაშ ჩვენ მოვიყვანოთ ეს ადგილები:

დაბეჭდილი იყო ძველად ასე:

„მათ ძილში მგელი
ის საძაგელი
მიადგა კარებს, ეცა რა სუნნი.
ერთი მან გარეთ
იზუვლა მწარეთ
და დაუწყო კარს ჩქარა კაკუნი.
ძილი დაუფრთხათ,
ტკბილი, მავარი,
ამ ხმაურობით პატარა კრავებს,
რა რომ წამოხტენენ,
მაშინვე მიხედნენ,
რომ აბრიყვებდა ვილაც მათ
მტრობით“.

ჩვენს გამოცემაში დაიბეჭდა ასე:

„მათ ძილში მგელი
ის საძაგელი,
მიადგა კარებს, ეცა რა სუნნი.
ერთი მან გარეთ
იზუვლა მწარეთ
და დაუწყო კარს ჩქარა კაკუნი.
დაუფრთხათ ძილი,
მავარი, ტკბილი,
პატარა კრავებს ამ ხმაურობით,
რა რომ წამოხტენენ,
მაშინვე მიხედნენ,
რომ აბრიყვებდა ვილაც მათ მტრობით“.

ესლა მკითხველისთვის მიმინდვია ახსნას ამ „გადასმით“ რაიმე დამიშავებია აკაკის ნიჟისთვის, თუ მესტამბის გამო შექანიკურად არეული სტრიქონებისთვის მიმიგნია. შიგნით შებნეული რითმები ნაპირას გამოპიტანია და ასე შემისწორებია? ვინც იცნობს აკაკის რითმას, მის პოეტიკას და — რაც მთავარია — თვით ამ პოემის წყობის ბარალელურ ადგილებს, ის, დარწმუნებული ვარ, აუგად არ ჩამითვლის ამ კორექტურას, მით უმეტეს, რომ ამ ლექსის „დროებაში“ დაბეჭდილი ვარიანტიც ჩემს სასარგებლოდ ლაპარაკობს („დროება“, 1876 წ., № 56).

ასევე ითქმის „კიკოლას ნაამბობის“ შესახებაც! იქაც ასოთამწყობის დაუდევრობით ერთი სტრიქონი მეორე სტრიქონის ადგილას არის ჩასმული. მით უმეტეს, რომ ლექსის ზომის თვალსაზრისით რითმა ჩვეულებრივია, აკაკური — ე. ი. ჯვარედინი და არა მოღვედილი:

იყო:

და მართლაც რომ ჩამაბარეს
სატანჯავად სისხლის მსმელებს...
არ უშვებდნენ არც მნახველებს,
ვინ მოსთვლის ჩემს ვასაჭირებს.

არის:

და მართლაც რომ ჩამაბარეს
სატანჯავად სისხლის მსმელებს...
ვინ მოსთვლის ჩემს ვასაჭირებს,
არ უშვებდნენ არც მნახველებს.

მ. დუდუჩავას აზრით, თუ ის მეპატიება, რომ „თორნიკე ერისთავის“ რამდენიმე ათეული სტრიქონი ჩაედე ახლად აღმოჩენილი და მექანიკურად ამოვარდნილი, თუ ჩვენი რედაქციით დაბეჭდილი „მოხუცის ნაწილები“ 80 სტრიქონით აღმატება 1925 წლის გამოცემას და სხვადასხვა „მედიის“ რამდენიმე უნდა მესაყვედუროს არა აკაკის მიზეზით ვაპარული „ამკარა დამაბინჯებანი“, როცა, ყველამ ვიცით, აკაკი სტამბის კაცი არ იყო და მე დარწმუნებული ვარ, არც ერთი თავისი ნაწერის კორექტურა გადაკითხული არ ექნებოდა! ასეთია ფაქტები, ასეთია ის სამურეზო მასალა, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში ვსწავლობდი და ვარკვევდი.

ეხლა „მედიის“ დაწერის თარიღის გამო:

მამია დუდუჩავას აზრით „მედია“ დაწერილი უნდა ყოფილიყო 1893 წელს და არა 1895 წ. საბუთად მოჰყავს აკაკის კერძო წერილი გ. წერეთელთან მიწერილი 1893 წ. აგვისტოს, სადაც ნათქვამია: „მედიის“ ვწერ და მეორე ნაწილს შევუდებ“. ძალიან საეჭვოა, რომ აკაკი აქ გულისხმობდეს ამეამად ცნობილ 5 მოქმედებთან დრამას — „მედიის“! არ შეიძლება იყოს აკაკის 1893 წელს მთელი დრამა დამთავრებული ჰქონიყო და ხან არ დაებეჭდა, ან არავისთვის არ წაეკითხა, — როგორც ამას სხვა ნაწერების დროს სჩადიოდა. ძალიან გაბედული თქმაა რეცენზენტის მიერ, თითქოს აკაკის „მედიის“ პირველი ნაწილი დამთავრებული ჰქონიყოს და მეორე ნაწილის დაწყებისათვის ავადმყოფობას შეეშალოს ხელი! ჯერ ერთი რას ნიშნავს „პირველი ნაწილი“, „მეორე ნაწილი“? აქ დრამის ტრილოგიის ნაწილები კი არ იგულისხმება, არამედ ბიესის პირველი და მეორე მოქმედება. თუ აკაკის 1893 წელს მზად ჰქონდა 5 მოქმედებანი „მედია“, რატომ არ დაბეჭდა იმავე წელს (1893) თუ ვნებათ იმავე ადრესატის გ. წერეთლის ორგანო „კვალში“ (თუნდ სხვა რომელიმე გამოცემაში) და მხოლოდ 1895 წელს დაბეჭდა „კვალში“, ისიც ორი ნაწილი (ე. ი. ორი მოქმედება) და სულ სხვარედაქციით? საქმე ის არის, რომ ჩვენს დიდს პოეტს დიდხანს აწვალებდა „მედიის“ პრობლემა, მას სურდა ეს თემა სამ კარად დაეწერა: „მედია კოლხიდაში“, „მედია ელადში“ და „მედია სამშობლოში დაბრუნებული“. ეს დიდი მასშტაბის გეგმა აკაკიმ ალბად რაიმე მოსაზრებით შესცვალა და... ჩვენ დავერჩა მხოლოდ ამ ეამად ცნობილი „მედია“ სრულიად დასრულებული სახით, რომელსაც ავტორი დიდხანს ამუშავებდა, ისე დიდხანს, რომ პოეტმა ჯერ იგი პროზად დასწერა, შემდეგ ვალექსა და თვით 1895 წელსაც ამ დრამის ნაწყვეტები სულ სხვანაირად გამოაქვეყნა „კვალში“, მაშასადამე, როგორც მასალებიდან ირკვევა, ეს დრამა თვით 1895 წელსაც არ იყო მთლიანად დაწერილი იმ სახით, რა სახითაც მას დღეს ვიცნობთ. დასკვნა? დასკვნა შეიძლება ასეთი გაკეთდეს: აკაკიმ დიდი ხნის ნანატრი თემა მხოლოდ 1893 წელს მოხაზა, 1895 წელს დაამთავრა ნაწილობრივად ვარიანტების სახით, ხოლო 1897 წელს, როცა თავისი ორგანო „კრებული“ დააარსა, დაბეჭდა იმ სახით, რა სახითაც დღეს ყველასათვისაა ცნობილი (იხ. „კრებული“ 1897 წ. № 2). ასე რომ „მედიის“ შექმნის დროდ 1893 წელი კი არ უნდა ვაღიაროთ, არამედ, ვინც ჩაუკვირდება აკაკის შემოქმედების ამ ლაბორატორიას, მას სამი თარიღი აეთამაშება თვალწინ: 1893 — 1895 — 1897 წ. წ.!!

რაც შეეხება აკაკის უკანასკნელ პოემა „ოჰს“, უნდა გულწრფელად ვაღიარო, რომ ამ პოემის კითხვას მთელი ერთი თვე მოვუწიდი! ეს პოემა აკაკიმ სიკვდილის წინ, ავადმყოფი ხელით დასწერა და ბევრი ადგილი ძალიან გაურ-

კვებელია. ჩვენ ვიცით, რომ ამ პოემაზე პატივცემული რეცენზენტები მუშაობდა ერთ დროს და რატომ ჰგონია მამია დუღუჩავას, რომ მან სწორედ ამოიკითხა ამ პოემის ბუნდოვანი სიტყვები და სხვამ კი ვერაფერი შეიტყო (ესაა მამიას განსაკუთრებით უკანასკნელი ორი კუბლეტის შესახებ?). ჩვენ იმდენს მართილება მაინც შეგვრჩია, რომ რომელი სიტყვაც აშკარა გზუგებრობას იწვევდა, ჩვენ ის კვადრატულ ფრჩხილებში ჩავსვით, ასე: [], როგორც ეს მიღებულია ამგვარი ტექსტის დადგენის დროს. გარდა ამისა, ჩვენს ხელთ იყო როგორც ავტოგრაფი, ისე ავტოგრაფის პირიცი (საქ. მუხ., № 1507 — H).

აი, „ომის“ უკანასკნელი ორი ადგილი ჩემი და მამია დუღუჩავას წაკითხვით:

ჩვენი წაკითხვით:

ჩვენის სიკედილით [ჩვენის გაქრობით] ახლა იწყება მომავლის შობა — და დიდ რუსეთსა, წვრილ ხალხის დამცველს ნუ მოეშალოს აწ გამარჯობა.

რომ იმას მტერი არ აწუხებდეს ირცა იმიერ და არც ამიერ და ჩვენც ვიძახდეთ მამაბაპურად ჩვენის საფერად „მრავალ-ქამიერ“.

მ. დუღუჩავას წაკითხვით:

ჩვენის სიკედილით, ჩვენის დაღევით, ახლა იწყება მომავლის შობა — და დიდ რუსეთსა, წვრილ ხალხის დამცველს ნუ მოეშალოს აწ გამარჯვება.

რომ იმას მტერი არ აწუხებდეს არც ამიერ და [არც] იმიერ — და ჩვენც ვიძახდეთ ჩვენის საფერად „მრავალ-ქამიერ“.

Handwritten notes in Georgian script, including corrections and additional text.

ჩვენის სიკედილით [ჩვენის გაქრობით] ახლა იწყება მომავლის შობა — და დიდ რუსეთსა, წვრილ ხალხის დამცველს ნუ მოეშალოს აწ გამარჯობა.

რომ იმას მტერი არ აწუხებდეს ირცა იმიერ და არც ამიერ და ჩვენც ვიძახდეთ მამაბაპურად ჩვენის საფერად „მრავალ-ქამიერ“.

შეიძლება ამ ავტოგრაფის ჩვენ მიერ წაკითხვა არ იყოს სწორი, მაგრამ ის უფრო შეეფერება პოემის ტექსტს, ვიდრე ამხ. დუდუჩავას კატეგორიული „მიგნება“, რომელიც სავსებით არღვევს აკაკის რითმების კუროსტონ-ტონობილ მკვიდრ სისტემას (დუდუჩავას წაკითხვით: „შობა — განმარჯვება“, „ამიერ — მრავალყამიერ“; ჩვენი წაკითხვით: „შობა — გამარჯობა“, „ამიერ — მრავალყამიერ“).

გრ. ორბელიანის თქმისა არ იყოს: „ან ეს რაცა ვსთქვი, რათა ვთქვი, თუ რაც მინდოდა ვერა ვთქვი?!“, მაგრამ აკაკი ისეთი პოეტია, რომ იმის ირგვლივ მასლათი არასოდეს არ იქნება მოსაწყენი და ამგვარი საჰოუმანო წერილებიც ქართული მწერლობის კულტურის მუშაკთა წინმსვლელობის მაჩვენებელი უნდა იყოს.¹⁾

1942 წ., 29 სექტემბერი.

¹⁾ ესარგებლობ შემთხვევით და აქვე ვასწორებ ჩვენის რედაქტორობით გამოსულ აკაკის შესამე ტომში შეპარულ კორექტურულ შეცდომას:

„ნათელას“ ტექსტს თარიღად უზის 1900 წ. (გვ. 268), უნდა იყოს: 1897 წ. — როგორც ეს იმავე ტომის ჩვენს შენიშვნებშია აღნიშნული (გვ. 699).

გამომწვევბის უყურადღებობის გამო შემტყობულის ორი გვერდი შენაცვლებით არის შოთავსებული (ზოგიერთ ეგზეპლარში), მაგალითად: სადაც არის: „რედაქტორის შენიშვნები“, უნდა იყოს: „ავტორის შენიშვნები“ (გვ. 677), ხოლო სადაც სწერია: „ავტორის შენიშვნები“, იქ უნდა იყოს: „რედაქტორის შენიშვნები“ (გვ. 683).

აკად. კ. კაკაბაძე — ქართული ლიტერატურის ისტორია — შოში
I ტ. II, 1941 წ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოსცემა

აკად. კორნ. კეკელიძის ეს შრომა, გამოცემული ორ დიდ ტომად (724 და 671 გვ.) წარმოადგენს მეორე შეესებულს და შესწორებულს გამოცემას (პირველი გამოცემის პირველი ტომი გამოვიდა 1923 წელს და მეორე ტომი 1924 წ.). პირველი ტომი ეხება ევრეთწოდებულ საეკლესიო მწერლობას, მეორე-კი ძველს საერო მწერლობას. ორივე ტომის მასალა მოტანილია მე-18 ს-ნის დასასრულამდის.

თავის დროზე კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველმა ტომმა პპოვა სპეციალურ მეცნიერებაში ძლიერ სიმბატიური გამოხმაურება, რადგანაც წიგნი ეხებოდა ყველაზე რთულ და ნაკლებ გამოკვლეულ ნაწილს ძველი ქართული მწერლობისას, სახელდობრ მის ევრეთწოდებულ საეკლესიო ნაწილს: ამიტომაც ამ წიგნის შეესებულის და შესწორებული სახით გამოსვლა წარმოადგენს, სპეციალური მეცნიერების თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვან მოვლენას.

ცნობილია, თუ რა დიდ როლს ასრულებდა ეკლესია ფეოდალური წყობილების ჩასახვის და აღმავლობის პერიოდში. ეკლესია წარმოადგენდა მაშინდელს პირობებში (ჩვენში მე-4 — 11 საუკუნეებში) პროგრესულ ელემენტებისათვის იდეოლოგიურ ბაზას. განსაუფრებით გაიზარდა ეკლესიის როლი მაშინ, როდესაც იგი აღმავლობის გზაზე მდგარმა ფეოდალურმა კლასმა საქართველოში გაიზადა თავის მოკავშირედ და დამხმარე ძალად. ამ პერიოდში ეკლესია თავისი საუკეთესო წარმომადგენელთა სახით სათავეში ედგა თითქმის მთელ ქართულს ლიტერატურულ შემოქმედებას, რაზმავდა ფეოდალურ კლასს და ხალხის ფართო მასას, აქტიურად ხელს უწყობდა ქართველი ხალხის არსებობის და თვითმყოფლობის შენარჩუნებას, ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას და გაძლიერებას. სავსებით ცხადია ამიტომ, რომ ჩვენთვის, საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის, უაღრესად საყურადღებოა იმ ძველი კულტურული მემკვიდრეობის გაგება და გათვალისწინება, რომელმაც თავის დროზე ხელი შეუწყო ქართული ხალხის არსებობას და მომავლის უზრუნველყოფას.

როგორც თვით აკად. კორნ. კეკელიძე აღნიშნავს, ამ მემკვიდრეობის დაძლევა მეტად ძნელი საქმეა: „ამ დარგში მუშაობისათვის არ კმარა ძველი ტექსტების, თუგინდ ხელურად დაწერილის მარტოოდენ წაკითხვა, საჭიროა მათი გაგება. ეს კი გულისხმობს, როგორც შესაფერს სპეციალურ ცოდნას, ისე მეტად რთული პირველწყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის გამოყენების უნარს“.

სწორედ ამიტომაც ცხადი ხდება, თუ რამდენად დიდი ამაგი დამდო აკად. კ. კეკელიძემ ძველი ქართული კულტურის შესწავლას, რომელშიც თავისი სიცოცხლის მრავალი წლები, თავისი დიდი ნიჭი და ერუდიცია მოახმარა ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლას. ამ დარგში ჩასატარებელი საქმეა — თა მასშტაბის წარმოსადგენად საკმაოა გაეიხსენოთ რომელიმე ქართული ხანის ძველი ქართული მწერლობის (მე-12 საუკუნემდის) დაახლოებით 95% მოიცავს საეკლესიო მწერლობა.

უნდა ითქვას, რომ ავტორს არა აქვს ამ ტომშიც კვლევა-ძიების საგანი შემოფარგლული მარტოოდენ საეკლესიო მწერლობით. სახელდობრ თავისი ასგვერდიან შესავალში ავტორი ვრცლად ეხება შემდეგ საკითხებს: 1) ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელობა და მისი შესწავლის მდგომარეობა, 2) ქართული ლიტერატურული ენა და დასაწყისი ქართული მწერლობისა, 3) პერიოდები ძველი ქართული მწერლობის ისტორიისა, 4) სწავლა-განათლებისა და ლიტერატურული ცენტრები ძველ საქართველოში.

შესავლის შემდეგ წიგნის პირველ ნაწილში (გვ. 105 — 372) განხილული არიან საეკლესიო მწერლობის ქართველი ავტორები და მთარგმნელები, დაწყებული შუშანიკის ცხოვრების ავტორიდან, ვიდრე მე-19 ს-ნის პირველი მესამედის დროინდელ ავტორამდის. სულ განხილულია 71 ავტორი და მთარგმნელი, გამოკვლეულია მათი ბიოგრაფიები და ლიტერატურული შემოქმედებები.

მეორე ნაწილში (გვ. 375 — 566) მოცემულია ძველი ქართული საეკლესიო მწერლობის დარგობრივი განხილვა. აქ უპირველეს ყოვლისა წარმოდგენილია ბიბლიოგრაფია, სადაც განხილულია ბიბლიური წიგნების თარგმნის ისტორია (გვ. 375 — 391). ეს ნაწილი მოითხოვს მომავალში შეესებას, რადგანაც ბიბლიის წიგნების პირვანდელი ქართული თარგმანის ტექსტი (რომელიც ჯერ გამოცემული არაა) თავისი შესწავლის შედეგად, ჩვენი დაკვირვებით, იძლევა ახალს და უძველესი ქართული მწერლობის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვან დასკვნებს.

შემდეგ თავებში ავტორი ვრცლად ეხება ძველი ქართული საეკლესიო მწერლობის ცალკე დარგებს, როგორცაა ამოკრიფები, ეგზეგეტიკა (ბიბლიური ტექსტების ასხნა-განმარტებანი), დოგმატიკური მწერლობა, პოლიტიკური ლიტერატურა (იგულისხმება რელიგიის საკითხებზე, უმთავრესად სხვა რელიგიების წინააღმდეგ მიმართული და სხვ.), ვრცლად აქვს ავტორს განხილული ქართული ჰაგიოგრაფია (წმინდანების ცხოვრებათა აღმწერი ლიტერატურა) და სასულიერო (საეკლესიო) პოეზია.

ძველმა ქართულმა მწერლობამ მარტო ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები (ეგრედწოდებული წმინდანების ცხოვრება) დავეიტოვა რიცხვით 230-მდის. ამ წმინდანების ცხოვრებას (ბიოგრაფიებს) აქვს მეტად დიდი მნიშვნელობა. ამ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთაგან ოცდახუთამდის ეხება ქართველ საქრისტიანო მოღვაწეთ (შუშანიკს, ევსტათი მცხეთელს, იოანე, ევთიმე და გიორგი მთაწმინდელებს და სხვ.). დანარჩენები კი — საერთო საქრისტიანო მოღვაწეთ. უმეტესი მათგანი მართლაც ითარგმნა ბერძნულიდან, სომხურიდან და სხვ. მაგრამ მათ შორის არიან ისეთი ნაწარმოებები, რომელნიც სრულებით უცნობი არიან ბერძნულ პატროლოგიაში (მაშათა ცხოვრების ლიტერატურაში). ჩვეულებრივ ფიქრობენ (და ამ აზრის არის უპირველეს ყოვლისა თვით კ. კეკელიძე), რომ ასეთი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები უნდა წარმოადგენდნენ

ბერძნულ და მსოფლიო პატროლოგიის ისეთ ძეგლებს, რომელნიც ბერძნულ ლიტერატურაში არ შენახულან, მაგრამ რომელთა ძველი ქართული (თარგმანი) გადარჩენია საუკუნეებს და მოუღწევია ჩვენამდის. ეს დებულება, რასაკვირველია, უდაოა იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი ნაწარმოებები ბერძნულიდან ქართულად თარგმნილობის შესახებ არსებობს ვარკვეული ლიტერატურული დამოწმება, ან როდესაც თვით ქართულ თარგმანს ტერმინების თუ გამოთქმების მიხედვით ცხადად ატყვია სხვა ენიდან (მაგ. ბერძნულიდან) თარგმნის კვალი.

მაგრამ ისეთ შემთხვევებში, როდესაც არც ერთი ეს საბუთი არ მოიპოვება და საკითხი უნდა გადასწყდეს მხოლოდ ნაწარმოების საუფეტის მიხედვით, რატომ არ შეიძლება ჩავთვალოთ მართებულად, რომ ზოგი უცხოური საქრისტიანო მოღვაწის ცხოვრების აღწერილობა თავიდანვე დაწერილიყო ქართულადც და ქართველი ავტორის მიერ. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებნი ძველად წარმოდგენდნენ გავრცელებულ საკითხავ წიგნებს. ამ ნაწარმოებით ძველ დროს მკითხველი ეცნობოდა ისტორიას, ყოფაცხოვრებას და პოლიტიკასაც, ქრისტიანული იდეოლოგიის თვალსაზრისით. ზოგიერთი ამ ნაწარმოებთაგან დაწერილია მაღალ ნიჭიერი ავტორების მიერ და ხასიათდება დიდი ლიტერატურული ღირსებით. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ ზოგ ქართველ ავტორს მოსდომებოდა თავისი ლიტერატურული შემოქმედების მასალად გაეხადა უცხო საქრისტიანო მოღვაწის ბიოგრაფია. რასაკვირველია, საკითხის ასე დაყენებისას ერთგვარი სიფხიზლეა საჭირო, მაგრამ პრინციპულად შესაძლებელია და მოსალოდნელიც, რომ ქართველ ჰაგიოგრაფისტთა ორიგინალური შემოქმედების ასპარეზი არ განისაზღვრებოდა მარტოოდენ ქართველ საქრისტიანო მოღვაწეთა ბიოგრაფიების აღწერილობით.

წიგნს ბოლოში დართული აქვს სპეციალისტებისათვის მეტად სასარგებლო და გამოსაყენებელი ორი დამატება — უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში (გვ. 569 — 677) და კიმენის რედაქციის ჰაგიოგრაფია (გვ. 677 — 699).

კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე ტომი, როგორც მოვისხენიეთ, ეხება ძველს ქართულს საერო მწერლობას ვიდრე მე-18 ს-ნის დასასრულამდის. ამ წიგნის მთავარ ადგილებს შედარებით პირველ გამოცემასთან კიდევ უფრო მეტად ეტყობა გადაკეთება, ვიდრე კორნ. კეკელიძის ნაშრომის პირველ ტომს. ავტორს საერო მწერლობის ისტორიის ხაზითაც თავისი შრომის პირველი გამოცემის შემდეგ ჩაუტარებია მეტად სერიოზული მუშაობა, რის გამო ქართული სამეცნიერო ლიტერატურა ეხლა გამდიდრებულია ძველი ქართული საერო მწერლობის ახალი, უაღრესად საყურადღებო და სერიოზული გამოკვლევა-მიმოხილვით. იწყებს ავტორი თავისი ამ შრომის ქართული მწერლობის კლასიკური პერიოდის საზოგადო დახასიათებით, რის შემდეგ ის გაღადის კლასიკური პერიოდის სამი მთავარი ნაწარმოების — „ეისრაჰიანის“, „ამირან-დარეჯანიანის“ და „ვეფხისტყაოსნის“ განხილვაზე. განსაკუთრებით ვრცლად და არსებითადაც საინტერესოდ აქვს კ. კეკელიძეს ამ თავისს ნაშრომში წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა. ავტორი სხვათაშორის დაწერილებით ეხება შოთა რუსთაველის ფილოსოფიურ და რელიგიურ აზროვნებას და ვრცელი არგუმენტაციით ახასიათებს შოთას როგორც დიდ ჰუმანისტს და პროგრესიულად მოაზროვნე პიროვნებას, რომელიც იმავე დროს ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე იყო

აღზრდილბ და ამ მსოფლმხედველობითაც განმსჭვალული. საერთოდ „ვეფხისტყაოსანში“ კ. კეკელიძე პოულობს სპეციფიკურ ქრისტიანულ აზრებს, რასაც ასაბუთებს ვრცელი ციტატებით. ცალკე თავებში ავტორი დაწვრილებით ეხება პოემის ავტორის ვინაობას, პოემის დაწერის დროს და ~~ქრისტიანობის~~ საქათხს და პოემის მხატვრულ მხარეს. სულ „ვეფხისტყაოსნის“ გარჩევას წიგნში დათმობილი აქვს 127 გვერდი.

სხვა ნაწილებში სხვა ნაწარმოებების გარდა ავტორი ვრცლად ჩერდება „შაჰნამეს“ ცალკე ნაწილების ქართულ ვერსიებზე, კერძოდ ეგრედწოდებულ „როსტომიანზე“. „როსტომიანის“ შესახებ კ. კეკელიძე იმეორებს ტრადიციულ აზრს, რომ ეს ნაწარმოები ქართულად დაწერილია მე-15—16 საუკუნეთა მიჯნის ახლოს და მე-16 ს-ნის დასაწყისში. -ის ეკამათება ამ სტრიქონების დამწერის მიერ თავის დროზე წამოყენებულ დებულებას, რომლის მიხედვით „როსტომიანი“ შეიძლება მე-14 ს-ნეს მიეკუთვნოს. აკად. კეკელიძის არგუმენტაცია ამ საკითხში, ჩვენის აზრით, ახლაც არ არის საბოლოოდ დამაჯერებელი.

„როსტომიანის“ შემდეგ კ. კეკელიძე ვრცლად ეხება აღორძინების პერიოდის საგმირო ეპოსის სხვა ნაწარმოებთ, როგორც მაგ., შაჰნამეს მიბადვით — „ფრიდონ-საამიანს“, „ზაქიანს“ და სხვათ, ცალკე კიდევ ვალექსილ „ამირან-დარეჯანიანს“, „სეილანიანს“ და „ალექსანდრიანს“.

შემდეგ თავებში განხილულია აღორძინებისავე ხანის ქართული რომანტიული ეპოსი („ვეფხისტყაოსნის“ დამატებანი, „ომიანიანი“, „იოსებ-ზილიხანიანი“, „ლეილ-მაჯნუნიანი“ და სხვ.), საზღაპრო ეპოსი („რუსუდანიანი“, „ფირმალიანი“ და სხვ.), დიდაქტიკურ-მორალური ეპოსი („მეფეთა საღარო“, „ქილილა და დამანა“, „თიმსარიანი“, „სიბრძნე-სიცრუისა“ და სხვ.). საისტორიო ეპოსი („შაჰნავაზიანი“, „თეიმურაზიანი“, „დიდ-მოურავიანი“, „ვახტანგისანი“ და სხვ.). უკანასკნელ თავებში ავტორი ეხება მე-17—18 ს-ნის ქართულ ლირიკას (თეიმურაზ პირველი, არჩილი, დავით გურამიშვილი, ბესიკი და სხვანი) და აგრეთვე მე-18 ს-ნის ქართულ დრამას. უკანასკნელ თავში გამოტოვებულია ცნობა იესე ოსესძის მიერ 1762 წელს შედგენილ სცენიურ ნაწარმოების შესახებ, რაც საფიქრებელია აიხსნება იმით, რომ ხსენებული ნაწარმოები, აღნიშნული საჯარო მოხსენებებში, ჯერ დაბეჭდილი არ არის.

როგორც მოვიხსენიეთ, ავტორს პირველი გამოცემის მსგავსად დაყოფილი აქვს ძველი ქართული ლიტერატურა ორ დიდ ნაწილად: სასულიერო მწერლობას დათმობილი აქვს პირველი ტომი და საეროს—მეორე. რასაკვირველია საკითხა, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიაში ორივე ეს ნაკვეთი ერთი. გაგებით და მთლიანი თანდათანობით იყოს წარმოდგენილი განვითარების ცალკე სტადიებთან დაკავშირებით. თუ გამოკვლევებს და მეცნიერულ მხიბათა პროცესში კ. კეკელიძის მიერ აღებულ ხაზს ერთგვარი გამართლება ჰქონდა, მომავალში ამისი გამოსწორება აუცილებელი იქნება. ამით საზოგადოდ ქართული მწერლობის ისტორია თავიდან აიცილებს იმ ხელოვნურ სქემატიზმს, რომელიც მას ჯერ კიდევ თვალსაჩინოდ ახასიათებს.

მხატვრული ლიტერატურა

ვალაკტიონ ტაბიძე — მთის გულისცემა (ლექსი)	83-3
— კავკასიის ჯარს (ლექსი)	4
— გმირული ნანგრევები (ლექსი)	4
კონსტანტინე გამსახურდია — დაეით აღმაშენებელი (რომანი)	6
ილია ხელფინსკი — მე თვითონ ვნახე (ლექსი — თარგმანი კ. კალაძისა)	22
ალექსანდრე ქუთათელი — პიროსპირ (რომანი)	25
ლალო ასათიანი — ბასიანის ბრძოლა (ლექსი)	49
როდიონ ქორჭია — პარტიზანი შურა (მოთხრობა)	55
ვ. ხანი — ჩინგიზ-ყაენი (ნაწყვეტი რომანიდან — თარგმანი ნ. ლორთქიფანიძისა)	61
ლალო ავალიანი — ახალი მისამართი (მოთხრობა)	70
ნ. შიქავა — კომისარი (მოთხრობა)	74
პავლე სიმონოვი — მეზღვაურის დედა (მოთხრობა — თარგმანი პ. აბრამიასი)	78

კუბლიცისტობა და ლიტერატურის ისტორია

ლ. გორგილაძე — გერმანიის ყაჩაღური იმპერიალიზმი	85
ირ. ხანთაძე — შექაბირის ავაზაკი პერსონაჟები და ჰიტლერული ბანდიტები	100
გ. ნატროშვილი — დაეით გურამიშვილი	108

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

შალვა რადიანი — ალექსანდრე აბაშელის ლექსები	127
აკად. ა. შანიძე — გ. წერეთელი — „არმაზის ბილინგვა“	135
ს. იორდანიშვილი — ბესიკის 2 ლექსის განმარტებისათვის	146
ი. გრიშაშვილი — ერთი რეცენზიის გამო	151
სარგის კაკაბაძე — აკად. კ. კეკელიძე — ქართული ლიტერატურის ისტორია — ტომი I და II	156